


Իջյւնտան սհս լծիդրտու!



Քսէնիտ քսճուսս. 1. 1997



ღვთისმშობელო ქალწულო,
შეურყვევლსა მაგას ზღუდესა ცხოვრებისა ჩვენისასა,
წინააღმდეგომთა ზრახვანი განაქარვენ,
სოფელსა შენსა აღმოუწოდე
და მიკგარე ქართველნი ქრისტესა ღმერთსა,
რამეთუ შენ ხარ სასო და მეოხი
ყოველთა ქრისტიანთა

ჩვენთან არს ღმერთი!

ჯვარი ვაჭისა

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ვ ა ტ რ ი ა რ ძ ი

1

1992

დაიბეჭდა უფრიდუნისა და უნეტარუნის, სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II ღვთაფლითა და ღოცვა-კურთხევით

შ ი ნ ა ა რ ხ ი

ღვთისმეტყველება

ბრიგოლ კალაშა წმიდა ნათლისღების საიდუმლოსათვის.....5

წმიდა ზიარების საიდუმლოსათვის.....9

ნიკოლაი ბარდიაველი ფილოსოფია და რელიგია.....13

ქადაგებანი

დეკანოზი არჩილი (მინდიაშვილი) სიტყვა ხსენებისათვის სიკვდილისა და ცრემლისა.....21

მწვალებელსა კაცისა განუშორე

სამხატვრო საზინააღმდებო პართლგადიდებულური კატეხიზმი.....27

როგორ უნდა ვიღობოთ?.....33

ბიზლია და მართული კულტურა

დეკანოზი მარკოზ ტყეშელაშვილი თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი.....34

ბაბილინა ლომინაძე ასრულებდა თუ არა კალი ძველ საქართველოში ლიტურგიულ ღვთისმსახურებას.....48

პაისკოპოსი ეგნატე ბრინჯანიანი წმიდა მამათა კითხვისას.....50

ეპისკოპოსი კოჭლაგაგაშვილი, თაისი ტორუნჯაძე დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარი.....52

კვალი ნათელი

პაატა შურდუკანიძე სანთელი დაუშრეტელი.....66

ბიზლიობრაფია

დარეჯან მენაბდე „ღვთისა და კონსტანტინეს წამება“.....72

ფიქრი გზები

მართა ტარტარაშვილი აჭარაში.....75

კრეზია

ჯემალ მათამაძე საქართველოსთვის.....79



საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე
წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმა (შიოშვილი)

რედაქტორი
მღვდელი ლავრენტი ბუზიაშვილი

რედაქციის მისამართი:
სრულიად საქართველოს საპატრიარქო
თბილისი, ერეკლეს მოედანი №1
ტელ. 98-26-34

JVARI VAZISA
(The Cross of Vine)
Georgian Patriarchate
Tbilisi 1, Erekle's square
T. 98-26-34

ДЖВАРИ ВАЗИСА
[Крест из лавы виноградной]
Грузинская патриархия
Тбилиси, пл. Ираклия №1
Т. 98-26-34.

გადაცა წარმოებას 15. 02. 92 წ.
ხელმოწერილია დასაბუქლად 30. 05. 92 წ.


ქაღალდის ზომა 60X90 1/8

ტირაჟი 5000

შეკვეთა 1043

სახელმწიფო უწყებო შასი

ჟურნალი დასაბუქლად მომზადდა გამომცემლობა „მარინში“
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14.
დაბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. №14.



ღვთისმეტყველება

გრიგოლ პალამა

წმიდა ნათლისღების საიდუმლოსათვის

სინანული სულიერი და ქრისტიანული ცხოვრების არსი და დასაბამია და მოეთხოვება ყოველ ადამიანს ნათლისღებამდე, ნათლისღებისას და ნათლისღების შემდგომ. ღვთაებრივი ნათლისღების ჟამს ადამიანი ვალდებულია გონების თვალთვალად გადევნოს განვლილი ცხოვრების გზას და საზეიმოდ დადოს აღთქმა უფლის წინაშე, რომ ღრმა ღვთისმოსაობაში განსწავლავს დარჩენილი ცხოვრების წლებს, მოიტყვევებს იმას, რომ იყოს ღვთისათვის სასურველი. ნათლისღებისას ყოველად მოწვეული უფალს, იესო ქრისტეს, რწმენის ძალით ეუეროდებით, ზურგს გაქცევთ ყოველადურობებს მტერს - სატანას და ვდებთ აღთქმას, რომ ღვთის მცნებათა აღმსრულებელი დაუტყვევებთ ბოროტ გულისთვის და ზრახვებს. კათაკმეველი მღვდლის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხობს ან დამოუკიდებლად, ანდა ნათლისღების დახმარებით, სახელდობრ, ჩვილთა ნათლისღებისას, და თუკი ყველაფერს რწმენითა და სიყვარულით აღვასრულებთ, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული: „გულითა გარწამს სიმართლედ, ხოლო პირითა აღვიარებთ საცხოვრებლად“ (რომ.10, 10), ე. ი. თუკი უფლის წინაშე ვდებთ აღთქმას გულწრფელად, ნათლისღების ემბაზივე ვცხოვრდებით.

რადგანაც უმეტესწილად ნათლისღება ყრმობის ასაკში აღესრულება და რაკი ყველაფერი, რაც ღვთაებრივ ნათლისღებასთან არის დაკავშირებული და, რასაკვირველია, ღვთაებრივი ემბაზიც მხელად თუ შეიძლება ახსოვდეს ეინმეს, ამიტომ, მოდით, გამოწვლილვით განვიხილოთ ამ საიდუმლოს ქრისტიანული არსი, უკეთ გავერკვეთ, თუ რაში მდგომარეობს იგი. რამეთუ, ვფიქრობ, მნელია სწორად გააცნობიერო ყოველივე ის, რასაც ეს საიდუმლოება გულისხმობს, თუნდაც მთელი მონდობით აღვესებდე თვალს ნათლისღების რიტუალს. თუ მესხიერებაში აღვიდგენთ ნათლისღებისას წარმოთქმულ აღთქმას, ლოცვებს, ნათელი განდება, რაოდენ შეგვიბღალავს დროთა განმავლობაში ანდა ურცხვად დაგვირღვევია.

აი, ეს ლოცვა: „სახელითა შენითა უფალო, ღმერთო ჭეშმარიტებისა და მხოლოდმობილისა ძისა შენისა და წმიდისა სულისა შენისათა დავედებ ხელსა ჩემსა ამას შენსა ზედა (სახელი), რათა ღირსიქმნას მოღვაწეად წმინდისა სახელისა შენისა და დაცუად საფარულსა ფრთეთა შენთასა, რათა განემოროს ამისგან ძუძლი იგი საცთური და აღივსოს ესე შენდა მომართ სარწმუნოებითა, სასოებითა და სიყვარულითა. რათა ჰსცნას რამეთუ შენ ხარ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი და მხოლოდმობილი ძე შენი უფალი ჩუენი იესო ქრისტე და წმინდა სული შენი და მოეც ამას ყოველთა შინა მცნებათა შენთა სულად და სათნოებათა დაცუად. რამეთუ უკეთუ ჰქმნას ესე კაცმან ჰსცხოვრდეს მას შინა და დასწერე ესე წიგნსა მას შინა ცხოველთა შენთასა და შეაერთე ესე სამწყსოსა სამკვიდრებელისა შენისასა და დიდებულ ჰყავ სახელი შენი წმინდა ამის შორის და საყვარელისა ძისა შენისასა, უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ცხოველმყოფელისა სულისა შენისასა და იყავნ თუალი შენი ამას ზედა წყალობად და ყურნი შენი სმენად ლოცუასა ამისსა. მხიარულ ჰყავ ესე საქმიითა ხელთა ამისათა და თანად ყოველნი ნათესავნი ამისნი, რათა აღვიარონ შენ და თაყუანისცეცნ და დიდებდენ სახელსა შენსა დიდსა და მალასა და გიგალობდენ მარადის ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მათისათა, რამეთუ შენ გიგალობენ ყოველნი ძალნი ცათანი და შენდა დიდებასა აღვაკვლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

მღვდელი კათაკმეველს ჯერ კიდევ ნათლისღებამდე ამზადებს, მოძღვრავს, უკითხავს განსაკუთრებულ ლოცვებს, უხსნის ეკლესიის განაწესს, ასწავლის მრწამსს და მოუწოდებს ქველმოქმედებისა და სათნოებისაკენ. შემდეგ აღაუყენს მადლობას კაცთმოყვარე უფლისადმი, ვითარცა ადამიანთა მოდგმის მეოხისა და მსწრაფლშემწისადმი და ეკითხება მოსანათლს, რატომ სურს ნათლისღება? როდესაც კათაკმეველი პასუხობს, რომ იესო ქრისტეს შუამავლობითა და თანამოქმედებით სურს შეერთოს უფალს, ღვთაებრივი საიდუმლოს მადლი იგემოს, ამაზე მღვდელი პასუხობს: თქვენი სურვილისამებრ შეუდევით ქრისტეს-ჭეშმარიტ, სრულ და უცოდველ უფალს, განიწმიდეთ, განმართლდით და განათლდით. მერმე განუმარტავს, თუ რაში მდგომარეობს სახარებისმიერი ცხოვრებით ცხოვრება და კვლავ ეკითხება: არის თუ არა მზად ამგვარი ცხოვრებისათვის. როდესაც დადებით პასუხს იღებს, კათაკმეველს არქმევს ნათლისღების სახელს, რითაც მას მართლმადიდებელ ქრისტიანთა ცხოვრების წიგნში აქცევს, ანუ ეს ადამიანი უკვე გადარჩენილთა შორისაა, ვითარცა ცხოველმყოფელი ცხოვრებით მცხოვრები.

ამის შემდეგ მღვდელი კათაკმეველს ტანისამოსს ხდის, დასავლეთისაკენ პირით აყენებს, რათა ზურგი აქციოს, შეჰბეროს და განავლოს სატანა.

მღვდელი წარმოთქვამს შემდეგ ლოცვას: „შეგარისხებს შენ უფალი ეშმაკო, რომელი მოვიდა სოფლად და დაემკვიდრა კაცთა შორის, რათა შენი დაამხუას ძლიერება და კაცნი გამოისხნეს, რომელმან ძელსა ზედა წინააღმდეგომნი ძალნი განაქარუა, მზე დაახნელა და ქუეყანად ჰსძირა, საფლავნი აღახუნა და გუამნი წმიდათანი აღადგინა. რომელმან იგი დაჰხსნა სიკუდილითა სიკუდილი და განაქარუა, რომელსა აქუნდა იგი ხელმწიფება სიკუდილისა, ესე იგი არს შენი, ეშმაკო. გაფუცებ შენ ღვთისა მიმართ, რომელმან აჩუენა ძელი ცხოვრებისა და უბრძანა ხერუემისა მოტყინარესა, და მახვილსა იქცევისა დაცუად

მისსა. შერისხებულ იქმენ და წარუედ, რამეთუ მისსა მიმართ გაფუცებ შენ, რომელი ვიდოდა წყალთა ზედა ზღვისასა, ვითარცა ხმელსა ქუეყანასა და შერისხნა ღელუასა ქართასა. რომლისა მიხედვით განხმებიან უფსკრულნი და შიშისაგან შეიძვრიან მთანი. რამეთუ იგივე თავადი გიბრძანებს ჩვენნიერ აწ გამოვედ, შეშინდი, განეშორე დაბადებულისა ამისგან და ნუ უკმოიქცევი და ნუცა დაიმაღლი ამას თანა და ნუცა შემთხვევი ამას, გინა შემთხვევით, გინა კუეთებით, ნუცა ღამით, ნუცა დღისით, გინა ჟამსა, გინა შუადღე. არამედ წარუედ თვსსა ტარტაროსსა, რომელი გამზადებულ არს შენთვის დიდსა ამას დღესა სასჯელისასა. გეშინოდენ ღუთისა მიმართ, რომელი ჰზის საყდართა ხერუეშობასა და ჰხედავს უფსკრულთა, რომლისაგან ჰსძრწიან ანგელოსნი, მთავარანგელოსნი, საყდარნი, უფლებანი, მთავრობანი, ხელმწიფებანი, ძალნი და მრავალთუალნი ხერუეშომნი და ექუსფრთენი სერაფიმნი, რომლისაგან ჰსძრწიან ცანი და ქუეყანა, ზღუა და ყოველი რა-არს მას შინა. გამოვედ და განეშორე აღბეჭდულისა ამისგან ახლისა მხედრისა, ქრისტეს ღუთისა ჩუენისა და მისსა მიმართ გაფუცებ რომელმან შეჰქმნა ანგელოსნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა, გამოვედ და წარუედ დაბადებულისა მისგან მისისა და მივედ ყოველთა ძალთა და ანგელოსთა შენთა, რამეთუ დიდებულ არს სახელი შენი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!”

ამგვარი ზურგშექცევა სატანისადმი სამგზის აღესრულება. გაშიშვლებაში იგულისხმება ძველი ჩვეულებებისა და უწმინდური ცხოვრებისაგან განთავისუფლება, დასავლეთისაკენ პირით დგომაში - საშინელ უსჯულოებათა ტყვეობაში ყოფნა, სულის შებერვით ადამიანი ცდილობს სხეულიდან განაგდოს და გამოაძეოს სატანა, რომელიც სულში ჩასახლება. მღვდლის სამგზის შეკითხვაზე „განავადებ სატანასა“, კათაკმეველი, თუკი მთელი ძალისხმევით, მტკიცედ და ურყევად უპასუხებს: „განავადებ სატანასა“ ბოროტი სული აუცილებლად სტოვებს ადამიანის სხეულს და ადამიანი განიღმრთობა. შემდეგ მღვდელი კათაკმეველს აღმოსავლეთის მხარეს აბრუნებს და კვლავ ეკითხება: „შეუდგები ქრისტესსა?“ მუშტშემართული კათაკმეველი ამბობს: „შეუდგები ქრისტესსა“. ადამიანის აღმოსავლეთისაკენ დგომა ნიშნავს, რომ ბოროტისაგან ზურგშექცევით მღვარი ადამიანი მზერას მიაპყრობს ღვთაებრივ ნათელს, ზელის აღმართვა - ადამიანის სწრაფვას, რაც შეიძლება მალე ასრულდეს მისი ვედრება და სამგზის გამოვრება - აღთქმის სიმტკიცეს და შეურყევლობას.

ამგვარად, ყოველგვარ უსჯულოებათაგან და უწმინდურობისაგან დახსნილ ადამიანს და ღმერთს შედგომილს მთელი ძალისხმევით მღვდელი ჯვრის სახით გამოსახავს შუბლზე, მკერდსა და ყოველ გეამსა ზედა და იტყვის: „ იცხებს მონა ესე ღუთისა ზეთსა სიხარულისასა სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. როდესაც მღვდელი ზეთს ცხებს შუბლსა, ნიკაპსა და ლოყაზე, ამბობს: „ საკურნებლად სულისა, და ხორცისა, ყურზე - „სმენად სარწმუნოებისა“, ფეხებზე: „სვლად გზათა მშვიდობისათა“, ხელებზე - „ხელთა შენთა შემქმნეს მე და დამბადეს მე, გულისხმა მიყავ და ვისწავლენ მე სიძმართლენი შენი“.

საღვთო ზეთისცხებაში ჩადებულია ქრისტეს ჯვარცმის საიდუმლოება და ზეთის ცხება ადამიანის ცოდვითა მოკვდინებას გულისხმობს. წმინდათაწმინდა ზეთისცხებას ემბაზში ჩასვლა მოსდევს, რათა ადამიანი განიბანოს სამგზის წყალში დაფლვით. ყოველი დაფლვისას მღვდელი ყოვლადწმიდა სამებას მოუხმობს და ამბობს: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

ცნობილია, რომ წყალი ყველაფერს წმენდს, ასუფთავებს ჭუჭყისა და სიბინძურისაგან, მაგრამ მას სულის განწმენდა ვნებათა და ცოდვათაგან არ ძალუძს. წყალმა რომ ეს თვისება შეიძინოს, ამისათვის მოუხმობს მღვდელი სულიწმიდას, ერთ არს სამებას. სულიწმიდის შეწვევით წყალში ისადგურებს სულიწმიდის ძალდი და მასში დაფლული ადამიანი უფალს შეიმოსავს, მის გამოუთქმელ სიკეთებს თანაზიარქმნება. ამაზე ამბობს ღვთაებრივი მოციქული პავლეც: „რავდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“ (გალატ 3,27). ეს სიტყვები იგალობება მაშინ, როდესაც მონათლულს ემბაზიდან ამოიყვანენ და სამგზის შემოატარებენ გალობით. სამგზის წყალში დაფლვა ცხოველსმყოფელი სულიწმიდი სახელზე გულისხმობს უფლის სამი დღით მიწაში დაფლვას. დაფლვას მოსდევს წყლიდან ამოყვანა ანუ აღდგომა. აღდგება გონება, სული და სხეული განმხრწნელ ცოდვათა და უსჯულოებათაგან. ამრიგად, ღვთაებრივ ნათლისღებაში შეიძლება დაეინახონ სიკვდილიც და სიცოცხლეც, დაფლვაც და აღდგომაც, მსგავსად უფლისა, „რომელი იგი მოკუდა ცოდვითა, მოკუდა ერთგზის, ხოლო რომელი იგი ცხოველ-არს, ცხოველ-არს ღმრთისა“ (რომ. მიმართ. 6,10). თავად უფალი ბრძანებს: „ რამეთუ მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისა და ჩემთანა ჰპოვოს არა-რაჲ“ (იოანე, 14,30). ამასთან არის დაკავშირებული უფლის სიკვდილიც. რამეთუ ღვთაებრივი ნათლისღების გზით, უფლის ცოდვათა დათრგუნვით, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ უფალში სათნოებათა ქმნით, რათა არ გვიპოვოს სიბნელის მთავარმა - სატანამ, არ შემოვიდეს და დაისადგუროს ჩვენს სხეულში. ქრისტე აღსდგა მკვდრეთით „და სიკვდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“ (რომ. მიმართ 6,9) და ჩვენც აღმოგვანებულნი ღვთაებრივი ნათლისღებით ცოდვით დაცემისაგან უნდა ვეცადოთ აღარასოდეს ჩავეფლოთ ცოდვებში, „რამეთუ რომელთა ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ საკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ და თანა დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რათა ვითარცა იგი აღსდგა ქრისტე მკვდრეთით დიდებითა მამისათა, ეგრეთცა ჩვენ განახლებითა ცხოვრებისათა ვიდოდეთ“ (რომ. 6,3).

ამგვარად, ოდეს მღვდელი კათაკმეველს სპეტაკი სამოსელით შემოსავს, ღვთაებრივ ზეთს ცხებს სხეულზე და იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს თანაზიარქმნის, მას უფალი მეფეულად ღვთაებრივი ნათებით ამწყალობლებს, ვითარცა იესო ქრისტეს სხეულისა და ცხოველსმყოფელი სულის ნაწილს. იგი ხელმეორედ იშვება, ღვთის შვილი ხდება, ზეციური - ნაცვლად მიწიერისა და მარადიული - ნაცვლად დროებითისა. უფალი ჩვენს გულებში საიდუმლოდ ჩაღვენთავს

ზეციურ მადლს, ღვთისშვილად ქმნილის ბეჭედს გვიბოძებს, ღვთაებრივ ზეთისცხებასა და სასუფეველის ნეტარებას გვაზიარებს, სულიწმიდით განგვმსჭვალავს მონანიებულთ. ვცხონდებით, თუ ამ სინანულს ბოლომდე შევინარჩუნებთ შეურყენელად და აღთქმულს განვაძევილებთ საქმეებით და თუ ვერ შევძლებთ, მაშინ აღსარება დაგვემარება. ამრიგად, ღვთაებრივი ნათლისღების შემდგომ, სინანული აუცილებელია. თუკი იგი აღამიანს არ აქვს, მაშინ ჩვენი სიტყვები დადებული ღვთის წინაშე კი არ შეგვეწვიან, არამედ, პირიქით, გვაძიმებენ და გვაბრკოლებენ. „სჯობს არ აღუთქვა, ვიდრე აღთქმული არ აღასრულო“ (ეკკლ. 5,4) და ვითარცა იტყვის მოციქულთა მოციქული პეტრე: „უმჯობეს იყო მათდა ეცნავე თუმცა არა გზა იგი სიმატლისა, ვიდრე ცნობასა და მართლ-უკან-ქცევასა მოციქულისა მისგან მათდა წმიდისა მცნებისა. შემთხვია მათ ჭეშმარიტებისა მისებრ იგავისა, ძალდი მიექცა ნათხეგარსა თვისსა და ღორი ინწუბა სანგორელსა მწვრისასა (I პეტრე 2,21). პავლე მოციქულსაც მოეუხმინოთ: „მიჩუქნე მე სარწმუნოება შენი საქმეთაგან შენთა“ (იაკ. 2,18) და „ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის; აჩუქნენ კეთილად სლგსაგან საქმენი თვისნი, სიმშვიდითა სიბრძნისათა“ (იაკ. 3,13). თავად უფალიც ბრძანებს: „რასა მეტყვით მე, უფალო! უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვ თუქმენ“ (ლუკ. 6,46) რამეთუ ღმერთი ცოცხალი და ჭეშმარიტი ჩვენგანაც ითხოვს ჭეშმარიტ საქმეებსა და ცხოველ რწმენას, ხოლო „სარწმუნოება თვნიერ საქმეთასა მკუდარ-არს“ (იაკ. 2,26).

რამდენადაც მონანიება წარმოადგენს დასაბამსა და დასასრულს ქრისტიანული ცხოვრებისას, ამიტომ უფლის წინამორბედი და ნათლისმცემელი იოანე ქრისტესმთავრი ცხოვრების დასაწყისს წინასწარმეტყველებდა, როდესაც ამბობდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათ 3,2). და თავად უფალიც არაერთგზის ამბობს: „წარვედით და ისწავით, რა არს წყალობა მნებაეს და არა მსხუტრალი. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათ. 9,13 იხ. აგრეთვე მარკ. 2,17; ლუკ. 3,32, ! ტიმ. 1,13). მონანიება ხომ იმაში მდგომარეობს, რომ უსჯულოება მოვიძაგოთ და სათნოებები შევიფაროთ, ბოროტი განვსდევნოთ და სიკეთე ვქმნათ. ღვთის წინაშე ცოდვების მონანიებასა და აღიარებას მოსდევს გულისშემუსვრელება და ღმერთთან შერთვა საღმრთო ნათელით. ყოველივე ამას კი წინ უნდა უსწრებდეს ის, რომ საკუთარი თავი ჩავთვალოთ უღირსად, ღვთისშვილთა შორის. ვითარცა ძე შეცთომილი ჰგოდებდა „არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკათაგანი“ (ლუკ. 15,19). უფლის წინამორბედმა და ნათლისმცემელმა იოანემ აღამიანებს ზეციური სამყაროს ნათელი აუწყა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სასუფეველი ახლოსაა და დაე, ღვთაებრივი და ზეციური სამეფოს უკიდვანობისდა შესაბამისად აღამიანებმა თავი შერაცხონ უღირსად და განჩხრიკონ საკუთარი სული, რაც იქნება დასაბამი გადარჩენისა და ცხონებისა. როგორც ნებისამიერი ხის ძირას დევს ცული და ხეს მოჭრით ემუქრება, ასევე ნათლისღებაც მოკვეთა და გაფრთხილებაა ღვთისაგან განმართლებულთათვისაც და მოუნანიებლად მცოდველთათვისაც, რომლის თანახმადაც ამოძირკვეულნი სააქაო და საიქაო ცხოვრებიდან შთაცვივან ჯოჯოხეთის წყვედადში. ამიტომაც, რომ დაუშრტელ ცეცხლში დაწვით ემუქრება იოანე ნათლისმცემელი იმ აღამიანებს, რომლებიც ნათლისღებას მიიღებენ, აღთქმას დადებენ უფლის წინაშე და არ აღასრულებენ, შებილწავენ ღვთაებრივ ნათლისღებას, რომლის წილ მიიღებენ ღვთის რისხვასა და სამუდამო სატანჯველს - რათა ამით მაინც გულისხმავონ უგულისხმობთა, მომავალი თაობებისათვის კი მაგალითი იქნეს.

ნათლისღება, უწინარეს ყოვლისა, მონანიებას კი არ გულისხმობს, რაც გამოიხატება ბოროტებისაგან განდგომითა და გულისშემუსვრელებაში, არამედ, მოითხოვს მონანიების შესაფერის ნაყოფსაც. რა ნაყოფია იგი? პირველ ყოვლისა, ესაა აღსარება, რომელსაც იოანე ნათლისმცემელთან მომსგლელებიც აღასრულებდნენ. ამაზე თქმულ არს: „მაშინ განვიდოდა და ნათელს- იღებდეს იორდანესა შინა მისგან, და აღუარებდეს ცოდუათა მათთა“ (მათ. 3, 5-6) და შემდგომ კვალად სიმატლით ქმნა, ქველისმოქმედება, თავდადება, სიყვარული, ერთგულება, როგორც იოანე ნათლისმცემელი მომდგრავდა მათ: „ნუ ვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ, რომელს აქუნდეს ორი სამოხელი, მიეცინ, რომელსა არა აქუნდეს და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ჰყავს“ (ლუკა 3. 11-14), ანდა „ყოველნი ჰევენები აღმოივსოს და ყოველნი მთანი და ხორცნი დაძაბდენ“ (ლუკა 3,5). რისი თქმა სურს მას ამ გამოთქმით: უფსკრული ამოივსოს და მთანი გასწორდეს?“ ის, რასაც უფალი ასე ხმამაღლა აცხადებს: „რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დაძაბდეს და რომელმან დაიმადლოს თავი თვისი, იგი აღმადლდეს“ (ლუკა 18,14) „და იყოს გულარძინილი იგი მართალ და ფიცხელი გზად წრფელად და იხილოს ყოველმან კორციელმან მაცხოვარება ღმრთისა“ (ლუკა 3,5-6). ვითარცა იტყვის იოანე ნათლისმცემელი: გზა ოღროჩოდრო ეს არის სიცრუე, სიყალბე, წყევა, არასწორი მიმართულება, მრისხანება, ღვარძლი, სიძულვილი, გულარძინილება - ყოველივე ეს კი, გამოსწორდება და განიწმინდება აღსარებით. ამგვარად, ყოველი ძე ხორციელი, რა ეროვნებისა და ხალხის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი, აღსარებით განიწმინდება და ღვთისაგან ხსნილი იქნება.

ამას გუებნებით, ძმანო ჩემო, თუმცა გული მეთანადრება, რომ ნათელდებულნი, დღეს აღსარებას გაეუბივართ, იმას, რასაც იოანე ნათლისმცემელი ასე დაჟინებით მოითხოვდა აღამიანებისაგან, თუმცა მაშინდელი ნათლისღება ფრიად განსხვავდება ქრისტესმთავრი ნათლისღებისაგან, რამეთუ სულიწმიდა წყალზე არ გადმოდიოდა. უფალიც ხომ ეუბნება მოწაფებს: „იოანე ნათელ-მსცემდა წყლითა, ხოლო თუქმენ ნათელ იღოთ სულითა წმიდითა. (საქმ, მოციქ. 1,5) იოანე ნათლისმცემელს ევალებოდა ხალხი დაერწმუნებინა ქრისტეს მოსვლაში, იგი იყო წინამორბედი და წინასწარმეტყველი იესო ქრისტესი. უფალმა ხომ სახე უცვალა იოანესეულ ნათლისღებას, საიდუმლოდ გარდამოხდა ნათლისღებისას სულიწმიდა, ცხოველსმყოფელი სული. რამეთუ იმ დროს, როდესაც იოანე ასწავლიდა იორდანეში მოსულთ, რომ მოვა გალილეას ნაზარეთიდან იორდანეში იესო ქრისტე, რათა იოანემ სცეს ნათელი, მოვა იგი მისი

დაბადებიდან 12 დღის შემდგომ და ჩვენც ხომ სწორედ 12 დღის შემდგომ უფლის შობიდან ეზვიმობთ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. მოვა ოცდაათი წლის ასაკში, როგორც ლუკა მახარებელი ამბობს, მოგვევლინება ვითარცა ერთი კაცთაგანი, არაფრით გამორჩეული, კაცი უბრალო გულითა, თავმდაბალი და უსახელო.

ერთის მხრივ, იოანემ განმაცხოველებელი და ყოვლისგანმსჭვალავი სულით შეიცნო იგი და აუწყა ხალხს: შორის თქუენსა ჰსდგას, რომელი თქუენ არა იცით, რომელი ჩემსა შემდგომად მოსლუად არს - ხორცშესხმითა და განკაცებით - „რომელი პირველ ჩემსა იყო“ - ვითარცა მამადმერთი, ძე ღვთისა და სულიწმიდა, „რომლისა არა ღირს ვარ მე, რათა განვხსნენ საბელნი ჯამლთა მისთანი“ (იოანე 1, 26-27). ჯამლი უფლისა სხვა არა რაა თუ არა სიტყვა ღვთისა, ხორცი, რომელიც მან ჩვენთვის, კაცთათვის აცვა ჯვარს. „საბელნი ჯამლთა მისთანი“ ეს კაცობრივი და ღვთაებრივი ბუნების შერწყმაა, რაც უხილავი საიდუმლოა, რამეთუ არცერთი ძე ხორციელი მსგავსად არ შობილა, ამდენად იგი გამოუკულებელია კაცობრივი ბუნებისათვის (გონებისათვის), „მან - ამბობს იოანე ნათლისმცემელი - „ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (ლუკ. 3,16) ანუ ცეცხლით, განმაცხოველებელით და განმამბრწყინებელით. თანახმად თითოეული ადამიანის დამსახურებისა, ყოველი კაცი მიიღებს იმდენს, რაც მის სულიერ მდგომარეობას ესაჭიროება. თითოეული ჩვენგანი უფლის კალთა. კალთს გასაღებად მას აქვს „ნიჩაბი ხელთა მისთა“ ანუ ძალნი და ანგელოსები, მომავალი სამსჯავროს მსახურნი, რომლებიც ღვარძლს იფქლისაგან გამოარჩევენ. გამოთქმაში „ხელი“ იგულისხმება „მეუფება“, რომელმაც უნდა „განსწმიდოს“ „აკლო თვისი“ - ეს სოფელი, „იფქლი“ - სამართალია. „შეჭკრიბოს იფქლი საუნჯესა“ - ესე იგი ზეციურ სამოფელში შეკრიბოს ამ ადამიანის სამართლიანი საქმეები. „ბზეა“ - ცრუნი და ბოროტნი „დაჰსწუას ცეცხლითა მით უშრეტითა“ (მათ. 3,12). ხოლო ეს ცეცხლი ჩაუქრობელია, რითაც იგი საჩინოქმნის დასჯის მარადიულობას.

აი, ამას ეუბნება იოანე ხალხს ჯერ კიდევ უფლის იორდანეში მოსვლამდე. ნათლისღებისას იოანე ნათლისმცემელმა წამოაყენა მის წინაშე მუხლმოყრილი იესო ქრისტე და უთხრა: „მე მიხმს შენ მიერ ნათლის-ღება, და შენ ჩემდა მოჰხუაღა? ამით მან თქვა: მე აღმოცენებული ძველი თესლიდან და შთამომავალი ცოდვით დაცემულთა მოდგმისა, დაწყვეილი და შეგინებული თავად ესაჭიროებ განწმენდას, შენგან, უთესლოდ შობილო ღვთისმშობლისაგან და შენ, უფალი, განუყოფელი, არსი, უბიწო, თავად მომეახლებე მეუფეო? - ხოლო იესუმ ჰრქუა მას: „აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შუქნის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე; თქვა „აწ“, რადგან უფლის ნათლისღების შემდეგ ყოველივეს სულიერი ემბაზი შეენაცვლა. იოანესთან ერთად, გააერთიანა ყველაფერი, ვითარცა წყარომ ღვთაებრივი სხეულისამ, რომლისგანაც გადმოინდება ღვთაებრივი მადლი, რაც მოიცავს ყველა სიკეთეს, ღვთაებრივი გზა განათებული და განბანილი წინაპართა წყევლისგან. ეს არის სწორედ ის, რასაც თავად იოანე მახარებელიც ამბობს: „ესე არს, რომლისათვის იგი ვჰსთქუე: „შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელი პირველი ჩემსა იყო; და სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიღეთ და მადლი მადლისა წილ (იოანე 1,30; 16).

„აცადე აწ, მიმართავს მას იესო ქრისტე, რამეთუ ესრეთ შუქნის ჩუენდა“ აღსრულებად ყოველი სიმართლე“ (მათ. 3,15) ესე იგი, არ უნდა დარჩეს არცერთი საღმრთო მცნება აღუსრულებელი ძე ღმრთისა და ძე კაცისას მიერ. ამგვარად, კაცობრივი ბუნება სავსებით განმართლდება და უფრო და უფრო ცხადად შეერთვის ღვთიურს ცხოველსმყოფელი მადლმოსილებით. ამიტომ ნათელღებული იოანეს მიერ, მე ადამიანურ ბუნებას განვაცხოველებ სულიწმიდით, - ამბობს უფალი იესო ქრისტე.

ოდეს იოანე ნათლისმცემელმა მოისმინა უფლის თხოვნა, „აცადე აწ“ უსიტყვოდ აღასრულა უფლის ნება და ნათელი სცა იორდანეში. რამდენადაც ცხოველსმყოფელი სული უხილავია, მამა ღმერთისა და ძე ღმრთისას თანაბარია, მოეახლება სინანულში მყოფთ და მეწყვეულად განმორება თუმცა არასოდეს სტოვებს ცოდვილთ, რაც ნათელი განდა ჩვენთვის დავითის მაგალითზე, მაგრამ სამუდამოდ დაუტევებს მათ, ვინც იუსჯულოებს და არ ისურვებს აღიაროს თავისი ცოდვები, ვითარცა საული. დაე, თითოეულ ჩვენგანთან მარად ჰგებდეს სულიწმიდა, საქმით, სიტყვით, გულისხმისყოფით, მარადიულ სინანულში ვყოფილიყავით, განცხოველებულნი, გულისხმისმყოფელნი, ხსნილნი განსაცდელთაგან აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ბებუბერძულიდან თარგმან

მამია ინფლუენცია

გრიგოლ პალამა

წმიდა ზიარების საიდუმლოსათვის

სიტყვა, სულების მაცხოვრებელი, თესლს შეიძლება შეეადაროთ. მიწის მუშაკნი ჯერ ნიადაგს აფხვიერებენ, შემდეგ თესლს ადებენ ხნულში. ჩვენც, თავდაპირველად, სული უნდა განვიწმინდოთ სიბილწისაგან, აღვმადლდეთ და განვმზადოთ ზეციური თესლის მისაღებად, ანუ ღვთის სიტყვის მოსასმენად. მიწა უსულო და უგრძობი რამაა, თავისით ვერც გაფხვიერდება და ვერც თესლს აღმოაცენებს, თუ ადამიანებმა არ იშრომეს და არ შეამზადეს საამისოდ. ადამიანი კი თავად წარმოადგენს განსულიერებულ და გონიერ ნიადაგს, რომელიც მონანიების გზით უნდა გაფხვიერდეს და ციური თესლი მერმე ჩაეთესოს ხნულში. შევეცდები დავაზუსტო რისი თქმაც მსურს. სულის ნათლისღება სხვა არაფერია თუ არა ცოდვათა აღიარება, ვითარცა სახარებაში სწერია: „ნათელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან, და აღუარებდეს ცოდვათა მათთა“ (მათ. 3.5). მაშასადამე, ცოდვათა აღიარება დასაბამია სულის შემკობა-გამშვენიერებისა, რაც გულისხმობს, რომ მონანიების შედეგად ადამიანმა სული შეამზადა მაცხოვრებელი თესლის - საღვთო სიტყვის მისაღებად, რომელიც ადამიანთა სულებს მხსნელად ევლინება. როგორც მიწის მუშაკნი მარგლავენ და მიწის წილიდან გლეჯენ ხარვეჯელ ბალახებს, რათა თესლი გაღვივდეს და ნერგი აღმოცენდეს, ასევე სულიერი გამარგვლა ხდება მონანიების ქაშს. აღსარება გულიდან ძირფესვიანად თხრის და გლეჯს დაფარულ და ბილწ გულისთქმებს, სულს ამზადებს წმიდათაწმინდა თესლის მისაღებად, რათა განაყოფიერდეს და სათნოებები აღმოაცენოს. როგორც ადამის შეცოდების შემდგომ დედამიწა ნარეკლითა და შხამიანი ბალახებით დაიფარა, ასევე, ადამიანის გული აღივსო სამარცხვინო და ბილწი გულისთქმებითა თუ ვნებებით, რაც გახდა დასაბამი ადამიანთა უთავბოლო შეცოდებებისა.

ამიტომ ძმანო, აუცილებელია თითოეულმა თქვენგანმა სულიერი მოძღვარი აირჩიოს, რწმენითა და ნდობით აღიჭურვოს, დაემორჩილოს, გაუმხილოს მავნე ჩვევები და ვნებები, გულთადად მიიღოს მისი სულიერი მკურნალობა, რაც თანდათანობით აღმოფხვრის სხეულში ფესვგადგმულ სიბილწესა და უზნეობას, ნასაზრდოებს ვნებათაღვლევიტა და თავაშვებული ცხოვრებით. ყური მიაპყარით სულიერ სწავლებას, შეისისხლხორცეთ თქვენი სულებისათვის სასარგებლო ქადაგება და ჩვენის ლოცვა-კურთხევითა და შენდობით თანაზიარეკმენით იესო ქრისტეს, მას, ვინც უსაზღვრო კაცთმოყვარეობის გამოისობით ციდან დაეშვა, ხორცნი შეისხნა და განკაცდა, რათა ადამიანებს, მის მსმენელებს, გულში ცხოვრების

სიტყვა, მაცხოვრებელი თესლი ჩაუნერგოს. შეინანეთ, ძმანო, რამეთუ ვინც თუნდ მცირედ სინანულს არ აჩვენებს, არც იესო ქრისტე შეიწყნარებს და მეოხეკმენება.

უპირველეს ყოვლისა, თითოეულმა ქრისტიანმა გულმოდგინედ უნდა შეინახოს ორმოცდღიანი მარხვა, ღმერთშემოსილი მამების მიერ დადგენილი ხორცისა და სულის განსაწმენდად, რასაც ყოველწლიურად მოსდევს უფლის შობის დღესასწაული. ამ დღეს ყოველი ქრისტიანი ჩვეულებისამებრ ეზიარება ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმინდა ხორცსა და სისხლს. სახარება არაერთგზის შეგვახსენებს, რომ აღსარებისა და ღრმა სინანულის გარეშე ადამიანი ვერ ღირს-იქმნება მიღებად საღმრთო სიტყვისა, ვერ ეზიარება ქრისტეს სისხლსა და ხორცს ის, ვინც ცოდვებისაგან არ განიწმინდა აღსარებითა და სინანულით. სწორედ ამაზე მიუთითებს ღვთაებრივი პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „გამოილაცადენ კაცმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგანი ჰსჭამენ და სასუმელისა მისგანი ჰსუნ. ხოლო რომელი არა ღირსად ჰსჭამდეს და ჰსუმიდეს, დასასჯელად თავისი თვისისა ჰსჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა კორცნი უფლისანი“ (I კორ. II, 27, 36, 28) ესე იგი, ვინც ვერ შეიცნო ხორცი და სისხლი უფლისა, ცოდვებითაა დამძიმებული და ზიარებაც ვერაფერს არავებს სულსა და სხეულს. ვინც უწმინდურია გულით, ბინძურ ხელებს აღაპყრობს უფლის მიმართ და ილოცებს, სწორედ მათ ამხელს პავლე მოციქული, როდესაც ამბობს: „მნებავს უკუშ, ლოცუამ. მამათა ყოველსა ადგილსა, აღაპყრობად წმიდად კელთა თენიერ რისხვსა და გულის ზრახვსა“ (I ტიმ. 2.8). ჩვენ „განცხადებულებამ“ უნდა გვაქვდეს ღვთის წინაშე, სინდისი უნდა გვაქვინდეს ჩვენი უღირსი საქციელის გამო და ვითარცა იტყვის ქრისტეს უსაყვარლესი ღვთისმეტყველი იოანე ქალწულ-მანარებელი: „უკეთუ გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩუენ განცხადებულებამ გუაქუს ღმერთისა მიმართ“ (I იოანე, 3.21). მაშინ შემოვა სართულსა ქუეშე სულისა ჩუენისა უფალი იესო ქრისტე და ვექმნებით ერთ-ხორც და ერთ-სულ, როდესაც ჩამოვიცილებთ ცოდვებს, განვიწმინდებით სულში ჩაბუდებულ სიბილწეთაგან აღსარების, სიკეთის, სიწმინდის, მოთმინების, ლოცვის, გულის შემუსრვლების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში უფალი არ შეიწირავს ჩვენს შესაწირავს. რამეთუ ჩვენ არ ვართ უმწიკვლონი და არც ჩვენი შესაწირავი იქნება წმინდა. ძველი აღქმის მიხედვით უფალმა არ შეიწირა კაენის შესაწირავი და უთხრა მას: „არცა მართლად შემოწირე, ხოლო მართლად არა განჰყავ“ (შესაქმე. 4.7). ძველი აღქმისთანავე ცოდვად ითვლება აგრეთვე ღვთის სახლში - ტაძარში

ცოდვის ჩაღწებით შეძენილი შესაწირავის შეტანა (II ხეულისკანონი. 23, 19), ხოლო მოგვიანებით, ახალი აღთქმაც ბრძანებს: „დაუტყვე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მამის მოვედ და შეჰსწირე შესაწირავი შენი“ (მათ. 5,24). ადამიანო, შენ ხომ უდიდესი შესაწირავი გაგაჩნია - სხეული, ნუთუ მას განუწმენდავს აღსარებისა და სინანულისაგან გაიღებ უფლისთვის? უფალს არ ნებაგ, რომ ბილწი ბაგეებით შევლადადებდე. დაეით მეფე წინასწარმეტყველიც ხომ ამბობს: „ცოდვილსა მას ჰრქუა ღმერთმან: “რა მათს მე მიუთხრობ შენ სამართალთა ჩემთა და აღიღებ აღთქმასა ჩემსა პირითა შინითა?“ (ფსალმ.49,6). მაშასადამე, უფალს არ ნებაგ მისი „აღთქმა“ და ხორცი მწიკვლევეანმა ბაგეებმა მიიღონ.

ამიტომ განვიწმინდოთ ძმანო სხეული, ბაგეები, გულისთქმანი, სიყვარულითა და სიწმინდით აღვივსოთ. ოქრომჭედელი, რომელიც სპილენძისა ან ძვირფასი ლითონების - ოქროსა და ვერცხლის ჭედურობაზე მუშაობს, იმისათვის, რომ სპილენძის გამოსახულებას მეტი ელფერი შესძინოს, თავდაპირველად სპილენძს ამუშავებს და ფხეკს მინარეებს, შემდეგ ძვირფასი ლითონებით ამუშავებს ზედაპირს და ბზინვარებას სძენს ნამუშევარს. ასევე, გაბრწყინებისა და განსპეტაკების მსურველნი წინასწარ უნდა ვეცადოთ სულიერი მანკიერებისა და ხორციელ ვნებათაგან განწმენდას, რათა განვიწმინდოთ არა მარტო გარეგნული იერი, როგორც ეს მოოქროვილ სპილენძზე ითქმის, არამედ შინაგანი ბუნებაც - სულის სიღრმეში ჩაბუღებული არაწმინდებანი დაკრთვით მთელი ძალისხმევით, რათა აღსარების გზით ცოდვები მოგვეტყვოს, თანაზიარევექმნით მეუფისა და მაცხოვრის წმინდათაწმინდა ხორცსა და სისხლს საცხოვრებლად. პირველ ყოველისა, უნდა შევესთხოვოთ უფალს აღგვადგინოს, სინანული და საუკუნო ტანჯვის შიში მოგვმადლოს ჩვენ, ღვთის უსაზღვრო გულმონწყალებისა და მოთმინების მრავალგზის უარყოფელთ. „უძერესდსა ტანჯვსა ღირს-ყოფად, რომელმან ძე ღმერთისა დაჰსთერგუნოს“ და სისხლი იგი აღთქმისა არა ღირსად შერაცხოს, რომლითა განჰსწმინდა, ამბობს პავლე მოციქული (ებრ. მიმართ 10, 29). დაისჯება მეფურ პორფირის შემრყენელი და შემაგინებელი, ვითარცა შებილწავს კეთილსურნელოვან საკმეველს, ის, ვინც ბინძურ ყუთში მოათავსებს ამ სიწმინდეს. ღვთაებრივი მადლის შეურაცყოფა არავის ეპატიება, რამეთუ იგი მოუწყველელია, იდუმალ მოგვეახლება და მყისვე დაგტოვებს სამუდამოდ ვერსაცნაურყოფთა და უღირსთ.

მაშასადამე, მონანიებით წმინდა საიდუმლოს თანამონაწილენი უძმლაერეს-ვიქმნებით და უღირსნი ღირსეულნი გავხდებით. სასოებითა და რწმენით შევიგონოთ ხილულსა და უხილავსაც. ხორცი ქრისტესი

- პური, ამ შემთხვევაში კრეტსაბმელია, რომელიც ფარავს ღვთის სიღრმეში არსებულ საიდუმლოს. ღვთაებრივმა მოციქულმა პავლემ ეს იცოდა, როდესაც ამბობდა: „განგვიხლა ჩუენ გზა ახალი და ცხოველი, კრეტსაბმელია მით, ესე იგი არს, კორცთა მისთათა. (ებრ. მიმართ. 10.19-20), რისი წყალობითაც ცამდე ვმალდებით, რამეთუ ეს პური ზეციური პურია და ჩვენ ჭეშმარიტად წმინდათაწმინდამი. შევალწვეთ იესო ქრისტეს მსხვერპლად გაღებულ უმანკოების მეოხებით: „მოუკდეთ მას ჭეშმარიტითა გულითა, გულსავსებითა სარწმუნოებისათა“ (ებრ. მიმართ. 10, 22) - ბრძანებს წმინდა წერილიც.

წმინდა ზიარება იმიტომ ითვლება ერთ-ერთ „საიდუმლოდ“, რომ ხორციელი თვალისათვის მიუწვდომელი და უხილავია. ამაზე იტყვის უფალი იოანე მანარებლის პირით: „სული არს განმაცხოველებელ, ხოლო კორცნი არსად სარგებელ არიან“ (იოანე 6,63). რასაც ხორციელი თვალთ უმხერ თუ მხოლოდ იმას ხედავ, ვერავითარი სარგებელი ვერ მივიღია, რადგან სისხლი და ხორცი იესო ქრისტესი შენთვის პურია და არა საზრდო სულიერი, რომელიც განგაცხოველებს. რამეთუ იტყვის იოანე ღვთისმეტყველი: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა. რომელი ჰვიც ცხოვრებად საუკუნოდ.“ (იოანე. 6,27) ხოლო „პური ღმერთისა არს, რომელი გარდამოჰხნა ზეით და მოჰსცა ცხოვრება სოფელსა“ (იოანე 6,33) ვინც არ მიიღებს ამ პურს, ვერ ცხოვნდება. ის კი, ვინც საუკუნო ცხოვრებას დაიპყიდრებს, არა მარტო აღსდგება მკვდრითთ, ტანჯვათაგან განთავისუფლდება და სასუფეველშიც შეაღწევს. იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები საიდუმლო ზიარებაზე აზიარა ამ პურს, ზიარებამდე კი ტაძარში ეს საიდუმლო შემდეგნაირად განუმარტა: „პური, რომელი მე მიგჰსცე, კორცი ჩემი არს, რომელსა მე მიგჰსცემ ცხოვრებისათვის სოფლისა“ (იოანე 6, 51) და კვალად: „უკეთუ არა ჰსჭამოთ კორცი მისა კაცისა, და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა, ხოლო რომელი ჰსჭედეს კორცსა ჩემსა და ჰსმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე 6.53,54). ჰოი, საკვირველებავ! უფალმა ჩვენზედ მოიღო სიყვარული ენით უთქმელი, დაგვამწყალობა სულიწმინდით და ერთსულ გვქმნა, ვითარცა პავლე მოციქული ბრძანებს: „რომელი შევეოს უფალსა ერთ-სულ არს უფლისა თანა“.

ამრიგად, ჩვენ არა მარტო ხორციით, არამედ სულითაც უნდა თანაზიარევექმნათ უფალს, გავხდეთ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი იმ პურის წყალობით, რომელიც უფალმა გვიბოძა. სიყვარული იმარჯვებს, ოდეს შეყვარებული არსებანი შეერთდებიან. ხოლო უძველესი ანდაზა ამბობს: „სადაც მსგავსებაა, იქ სიყვარულია“. მეუღლეობრივი სიყვარული ყველა სხვა

სახის სიყვარულისგან განსხვავდება. სახარებაც ბრძანებს: „დაუტეოს კაცმან მამა და დედა და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყუნენ ორნივე იგი ერთ-კორც“ (მათ. 19,5). „საიდუმლო ესე ღიად არს“ - იტყვის პავლე მოციქულიც - „ხოლო მე ვიტყვ კრისტესთვის და ეკლესიისა“ (ეფეს.5,32) აქ ნათქვამია: „შეეყოს“ და „იყუნენ ერთ-კორც“ და არა ერთ-სული. ღვთაებრივი პურის ზიარებისთანავე კი ჩვენ თანაზიარეველებით იესო ქრისტეს ხორციელად და სულიერად. ხედავთ ვითარი გარდამეტებულება საღვთოა სიყვარულში, რაზეც დავით მეფე წინასწარმეტყველმა ფსალმუნის ადავლინა: „შესაწირავი და მსხუერპლი არა გინდა, ხოლო ხორცი და მამაკვიციენ მე“ (ფსალმ. 39,6).

საოცრად მრავალსახა და ამოუცნობი კავშირებია საიდუმლო ზიარებაში. იესო ქრისტე ჩვენი ხორციელი ძმა შეიქმნა, „რამეთუ ყრმათაცა ეზიარა კორცთა და სისხლთა“ (ებრ. მიმართ. 2,14), ჩვენ დაგვითანასწორდა, მონებს მუფეხება გვიბოძა და არა მარტო დაგვენათესავა, არამედ თავისივე სისხლით გამოგვისყიდა, გვეძმო და დაგვიმეგობრდა, საიდუმლო ზიარების ღირსად გვაქცია, თავის თავთან შეგვეერთა და სულიწმინდით დაგვეწინადა, ვითარცა სიმე მასძლო გვაზიარა სისხლს და ერთ-ხორც გვექმნა. ღვთაებრივი ნათლისღებისას მამად შეიქმნა, შემდგომ, ვითარცა მოსიყვარულე დედამ, ჩვილს ძუძუ გაწოვა და, რაც ყველაზე მეტად გასაოცარი და ფასდაუდებელია, - ნაცვლად რმისა, თავისი სისხლი გასა და ხორცი გვაჭამა, შთაგებრა სული, უკვდავი და უდიდესი სიყვარულის ღირსი გაგვხადა. ზიარებისას არა მარტო ვხედავთ უფალს, არამედ ვეხებით, განვისვენებთ და სამუდამოდ გვივით მისთა თანა, სულსა და გულში ვინუტვით თითოეული ჩვენგანი. „მოდი, - ამბობს უფალი - სჭამეთ ხორცი ჩემი და ჰსუით სისხლი ჩემი საუკუნო ცხოვრების მსურველნი, რათა ამ გზით არა მარტო განიღმროთ, არამედ გახდეთ თავად ღმერთნი, საუკუნო და ზეციური მეფენი, ღმერთშემოსილნი და მეუფენი, ეშმაკთა განმდევნელნი, ანგელოსთა განმაცვიფრებელნი, ზეციურ მამის უსაყვარლესი ძენი, ადამიანთა მოდგმის მარადუჭკნობი ყვაილები, ყოვლისმპყრობელი სამების მკვიდრნი“. ამა ხორცისა წილ განმართლდა ადამი (შესაქმე. 14,12). ამა სისხლისა წილ გადარჩა ისრაელიანთა გასაგისი ეგვიპტეში (გამოსლვათა 12,23), ამა სისხლისა წილ გაბრწყინდა ძველთაძველი საკურთხეველი უფლისა (გამოსლ. 40,10), ამა სისხლით თავად წმიდათაწმიდა განიბანა, გაბრწყინდა, ღვთის სადიდებლად დაადგინა დედამიწაზე წმინდა ალაგნი, მღვდელნი, მღვდელმთავარნი და ღმრთივ მირონცხება დააწესა. ამა სისხლის გარეშე ვერც აარონი შეაღწევა ცათა სასუფეველში. და ჩვენც, თუკი გულის შემუსრვილების შემდგომ არ ვეზიარებით ამ სისხლს, ვერ დავიმკვიდრებთ სასუფეველს, ვერც ზეციური მამის ძენი

შევიქმნებით და საყვარელი ქრისტესი. რამეთუ უფლის სისხლისა წილ განგვეზენება მხოლოდ ბჭენი სასუფეველისანი. „მეფე და წინასწარმეტყველი დავითიც ამბობს: „რამე სარგელ არს სისხლთა ჩემთაგან, შთა თუ ვიდე მე განსახრწნელსა?“ (ფსალმ. 29, 10).

ადამიანები იმად აღვეურეთ ღვთის სისხლს ჩვენს სისხლში, რომ ხრწნადი ბუნება დავთრგუნოთ უფლის სისხლით, რომელიც უდიდესი და ენით უთქმელი მადლის შემცველია, გადარბეული სხეული განგვახლოთ, წარმავალი წარუკალ დიდებას თანაზიარეველებით, მარადიული და მარადუჭკნობი შევიქმნეთ „ვითარცა ხე, დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა“ (ფსალმ. 1, 3). საუკუნო ცხოვრების ნაყოფს სულიწმინდის გარეშე ვერ მოვიპოვებთ. ეს ის წყალუხვი მდინარეა, რომელიც ედემით გამოვალს და რწყავს მიწას მისი ნაკადები (შესაქმე. 2, 10). ფსალმუნში იტყვის დავით მეფე: „განჰმზადე ტაბლა წინაშე მაჭარვებელთა ჩემთა“ (ფსალმ. 29, 5). აჰა ამოხეთქა წყარომ, თავისი ნაკადებით, წყურვილი მოუკლა მოწყურებულ სულებს და ზეცად ასტვირცნა „რომლისათვის გული-უთქვამს ანგელოსთა ხილუად“ (1 პეტრ. 1, 12). ღვთაებრივი სიბრძნის მრავალსახა ბუნება გამოსჭვივის ამ სიმშვენიერეში და ადამიანებს აღუძრავს სურვილს ხარბად დაეწაფნონ იმ მადლს, რომელიც ჩვენში შემოდის ქრისტეს სისხლის წყალობით. რამეთუ საიდუმლო ზიარების მიმდებელი მეფურ პორფირად გარდავისახებით, თავად მეფეთ-მეფის სისხლი და ხორცი ვხდებით, ჰოი საკვირველებავ! თვით ძედ ღვთისად ვიწოდებით, იმ ღვთაებრივ ნათელს თანაზიარეველებით, იდუმალ რომ შემოდის ჩვენს სულეში. ეს ბრწყინვალე ღვთაებრივ მირონცხებას განიჭებს სასწაულებრივად, ძალას გვაძლავს თანახმად ქრისტეს აღთქმისა (შდრ. მათ. 13,14) იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს, ვითარცა მზე, ისე გაბრწყინდება თითოეული ადამიანი და თუკი სიბილწეა მათაზიარების სულში, ეს ნათელი დაითრგუნება და სულში კვლავ სიბნელე დაისადგურებს. ამიტომ არა მარტო მწიკვევანებათაგან განწმენდილნი უნდა მივიდეთ საიდუმლო ზიარებაზე, არამედ ამ ღვთაებრივი საბოძარის დამაუნჯებელნიც. გამუდმებით უნდა ვზრუნავდეთ და იმის ფიქრში ვიყოთ თუ როგორ ავმადლდეთ ვნებებზე, ვითარ ვქმნათ საქმენი კეთილი და სათნოებები განვამრავლოთ. დაე, ზიარების შემდგომ ჩვენს თავს კვითხოვთ ვის სისხლსა და ხორცს ვეზიარეთ, რისი ღირსი შევიქმნით, დახშული ხომ არ აღმოჩნდა ჩვენი გულის კარი უფლის უდიდესი გულმონყალებისა და სიყვარულის მიმართ, მივიდეთ თუ არა „ნება ღმრთისა კეთილი, სათნო და სრული“ (რომ. 12, 2), რადგან ეს არის სისხლი ახალი აღთქმისა, ქრისტეს სახარებისაგან დადგენილი და დადასტურებული. ახალი აღთქმაც ხომ ბრძანებს: „რამეთუ ანდერძი დაწერილ მკუდართა შემდგომადლა

მტკიცე არს“. (ებრ. 9, 17). მაშასადამე, ვეზიაროთ ქრისტეს აღთქმისეულ სისხლს, გულისხმავოთ, რათა ეს მადლი არ დაკარგოთ და განვაქაროთ საკუთარი უსჯულოების გამო, რის შედეგადაც დავისჯებით და შთავვარდებით საუკუნო სატანჯველში. აღთქმული სისხლი, რომელმაც ეგზომ განგვაბრწყინვა, არა-ღირსად არ უნდა შეირაცხოს (ებრ. მიმართ 10, 29). ეს უდიდესი ნაანდერძევი სწორედ მათ ეკუთვნით, რომლებმაც წმინდა ზიარებით მიღებული გაცისკროვნება შეინარჩუნეს და კიდევ დაიმკვიდრეს სასუფეველი ცათა, ხოლო უმძიმეს სატანჯველში შთაცვივიან ის ადამიანები, რომლებმაც წმინდა ზიარების შემდეგ ღვთის წყალობა შეურაცხვეს, მოსეს სჯულს გარდახდნენ. ისინი, თანახმად მოსეს სჯულისა უმოწყალო სიკვდილით დაისჯებიან. პავლე მოციქულიც ხომ ბრძანებს - „უძკრესისა ტანჯვსა ღირსა-ყოფად, რომელმან წმინდა სისხლი იგი აღთქმისა არა ღირსად შერაცხოს და შეაგინოს ეს დიდი მადლი“ (ებრ. მიმართ. 1-28-29).

ამიტომ, ძმანო, დაე, ჩვენც ღვთაებრივი ზიარების აღსრულებით მორჩილ-ვექმნეთ და დავეგოთ უფალს, რომელმაც ჩვენი გულისათვის თავი გასწირა. თუკი მხოლოდშობილი ძე ჩვენს დასახსნელად მოავლინა უფალმა, ძე ღვთისა კი ადამიანთა მოდგმისათვის ივნო და დაიფლა, ნუთუ ვაღდებულნი არა ვართ შეგუდგეთ უფალს ისევ ჩვენივე სულების საცხოვნელად და არა იესო ქრისტეს სასარგებლოდ. სიყვარული უფლისა და სიყვარული მოყვასისა ღრმად ჩავინერგოთ გულში, მორჩილვექმნეთ ძე ღვთისას, რათა ღვთის ძლიერი ხელითა და შეწევნით განვმართდეთ საკუთარი თავისა და ერთმანეთის წინაშე. „ნუ მაღალსა მას ჰზრახავთ, არამედ მდაბალსა მას შეეუფნით“ (რომ. 1, 16) - ბრძანებს პავლე მოციქული და ჩვენც, შეძლებისდაგვარად მოვაკვდინოთ ზორცი, რათა „ქუეყანასა ზედა“ მოისპოს „სიძვაჲ, არა-წმინდება“ ვნებაჲ, გულის-თქმაჲ ბოროტი და ანგპარებაჲ (კოლას. 3,5).

თავად უმწიკვლო სხეული იესო ქრისტესი, ჩვენთვის საზრდელად გაღებული, მიგვითითებს, რომ ცოდვები დავსთრგუნოთ, ვიცხოვროთ სათნოებებით, გვმოდგვრავს და გვასწავლის თუ როგორ გავხდეთ თანაზიარნი მისი ქველმოქმედებებისა და ვნებებისა. დაე, მარადის ვცხოვრობდეთ იესო ქრისტეში, ვმეუფებდეთ მისა თანა. წინასწარმეტყველი მეფის, ღვთის პირით ხომ გვამცნო უფალმან „მსხუერპლმან ქებისამან მადიდოს მე, და მუნ არს გზაჲ, სად უჩუენო მას მაცხოვარებაჲ ჩემი (ფსალმ. 49,23). რამეთუ იესო ქრისტეს საქციელი, მისი ვნებები და ცხოვრება დიდებისა და ქების ღირსია. ადამიანთათვის წინადაგებული ზორცი და სისხლი ქრისტესი, უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე აბელის სისხლი, რამეთუ ძმის სისხლი დაიღვარა კაენის ხელით, ქრისტეს სისხლი კი - ადამიანთა მოდგმის გამოსასყიდად. უფალმა იესო ქრისტეს უმანკო სისხლი შეიწირა, იესო ქრისტემ ძმასავით შეიყვარა თითოეული ჩვენგანი და უხეშთაჲს მამასთან შეგვარიგა. იესო ქრისტეს გზა სიყვარულის გზაჲ, რადგან მან ადამიანთა სიყვარულის გამო თავი გასწირა, სულიც კი არ დაიშურა, რაც უმადლესია სიყვარულში, რითაც დაგვანახა გზა მორჩილებისა (ეს. 35. 7-8), გზა მოთმინებისა, რამეთუ მამალმერთს მორჩილებდა ჯვარცმამდე და აღსასრულამდე (ფილიპ. 2,8). ეს გზა მიგვიძღვის მარადიული ცხოვრებისაკენ ვნებათა დათრგუნვის საფასურად; ჯვარცმული იესო ქრისტე ცხოვრების მომნიჭებელია უკუნითი უკუნისამდე, ქრისტეანთათვის და ქველმოქმედთათვის, განადიდებს და სრულყოფს მათ და იდიდება თანადუხსაბამოდ მამით და ცხოველსმყოფელი სულით წმინდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკანისამდე.

ამინ!

ძველბერძნულიდან თარგმნა
მანია ინდუაზვილიაჲ

6 (19) იანვარი

ნ ა თ ლ ი ს ე ბ ა

დღეს ნათლის-ღებთა შენითა, ქრისტე, უფრომსად ქველისმოქმედ მაცხოვარო ჩვენო, ბუნებაჲ წყალთაჲ განსწმიდე და მას შინა ნათელ-ღებულნი გიღაღადებთ, კაცთმოყუარე. ცროდეთ ღრუბელნი სიმართლესა საბანელისასა, რამეთუ მადლი იორდანეს დაენერგვის, უხრწნელებაჲ წყალთაჲ დაეთესვის, ცოდვაჲ წყალთა მთავრ განიხრწნების, ამისთვისცა გიღაღადებთ: რომელი ჩუენ თვის განსცხადენ, ღმერთო ჩუენო, შეგუიწყალენ ჩუენ.

ნიკოლაი ბერდიაევი

ფილოსოფია და რელიგია¹

ახალ დროში გაბატონებულ ცნობიერებას აღარ აქვს შემოქმედებითი გაბედულება. დღეს ფიქრობენ რაიმეს შესახებ, წერენ რაიმეს შესახებ, მაგრამ ხომ იყო ისეთი დრო, როცა ფიქრობდნენ და წერდნენ რაიმეს, როცა არსებობდა ის, რასაც ახლა იხსენებენ, რაზეც გამოკვლევებს წერენ. იქნებ ჩვენი ეპოქა იმიტომაც ესოდენ „მეცნიერული“, რომ მეცნიერება ლაპარაკობს რაიმეს შესახებ და არა რაიმეს, საკუთარს. მეცნიერებაში, კერძოდ, ისტორიაში, იქმნება შესანიშნავი გამოკვლევები რელიგიაზე, მისტიკაზე, მაგალითად, პითაგორაზე ან ნეტარ ავეგუსტინეზე. მაგრამ თავად ნეტარი ავეგუსტინე არ წარმოადგენდა მეცნიერებას, ის იყო რაიმე, იყო ის, ვისზეც იწერება მეცნიერული გამოკვლევები. დღეს იშვიათად თუ გაბედავს ვინმე წეროს ისე, როგორც ძველად წერდნენ, წეროს რაიმე, წეროს საკუთარი, თავისი, „თავისი“ არა როგორც განსაკუთრებული ორიგინალურობა, არამედ როგორც სიცოცხლის უშუალო გამომჟღავნება, როგორც ის, რასაც გვხვდებით ნეტარი ავეგუსტინეს ქმნილებებში, მისტიკოსების ნაწერებში, ძველ ფილოსოფოსთა წიგნებში. ეკლესიის დიდი მასწავლებლები წერდნენ რაიმეს, ნათელყოფდნენ ქრისტიანობის სიცოცხლისეულ საიდუმლოებებს, ახლა კი იმასღა ბედავენ, რომ წერონ ეკლესიის მასწავლებელთა შესახებ, მათ სითამამეზე, თავად კი მოკლებულნი არიან სითამამეს. ახლა წერენ გამოკვლევებს წარსულ მისტიკოსებზე, წარსულ მეტაფიზიკოსებზე, პლატონზე, სკოტ ერიგენაზე, მაისტერ ეკჰარტზე, იაკობ ბიომეზე და წმინდა ტერეზაზე. მაგრამ სადღა თავად მისტიკა, თავად მეტაფიზიკა, თავად რელიგიური ცდა? შემართებას უკვე ვეღარ ვხედავთ. ვინც წერს ეკარტის შესახებ, ბიომეს შესახებ, უმჭველად საპატიო საქმეს აკეთებს. მაგრამ უწესობაა წერო ის, რაც უკვე დაწერილი აქვთ ეკჰარტს ან ბიომეს, წერონ ისე, როგორც წერდნენ ისინი. ჩვენ მორცხვად ვართ ამოფარებული ისტორიულ გამოკვლევებს რაიმეს შესახებ, შიში გვაქვს მეცნიერებისა, რომელიც მოითხოვს ვილაპარაკოთ მხოლოდ რაიმეს შესახებ. როცა წარსულისკენ ვიხედებით, ხშირად გვაოცებს წინაპართა შემოქმედებითი შემართება: ისინი ბედავდნენ ყოფნას, ჩვენ კი ყოფნა არ ძალგვიძის. ჩვენ ვხედავთ, გამოვამჟღავნოთ მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისი რაიმეზე, მაგრამ ვერ ვხედავთ იმას, რომ ვიყოთ რაიმე. ჩვენს ეპოქას ღრდნის

ავადმყოფური რეფლექსია, მარადიული ეჭვი საკუთარი თავის მიმართ, დაეჭვება იმაში, რომ გვაქვს უფლება ვფლობდეთ ჭეშმარიტებას. ჩვენს ეპოქას ამდებლბს რწმენის დონდლოობა, არჩევანის სისუსტე, ადამიანები ვერ ბედავენ მგზნებარედ და ურყევად შეიყვარონ რაიმე ან ვინმე, ლულლულებენ, ყოყმანობენ, ეშინიათ, ფრთხილნი არიან საკუთარი თავისა და მეზობლების მიმართ. ნების გარება და დასუსტება სპობს შემართების შესაძლებლობას. სულეერი გაუბედაობა მუდამ ახლავს თან ნებისეული არჩევანის სისუსტეს.

ყველა ეს სამწუხარო სიმპტომი კრიტიკული ეპოქებისთვისაა დამახასიათებელი. მხოლოდ ორგანულ ეპოქებს ახასიათებთ სითამამე რწმენაში, სიყვარულში, არჩევანში. კრიტიკული ეპოქები უპირატესად – რაიმეზეა, ორგანული ეპოქები უპირატესად რაიმეა. დიფერენციაციის უცდობელმა პროცესმა შორს შეადწინა და კულტურის ყველა სფეროში ჩნდება მოთხოვნილება ინტეგრირებისა, რომელიც ორგანულ მთლიანობას აღადგენს. ნიცშეს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეპოქისათვის იმაში გამოიხატება, რომ მან გაუგონარი სითამამით გადაწყვიტა ეთქვა რაიმე, დაარღვია კრიტიკული ეპოქის ეტიკეტი, არად ჩააგდო მეცნიერული საუკუნის წეს-ჩვეულებანი, ის იყო თავად სიცოცხლე, სიცოცხლის სიღრმეთა ხმა და არა რაღაც სიცოცხლის შესახებ. ჩვენი ეპოქის განთქმული მეცნიერული კეთილსინდისიერება, მეცნიერული თავმდაბლობა, მეცნიერული თვითშეზღუდვა ერთობ ხშირად საფარველია სისუსტისა, მხდლობისა, რწმენისა და სიყვარულში ნების სისუსტისა, გაუბედაობისა, არჩევანის მიღებისას რომ გვახასიათებს. ძალზე ბევრია გარეგნულად რივიანი წესი და პირობითობა, შინაგან სიცარიელეს რომ ფარავს. არ არსებობს რაიმე, ვითარცა არსება სიცოცხლისა, ამიტომ წესიერ ქცევად ითვლება ლაპარაკი რაიმეზე. ნებას და სიყვარულს მოკლებული სკეპტიციზმის სამეფოში, ურწმუნოების ღონემიხდილ სამყაროში დაშვებულია მხოლოდ საყოველთაოდ მისაღები მეცნიერება რაიმეზე. სუბიექტი და ობიექტი ავადმყოფურად გაიპო, რაიმე, ე. ი. ნოუმენი გაქრა, დარჩა მხოლოდ რაიმეზე, ე. ი. მხოლოდ ფენომენი. როცა ადამიანებს არ გააჩნიათ აბსოლუტური,

1. მკითხველს ვთავაზობთ მონაკვეთს ნ. ბერდიაევის თხულებიას „თავისუფლების ფილოსოფია“ (1911). წიგნის ეპიგრაფია პავლე მოციქულის სიტყვები: „თუ რომელიმე თქვენგანს ბრძენად მოაქვს თავი ამ ქვეყნად, შლვეი გახდეს, რათა ბრძენი იყოს იგი. რადგანაც სიბრძნე ამა ქვეყნისა სიშლვევა დღერთის წინაშე (1 კორ. 3,18-19).

ურყევი მრწამსი, მათთვის უფრო ადვილია და უმჯობესია ილაპარაკონ და წერონ რაიმეზე და არა რაიმე — ასეთ შემთხვევაში ხომ პასუხისმგებლობა ნაკლებია!

შეიძლება ვინმემ თქვას, ჩვენი ეპოქა ღარიბია გენიოსებითა და ნიჭიერი ხალხით და სწორედ ამიტომ, რომ დღეს უფრო მეტად რაიმეზე ლაპარაკობენ, თავად რაიმე კი არ ითქმებაო. იმისათვის, რომ ითქვას რაიმე, აუცილებელია გენიოსი ანდა დიდი შემოქმედებითი ნიჭი, რაიმეზე ლაპარაკი კი ნაკლებ ნიჭიერებსაც შეუძლიათ, განა იპოვიან ჩვენს ეპოქაში პლატონებს, ნეტარ ავეგუსტინეებს, ეკპარტებს და მათ მსგავს მოაზროვნეებსო, რას იზამ საკუთარ თავს ვერ გადაახტებიო.

ჩემი აზრით, ეს ფართოდ გავრცელებული აზრი ძირშივე მცდარია. ჩვენი ეპოქის სენია ნება უნიჭობისა, ნებისეული ზიზღი გენიალობისა და ნიჭიერებისა. ის, რომ ეპოქა უნიჭოა, გენიოსებს მოკლებულია, თავად ამ ეპოქის ბრალია. ეს ადამიანთა ცოდვაა და არა ბრმა შემთხვევითობა, რომელმაც მოაკლო ღვთიური მადლი რომელიმე ეპოქას. ჩვენს ეპოქაში, ისევე როგორც მარადუამს, ცოტა როდია ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ ისინი მცდარი მიმართულებით მიდიან, სულს ღაფავენ უნიჭობის ნების ატმოსფეროში. სწორია ვაინინგერი, როცა ამბობს, რომ გენიალობის საწყისი ყოველ ადამიანშია, რომ ყოველი ადამიანი შეიძლება იყოს გენიალური თავისი ცხოვრების რომელიმე დროს. უნდა არსებობდეს ნება გენიალობისა, მაგრამ სწორედ რომ ის არსებობს. კაცმა რომ თქვას, მხოლოდ გენიოსებს და ნიჭიერებს, მხოლოდ ნეტარ ავეგუსტინეებს, ბიომეებს და პლატონებს როდი ძალუბთ თქვან რაიმე. აქ საქმე ეხება ცხოვრების როგორობას, ნოუმენალური ნების მიმართულებას და არა ნიჭიერების ოდენობას, არა მხოლოდ დიად ადამიანებს. დიას, ცხოვრობდა ნეტარი ავეგუსტინე შორეულ წარსულში, ცხოვრობდა, მაგრამ ხომ შესაძლებელია დღესაც არსებობდეს ის ნოუმენალური მიმართულება, რომელიც ჰქონდა ნეტარ ავეგუსტინეს, არსებობდეს იგივე როგორობა ცხოვრებისა, მაგრამ უკვე ავეგუსტინეს გენიალობის გარეშე. უკეთესია იყო მესამე ხარისხის ავეგუსტინე, „რაიმეს“ სულისკვეთების რიგითი შემოქმედი, ვიდრე პირველხარისხის გამომნატველი იმ სულისკვეთებისა, რომელიც მიმართულია „რაიმეზე“. ეს უფლება ან პრივილეგია კი არ არის, არამედ მოვალეობაა. ადამიანის მოვალეობაა იყოს შემართული, ნების შემართებით ის მოაპოვებს სულის მადლიან ძველს. როცა ადამიანი არ იქნება მარტოსული, როცა მასში სული დაივანებს, უმაღლესად ადამიანთა თავმოყვარეობის საამებელი და ამაო კითხვა ნიჭიერების მეტ-ნაკლებობაზე. ადამიანის უფლება კი არა, მოვალეობაა იყოს ჭეშმარიტების უმაღლესი სისრულის მაუწყებელი, ე. ი. მან პირველ ყოვლისა უნდა თქვას რაიმე და არა მხოლოდ რაიმეზე. შემართებას კი გვანიჭებს მხოლოდ რწმენა.

ხომიაკოვი კარგად ლაპარაკობს თავის უძლიერეს მრწამსზე, თავის შემართებაზე, თავის უზომო მოთხოვნებზე: „ამ უფლების, ამ ძალის, ამ ძალაუფლების წყაროა მხოლოდ ის, რომ მაქვს ბედნიერება ვიყო ეკლესიის შვილი. პირადად ჩემი ძალა აქ არაფერ შუაშია. ამას ვამბობ გაბედულად და სიამაფით, რადგან უწესობაა მორჩილად ილაპარაკო იმაზე, რასაც იძლევა ეკლესია“. ეკლესია გენიოსად, სულის მფლობელად აქცევს ადამიანს. ყალბი მორჩილება და საკუთარი თავის შეზღუდვა საეკლესიო თვითცნობიერებისა და განცდის სისუსტეა მხოლოდ. ყველაფერი, რასაც ვიტყვი ამ წიგნში, იქნება ცდა იმისა, რომ გაბედულად ვილაპარაკო „რაიმე“ და არა „რაიმეზე“, ჩემს გაბედულებას კი ამართლებ ისე, როგორც მას ხომიაკოვი ამართლებდა; ყოფიერების შემცვენებისას მე არ ვგრძნობ ჩემს თავს ყველასგან მიტოვებულად, ჩემი გნოსეოლოგია კი არ არის მიტოვებულობის გნოსეოლოგია. ამით განისაზღვრება ჩემი შეხედულება ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართებაზე.

* * *

ყველა აღიარებს, რომ ფილოსოფია ღრმა კრიზისშია, რომ ფილოსოფიური აზრი ჩიხში მოექცა, რომ ფილოსოფია შევიდა ეპიგონობისა და დაცემის ეპოქაში, რომ ფილოსოფიური შემოქმედება იშრატება. ამავე დროს აღორძინდა ინტერესი ფილოსოფიური პრობლემების მიმართ, ახალი ძალით იგრძნობა მოთხოვნილება იმისა, რომ ფილოსოფიურად გადაისინჯოს მსოფლგანჭვრეტის საფუძვლები, კვლავ იწვევს წუხილს მარადიულ-მეტაფიზიკური. მაგრამ უკვე თითქმის ვერ იპოვიან ადამიანებს, რომლებსაც სწამთ ფილოსოფიის ისე, როგორც სწამდათ საბერძნეთში, როგორც სწამდათ გერმანიაში ფილოსოფიის აყვავების დროს. ამ რწმენას საფუძველი ეცლება. ბოლო ადამიანი, ვისაც მართლაც სწამდა ფილოსოფია, იყო ჰეგელი — ეს, ალბათ, ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით. ჰეგელის მოძღვრებაში ფილოსოფია საკუთარი თავის გაღმერთებამდე მივიდა, ეს მოძღვრება წარმოადგენს ფილოსოფიურად მოაზროვნე განყენებული გონების ჯერარანხულ ამპარტანობას.

ჰეგელი იყო უდიდესი და ბოლო წარმომადგენელი გნოსტიკოს-რაციონალისტებისა. ნაცვლად ცოცხალი ღმერთისა, ის თავყვანს სცემს თავის ფილოსოფიურ გნოზისს, თავის განყენებულ გონებას. იმის შემდეგ კი, რაც ჰეგელმა ფილოსოფია კერპად აქცია, ეს კერპი დაამხეს, ფილოსოფია დაეცა, ადამიანის თვითცნობიერების ისტორიაში ის ასე ძლიერ არასდროს დაცემულა. მატერიალიზმი ჰეგელიანელობის ნემეზიდა განსლდათ, ის იყო ღვთის სასჯელი კერპის შექმნისა და თავყვანისცემის ცოდვისათვის. შემდეგ გავრცელდა პოზიტივიზმი,

რომელმაც შეარბილა მატერიალიზმის სიტლანქი, უკიდურესობანი და უაზრობანი. უფრო გვიან ევროპის იმავე კლასიკურ ფილოსოფიურ ქვეყნებში გაისმა მოწოდება – „უკან კანტისაკენ და ნეოკანტიანელობის სხვადასხვა ფორმით ფილოსოფიური აზრი თითქოს აღორძინდა კიდევ. გერმანელმა კვლავ დაიწყო ფილოსოფოსობა, უსასრულო გნოსეოლოგიური ტრაქტატების წერას მიჰყო ხელი და ამ საქმეში უადრესად დახელოვანდა; მაგრამ, როგორც ჩანს, ფილოსოფიის პათოსი გაქრა, თანამედროვე ნეოკანტიანელობას უკვე არა აქვს ფილოსოფიური ეროსი; ამ მოძრაობას ღრმად აზის ეპიგონობისა და დაცემის ბეჭედი. ცენტრი დაკარგულია, ყველაფერი დაქუცმაცდა. ზოგიერთი ნეოკანტიანელობიდან ნეოფიზიკანელობისაკენ გადადის. იგრძნობა იმის შესაძლებლობაც, რომ მოძრაობა წავიდეს ნეოჰეგელიანელობის მიმართულებით. მაგრამ ამ გზით მოძრაობისას, ფილოსოფია ვერ მიიწვევს წინ შემოქმედებითად, ჩიხიდან გამოსავალს ვერ პოულობს. ნეოფიზიკანელობას და ნეოჰეგელიანელობას ადვილად შეიძლება კვლავ მოჰყვეს ნეომატერიალიზმი და ნეოპოზიტივიზმი და ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ განმეორდეს. ბოლოს და ბოლოს ფილოსოფიური აზრის ყველა შესაძლებელი ტიპი და კომბინაცია უკვე გამოცადა და გენიალურად გამოიხატა. უკვე თითქმის ვერაფერს ახალს ვეღარ მოიგონებს კაცი. საჭიროა თავი დაეაღწიოთ წრეში მოძრაობას, ამისათვის კი აუცილებელია იმის შეგნება, რომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ფილოსოფიურ კრიზისთან, – ამგვარი რამ მრავალგზის მომხდარა აზრის ისტორიაში, – არამედ ფილოსოფიის კრიზისთან, ე. ი. უადრესად საეჭვო ხდება რაციონალიზმის განყენებული ფილოსოფიის შესაძლებლობა და უფლებამოსილება.

რამა ამ კრიზისის არსება? მთელმა უახლესმა ფილოსოფიამ – ახალი ფილოსოფიის საბოლოო შედეგმა – გამოამჟღავნა თავისი საბედისწერო უძლეულება – უსუსური აღმოჩნდა, შეეცნო ყოფიერება, ეს უკანასკნელი სუბიექტის ყოფიერებასთან დაეკავშირებინა. უფრო მეტიც: ეს ფილოსოფია მივიდა ყოფიერების გაუქმებამდე, მეონიზმამდე, მან შემეცნებელ სუბიექტს აჩრდილთა სამეფოში მისცა ადგილსამყოფელი. კრიტიკულმა გნოსეოლოგიამ შემეცნების კომპეტენციის შემოწმება დაიწყო და დაასკვნა, რომ შემეცნებას არ ძალუძს შემეცნებელი შეაერთოს შემეცნების ობიექტთან, ყოფიერებასთან. ყოფიერების რეალისტური გრძნობა და ყოფიერებასთან რეალისტური მიმართება დაკარგული სამოთხეა. როგორც ჩანს, ამ სამოთხეში დასაბრუნებელი ფილოსოფიური გზა არ არსებობს. კანტმა შემეცნებელი სუბიექტი თავისი თავის ამარა დატოვა, მან გენიალურად ჩამოაყალიბა დებულება იმის შესახებ, რომ ეს სუბიექტი მოწყვეტილია ყოფიერებისაგან, სინამდვილისაგან, რეალობისაგან. ხსნას კანტი პრაქტიკულ გონებაში ემბედა.

კრიტიკული გნოსეოლოგია უკვე რადიკალურად უარყოფს შემეცნების თავდაპირველ მიზანს – შემეცნებლის შეერთება ყოფიერებასთან. ეს გნოსეოლოგია აშენებს შემეცნებას შესაცნობ ობიექტთან შემეცნებელი სუბიექტის რეალური, ცოცხალი, შინაგანი მიმართების ფარგლებს გარეთ. უძველესი დროიდან შემეცნებელ სუბიექტს სურდა ამოეცნო ყოფიერების გამოცანა, ჩაწვდომა ყველაზე რეალური სინამდვილის საიდუმლოს. ფილოსოფიური აზრის მწვერვალზე ასვლისას კი შემეცნებელი სუბიექტის მიზანი გაუქმებული აღმოჩნდა. შემეცნება უკვე აღარ არის ქორწინება, შემეცნებელს წაართვეს პატარძალი. ჭეშმარიტების სახომს ეძებენ თავად შემეცნებელი სუბიექტის სფეროში, ამ სუბიექტის მიმართებაში საკუთარ თავთან და არა ყოფიერებასთან. შემეცნება თანამედროვე გნოსეოლოგიების ხელში გადაიქცა პარაზიტად, რომელიც თვითკმარია. ასე დასრულდა ყიალი განყენებული აზრის უდაბნოებში, ასე ისჯება განყენებული რაციონალიზმი, რომელიც კარგა ხანია რაც ძალაშია, მაგრამ მხოლოდ ახლა აკლენს თავის შედეგებს. თანამედროვე ფილოსოფიის დაავადება – საზრდობის დაავადებაა. დაკარგულია საზრდობის წყარო და ამიტომ ფილოსოფიური აზრი ღონემიხილია, არ ძალუძს ჩაწვდეს ყოფიერების საიდუმლოს, მიაღწიოს თავისი მარადიული მისწრაფებების მიზანს; ფილოსოფიური აზრის საზრდო ვერ იქნება საკუთარი თავი, ე. ი. ფილოსოფია ვერ იქნება განყენებული, თვითკმარი. მისი საზრდო ვერ იქნება მხოლოდ მეცნიერება. აღიარება იმისა, რომ ფილოსოფია მეცნიერებაზეა დამოკიდებული, ფილოსოფიის დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს. ფილოსოფიის კრიზისიდან თავისი დასაღწევად საჭიროა საზრდოს პოვნა, კვლავ გაერთიანება სათავეებთან და ფესვებთან. ხე შემეცნებისა ჭკნება, მას პარაზიტები დასევია. თანამედროვე გნოსეოლოგია ღუპავს შემეცნების ხეს, ამძიმებს მას თავისი პარაზიტული არსებობით. ახლა რადიკალურია ფილოსოფიის, მისი ამოცანებისა და კომპეტენციის არა გნოსეოლოგიური კრიტიკა, არამედ კრიტიკა რელიგიური, რომელიც ჭეშმარიტად წინ უსწრებს ყოველგვარ ფილოსოფიურ შემეცნებას და ჭეშმარიტად სათავეში უდგას ამ შემეცნებას.

ძველად ფილოსოფიის საზრდო რელიგიური იყო. ფილოსოფია, და საერთოდ ყოველგვარი შემეცნება, ცხოვრების ფუნქციას წარმოადგენდა, ცხოვრება კი ორგანულად რელიგიური იყო. ჰერაკლიტესა და პითაგორას ფილოსოფიური სიბრძნე რელიგიით საზრდობდა, ხალხის ცხოვრებასთან ორგანულ კავშირს ეგრდნობოდა. აი, რატომ იყო სოკრატეს წინარე ფილოსოფიაში ასე ფართოდ წარმოდგენილი ჯანმრთელი რეალიზმი, ხალი პრიმიტივიზმი, იგრძნობოდა მიწის სურნელი. იქნებ ღვთაებრივი პლატონის სიბრძნეც

იმასთანაა დაკავშირებული, რომ ეს ბრძენი ეზიარა ელევზის მისტიკურებს. ეკლესიის მამანი, შუა საუკუნეების მისტიკოსები ნაზიარები იყვნენ ქრისტიანობის საიდუმლოებებს, ფარულ რეალობებს. რელიგიური საიდუმლოებების წვდომის, მათთან ზიარების გარეშე საზრდო არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში ცოდნა იფიჭება, განყენებული ხდება, კავშირს წყვეტს ცოცხალ ყოფიერებასთან, მთელი ახალი ფილოსოფია, დეკარტით დაწყებული და ნეოკანტიანელობით დამთავრებული, უარყოფს იმას, რომ ცოდნის, გნოზისის მოპოვებისათვის აუცილებელია ამგვარი ზიარება. ამიტომ ფილოსოფიისათვის იკეტება ყოფიერებისა და ცხოვრების საიდუმლოებებთან მისასვლელი გზა.

ფილოსოფია აღარ არის საკრამენტალური, როგორც იყო ძველად და შუა საუკუნეებში; ის დაქვეითდა, იქცა პოლიტიკურ, უნაყოფო ფილოსოფიად. წმინდა პოლიციური ფილოსოფიის გენიალური ნიმუში კანტმა მოგვცა. პოლიციურ ფილოსოფიას გარკვეული კავშირი აქვს პოლიციურ სახელმწიფოსთან, სეკულარიზებული საზოგადოებასთან. წმინდა გნოზისიდან ფილოსოფია გადაიქცა განყენებული აზრის პოლიციურ განაწესად, დამცველ ორგანოდ, ქალაქთმმართველობად: მას აზრისა და შემეცნების სამეფოში მოქმედების უფლებას თხოვენ. გნოსეოლოგიის ქმედება წმინდა პოლიციურია, ის თავადაც საკუთარ თავს უყურებს როგორც პოლიციურ სამსახურს. მაგრამ პოლიციას არ მოაქვს თავისუფლება, პოლიციის მსგავს გნოსეოლოგიასაც არ შეუძლია თავისუფლების მოტანა. პოლიციური ფილოსოფია: პოლიციური სახელმწიფოს მსგავსად, წყდება ცხოვრების ფესვებს. პოლიციური ფილოსოფია აუცილებლობით მოკლებულია რეალიზმს და ყოფიერებას აჩრდილად აქცევს. მხოლოდ საკრამენტალური ფილოსოფია შეიძლება იყოს ცხოვრების ორგანული ფუნქცია, პოლიციური ფილოსოფია არის მექანიკურად მოკვეთილი, განყენებული, მკვდარი ნაწილი. ფილოსოფია მოექცა ჩინში, მისი კრიზისი გამოიყურება როგორც უსაშველო, სწორედ იმიტომ, რომ ფილოსოფია იქცა მკვდარ, თვითკმარ განყენებულობად, გაწყვიტა კავშირი ყოფიერების საიდუმლოებებთან ზიარების ყველა ფორმასთან; ფილოსოფოსი მღვდელმსახურიდან პოლიციულად იქცა. ყველა ამ ძნელბედობის შემდეგ, განყენებული აზროვნებისა და რაციონალური ცდის უდაბნოებში ხეტიალის შემდეგ, მძიმე პოლიციური სამსახურის შემდეგ ფილოსოფია უნდა დაუბრუნდეს ტაძარს, თავის წმინდა ფუნქციას და იქ იპოვოს

დაკარგული რეალიზმი, კვლავ ეზიაროს ცხოვრების საიდუმლოებებს. სიმწვავე პრობლემისა, რომლის წინაშეც ვდგავართ ჩვენ, სულაც არ გამოიხატება იმის გარკვევაში, უნდა იყოს თუ არა ფილოსოფია ავტონომიური და თავისუფალი (ცხადია, ის ავტონომიური და თავისუფალი უნდა იყოს). პრობლემაში სიმწვავე შეაქვს შემდეგ საკითხს – თავისუფლად უნდა შეიგნოს თუ არა ავტონომიურმა თავისუფალმა ფილოსოფიამ აუცილებლობა რელიგიური საზრდოობისა, ცდის რელიგიური მთლიანობისა? რელიგიას ძალუძს არსებობა ფილოსოფიის გარეშე, მისი წყაროები აბსოლუტურია და თვითკმარი, მაგრამ ფილოსოფიას არ შეუძლია არსებობა რელიგიის გარეშე, რელიგია ესაჭიროება ფილოსოფიას როგორც საზრდო, როგორც მაცოცხლებელი წყარო. რელიგია ფილოსოფიის სასიცოცხლო საფუძველია, რელიგია რეალური ყოფიერებით ასაზრდოებს ფილოსოფიას. ფილოსოფიას არ შეიძლება ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ ის მოიცავს ყველაფერს, ის ჰეგელის მტკიცების საპირისპიროდ, ვერ აღწევს ყოვლადერთობას, ყოველთვის რჩება კერძო და ორგანულად (არა მექანიკურად) დაქვემდებარებულ სფეროდ. გაუგებრობა დაბადა ვლ. სოლოვიოვის მოსაზრებამ – მან მოგვცა საბაბი, გემბტკიცებია, თითქოს შესაძლებელია ფილოსოფიური უნივერსალური სინთეზი, ყოვლადერთობის მოპოვება ფილოსოფიის საშუალებით. სოლოვიოვის ამ მოსაზრებაში იგრძნობა ჰეგელიანობის ზეგავლენაცა და გნოსტიკური რაციონალიზმისაკენ გადახრაც. ყოვლის მომცველი შეიძლება იყოს მხოლოდ რელიგია და არა ფილოსოფია. უნივერსალური სინთეზი და ყოვლადერთობა მხოლოდ რელიგიის გზით შეიძლება მოვიპოვოთ. ფილოსოფიას შეუძლია იყოს მხოლოდ ორგანული ფუნქცია რელიგიური ცხოვრებისა. პირველ სლავიანოფილებს – კირევესკის და სომიაკოვს – ვლ. სოლოვიოვზე უფრო ცხადად ესმოდათ, რომ უნივერსალურ სინთეზს, ყოვლადერთობას მივაღწევთ რელიგიის და არა ფილოსოფიის გზით, მხოლოდ ცხოვრების მთლიანობაში და არა გნოზისში. მათ ეს ესმოდათ, რადგან რაციონალიზმისაგან უფრო თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ რელიგიური სინთეზი შეუძლებელია მოცემული იყოს მხოლოდ ბოლოს, მხოლოდ ანალიზურ-მადიფერენცირებელი პროცესის შემდეგად, მხოლოდ მომავალი თაობებისათვის. ეს სინთეზი დასაწყისშიც მოცემულია, მოცემულია ყველასთვის, ვინც

1. არ შეიძლება უარყოთ თეოსოფიისა და ოკულტიზმის დამახსოვრება – მან დააყენა პრობლემა რელიგიის შემეცნებასთან მიმართებისა, ამტკიცებდა რელიგიური წვდომის დიდ მნიშვნელობას სიბრძნისთვის. ძველ ეპოქაში წვენი ვხვდებით სიბრძნეს და არა სიცარიელეს, ახლა იწყება რელიგიის რელიგიურად შესწავლა. სიყალბე აქ იწყება მაშინ, როცა მაგიურ ცოდნას რელიგიად მიიჩნევენ.

ცხოვრობდა და ცხოვრობს, მოცემული როგორც ჭეშმარიტება, რომელსაც ინახავს მსოფლიო ეკლესია, როგორც ძველი სიბრძნე.

* * *

რეალობის პრობლემის, თავისუფლების პრობლემის, პიროვნების პრობლემის სწორი გადაწყვეტა – აი, ყოველგვარი ფილოსოფიის ჭეშმარიტი გამოცდა, რეალობის თავისუფლების, პიროვნების პრობლემათა გადაწყვეტისას გამოვლენილი უსუსურობა ანდა ამ პრობლემათა ყალბი გადაწყვეტა ავლენს ფილოსოფიური მოძღვრების სუსტ მხარეებს, მის შინაგან იმპოტენციას, მის მიერ არჩეული გზის მცდარობას. საეჭვოა ის ფილოსოფია, რომლისთვისაც რეალობა, თავისუფლება და პიროვნება მოჩვენებითია. არ ენდოთ ამ ფილოსოფიას, ესებთ სხვა. და აი, თუ ამ გამოცდას ჩაუტარებთ მთელს თანამედროვე ფილოსოფიას, უადრესად სამწუხარო შედეგებს მივიღებთ. თანამედროვე ფილოსოფია ან უარყოფს რეალობას, თავისუფლებას, პიროვნებას ანდა მათ მოჩვენებად აცხადებს. თანამედროვე ფილოსოფია ძირითადად ილუზიონისტურია, მისი გნოსეოლოგია უარყოფს არა მხოლოდ ყოფიერებასთან მიმართებას, არამედ თავად ყოფიერებასაც, ის ართმევს ადამიანს თავისუფლების თავდაპირველ შეგნებას – შეგნებას ზომასა და საფუძველს მოკლებული თავისუფლებისა, უარყოფს პიროვნების სუბსტანციონალობას და აქუცმაცებს მას. ცხადია, თანამედროვე ფილოსოფია ყოველთვის შეძლებს მოჩვენებითად გადაარჩინოს რეალობა, თავისუფლება და პიროვნება. ამ მიზნის მისაღწევად არსებობს სოფისტისა და გნოსეოლოგიური ეკვილიბრისტიკის უამრავი იარაღი. მაგრამ ეს გნოსეოლოგიური ზრიკები ვერავის დაენმარება – ადამიანს ავდებენ მოჩვენებათა სამეფოში, ართმევენ პიროვნებასაც, თავისუფლებასაც და ყოფიერების რეალობასაც. ამვე დროს, ჩვენ უსამართლონი ვიქნებით, თუ ყველაფერს თანამედროვე ფილოსოფიას დავაბრალებთ – ის წინაპართა ცოდვებისათვის ავებს პასუხს. მთელი ახალი ფილოსოფია გაჰყვა იმ განწყობულ-რაციონალისტურ გზას, რომელიც არ იძლევა ჩვენს მიერ დასმული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას. ფილოსოფიურ რაციონალიზმში აისახა სულის ცოდვიანი დაქუცმაცებულობა. რაციონალიზმის საშუალებით ვერ ჩავენდებით ვერც რეალობის, ვერც თავისუფლებისა და ვერც პიროვნების ბუნებას, ეს იდეები და საგნები საგნებით ტრანსცენდენტურნი არიან ყოველგვარი რაციონალისტური ცნობიერების მიმართ, ისინი წარმოადგენენ ირაციონალურ ნაშთს. მართლაც, რაციონალური რეალობა, რაციონალური თავისუფლება, რაციონალური პიროვნება – განწყობული, თეიტკმარი

აზრის მოჩვენებებია მხოლოდ. XIX საუკუნის დასაწყისის გერმანული იდეალიზმიც კი – ფიხტეს, ჰეგელის და შელინგის იდეალიზმი – მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითად ძლიერი იყო, უძლური აღმოჩნდა გამკლავებოდა ფილოსოფიის ამ საბედისწერო პრობლემებს. ფიხტე და ჰეგელი იდეალისტურად და რაციონალისტურად უარყოფდნენ რეალობას, მხოლოდ მოჩვენებად და ილუზიად თვლიდნენ თავისუფლებას, მათ ონტოლოგიაში ვერ იპოვა თავისი ადგილი კონკრეტულმა პიროვნებამ. ეს ძალზე კარგადაა ცნობილი. ამ პრობლემათა წინაშე უძლური აღმოჩნდა შელინგიც კი, რომელიც ცდილობდა თავი დაეღწია რაციონალისტური იდეალიზმის მოჯადოებელი წრისაგან, ყურადღება მიაპყრო კონკრეტულ ყოფიერებას და მისტიკას. არც მისთვის არსებობს ჭეშმარიტი თავისუფლება, ჭეშმარიტი პიროვნება, ჭეშმარიტი რეალობა. ის ჯერ კიდევ პანთეისტური იდეალისტია. პანთეისტურ იდეალიზმშიც კი, ვითარცა ოკეანეში, ინთქმება პიროვნებაც, თავისუფლებაც და კონკრეტული რეალობაც. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლო მხოლოდ ბაადერს, მაგრამ მისი გზა თავისებური, მთელი ფილოსოფიისაგან განსხვავებული იყო. გერმანულმა იდეალიზმმა უკიდურესობამდე, აბსურდამდე მიიყვანა იდეალისტური მიმდინარეობა, რომელმაც მოჩვენებად და განწყობულობად გადააქცია რეალობა, თავისუფლება, პიროვნება. ახალი ფილოსოფიის მთელი გამოცდილება მოწმობს, რომ რეალობის, თავისუფლებისა და პიროვნების პრობლემები სწორედ შეიძლება დაისვას და გადაწყდეს მხოლოდ იმათ მიერ, ვინც ქრისტიანულ საიდუმლოებებსაა ნაზიარები, მხოლოდ რწმენის აქტში, რომელშიც მოგვეცემა არა მოჩვენებითი, არამედ ჭეშმარიტი რეალობა და კონკრეტული გნოზისი. მხოლოდ ქრისტიანული მეტაფიზიკა აღიარებს ყოფიერების და ყოფიერებისაკენ მიმავალი გზების რეალობას, წვდება თავისუფლების დიად საიდუმლოებას, იმ თავისუფლებისას, რომელიც არც დანაწევრდება და არც დაიყვანება რაიმეზე. მხოლოდ ეს მეტაფიზიკა აღიარებს მარადიულობაში დავანებული კონკრეტული პიროვნების სუბსტანციას. ყოველივე მოცემულია მხოლოდ ქრისტიანობის მისტიკურ გნოზისში და არსად სხვაგან. ქრისტიანულ გნოზისს მიყვართ ტრანსცენდენტურ რეალიზმთან, კონკრეტულ პერსონალიზმთან და თავისუფლების ფილოსოფიასთან. თავისუფლება, თავისუფლება უპირველეს ყოვლისა – აი, ქრისტიანული ფილოსოფიის სული და გული, აი, რას ვერ იძლევა განწყობული და რაციონალისტური ფილოსოფია. რა არის რელიგიური ფილოსოფია, ქრისტიანული გნოზისი?

ქრისტიანული ფილოსოფია არ არის „გნოზისი“ იმ მნიშვნელობით, რომელსაც დებდა ამ სიტყვაში ვალენტინი, არც „თეოსოფია“, როგორც ეს სიტყვა ესმის რ. შტაინერს, თუმცა ნამდვილად ის გნოზისცაა და თეოსოფიაც. გნოსტიციზმში შემეცნების გზას ხსნის გზად თვლის. წმინდა გნოსტიკური გზა, გარკვეული აზრით, ლუციფერული გზაა. გნოსტიციზმი გვასწავლის შეჭმარიტების შემეცნებას და არა ჭეშმარიტების მოპოვებას, გნოსტიციზმი ქადაგებს შემეცნებაში შემართებას, რომელსაც თან არ ახლავს უარის თქმის საგმირო საქმე. გნოსტიციზმი თავისი არსით – როგორი მისტიკურიც არ უნდა იყოს მისი სამოსელი – რაციონალიზმია. ის არის დახვეწილი, ძნელად გამოსაცნობი რაციონალიზმი. | გნოსტიციზმისათვის რელიგია წარმოადგენს ცოდნას – საიდუმლოსა და გაცხადებულს, რაღაც მოძღვრების განდობას. გნოსტიციზმს ოკულტური ცოდნა რელიგია ჰგონია, ამ ცოდნით სურს შეცვალოს რელიგია, მაშინ როდესაც ოკულტური ცოდნა უნდა მიეიჩნით ცოდნის ფორმად, გაფართოებულ ცოდნად და არა რელიგიად. გნოსტიკოსის იდეალური ტიპია მოძღვარი, ბრძენი. გნოსტიკოსთა თანახმად, ჭეშმარიტება გაცხადდება ბრძენთათვის და არა ჩვილთათვის. ქრისტიანობის თანახმად, ჭეშმარიტება გაცხადდება ჩვილთათვის და არა ბრძენთათვის და გნოზისი რელიგიური ცხოვრების ნაყოფია. იქნებ, ვითარცა ყრმანი და მხოლოდ მაშინ შეხვალთ სასუფეველსა ცათასა. ჭეშმარიტება მოიპოვება ცხოვრებით და საგმირო საქმით, ნების ძალისხმევით და მთლიანი სულით და არა მხოლოდ შემეცნებით. თავად შემეცნება რელიგიური ცხოვრების ფუნქციაა მხოლოდ. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანის იდეალი წმინდანია, და არა ბრძენი მოძღვარი. ქრისტიანული გნოზისი მოითხოვს საკუთარი თავის უარყოფის აქტს, გნოსტიკური ამპარტავენობის, გონებისეულ შემეცნების მოთხოვნათაგან განდგომას. ქრისტიანული გნოზისი არის გონების მოპოვება ღვთიური სიშვევით. მასში უკვე აღარ არის კვალი რაციონალიზმისა და ნატურალიზმისა, რომლებიც დახვეწილი ფორმით არსებობენ გნოსტიციზმში. თანამედროვე თეოსოფია გნოსტიციზმის ერთ-ერთი ფორმაა და გნოსტიკურ მოთხოვნათა უნაყოფობა მასში უფრო მეტად კი იჩენს თავს, ვიდრე ძველ, კლასიკურ გნოსტიციზმში. თეოსოფიისთვის რელიგია არის უნივერსალური გნოზისი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა განდობის გზით, ბრძენ მოძღვრებთან სწავლისას. რელიგიური დოგმატები და რელიგიური საიდუმლოებანი თეოსოფიაში უადრესად გნოსტიკურნი არიან. ბრძენისთვის, განდობილისთვის

რელიგიური ცხოვრების ჭეშმარიტებები, რწმენის ჭეშმარიტებები მხოლოდ ცოდნაა. ყველაფერი აიხსნება ისე, როგორც ახსნიდა დახვეწილი ევოლუციური ნატურალიზმი. მხოლოდ „ვეულგუსისათვის“ არსებობს სასწაულებრივი – სასწაულებრივი ევოლუციური ცნებაა. სასწაულებრივი არ არსებობს ჭეშმარიტი გნოსტიკოსისა და თეოსოფიის წარმომადგენლისთვის, ევოლუციურ ცოდნას ნაზიარებისათვის. მისთვის ქრისტეს აღდგომა ბუნებრივი ფაქტია, რომელიც გასაგებია, მაგალითად, თუ დაეუშვებთ ეთერის სხეულს¹. გნოსტიკოსები და თეოსოფიის წარმომადგენლები მეტაფიზიკოსებსა და ფილოსოფოსებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, რამდენადაც ჭეშმარიტების რელიგიური გაცხადებისათვის განდობას ითხოვენ, მაგრამ ისინიც „ინტელიგენტ-განდგომილებია“. ამ სიტყვის მიღებული მნიშვნელობით, ისინიც მოწყვეტილი არიან ფესვებს, ცხოვრობენ ინტელექტის ჰიპერტროფიით, არ იძლევიან ნაყოფს. ქრისტიანული რწმენის არსობრივ სიღრმეს თუ ჩავხედავთ, აღმოჩნდება რომ ის გნოზისია, ცოდნა თვითუარყოფის გზით მავალ განდობილებისა, მაგრამ გნოსტიკური თეოსოფია ვერ აღწევს ამ სიღრმემდე.

ქრისტიანული დოგმატები არ წარმოადგენენ ინტელექტუალურ თეორიებს, მეტაფიზიკურ მოძღვრებებს, ისინი ფაქტებია, ხილვებია, ცოცხალი გამოცდილებაა. დოგმატები ლაპარაკობენ განცდილსა და ნანახზე, დოგმატები მისტიკური ბუნების მქონე ფაქტებია. ადამიანთაგან უდიდესმა – პავლე მოციქულმა თავისი განსაკვიფრებელი ძალისა და რეალობის მქონე შეხვედრები და ხილვები გამოხატა ხსნის დოგმატურ კათოლიკური მოღვრების ფილოსოფოსი ლერუა ებრძემის მხოლოდ კათოლიკურ სქოლასტიკას, მხოლოდ ღვთისმეტყველურ ინტელექტუალიზმს, უარყოფს დოგმატების ინტელექტუალურ-თეორიულ ხასიათს. ეკლესია არასოდეს არ აღიარებს ინტელექტუალურ-თეორიულ ხასიათს, ამას აღიარებდა მხოლოდ ღვთისმეტყველური სქოლასტიკა. ფილოსოფიური, ინტელექტუალური, თეორიული ხასიათის მქონე ელემენტს ვერ აღმოაჩენთ საეკლესიო დოგმატებში, მათ იპოვნით გნოსტიკურ მწვალებლობაში, რომელიც მეტ-ნაკლებად რაციონალისტური იყო. ეკლესიის დოგმატები არასოდეს არ იყო რაციონალისტური და ინტელექტუალური, ისინი მხოლოდ მისტიკურ ფაქტებს გამოხატავდნენ, რაციონალისტური და ინტელექტუალისტური იყო მწვალებელთა მოძღვრებანი; დიდი ორიგენიც კი, – რამდენადაც მან გადაუხვია ეკლესიის სამყაროსეულ ჭეშმარიტებას, – ინტელექტუალისტი დ რაციონალისტი იყო, ყალბი

1. ეთერის სხეული – ისეთივე ბუნებისეულია, როგორც ფიზიკური სხეული, აღდგომის სასწაული კი ზებუნებრივია.

გნოსტიციზმის ტყვეობაში აღმოჩნდა. არიანელობა საესებით რაციონალისტურ მოძღვრებას წარმოადგენდა. თითქმის ყველა მწვალებლური მიმდინარეობა უარყოფდა საეკლესიო დოგმატიკის სიშლეგეს და მისტიკურობას და ცდილობდა ჭეშმარიტება უფრო გონების შესაბამისად და რაციონალურად გამოეხატა. არიანელობა, ცხადია, რა თქმა უნდა, უფრო რაციონალისტურია, ვიდრე საეკლესიო მოძღვრება ქრისტეში ადამიანური და ღვთიური ბუნების ერთიანობის შესახებ. საეკლესიო დოგმატებში ყოველთვის მაქსიმუმია მისტიკისა, სიშლეგისა, ანტიინომიურობისა. მწვალებლობაში ყოველთვის რაციონალიზმია, შესუსტებული ანტიინომიურობაა, სიშლეგის შიშია, მოძრაობაა უმცირესი წინაღობის მიმართულებით. საეკლესიო დოგმატიკის შლეგი მისტიკა არ შეუშინდა ღვთის სამების მტკიცებას, გაბედა ერთი და იმავეზე და ერთი და იმავე დროს ეთქვა – ის ერთიცაა და სამიცო. რაციონალისტური მწვალებლობა კი ყოველთვის გაუბოღა სიმნელებსა და ანტიინომიურობას, სიშლეგეს ვერ ბედავდა, ერთის შესახებ ამტკიცებდა ერთიანო. მხოლოდ ამ ერთისაგან განსხვავებულის შესახებ – სამიანო, დროის ერთ მონაკვეთში ამტკიცებდა – ეს ერთიანო, სხვა მონაკვეთში – ეს სამიანო. ეკლესიის შლეგი მისტიკა ბედავდა იმის თქმას, ქრისტე სრულყოფილი ღმერთიც იყო და სრულყოფილი ადამიანიცო, ორთავე ბუნება მასში გაერთიანებული იყო, ადამიანის ნება ქრისტეში ღმერთის ნებად გარდაიქმნებოდაო. რაციონალისტური მწვალებლობა ამტკიცებდა, ქრისტე მხოლოდ ღმერთია, ხოლო ადამიანური ბუნება მასში მოჩვენებითიაო, ანდა იმას, ქრისტე მხოლოდ ადამიანია და მისი ნება მხოლოდ ერთგვაროვანიაო. მწვალებლური ცნობიერება ვერ იტანდა ანტიინომიურობას. ჰარნაკის თეორიას, რომლის თანახმადაც დოგმატები წარმოადგენდნენ ქრისტიანობის რაციონალიზაციას, ინტელექტუალიზმს, ბერძნული ფილოსოფიის საწყისთა შეტანას, ეკლესიის მთელი ისტორია უარყოფს. ეს ისტორია გვასწავლის, რომ ყველა დოგმატი იყო მისტიკური და შლეგი, ცდისეული და ადამიანის გონებისათვის ანტიინომიური, მწვალებლობა კი იყო რაციონალისტური – ის ადამიანის გონების საშუალებით თავიდან იცილებდა ანტიინომიურობას და ადამიანის გამონაგონს წარმოადგენდა. განა ათანასე დიდმა ბერძნული ფილოსოფიის მეშვეობით მოახდინა ქრისტიანობის რაციონალიზაცია? ის თავის სიბრძნეს დაეუფლა იმ განდევილთა ასკეტური საგმირო საქმეების საშუალებით, რომლებმაც საკუთარი გამოცდილების საფუძველზე მიაგნეს სინათლეს. რელიგიის დოგმატებს არ ესაჭიროება ფილოსოფია, მაგრამ რელიგიის დოგმატები საჭიროა ფილოსოფიისთვის, ასაზრდოებენ ფილოსოფიას, აზიარებენ მას უღრმეს საიდუმლოებებთან.

* * *

განყენებული ფილოსოფია, რომელიც თვითგმარია, საკუთარი თავიდან იძენს სიბრძნეს, ისპობა. პოზიტივიზმი ერთ-ერთი ფორმაა განყენებული ფილოსოფიის მოსპობისა: ამ მიმდინარეობის თანახმად, ფილოსოფია უნდა დაექვემდებაროს პოზიტიურ მეცნიერებას და მხოლოდ მეცნიერებაში ეძიოს თავისი საზრდო. მისტიციზმი განყენებული ფილოსოფიის მოსპობის მეორე ფორმაა. მისტიციზმის თანახმად, ფილოსოფია უნდა დაემორჩილოს პოზიტიურ რელიგიას და ამ უკანასკნელში იპოვოს თავისი საზრდო. პოზიტივიზმი საბოლოოდ ანადგურებს ფილოსოფიას, მისტიციზმი კი აღორძინებს ფილოსოფიას, უბრუნებს მას დაკარგულ მიზანსა და სასიცოცხლო ღირებულებას, ყოფიერებასთან აზიარებს მას. ფილოსოფია გადაიქცევა იმად, რაც იყო ძველად, გახდება წმინდა, კვლავ დაუკავშირდება ცხოვრების საიდუმლოებებს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფია უნდა გახდეს თეოლოგიის მსახური – ამას მან დიდი გაჭირვებით დააღწია თავი. ფილოსოფია არ უნდა იყოს თეოლოგიის მსახური, მაგრამ, ალბათ, არ უნდა არსებობდეს თავად თეოლოგიაც. ფილოსოფია უნდა იყოს რელიგიური ცხოვრების ფუნქცია და არა თეოლოგიის მსახური – აქ განსხვავება ძალზე დიდია. ფილოსოფიას არ შეუძლია იყოს ღვთისმეტყველური აპოლოგეტიკა, მან არც უნდა იკისროს ეს ამოცანა. ის აცხადებს ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს გაცხადება ძალუმს მხოლოდ მაშინ, როცა ნაზიარებია რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებს, იცის ჭეშმარიტების გზა. ფილოსოფია, რომელიც თავის საზრდოს რელიგიურ გამოცდილებაში მოძებნის, არ იქნება სქოლასტიკა – სწორედ ის იქნება ყოველგვარი სქოლასტიკის საპირისპირო რამ. უფრო სწორი იქნებოდა სქოლასტიკა გვეწოდებინა განყენებული ფილოსოფიისა და თანამედროვე გნოსეოლოგიისათვის, რადგან მათ კავშირი გაწყვიტეს ცხოვრების სულთან, დაუპირისპირდნენ ცხოვრებას. ჩვენ კი გვსურს ფილოსოფია კვლავ გახდეს სისხლსაკვსე, ვაზიაროთ ის ცხოვრების სულთან, ე. ი. საბოლოოდ გაავათავისუფლოთ სქოლასტიკისაგან. თანამედროვე განყენებული გნოსეოლოგიური ფილოსოფიაა სწორედ სეკულარიზაციას დაქვემდებარებული სქოლასტიკური ღვთისმეტყველება. სქოლასტიკური ღვთისმეტყველება ესაა განდგომა რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებისაგან, მისი არსებობა მოწმობს იმას, რომ რელიგიური გამოცდილების წყარო დაშრა. ამიტომაც რომ სქოლასტიკური ღვთისმეტყველება გამოცდილების ადგილს განყენებულ აზროვნებას უთმობს. უნდა ითქვას, რომ დღეს შუა საუკუნეების მოაზროვნებზე უამრავ ცრუ აზრს გამოთქვამენ. შუა საუკუნეების ფილოსოფია სრულიადაც

არ იყო ისეთი უიმედო სქოლასტიკა, როგორაც ჩვეულებრივ თვლიან. მას მრვალგზის დაუბრუნდებოდა. ახლაც ხომ გვაწუხებს შუა საუკუნეების პრობლემა ნომინალიზმისა და რეალიზმისა. თანამედროვე გნოსეოლოგთა თხზულებებში გაცილებით მეტია გამოფიტული სქოლასტიკა, ვიდრე შუა საუკუნეების მოაზროვნეთა მოძღვრებებში. უახლოესი დროის გნოსეოლოგია, არსებითად, სქოლასტიკური აპოლოგეტიკა – მეცნიერების აპოლოგეტიკა. ის ისევე არათავისუფალია, როგორც სქოლასტიკური თეოლოგია, მისი თავისუფლება მოჩვენებითია. მაგრამ სქოლასტიკურ-აპოლოგეტიკური მიმართება მეცნიერებასთან ისევე მაინც, როგორც სქოლასტიკურ-აპოლოგეტიკური მიმართება რწმენასთან, რელიგიურმა ფილოსოფიამ უნდა გაიმარჯვოს როგორც გნოსეოლოგიურ სქოლასტიკაზე, ისევე თეოლოგიურ სქოლასტიკაზე, ე. ი. ცხოვრების სულმა უნდა გაიმარჯვოს ყოველგვარ განყენებულ რაციონალიზმზე.

ფილოსოფია, რომელმაც კვლავ მიაგნო თავის სასიცოცხლო რელიგიურ საზრდოს, იქნება სწორედ თავისუფალი ფილოსოფია. ეს იქნება ფილოსოფიის განთავისუფლება და არა დამონება. ფილოსოფიისათვის მისი მიზნისა და ამ მიზანთან მიმავალი გზის დაბრუნება ფილოსოფიის დამონებას როდი ნიშნავს. ჭეშმარიტება თავისუფლებას გვანიჭებს, ჭეშმარიტებისაკენ გზა კი გახსნილია მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებთან ნაზიარებთათვის. ყოფიერებასთან გაერთიანება შეუძლებელია იყოს ფილოსოფიის სამარცხვინო დამონება, ეს გაერთიანება მიზანს უბრუნებს ფილოსოფიას. ფილოსოფიის ყბადღებულმა „ავტონომიურობამ“, ფილოსოფიის ჩაძირვამ საკუთარ თავში, მისმა განყენებულობამ, რაციონალიზმმა მიგვიყვანა არარსისა და სიცარიელის საშინელებასთან, აჩრდილთა სამეფოსთან. ცხოვრებისაგან და ყოფიერებისაგან მოწყვეტა დამონებაა – ფილოსოფია ემონება აუცილებლობას და ილუზიონიზმს. რელიგიური რწმენა მუდამ განთავისუფლება და ახსნაა. მხოლოდ ეს აზრი აქვს მას. ყველაფერი, რაც უკავშირდება რელიგიურ რწმენას, რაც ამ რწმენაში ეძებს საზრდოს, თავისუფლდება და პოულობს ხსნას. სხვაგვარი რელიგია, რელიგია, რომელსაც არ მოაქვს განთავისუფლება, სიყალბეა და მოტყუება. არსებობს ძალზე ღრმა მიზეზები, რომელთა გამოც ფილოსოფიამ აუცილებლად უნდა ეძიოს საზრდო რელიგიაში, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თავის სათავეებს. ინდივიდუალურ გონებას, ინდივიდუალურ ძალისხმევას არ შეუძლია აღმოაჩინოს

უნივერსალური ჭეშმარიტება. ინდივიდუალური ცნობიერების უზომო მოთხოვნები ყველგან მარცხდება. თავის თავში ჩაკეტილი, თავის თავთან და თავის „ადამიანურთან“ მარტოდ დარჩენილი ადამიანი უძლურია და უღონო. ის ვერ ჩაწვდება ჭეშმარიტებას, ყოფიერების აზრს, ვერ შეიცნობს საგანთა გონებას. კაცობრიობის კულტურის წინსვლას, მსოფლიო ფილოსოფიის განვითარებას მივეყვართ იმის შეგნებაში, რომ სამყაროსეული ჭეშმარიტება ცხადდება მხოლოდ სამყაროსეული ცნობიერების წინაშე, ე. ი. სობორული, საეკლესიო ცნობიერების წინაშე. ფილოსოფია, ე. ი. სამყაროსეული ჭეშმარიტების წვდომა გონებით, არ შეიძლება იყოს არც მხოლოდ ინდივიდუალური და ზეადამიანური, ე. ი. სობორული, ანუ საეკლესიო საქმე. მხოლოდ სამყაროსეულ საეკლესიო ცნობიერებისათვის გახდება ნათელი ცხოვრებისა და ყოფიერების საიდუმლოებები, მხოლოდ საეკლესიო გონებასთან ზიარებითაა შესაძლებელი ჭეშმარიტი შემართება, მხოლოდ ესაა გარანტია ყოველგვარი ილუზიონიზმისა და მოჩვენებითობის წინააღმდეგ, მხოლოდ ესაა ჭეშმარიტი რეალიზმი – მისტიკური რეალიზმი. ფილოსოფია უნდა იყოს ღვთისმეტყველური ან კლერიკალური. ფილოსოფია უნდა იყოს საეკლესიო, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფია უნდა იყოს თავისუფალი, ის იქნება კიდევ თავისუფალი, როცა გახდება საეკლესიო, რადგან მხოლოდ ეკლესიაშია თავისუფლება, განთავისუფლება მონობისა და აუცილებლობისაგან. საეკლესიო ფილოსოფია წარმოადგენს ფილოსოფიას, რომელიც ნაზიარებია მსოფლიო სულის ცხოვრებასთან და ფლობს მსოფლიოს საზრისს – ლოგოსს, რადგან ეკლესია ლოგოსთან შეერთებული მსოფლიოს სულია, განყენებული, რაციონალისტური, „გნოსეოლოგიური“ სქოლასტიკური ფილოსოფია კავშირს წყვეტს მსოფლიო სულთან და ჰკარგავს მასთან მისასვლელ გზებს. მხოლოდ საეკლესიო ფილოსოფია აღადგენს ამ გზებს. მხოლოდ მას ნელეწიფება განსჯა ისეთი პრობლემებისა, როგორებიცაა პრობლემები თავისუფლებისა და ბოროტებისა, პიროვნებისა და მსოფლიო საზრისისა, რეალიზმისა და შემეცნების საქორწინო საიდუმლოებისა.

თარგმნა

თამაზ ბუაჩიძე.

ქაღალბებანი

დეკანოზი არჩილი (მინდიაშვილი)

სიტყვა ხსენებისათვის სიკვდილისა და ცრემლისა

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა „ნეტარ იყვენენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ ივინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“ (მათ. 5,4) „რასა ქედმაღლობთ, ჰოი მოკვდავნი, და ამოსა იზრახებთ საწუთოსა ამას შინა ამოსა. ყოველი ხორცთა მშვენიერება ყვავილია სულისა ხრწნილებისა მიერ დატყნობადი და მატლთა მიერ განსახრწნელი; ყოველი კაცი ჟამსა ამას სამარადისოდ იხსენებდის, რათა ნათელსა საღმრთოსა ღირს ვიქნეთ დამკვიდრებად“. – გვასწავლის ეკლესიის მამა, უგალობს და უკითხავს ამა საკითხავს მიცვალებულებს... და დაესტირით რა მათ გვამებს, ვიგონებთ საკუთარ სიკვდილს.

ერთი უდიდესი ქრისტიანული სათნოებათაგანი, ეს არის ხსენება სიკვდილისა; და ტირილი საკუთარი ცოდვების გამო. კარგად ამბობს წმიდა მამა პიმენი დიდი: შეუძლებელია არ იტირო ან აქ, ამ სოფელში ნებსით, ცოდვების გამო, ან იქ, სადაც არი ტირილი დაუსრულებელი, ე. ი. მარადიულ ტკივილებში, ჯოჯოხეთში. მაინც რა მოაქვს ცრემლსა და ტირილს? რამდენად არის მნიშვნელოვანი? რა უწყობს ხელს ადამიანში სინანულის ცრემლის გაჩენას და პირიქით, რა ამბობს ცრემლის წყაროს მიწიერი ცხოვრების გზაზე? ეფრემ ასური ჩინებულად, პოეტურად და ბრძნულად იტყვის: აივსეთ, ადამიანებო, ცრემლით თვალი და გაგეხსნებათ თვალი გულისა; მასში, ცრემლში, როგორც სარკეში აირეკლება ზეციური საგნები და საიდუმლოებები. აი, ეს არის კლიტე და გასაღები ცათა სასუფეველისა. აი, ამიტომ იყო, რომ უფალმა ჩვენმა, ქრისტე იესომ, ვიდრე ხორცში მოვიდოდა და გვიქადაგებდა სასუფეველის მოახლოებას, მოგიველინა სწორი ანგელოზისა იოანე ნათლისმცემელი, წინამორბედი ღვთისა, რომელმაც გვიქადაგა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათ. 3,2) და ამაზე დიდი სიბრძნე წმიდა წერილსა და წმიდა მამებს, როგორც პიმენი დიდი გვასწავლის, არ დაუტოვებიათ. იტირე, იტირე... და აცრემლდი შენს საკუთარ ცოდვებზე. სხვა მამა თეოდორე იტყვის: გონება ლოცულობს სიტყვებით, გული ცრემლითა და ტირილით. არ ატირდება გული, თუ არ დაუკვირდება საღვთო სიტყვებს ლოცვისას და თუ დაუკვირდება, შეუძლებელია, რომ არ ატირდეს... და თუ ატირდა, შეუძლებელია გონებამ ლოცვის დროს არ მოამოკოს სიმშვიდე და სიმყუდროვე. აი ხედავთ, როგორი მისტიური ურთიერთდამოკიდებულება არსებობს გონებასა და გულს შორის? ადრე გვიხსენებია სამი მდგომარეობა გულისა; სწორედ გულის გულში შესვლა არის მიზანი ადამიანის

ქრისტიანული ცხოვრებისა, რათა იმ გულიდან გამოიღვენოს დემონები და ჩაასახლოს მადლით - მამა, ძე და სულიწმიდა, როგორც ეს ერთ-ერთ ფსალმუნშია ნათქვამი.

რა უწყობს ხელს იმას, რომ ცრემლი დაშრეს ადამიანში? ადამიანი, რომელიც არა საკუთარ თავში, არამედ სხვებში ეძებს ნაკლს, წუნს, ცოდვას და ამდენად შეუძლებელია, რომ არ მიეცეს განკითხვას, ასეთ ადამიანში ცრემლი რომც ყოფილიყო ოდესღაც, გაქრება; თუ არ ყოფილა, ის არასდროს არ გაჩნდება; თქვენ კი იცით, რომ მოსემ კვერთხი დაჰკრა კლდეს და წყარო გაღმოდინა; ჯვარი გამოსახა ამ კვერთხით. დიდი ძალა აქვს ამ კვერთხს, რომელიც მოსეს ხელში იყო - სინანული ისრავლი ერისათვის. აი, ასევე, ჩვენც უნდა ვეძებოთ ჩვენი კლდექმნილი, გაქვავებული გულები; გამოვსახოთ კვერთხი სიონიდან გამოვლინებული, როგორც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „ გამოვივლინო სიონით კვერთხი და... და ეს კვერთხი არის ჯვარი; ჯვარი კი რა არის? იგი არის ძელი ჩვენი ხსნისა, და არა მხოლოდ სიმბოლო, არამედ ძალა და საშუალება, რომელიც ლოთეს ცოდვების გამო მოგვიღო ცრემლზე აღმოცენდა. აი, ეს არის ჯვარი. რა უწყობს ხელს, მეორე მხრივ, ადამიანში სინანულის ცრემლის გაჩენას? მრავალნაირია ცრემლი, მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცრემლი, საკუთარი ცოდვების გამო დაღვრილი, რომელსაც ერთ-ერთი წმიდა მამა ადარებს მოწამისაგან დაქცეულ სისხლს. მე მწამს, - ამბობს ეს წმიდა მამა - თუ ვაიძულეთ ჩვენი თავი, თუ ვადინეთ ცრემლი ცოდვებისა გამო და ვეცადეთ აღარ გავიმეოროთ ჩადენილი ცოდვები, რის გამოც ვცრემლობთ, მე ღრმად მწამს, რომ წმიდა მოწამეთა შორის შევირაცხებით; შემიძლია მოვიგონო მაგალითი: ეგვიპტის ერთ-ერთ უდაბნოში დაყუდებული მამა როგორ სცემდა შოლტით თავის თავს. როგორ აიძულებდა ხორცს, როგორც ღრუბელს, გამოეწურა და გამოეცა ცრემლი. მამებმა გარდაცვალების შემდეგ იგი იხილეს მოწამეთა გვირგვინით, რამეთუ აწამან თავისი სხეული სულის საზეიმოდ. მე არ მინდა ეს მაგალითები დაგისახოთ, რადგან თქვენ ერისკაცები ხართ. ეგებ გაუგებარი და აბსურდულიც კი იყოს თქვენთვის ეს.

მამ რა საშუალება გვაქვს ცრემლი ვადინოთ საკუთარ ცოდვილ სულს და ხორცსა? ეს საშუალება არის ხსენება სიკვდილისა, განცდა თვისთა ცოდვათა. ხშირად დაკვირვებ შენს თავს რა იქნენ შენი გარდაცვლილი მშობლები, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები... სად არიან დღეს? სინანს უდაბნოს ერთ-ერთ მონასტერში

დაეყუდა ერთი წმიდა მამა, რომელმაც ღვთის წინაშე დიდი სინანული მოიპოვა. სენაკში, სადაც ის მივიდა, დახვდა ძველი წარწერა; ოდესღაც აქ ვიღაც ბერს უცხოვრია; წარწერა კი ამას მეტყველებდა: „გამოწმებ. თეოდორე, წავედი მოსესთან“. ეს მამა, ყოველთვის, როცა ლოცვაზე დადგებოდა ხოლმე, თვალწინ ხატებთან იმ უცნობი ბერის სიტყვებს დაიდებდა და ცრემლით დაეკითხებოდა: თეოდორე, სადა ხარ ახლა შენ? მოსესთან ხარ ისევ? სამოთხეში ხარ? ჯოჯოხეთში ხარ?... და აი, იგონებდა საკუთარ ცოდვებს... იგონებდა და სდიოდა ცრემლი სინანულისა. ასე განვლო მან რამდენიმე წელიწადი სინანულში და ტირილში. სულიწმიდის მადლით ეუწყა გასვლა ამ სოფლიდან. მის მეზობლად მოღვაწეობდა ბერი, რომელიც ბოსტანს უვლიდა. და აი, იმ ბერს ეახლა ერთხელ დაუძღვრებული, დაწვლული, დასწვლული და სთხოვა: „ქრისტეს სიყვარულისთვის ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვი“. „რა არის ეს სათხოვარი?“ – დაეკითხა მეზობელ ბერი.

– მე ვიცი, მალე უნდა გავიდე ამ ქვეყნიდან, გვედრები, ქრისტეს სიყვარულისთვის, ჩემი სხეული არ დაფლა, არც არავის უთხრა, რომ დამფლას, ე. ი. არავის უთხრა რომ მომხედოს მე, როცა მოგვედები, წაიდე და ამა და ამ კლდიდან გადაგდე ნაპარალში.

– რას ამბობ მამაო, ცოდვა როგორ ჩაივლინო, – შეეპასუხა მეზობელ ბერი.

– გვედრები აღასრულე ეს უკანასკნელი მორჩილება და ჩემს თავზე დავიდებ ამ ცოდვას, ხოლო თუ ღმერთმა გამამართლა მისი კაცთმოყვარეობის და ჩემი ცხოვრების გამო, პირობას გაძლე ღვთისა და წმიდა ხატების წინაშე, რომ ვეცდები გიშუამდგომლო ღმერთთან.

მართლაც, რამდენიმე დღეში აღესრულა ეს მონანული ბერი. ის მეზობელს იხე მოიქცა, როგორც სთხოვა ქრისტესმიერმა მამამ... და, აი, მესამე დღეს, მას შემდეგ, რაც სხეული გადააგდო ნაპარალში, სიზმრულ ჩვენებებში ეცხადება ეს მონანული ბერი; გაბრწყინებული, როგორც ანგელოზი ღვთისა, მადლობას სწირავს მას და ეუბნება: „ღმერთმა, იმის გამო, რომ დავიმდაბლე თავი ვიდრე სიკვდილამდე და არ ვაჩემე ხორცი სულზე, ანტონი დიდის საგანეში, ცათა სასუფეველში განმაწესა. ამიტომ ვევედრე ღმერთს, როცა მოგიწევს ჟამი ამა სოფლიდან განსვლისა, ღმერთმა შენც, კაცთმოყვარეობით, ანტონი დიდის წიაღში მოგიყვანოს. მე ვიხილე ცეცხლი ჩემი სულის ხორციდან ამოსვლისას. მხოლოდ და მხოლოდ ჩემმა ცრემლმა და თავმდაბლობამ შესძლო ჩაეჭირო ეს ცეცხლი.“ არანაირი ძალა არ არსებობს, ქრისტესმიერნო, დანო და მმანო, ჩვენი ცოდვების საშინელი ცეცხლი რომ დაშრიტოს და ჩააქროს... და თუ ვერ დაშრიტა ჩვენი ცოდვების საშინელი, ვნებებს რომ ეუწოდებთ, როგორღა შეიძლება მან ოკვანე, ტბა, ტალღები გვენისა დაშრიტოს? ყოვლად შეუძლებელია. მე შესავალში დაგპირდით, განემარტოთ მეთქი და მოვიგონოთ, რამდენი საზე

არსებობს ცრემლისა. არსებობს ცრემლი და ტირილი ბუნებრივი, მაგალითად, როცა ახლოებული გარდაგეცვლება. ეს არის ბუნებრივი ტირილი. არსებობს ტირილი, რომელსაც დემონები ჰგვიან ადამიანს; აი, მაგალითად... დღეს გაიგო ზოგიერთმა, რომ ტირილი ყოფილა სათნო და შეიძლება იტიროს სხვების თანდასწრებით, არა იმიტომ, რომ ცოდვებს განიცდის, არამედ იცის, რომ ეს არის სათნოება და უნდა ამით სხვის თვალში გამოჩნდეს და პატივმოყვარეობის გრძნობა დაიკმაყოფილოს. ხედავთ მზაკვარი ეშმაკი როგორ ნიბლავს ასეთ ქრისტეანს? არის ტირილი, რომელიც ჩვენდა გასაოცრად, სიმთვრალის დროს მოაწვება ხოლმე ადამიანს, არის ტირილი, რომელიც ნაყროვანების დროს იხადება უცებ. ეს არ არის ღვთისაგან, ესაა დემონისაგან. იგი გზიბლავს შენ, რათა ხშირად ჩავარდე ნაყროვანებაში, ამ გზით მიღებული ცრემლი არ არის სინანულის ცრემლი, იგი გარკვეული სახით სულიერი გემოთმოყვარეობაა. არის ცრემლი, რომელსაც ღმერთი ჰგვრის ადამიანს, რადგან აქვს განცდა თვისთა ცოდვათა, აქვს ხსენება სიკვდილისა; მან უკვე მოიპოვა გულის შემუსვრილება, მან უკვე დატოვა დემონების სამეფო და გადავიდა ნათელში... ჟამიდან ჟამად, საფეხურიდან საფეხურზე, ნათლიდან ნათელში მადლდება, როგორც ერთ დროს ანდრია სალონი, როცა ზეციური გამოცხადებით ცანი აჩვენა მას უფალმა, რაც ადრე არ იცოდა. როგორც პავლე მოციქული, როცა ხორცის გარეთ ყოფნა განიცადა მან. სამგვარია ძირითადად, რომ დაეაკონკრეტოთ ცრემლი. არის ცრემლი, რომელსაც ადამიანს ჰგვრის მიწიერი საგანი... მაგალითად, რაღაც ვერ იყიდა, რაღაც ვერ შეიძინა, რაღაცა დაკარგა, მიწიერი საგანი... ეს არაა ღმერთისაგან, ეს არის ცრემლი დემონებისა. არის ცრემლი, რომელსაც ადამიანს ჰგვრის განცდა საკუთარი ცოდვებისა, მამასადავს ხსენება სიკვდილისა და საკუთარი აღსასრულისა, ხსენება საშინელი სამსჯავროსა და დღისა მის განკითხვისა; არის ცრემლი, რომელსაც ადამიანს წეღან ხსენებული გემოთმოყვარეობა და ნაყროვანება ჰგვრის... და ესეც დემონისაგანაა. პირველი და უკანასკნელი ცრემლი არის ფუჭი და უსარგებლო, ხოლო მეორე არის არა თუ უსარგებლო, არამედ უკუნითი უკუნისამდე საშუალება გადარჩენისა და სრულყოფილებისა. ერთხელ, როგორღაც, ერთ-ერთ მონასტერში ისააკ ასური ეწვია პიმენი დიდს. ისხდნენ და სულიერ საგნებზე საუბრობდნენ. პიმენი დიდს ჰქონდა გამოცხადებები. ერთხელ ასეთი გამოცხადების დროს, რამდენიმე საათის განმავლობაში, პიმენი ხელაპყრობილი იდგა განკვირებული. დიდი არსენი, ასევე დიდი მამა, შეჭყურებდა მას. როცა გამოცხადება დასრულდა, პიმენი თავიანდრული ტიროდა. არსენი დაეკითხა: – მამაო, რა იხილე ასეთი საკვირველი? ჰე, ჩემო კეთილო, – ამოიხრა პიმენმა – მე მთელი ეს დრო, რომელიც წამის ყოფად გავიდა ჩემთვის, ვიდექი ჯვართან ყოვლადწმიდა

ღვთისმშობელთან ერთად, ვხედავდი, როგორ ტიროდა ყოვლადწმიდა მარიამი ჯვარზე გაკრულ ძესა და ღმერთსა თვისსა. ღმერთმა მადლი მომგვარა მეცა. ღვთისნიერი ცრემლით აივსო ჩემი სული, გული და გონება.

ღმერთმა ჩვენც მოგვანიჭოს ამგვარი მადლი. არსენი დიდი, ახლახან ჩხენებულები, ერთ-ერთი უსაყვარლესი წმიდანია ყველა ჭკუმატი კრისტიანისა, მართლმადიდებლისა; იგი ისეთივე სახე არის სინანულისა, როგორც პეტრე მოციქული. გამუდმებით ტიროდა არსენი და მაშინაც კი, როცა ბერულ საქმეს აკეთებდა, ჩხარი ეჭირა ხელში და ცრემლებს იწმენდა. ღარები და სიწითლეები გაუნდა ქუთუთოებსა და თვალებზე. მისი ცხოვრების წესი მღვთარება იყო, როგორც ეს უფალმა უბრძანა. მან სამეფო კარი დატოვა, სადაც იმპერატორის შვილებს ზრდიდა. დატოვა ეს ამოება, მატლი და ჩირქი; გაიქცა უდაბნოში, გაშორდა ადამიანებს და დადუმდა; კვირაში მხოლოდ ერთხელ ნახულობდა ადამიანებს, ისიც ტაძარში. ტაძარში წასვლამდე არსენი წინა დღით დაიწყო ღოცვას და მთელი ღამე ღოცვაზე იდგა; მერმე მიდიოდა ტაძარში, იდგა ერთ ამორჩეულ ადგილას, ჩვენსავით წინ როდი იწვედა, როგორც ფარისეული, არამედ მჯიღს იცემდა გულში, ერთ-ერთი სვეტის უკან ამოფარებული ჩრით ხელში და ასე იწმენდა ცრემლს სინანულისას. არსენი დიდმა სულიწმიდის მადლით იგრძნო სიკვდილის მოახლოება, ჩვენ კი გვაეწვევდა ეს ჟამი, რომელიც გარდაუვალია; ამაზე მწარე რა უნდა იყოს. განმარტოვებით თუნდაც ათ დღეში ერთხელ ნახევარი საათით მაინც ანუ ხუთი, ათი წუთით და დაინახავთ, რომ საესე ხართ ჩემსავით ამოუებით, მანკითხვით, შურით, მრისხანებით, ანგარებით, დიდების მოყვარებით, პატივმოყვარებით... დაფიქრდებით და თქვენ შეგრცხვებით, რომ გქვიათ კრისტიანის სახელი. ეშმაკი ამ განზრწნილების საუკუნეში ყველაფერს აკეთებს, რომ ადამიანი, მეტადერე კრისტიანი მარტო არ დარჩეს და არ იფიქროს იმაზე, რაც ყველას თავზეა მოსალოდნელი. მოვალს ის, ვინც არ გინდა, როგორც მაცნოვარი მიმართავს პეტრეს, და გაგიყვანს იქ, სადაც არ გინდა გახვიდე, სადაც არის ღრჭენა კბილთა, დაუძინებელი მატლი.

დაიბარა არსენი დიდმა კრისტესმიერი სულიერი შვილები და უთხრა, რომ ყურადღება მიექციათ მისი სხეულისათვის. ბერებმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს: - „მამაო, გვაპატიე ჩვენ, შემურვა ანუ დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ გვაშების დაბალზამება, არ ვიცით“- „- ნუთუ მე თქვენ შემურვაზე გელაპარაკებით, ნუთუ არ შეგიძლიათ საბელი მიაბათ ჩემს გავს და გადაადგოთ პირველსავე შემსვედრ ნაპრალში? „მამაო, ნუთუ თქვენც, რომელმაც სიწმინდეში და სინანულში განსრულეთ ცხოვრება, გეშინიათ სიკვდილისა?“ - „იმ დღიდან, რაც ბერად აღვიკვეცე კრისტეს სახელით, მართალია, ცრემლი არ შემშრალა ჩემს თვალზე, მაგრამ

მე მაინც ადამიანი ვარ და სასჯელი ღვთისაა და არა ჩემი... ამიტომ განვიცდი ჩემს სიკვდილს...“ და თუ არსენი, რომელმაც სინანულში აღზოცა ცოდათა თვისთა ხელწერილი და განხეთქა, ტიროდა ასე მწარედ, ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ? რამ მომცა საბაბი მელაპარაკა დღეს სინანულსა და ცრემლზე? რამ მომცა საბაბი მელაპარაკა არა მხოლოდ თქვენთან, არამედ საკუთარ თავთანაც, უგულისხმოსთან, უმეტართან და უგუნურთან?

რამდენიმე დღის წინ, ერთი თქვეთაგანის დედას აუუგე წესი. ასე 50 წლისაც არ იქნებოდა; მე მისი აღსარებები მომისმენია. დიდ სინანულში იყო... სიკვდილის წინ წმიდა ზიარებაც მიიღო, ეს ყველაზე დიდი საგზალი საზვერეთსაცავე გასასვლელად. მე ღრმად მწამს, რომ ღმერთმა მიიღო მისი სინანული, მისი ზიარებაც, და როგორც ავაზაკმა, უფლისაგან მარჯვნივ ჯვარზე გაკრულმა, აღზოცა თავისი ცოდვები.

საღამოს მე წამიყვანეს ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც მომაკვდავი მოენათლე, ნიკოლოზი, 6 დღისა. იქ მოხდა სასწაული; ექიმები და ექთნები გაოცებული იყვნენ. მშობლებიც იქ იყვნენ: მამამისი, ძმა და ნათლია. ბავშვი, რომელსაც დაბადებიდან არც ერთხელ თვალი არ გაუხელია, როცა მე ეშმაკის გამოყვანების ღოცვები დავიწვე... და მე კი არ მაქვს ასეთი მადლი ეშმაკის გამოყვანებისა, ძალა აქვს თვითონ ნათლისღების საიდუმლოებას, იმ დიდებულ ღოცვებს, რომელიც სულიწმიდით განბრძობილმა მამებმა დავიგებეს და დავიწერეს კურთხევაში... ე. ი. როცა ეს ღოცვები, ეშმაკის გამოყვანების დავიწვე, ბავშვი შეერთა რამდენჯერმე, სლუკუნის მსგავსი აღმოხდა... ტირილიც კი ვერ შეეძლო ჯერ... ძლიერ იყო დასუსტებული, წვეთოვანი ჰქონდა შეერთებული, ჩაქცევები ჰქონდა. მე მოვნათლე ჰქონის წყალობით, ძლიერ ეჭქარობდი, რომ ემბაზამდე მიედწია, იმითომ რომ კურთხევიანი გვასწავლის: მამაო, ეცადე როგორმე, როცა მომაკვდავს ნათლაე, ემბაზამდე მიადწიოს, ნაკურთხ წყალში ჩასვა და ამოიყვანო სამგზის უფლის სახელზე და თუ ამოვიდა, შენს ხელშიც რომ დალიოს სული, ის უკვე კრისტიანად ითვლება. მან განვლო ემბაზში და მერმე როცა მირონი ვცხე, პირველსავე ცხებაზე, გაახილა თვალები. მე ასეთი ბრძნული თვალები, ასეთი ჭკვიანური, ასეთი სევდიანი არასოდეს მინახავს. გადმოხედა, როგორც ძალიან დიდმა ადამიანმა, სევდით. ეს არ იყო მიწიერი სევდა, ეს იყო სევდა თითქოს იმ ზეციური წიაღის... აი, იმის მონატრებისა, საიდანაც უფალმა მოავლინა, არსება მიანიჭა და შთაუღო გვაში ეს სული. აქ იყო სიბრძნე რალაცნაირი ღმერთშემოსილი ადამიანისა, და მართლაც, ეს იყო გამოხედვა ნეტარი ადამიანისა, - არა უბრალოდ ადამიანისა, არამედ წმიდანისა. მერე... მოგვიანებით, მე მას წესი აუუგე, და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვილის წესის აგება, სრულიად განსხვავებულია, სულ ნეტარად იხსენიება. რა ჰქონდა ცოდვები? იკითხავთ, რატომ იყო

საჭირო მონათვლა? მას ჰქონდა მემკვიდრეობითი ცოდვები, რომლისაგანაც განიბანა, განიწმიდა და წარსდგა უფლის წინაშე, როგორც ანგელოზი ღვთისა, როგორც მარადიული მეოხი მიწიერი საქართველოსათვის და საკუთარი ოჯახისა და მშობლებისათვის, შვილებისათვის, რომლებიც მის მშობლებს ალბათ ღვთის მადლით კიდევ მიეცემა. იგი პირველი შვილი იყო. როგორი ტკივილი იყო მამისათვის... დედას ვერც გაუხსილეს. რატომ გიყვებით ასე დაწვრილებით... განიცადეთ, თქვენც შვილები გყავთ; თითოეული ჩვენგანის შვილიც შეძლო უფალს წაეყვანა იქ, სადაც ანგელოზები უფალს ოსანას უგალობენ, მაგრამ ჩვენ დაგვიტოვა არა იმიტომ, რომ ეს ჩვენ რაღაცით დაეიმსახურეთ... მოვიგონოთ ჩვენი ცოდვები, რომლებიც თანა გვექონდა თუნდაც ურთიერთთანაცხოვრებისას, როცა ჯერ კიდევ ბავშვი მუცლად იღო მეუღლემ, მოვიგონოთ ცოდვები, რომლებიც მანამდე და შემდეგ ჩავიდინეთ; მოვიგონოთ ის სიამაყე, ამპარტყენება, როცა შვილი გვეყოლა და ჩვენს თავს დავაბრალეთ ეს და არა ღვთის წყალობას, მოვიგონოთ რა უმადურები ვიყავით, რომ აი, როგორც ამ ორმა ბრძამ, რომლის შესახებაც დღეს წავიკითხეთ და იმ ათ კეთროვანთაგან ცხრამ, მადლობაც კი არ ვუთხარით უფალს, იმ დიდი წყალობისათვის, რამეთუ შვილიერება, როგორც მოციქული პავლე გვასწავლის, არის დიდი წყალობა.

მონდა კიდევ ეს საოცრება; სხვათა შორის, მორიგე ექიმი იქ იყო, იუზიდი, მე მასში დავინახე დიდი სიყვარული თავისი პროფესიის მიმართ, დიდი ადამიანობა, დიდი თანაგრძნობა. ჯერ ერთი, მან დაუშვა, რომ შესულყო იქ მღვდელი და მოენათლა. ამას ყველა ექიმი როდი დაუშვებს. მომეწონა მისი თვისებები და გავესაუბრე; პატარა ქადაგებაც კი ვთქვი ექიმებთან, რომლებიც ჯერ გულგრილად შემხვდნენ და მერე სასოებით პირჯვარს იწერდნენ. მე მგონი, ეს ყველაფერი მათთვისაც მონდა და არა მხოლოდ იმ ყრმისა და მშობლებისათვის. იმ იუზიდმა დასძინა, სახლში ჩვენ გვაქვსო წმ. გიორგის ხატი. მე მას აუხსენი, რომ მზესა და ვარსკვლავებს კი არა, თვითონ შემოქმედს უნდა სცეს თავყვანი. მიიღო ეს სწავლება მან. მართალია, მან პირჯვარის გამოსახვაც კი არ იცოდა, მაგრამ თავყვანსა სცემდა წმ. გიორგის და ილოცვიდა ღმერთს, როგორც კორნილიე, რომელიც არ იცნობდა მამას, ძეს და სულიწმიდას, ღმერთმა შეიწირა მისი მოწყალება და მარხვა, ინება, რომ თვით მოციქულთა თავთა, პეტრესაგან მონათლულიყო როგორც კორნილიე, იხე მთელი მისი ოჯახი და ახლობლები. ერთი სიტყვით, ოთხშაბათს, გათენებისას გარდაიცვალა ის ბავშვი. რა მონდა კიდევ იქ... როგორც კი მოვრჩი ნათლობას, ყველა იქ მყოფმა ბავშვმა დაიწყო რაღაც ტირილის მსგავსი სლუკუნი, ზოგმა ხველება. გაოცდნენ, მივარდნენ... რა მონდა, ასეთი არაფერი მომხდარა, პირველია ჩემს პრაქტიკაში, თქვა ექიმმა. გული მეუბნებოდა, მოდი

აიაზმე ასხურე... მაგრამ მეორეს მხრივ მეშინოდა, მშობლებმა არ იფიქრონ მონათლულნი არიან და აღარ წაიყვანებენ მოსანათლავად მეთქი. შეიძლება ვცდები, მე ხომ წინასწარმეტყველი და წმიდა მამა არა ვარ. თითქოს ის ბავშვები წამოსვლის წინ მეხვეწებოდნენ: ჩვენც, ჩვენც მოგენათლეთ... მაგრამ მე ვერ გაუბეღე აიაზმის ჰკურებაც კი იმის გამო, რაზედაც უკვე მოგახსენეთ. მე ექვსი, შვიდი ყრმისათვის ამიგია წესი, მომაკვდავი ყრმა მიზიარებია, მდიდარი, ღარიბი... და იცით, რა თანდათან, ღვთის მადლით შემოვა ალბათ, თუ არ შემოსულა რაღაცნაირი სევდა. ეს არ არის მიწიერი სევდა. ეს არის სევდა იმქვეყნიური, როცა არ გინდა აქ ცხოვრება იმიტომ კი არა, რომ სასოწარკვეთილი ხარ, იმიტომ კი არა, რომ მიწიერი პატივმოყვარეობა ვერ დაიცხრე, არამედ იმიტომ, რომ მიხვდი, თუ რატომ ხარ აქ, აქ ხარ იმიტომ, რომ შეიგონო ტკივილებით, ცრემლით, წუხილით, ტრაგედიებით, კატაკლიზმებით, ღვენით, სიყვარულით, განშორებებით, შეიცნო ერთი რამ მხოლოდ, რომ არსებებს ღმერთი, ცისა და ქვეყნის შემოქმედი, ანგელოზთა და კაცთა დამბადებელი, შეიცნო, რომ მიწა არის მხოლოდ იმ პატარა ბილიკის მონაკვეთი, რომელმაც იმ დიდ გზაზე უნდა შეგაყენოს, რასაც მარადიული ცხოვრება ჰქვია და სადაც უფალი ყველა გამართლებულ ცხოვარს მოისვამს მარჯვენით და გაუნაწილებს კრავის ანუ უფლის დიდებას. აი ეს განდა სტიმული იმისათვის, რომ მე ჩავეარდინილიყავი ერთგვარ სინანულში. ეგებ ამას, როგორც მოძღვარი, არ უნდა ვამბობდე... მაინც ვიტყვი: გამოფიტული ვიყავი, გადაღლილი, და მე ღმერთს ვევედრებოდი მოეხდინა რამე ისეთი, რაც გამომაფხიზლებდა... შევესწარ რამდენიმე გარდაცვალებას. მე ხომ მივიღე მცირე სინანული; მინდა თქვენც გაგინაწილოთ ის, მინდა მოგაგონოთ, რომ თქვენც სიკვდილის შვილები ხართ და თუ ღმერთი არ დაერიდა ყრმას, ნუთუ იგი რომელიმე თქვენგანს მოერიდება? დიდება უფალს ყველაფრისათვის. მან იცის, ვინ, რატომ, როდის, სად და როგორ გაიყვანოს. ანტონი დიდი ვახსენეთ შესავალში. ანტონი დიდი ახალგაზრდობში, ჯერ კიდევ გამოუცდელი, ერთხელ დაჯდა და იფიქრა: „ღმერთო, რატომ ხდება რომ ზოგჯერ ჩვილს ამოხდი ხოლმე სულს, ბოროტი კი დიდხანს ცოცხლობს, დღეგრძელია, მდიდარია და ა. შ...“ და რაღაც ეჭვები დაეწყო სარწმუნოებაში, გაცოცხლა იგონო გულისა. ღმერთმა არ გასწირა, ეჩვენა ანგელოზი უფლისა და უთხრა: „ანტონი, ნუ ფიქრობ იმაზე, რასაც ადამიანური გონება მიწაზე ვერასოდეს ვერ მისწვდება, რასაც ვერ ჩასწვდებიან თვით ზეციური ქერაბინ-სერაბიმები, ძალნი და საყდარნი; ერთი რამ დიდი სიბრძნე და სწავლება მოგცა შენ და ყველა წმიდა ადამიანს ღმერთმა: იტირე, იტირე, იტირე... შენი ცოდვები“. მოგაგონდებათ ალბათ ძველი აღთქმიდან, როცა პირველად ადამ და ევა დაეცა, ღმერთმა ცრემლსა

და სინანულში აღუთქვა მათ არათუ მხოლოდ სამოთხეში დაბრუნება, არამედ ცათა სასუფეველში შესვლა, სადაც თვით ზეციური სერაბინ-ქერუბიმები ვერ ხედევენ უფლის დიდებას, მხოლოდ მარადიულ დიდებას აღაველენენ მის წინაშე: „წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, შენ უფალო საბაოთ.“

დაეუბრუნდეთ ისევ წმიდა მამებს. ერთმა წმიდანმა, ჰქონდა რა კადნიერება, ლოცვაში ითხოვა: „ღმერთო მაღალო, უკეთუ ჩემი ცხოვრებისათვის გსურს, მიჩვენე როგორია აღსასრული ცოდვილისა, როგორც მე ვარ და როგორია აღსასრული მართლისა?“ კაცთმოყვარე უფალმა გამოცხადებით უბრძანა წასულიყო ამა და ამ ქალაქში და დასწრებოდა ერთი ბერის სიკვდილს, რომელსაც ჰქონდა დიდი სახელი ჩვენსავე, მაგრამ ხენეში, ბოროტი საქმეები - ფარულად. აი, გაეხსნა სულიერი ხედვა ამ მამას... და რას ხედავს. საყდრიდან გამოვიდა კურთხევა და ბრძანა ტარტაროზის მიმართ ჯოჯოხეთისა, სადაც ცეცხლოვან და მრისხანე ანგელოზს უბრძანა ტანჯვით ამოეხადა სული ამ ბერისათვის. სტანჯე და გვემე მისი სული სხეულში. რამეთუ მან ერთხელ არ განიხენა დედამიწაზე, ეძებდა ადამიანთაგან ქებას, დიდებას, პატივმოყვარეობას, მაგრამ შეაწუხა სული ჩემი წმიდა, ამიტომ ტანჯვით ამოხადა სული და მერმე შთააგდე გენიაში ჯოჯოხეთისა. მართლაც, ერთხანს აწამებდა ეს სატანის ანგელოზი და მერმე შთასხია სული მისი ჯოჯოხეთში. შეძრწუნდა ეს ბერი, ცრემლი მოჰკვარა ამ საშინელებამ. იგივე ხმამ გაუმეორა, ამა და ამ ქალაქში მისულიყო, ამა და ამ ქუჩაზე, სადაც ნახავდა ერთ გლახაკს, რომელიც იყო სხეულდაწყულულებული, ჩირქით საესე, უმოწყალოდ დაგდებული. ყინვაში უპატრონოდ, ადამიანური ენით რომ ვსთქვათ, სულს დაფავდა. მოდით, ენახოთ ახლა, რა ხდებოდა: იხილა კვლავ სულიერი ხილვით ამ მამამ გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზნი გარდამოხდნენ ზეცით და ერთი მიუჯდა ამ საწყალს მარჯვენით, მეორე კი - მარცხენით. ისინი ევედრებოდნენ, რომ სული მისი განეტევივნა ზორციდან. ე. ი. სულს აქვს უნარი ამოვიდეს, მეტადრე თუ უფლის კურთხევა აქვს, მაგრამ მან არ ინება ამოსვლა. მაშინ მიქაელმა ცოტა ხნის შემდეგ უთხრა გაბრიელ მთავარანგელოზს: „მოუწოდე სულსა მაგის წმინდანისასა და წავიყვანოთ ცათა სასუფეველში. არა, - ეტყვის გაბრიელ მთავარანგელოზი, - ჩვენ ღმერთმა გვიბრძანა, რომ მართალმა თავისი ნებით ჩაგვაბაროს სული, ბოროტს კი ძალით ამოხდეს სატანჯველით... და მაშინ მიქაელ მთავარანგელოზი აღაველენს მშვენიერის ხმით ლოცვას: „უფალო ჩვენო, და ღმერთო ჩვენო, ქრისტე იესო, შემოქმედო ცისა და ქვეყანისაო, უბრძანე სულსა ამის მართლისასა, რათა აღმოიწოდეს ზორციდან და ჩაგვაბაროს ჩვენ, რათა მოგართვათ ზეციური მეუფის დიდების წინაშე. მოისმა ხმა: „მე მოვაველენ წმიდა დავით მეფსალმუნეს, წმიდა

ანგელოზთა გუნდსა და გუნდს, რათა უგალობონ, აღიდონ...და მერმე ისე დასტკებება სული, რომ როგორც სირი ბუდიდან, ისე ამოფრინდება ზორციდან. განიცადეთ დანო და ძმანო, რომ ჩვენ ყველას როდი გველის ასეთი აღსასრული. ბერს ჩვენგანს და ბერს გარეთ, სამწუნაროდ, საშინელი სიკვდილი გველოდება; მართლაც განიხენა ცანი და გარდამოხდა დავით მეფსალმუნე. იგი ქნარზე ამღერებდა ფსალმუნებს და აღიღებდა: - ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა... ანგელოზები ბანს აძლევდნენ მის გალობას. სული ისე დატკბა, რომ მართლაც, როგორც სირი ანუ ჩიტი ისე ამოფრინდა და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხელში შთაფრინდა. გალობითა და დიდებით მიიყვანეს მათ სული დიდების წინაშე; გზადაგზა გუნდი ანგელოზებისა ხვდებოდა მათ გალობით და აცილებდა. აი როგორი იყო სიკვდილი მართლისა. მოდით, ჩვენც, დანო და ძმანო, მივბამოთ წმიდანებს სიგლახაკით, სიმდაბლით. სწორედ ამიტომ არის, რომ ელეონის მთაზე უფალმა პირველად ახსენა: ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათია სასუფეველი ცათა. მერმე ამას მოსდევს მეორე ნეტარება: ნეტარ იყვენენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ ისინი ნუგეშინისცემულ იქნენ. შემთხვევით დაადგინა უფალმა პირველი, მეორე, მეცხრე ნეტარება? არა, რა თქმა უნდა, აქ უფალი არათუ სობრძნეს გვაძლევს, არამედ გვიხსნის კიდევც, გულითადი ტირილი ანუ წუწილი საკუთარი ცოდვების გამო და მერმე ნუგეშინისცემა რას მოსდევს?.. მოსდევს სულის სიგლახაკე. ვინც არ ეცდება დედამიწაზე სიმდაბლეს ანუ სულის სიგლახაკე მოიპოვოს, ის არასოდეს არ მიიღებს ცრემლს... და თუ არ მიიღებს ცრემლს, რითი მოულობს გულს უფალ ღმერთს, როცა განკითხვის დღე დაუდგება? ერთსაც გეტყვით წმიდა მამებიდან, ამას მოგვითხრობს დიმიტრი როსტოველი და ამით დავასრულებ ჩემს საუბარს, ბევრისათვის ალბათ დამამძიმებელს, მაგრამ მამხილებელს.

ერთ-ერთმა ერისკაცმა, ჩავარდა რა სინანულში, დაინახა რა ამა ქვეყნის ამაოება, სიცრუე ამ ცხოვრებისა, მიატოვა ყველაფერი, ერთ-ერთ უდაბნოში წავიდა და იქ დაეყუდა. მიეცა ტირილს და ცრემლს საკუთარი ცოდვების გამო, ისე, რომ ზოგჯერ თითქმის უსასობამდე მიდიოდა. ღმერთმა, რომელიც არავის არ გასწირავს, კაცთმოყვარემ და სამართლიანმა მსაჯულმა ინება, რომ ამ ბერისათვის ნუგეში ეცა და აი მას ლოცვაში ეჩვენა სამღვდლო შესამოსელით, რამეთუ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის მღვდელმთავარი მეღქმისედევის წესით და ხელში უყურია წმ. ბარძიმი. იხილა რა ამ მამამ უფალი, ჯვარი გადაისხა, დარწმუნდა; რომ ეს დიდება უფლისა და თვით უფალი გამოეცხადა, დავარდა, თაყვანი სცა, შეუვარდა, მოეხვია ფეხებზე როგორც ერთ დროს მარიამ მაგალინელი ეცადა მოხვეოდა ფეხებზე აღმდგარ ქრისტეს, როგორც ერთ დროს სიმონ კეთროვანის სახლში მეძავე ცოდვილი დედაკაცი ატირდა მწარედ და

„ამ ბარძიმში, – მიუგო უფალმა – არის ცრემლი იმ მუძავის ცოდვილი დედაკაცისა, რომელმაც სიმონის ხანში დიდ ხუთშაბათს ცრემლით დამბანა ფეხი და თმებით წარმხოცა, მირონი მცხო“. როგორც წმ. ეფრემ ასური ამბობს, ამით იმ დედაკაცმა საკუთარი ნათლისღება, ნათლობა აღასრულა, სადაც წყალი ემბაზისა მისთვის იყო საკუთარი ცრემლი და მირონი.

მაშ ასე, ამ ბარძიმში არის ემბაზის წყალი ანუ ცრემლი იმ დედაკაცისა, რომელმაც მიიღო მირონი სხვაგვარი. მან მოიტანა კეთილსურნელება, მირონად წოდებული; უფალმა მას მიანიჭა მირონი უაღრესი და უპირატესი: „წადი დედაკაცო და გეპატიოს ცოდვები“. აი, ეს იყო კეთილსურნელოვანი მირონი. მოდით, დანო და ძმანო, ჩვენც იმ მონანულ დას, ჩვენც იმ ცოდვილ და მეძავ

დედაკაცს, ცოდვებით დამძიმებულს, მივემსაგვსოთ; სინანულით შევეკრდეთ უფალსა და ცრემლებით ვსთხოვოთ, რომ როგორმე ოღესღაც, როცა ის საღვთო ლიტურგიას მარადისობაში აღასრულებს უკუნიითი უკუნიისამდე, იმ ბარძიმში ჩვენი ცრემლი, ჩვენი მწუხარება, ჩვენი ტირილი ზეციური სასუფეველისა და უფლის მიმართ ჩაუშვას, რათა ხსენებულ წმიდანებთან და დედა ღვთისასთან ერთად უკუნიითი უკუნიისამდე გადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ამინ.

1990 წ.

წმ. პეტრე-პავლეს ეკლესია

14 (27) იანვარი

სხენება მოციქულთა სწორისა, ქართველთა განმანათლებელისა, წმიდისა დედისა და ქალწულისა ნინოსი

ტროპარი: სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო, და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებელო, და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი: მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, გადაგი სიტყვისა ღვთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმათლისათა, დედისა ღვთისა საკუთარი მოწაფე ნინო შევამკოთ დღეს ყოველთა გრძნობითა საღმრთოთა, მეოხი მხურვალი, მცველი დაუძინებელი.



მწვალებელსა კაცსა განეშორე (ტიტუს მიმართ 3,10)

სექტანტების საწინააღმდეგო მართლმადიდებელი კატეხიზმი¹

თავი მეექვსე

ხელითქმნილი სიწმიდეების შესახებ

კითხვა: საღმრთო წერილში ხელითქმნილი საგნები იწოდება თუ არა სიწმიდედ?
პასუხი: იწოდება. წინასწარმეტყველ ეზეკიელის და სოფონიას წიგნებში ძველი ტაძარი საღმრთისმსახურო კუთვნილებებთან ერთად ცხადად არის წოდებული „სიწმინდედ“ (ეზეკ. 22,26. სოფ. 3,4).

კითხვა: რა მიზნით იქმნება ხელითქმნილი სიწმიდეები?
პასუხი: ღმრთის სადიდებლად, და მორწმუნეთა სულიერად დასამოძღვრად. ამის შესახებ დავით მეფესალმუნე ამბობს: „ტაძარსა წმიდასა მისსა თქუას ყოველმან ვინ დიდება მისი“ (ფს. 28,9). სხვა ფსალმუნში: „ერთი ვითხოვე უფლისაგან, ესევე ვითხოვო დამკვდრებად ჩემდა სახლსა და ვკსსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ხილვად ჩემდა შუენიერება უფლისა და მოხილვად ტაძარი მისი“ (ფს. 26,4; 28,2).

პასუხი: როგორ შეეუთანხმოთ ერთმანეთს ახალი აღთქმისეული მსახურება ღმრთისა „სულითა და ჭეშმარიტებითა“ (იოანე 4,23) და ხელითქმნილი სიწმიდეების წინაშე მსახურება?

პასუხი: რა ამოწმებს ეკლესიის მიერ განმარტებულ იესუ ქრისტეს მოძღვრების – ღმრთისადმი სულიერი მსახურების შესახებ – სისწორეს?

პასუხი: ეკლესიის მიერ განმარტებული მოძღვრების ღმრთისადმი სულიერი მსახურების სისწორეს ამოწმებს იესუ ქრისტესა და მოციქულთა მაგალითები. უფალი ჩვენი ქვეყნიური ცხოვრების დროს მუხლებზე სისხლის გამოდენამდე ლოცულობდა. (მათე 26,39), ლოცულობდა არა მარტო სულით, არამედ გარეგნულადაც, სხეულის ხილული მოძრაობებით. მოციქული პავლე ლოცულობდა ხელითქმნილ ტაძარში (საქმე 2, 17). მაშასადამე, ღმრთისმსახურების ხილული წეს-ჩვეულებანი ხელს არ უშლიან ღმრთის სულიერ მსახურებას.

კითხვა: არ ანელებს გარეგნული ღმრთისმსახურება შინაგანს, სულიერს?
პასუხი: არაავითარ შემთხვევაში, პირიქით, უფრო ძლიერად გამოაჩენს. როცა ხორციელად ვცდილობთ ხელითქმნილი სიწმიდეების წინაშე, სულით ადვილობით ღმრთის საბრძანებელთან. ხელითქმნილი საგნები გვეხმარება ვიფიქროთ ღმრთის შესახებ და ვვედროთ მას (ფს. 28,9).

§ 1. ხელითქმნილი ტაძრების შესახებ

კითხვა: როგორ გაჩნდა დედამიწაზე ხელითქმნილი ტაძრები ღმრთისა?
პასუხი: თვით უფალმა ბრძანა მათი მოწყობა. დასაწყისში მოსეს მორავი კიდობნის სახით, შემდეგ კი სოლომონისა და ზორობაბელის ტაძრებით (გამოსვლ. 25; 3 მეფ. 6,12; ანგია 1,8).

კითხვა: ხომ არ გაუქმდა ხელითქმნილი ტაძრები ახალ აღთქმაში?
პასუხი: არა. უფალი იესუ ქრისტე ასე გვასწავლის ხელითქმნილი ტაძრების შესახებ: „რომელმან ჰფუცოს ტაძარსა, ჰფუცავს მას, და რომელი დამკვდრებულ არს მას შინა“ (მათე 23,21). მოციქული პავლე ხელითქმნილ ტაძარში ლოცულობდა (საქმე 22,17). აქედან ცხადია, რომ ახალი აღთქმა არ უარყოფს ხელითქმნილ ტაძრებს.

კითხვა: რატომ თქვა მაცხოვარმა ზორობაბელისეულ ტაძარზე, რომ „არა დაჰშთეს აქა ქუა ქუასა ზედა“ (რომ იგი დარღვეულ იქნება) (მათე 24,2)?

პასუხი: ძველი ტაძარი ნამდვილად დარღვეულ იქნა ებრაელთა ცოდვების გამო. მაგრამ ღმერთმა განაცხადა, რომ ტაძრები მიწაზე მარადიულად იქნება (3 მეფ. 9,3; ეს 56,7) მოციქული პავლე წერს, რომ ბოლო დროს როცა მიწაზე ხილული ტაძრები იქნება, მოვა ანტიქრისტე „შეიდი იგი წარსაწყმედელსა“ (2 თეს. 2,3).

კითხვა: ეთანხმება თუ არა მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენა იმაში, რომ უფალი სუფევს ხელითქმნილ ტაძრებში, მოციქულთა სიტყვებს, რომ „არა თუ მაღალი იგი ხელით-ქმნილთა ტაძართა შინა დამკვიდრებულ-არს?“ (საქმე 7,48)

პასუხი: სრულიად ეთანხმება. ღმერთი, როგორც ყველგან მყოფი სული, მთელ სამყაროს ალავსებს თვისით (ფს. 138,7-12). ის არ არის ჩაკეტილი ტაძრებში, როგორც წარმართები ფიქრობდნენ (დან. 14,3-22), მაგრამ ყველგან ყოფნით ღმერთი ხელითქმნილ წმინდა ტაძრებშიც სუფევს. ამის შესახებ თვით უფალი ემოწმება წინასწარმეტყველ ესასიას: „უფალი მაღალი, მაღალთა შინა დამკვდრებელი, საუკუნე-წმინდაი წმინდათა შორის. სახელი მისი უფალი მაღალი წმინდათა შორის განსუენებული და სულმოკლეთა მიმცემელი სულგრძელებისა და მიმცემელი ცხოვრებისა შემოსრვლითა გულითა“ (ეს. 57,15).

უფლის სიტყვებიდან ცხადია, რომ ის დამკვიდრებულია ზეცაში, ღვთისმოსავ ადამიანებში, მაგრამ ამავე დროს „დამკვდრებულ-არს“ ხელითქმნილ ტაძრებში (მათე 23,21). ამიტომ მართლმწმუნე ქრისტიანები მოკრძალებითა და სასოებით უნდა ლოცულობდნენ ტაძრებში.

კითხვა: როგორ გავიგოთ ის, რომ მოციქული პავლე ქრისტიანებს ღმრთის „ტაძრებს“ უწოდებს (1 კორ. 6,19)?

1. გაგრძელება.

პასუხი: ღმერთი არის სული (იოანე 4,24), ის დავანებულია მორწმუნეებში (1 კორ 6,19) ე. ი. ქრისტიანები სამართლიანად იწოდებიან ღმერთის სულიერ ტაძრებად. სალოცავად ქრისტიანები გროვდებოდნენ განსაკუთრებულ შენობებში ანუ ხელთქმნილ ტაძრებში (საქმე 3,1; 20,8) და ამიტომ ასეთი ხილულ, ნივთიერ ტაძრებში ახალი აღთქმის სწავლების თანახმად, სულიერ ტაძრებს სრულიად ეთანადება.

კითხვა: როგორ მონდა, რომ საიდუმლოთა მკვრეტელმა დაწერა „გამოცხადებაში“: „ტადარი არა მიხილავს“ (გამოცხ. 21,22)?

პასუხი: ტადარი ნამდვილად არ იქნება მაშინ, როდესაც ახალი ცა და ახალი ქუეყანა შეიქმნება (გამოცხ. 21,1). მაშინ თვით უფალი ყოვლისმპყრობელი შეგვიცვლის ხილულ ტადარს (გამოცხ. 21,22). მაგრამ სანამ არსებობს ეს ქუეყანა, მასზე მარადიულად იარსებებს ხელთქმნილი ტაძრებიც (3 მკფ. 9,2; 2თესალ. 2,4).

კითხვა: რას ნიშნავს სიტყვა „ხატი“?

პასუხი: ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახეს, გამოსახულებას, ამ სახელწოდებით აღინიშნება მართლმადიდებელ ეკლესიაში ღმერთის გამოსახულება, მისი წმიდა ანგელოსებისა და წმიდანებისა.

კითხვა: ვისი ბრძანებით (ნება-სურვილით) და როდის შემოიღეს წმ. ხატები?

პასუხი: ხატების თაყვანისმცემად დასაბამს იღებს ძვ. აღქმაში. თვით უფალმა უბრძანა მოსეს გაეკეთებინა აღთქმის კიდობანი, ოქროს ქერუბიმები და სპილენძის (რუალის) გველი (გამოსხ. 25, 10, 18; რიცხ. 21, 8, 9).

კითხვა: რა დანიშნულება ჰქონდა ძველად წმ. ხატებს?

პასუხი: აღთქმის კიდობანი თვით ღმერთს მოაგონებდა ადამიანებს, რომელიც მეუფებდა სამყაროზე. (რიცხ. 10,33-36) სპილენძის გველი საიდუმლოდ ჯვარცმულ ქრისტეზე მიანიშნებდა (იოანე 3,14). ქერუბიმთა გამოსახულებანი კი ღმერთის ძალის მატარებლებზე – წმ. ანგელოსებზე აუწყებდნენ ადამიანებს (ეზექ. 9,3).

კითხვა: რა დრომდე არსებობდა ძველი გამოსახულებანი ანუ ხატები?

პასუხი: „პირველისა მისდა კარვისა აქუნდა წესი... ვიდრე ეამდმდე განგებისა მის მოწვევადისა“ (ებრ. 9,8, 10),

კითხვა: ხომ არ აიკრძალა ახალი აღთქმით წმ. გამოსახულებანი?

პასუხი: არა. ახალ აღთქმაში ისინი მხოლოდ უნდა „გამოსწორდნენ“ („შესწორდნენ“) (ებრ. 9,10) ისინი ახლა მომარჯვებულია სახარების მოძღვრების უკეთ გადმოსაცემად. ძველ აღთქმაში სკინიის აღმშენებლები ვერ შედავდნენ ღმერთის სახეს (2 სჯ. 4,15) და ამიტომაც არ ჰქონდათ ღმერთის ხატება. ახალ აღთქმაში ქრისტეს ეკლესიის დამყარებისას ღმერთმა თავი გამოუცხადა ადამიანებს. წინასწარმეტყველ დანიელის ჩვენების საფუძველზე მამა ღმერთი გამოიხატება, როგორც „ძველი დღეთა“ (დან. 7,9), ქრისტე მაცხოვარი – შედარებით ახალგაზრდა (დან. 7,13) და ჯვარცმული (იოანე 3,14), სული წმიდა – მტრედის სახით (მათე 3,16).

კითხვა: რატომ უფრო ცხადად და დაწვრილებით არ არის ლაპარაკი ახალ აღთქმაში წმ. ხატების შესახებ?

პასუხი: იმიტომ, რომ ახალი აღთქმის წიგნებში მხოლოდ ძირითადი კანონმდებლობებია გადმოცემული. ყოველივეს შესახებ ნათქვამია ნაწილობრივად და ძალიან მოკლედ და ზოგიერთი რამის შესახებ კი მხოლოდ მითითებულია (1 პეტრე 5,12, 2 თესალ. 2,5). ახალ აღთქმაში არ არის განცხადებული მაგალითად, როგორც წესით აღვასრულოთ ნათლისღება, ზიარება, ქორწინება და სხვა საიდუმლოებანი – როგორი სულიერი საგალობლები იგალობონ ქრისტიანებმა (კოლ. 3,16) და რომელი დღესასწაულები აღნიშნონ.

კითხვა: როგორ გამოსახულებებს კრძალავს უფალი სასტიკად საღმრთო წერილში?

პასუხი: ცრუ ღმერთების გამოსახულებებს – იდეალების ან კერპების (გამოსხ. 20, 4,23; დან. 14) გამოსახულებებს. ძველი ადამიანისათვის ეს უსულო კერპები ღმერთს წარმოადგენდა, ამიტომ ისინი განსაკუთრებით სძაგს უფალს.

კითხვა: შეიძლება თუ არა მუხლთა დრეკა (თაყვანისცემა) წმ. ხატების წინაშე?

პასუხი: თვით ღმერთი გვაკვლავს ამას. ძვ. აღთქმაში ისუ ნავეს ძე „დავარდა ქუეყანასა ზედა პირსა ზედა თვსასა წინაშე უფლისა მიწუხრამდე“ (ის. ნავ. 7,6). მეფსალმუნე დავით წინასწარმეტყველი თაყვანს ცემდა უფლის წმ. ტადარს (ფს. 137, 2; 26, 4) მაშასადამე, ქრისტიანებმა უნდა სცენ თაყვანი წმ. ხატებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააღმერთონ ისინი.

კითხვა: რატომ ანთებენ კანდელს ხატის წინ?

პასუხი: კანდელი სულიერად ჩვენი სარწმუნოების სიცხოველეცა (სითბოსა) და ჩვენი სულის წვას აღნიშნავს ღმერთის წინაშე. წინასწარმეტყველ მოსეს თვით ღმერთმა უბრძანა წმ. გამოსახულებების წინ კანდელის ანთება (გამოსვლ. 27, 20, 21). ახალ აღთქმაში, კერძოდ, „გამოცხადებიდან“ ვეებულობთ, რომ ზეციური სულების მიერ ღმერთისმსახურებას თან სდევს კანდელების წვა (გამოცხ. 4,5). ქრისტიანებს კი ებრძანებათ მიბაძონ ზეციურ მკვიდრთ (კოლ. 3,2), ამიტომ მართლმადიდებელი ღვთისმსახურებისას ინთება კანდელები.

§ 3. პატიოსანი ჯვრის თაყვანისცემის შესახებ

კითხვა: რა მოსაზრებით სცემს თაყვანს მართლმადიდებელი ეკლესია პატიოსან ჯვარს?

პასუხი: წმ. ეკლესია ჯვარის თაყვანისცემას ამყარებს საღმრთო წერილის შემდეგ მითითებებზე. მოციქულთა ეპისტოლეებში ქრისტე იწოდება „შესაწირავად“ (ებრ. 9,28). მართლმსაჯული ღმერთის წინაშე ადამიანთა ცოდვების გამო თავისი მოწამებრივი მსხვერპლი ქრისტემ ჯვარზე მოიტანა. მაშასადამე, ჯვარი არის ქრისტიანული „საკუთრებელი“, რომელიც მოგვცა ჩვენ (ებრ. 13, 10).

მეორე მხრივ – როდესაც ამქვეყნად მოვიდა, ქრისტემ სიმართლე მოიტანა ანუ გამართლება ადამიანისა ღმერთის წინაშე (რომ. 3,22,25). ეს ჩვენი გამართლება მან ჯვარზე ენებით აღასრულა. ამგვარად, ჯვარი „კურთხეულ არს ხე, რომლითა იქმნებთან სიმართლე“ (სიბრ. სოლ. 14,7).

მესამე – ჩვენთვის, ქრისტეანებისათვის ჯვარი არის ხსნის, გადარჩენის „ნიშანი“, რომელსაც აღმართავთ ტაძრებში და ჩვენს სახლებში, რათა გარეგნულად განსხვავდებოდეს თათართა მეჩეთებისა და ურწმუნოთა სახლებისაგან (რიცხვ. 21, 8, 9; იოანე 3,14). ხილული ჯვარი მოკვავონებს სწორედ იმ სულიერ ჯვარს, რომელიც უნდა ვიტვიროთ ცხოვრებაში, მაცხოვარის მცნებების მიხედვით (მათე 10,38).

ვიფიქრობთ რა ქრისტეს ჯვრის ასეთ თვისებებზე, ჩვენ მას თავყვანს ვცემთ, როგორც ქრისტეანულ საკურთხევებს, რომელიც საღმრთო წერილის მიხედვით არის „წმიდა წმიდათა“ (გამოსვლ. 29,37), როგორც „კურთხეული ხე“, რომლის გზითაც გამოჩნდა მიწაზე ღმრთის სიმაღლე, და როგორც ხილული ნიშანი ქრისტეში ჩვენი ხსნისა.

კითხვა: მოციქულთა სწავლება ეთანხმება თუ არა ქრისტეს ნივთიერი ჯვრის თავყვანისცემას?

პასუხი: ეთანხმება. მოციქული პავლე წერს: „ხოლო ჩემდა ნუ იყოფინ სიქადული, გარნა ჯუარითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამო ჯუარცმულ-არს, და მე სოფლისა“ (გალ. 6,14).

კითხვა: რატომაა აუცილებელი ვიფიქროთ, რომ სწორედ ხილული ჯვრით, როგორც ქრისტეანთა ნიშნით, იქებინ მოციქული?

პასუხი: ასე უნდა ვიფიქროთ იმიტომ, რომ „ქრისტეს ჯვრად“ საღმრთო წერილში იწოდება ხის ჯვარი. მაგალითად, „... მსდგეს ჯუარსა მას თანა იესოსა დედა მისი, და დაი დედისა...“ (იოანე 19,25).

კითხვა: რა მიზნით ვცემთ თავყვანს ქრისტეს ნივთიერ ჯვარს?

პასუხი: როდესაც ჯვარს სცემენ თავყვანს, მართლმადიდებლები მუხლს იყრიან ქრისტეს ენებების წინაშე, რომელიც მან ჯვარზე დაითმინა. მსგავსად ამისა, ძველად ღვთისმოსავი ადამიანები ამბობდნენ: „შევიდეთ საყოფელთა მისთა (ღმრთისა), თავყვანის ესცემ ადგილსა, სადა დადგეს ფერხნი მისნი“ (ფსალ. 131,7). ეს მორწმუნე ადამიანები თავყვანს სცემდნენ ერთ ღმერთს, მაგრამ ისინი მუხლს იყრიდნენ მის ფერხთა წინაშე – აღთქმის კიდობანთან (1 ნეშტთა 28,2). ამგვარად, მართლმადიდებლები წუხილით (დარდით, ჭმუნვით) ეამბობებიან ჩვენი მაცხოვრის სამკვალისეულ წყლულებს, მაგრამ თავყვანს სცემენ ჯვარს, რომელზედაც ვენო იგი და რომელიც თავისი სახით ლაპარაკობს ქრისტეს საქმეთა შესახებ.

კითხვა: რატომ ატარებენ მართლმადიდებლები ჯვარს კისერზე დაკიდებულს?

პასუხი: იმიტომ, რომ მუდამ ახსოვდეთ, ქრისტეს „უედრებანი“ (ებრ. 13,13). აგრეთვე ნიშნად იმ შევინებისა, რომლის ტარებაც ჩვენ მოგვიწევს სახარების მოძღვრების მიხედვით (მათე 10, 38) – „შეიბნ ივინი ქელსა შენსა მიერ“ ჯვრით (იეკენი 6,21).

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

მართლმადიდებელთა სამკლესიო-რელიგიური ფუნდამის შესახებ

კითხვა: სახარების მცნებების დაცვისას ვალდებულნი ვართ თუ არა, რომ დავიცვათ საეკლესიო „წესდებანი“?

პასუხი: ვალდებული ვართ დავიცვათ უსიტყვოდ. საეკლესიო წესდებანი გვიცავს ცხოვრებისეული აღვირახსნილობისაგან. ისინი ჩვენს გარეგნულ ქცევას მართლმადიდებელ-ქრისტეანულ იერს აძლევენ.

კითხვა: იცავდნენ თუ არა საეკლესიო წესდებებს წმ. მამები?

პასუხი: იცავდნენ მკაცრად. ღვთისმოსავ ზაქარიასა და მის ცოლ ვლისაბედზე ლუკა მახარებელი მოწონებით ამბობს: „და იყუნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა ვნებათა სიმაღლისა უფლისათა უბიწონი“ (ლუკა 1,6).

კითხვა: როგორ განესაზღვროთ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება საეკლესიო წესდებების მიმართ?

პასუხი: როგორც მოსიყვარულე დედა, წმ. ეკლესია თავისი წესდებებით ცოდვიანობის ჭკუჭყისაგან გვიფარავს. ამიტომ ეკლესიის ყველა წესდებას უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ ჩვენი სულების ხსნისათვის, რადგან მაცხოვარმა თქვა: „უკეთუ კრებულსაცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი (მათე 18,17).

კითხვა: რომელ საეკლესიო წესდებებზე გვმართებს ვილაპარაკოთ განსაკუთრებით?

პასუხი: საკუთრივ ყველა საეკლესიო წესდება საჭიროა და მათზე ცალ-ცალკე უნდა ვიმსჯელოთ. მაგრამ ჩვენ ვილაპარაკებთ ისეთი წესდებების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით ახლა, მცდარად განმარტავენ სექტანტები. ასეთია საეკლესიო წესდებანი: კვირა დღეებში უქმობის, წმ. მარხების, პირჯვრის გადასახვის, ლიტანიების, ჭების კურთხევის და აგრეთვე წმ. ადგილების მოლოცვის ჩვეულების შესახებ.

§1. კვირის დღესასწაულის (უქმობის) და წმიდა მარხათა შესახებ

კითხვა: რის საფუძველზე დღესასწაულობენ (უქმობენ) ქრისტეანები კვირას და არა შაბათს, ძველი მცნების თანახმად (გამოსვ. 20,8)?

პასუხი: შაბათი უფალმა „წმიდა-ჰყო“ სამყაროს შექმნის დასასრულის მოსაგონებლად (დაბ. 2,3). მაგრამ ძვ. სამყაროს სახელი გაუტყდა ცოდვებით და ადამიანთა დანაშაულობებით. ის უნდა დაქვემდებარებოდა აღორძინებასა და განახლებას (ეს. 65,17). ასეთი განახლება სამყაროსი აღესრულა იესო ქრისტეს ენებების მკვდრითი აღდგომის გზით – ჯოჯოხეთის შავებულ ძალებზე გამარჯვების საშუალებით. ამის მოსაგონებლად და ამასთანავე მოციქულთა ეკლესიის მაგალითის მიხედვით (საქმე 20,7; გამოსვ. 1; 10), ქრისტეანები დღესასწაულობენ (უქმობენ) კვირას (ებრ. 4,6 – 11).

კითხვა: რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი მარხვა?
პასუხი: ისინი, ვინც ჭეშმარიტად მარხულობენ, უნდა ცდილობდნენ, თავი დაიცვან ცუდი საქმეებისაგან; გულმოდგინედ იფიქრონ სიმათლისა და სიკეთის შესახებ (ეს. 58, 6,7) და სხეული დაიცვან ცოდვიანი სიამოვნებისაგან...
კითხვა: საიდან ჩანს, რომ მხსნელი მარხვა გულისხმობს აგრეთვე, თავის შეკავებას გემრიელი საჭმელისაგან?
პასუხი: ეს ჩანს წინასწარმეტყველ დანიელის სიტყვებიდან: „მათ დღეთა შინა მე, დანიელ, ვიყავ მგლოვარე სამსა შეიდეულსა დღესასა. პური გულს სათქმელი არა ეჭამე და ხორცი და ღვინო არა შევიდა პირად ჩემდა“ (დან. 10,2,3).
კითხვა: რა მიზანი ჰქონდა ეკლესიას, როდესაც აწესებდა ქრისტიანეთათვის საერთოდ მარხვებს?
პასუხი: იმ მიზნით, რომ ქრისტიანთა ქცევაში ყოფილიყო ერთსულოვნება. როგორც დაწერილია: „გიხაროდენ მოხარულთა თანა და ჰსტიროდეთ მტირალთა თანა“ (რომ. 12,15).
 ამის გარდა, თუ ერთნი იმარხულებდნენ, ხოლო მეორენი კი ხორციელად (ფიზიკურად) იშვებდნენ, ეს ცხოვრებაში შპოიტიანდა ცდუნებას. ხოლო პავლე მოციქულმა თქვა: „უკეთუ საჭმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემს, არა ვჰსჯამო ხორცი უკუნისამდე“ (1 კორ. 8,13).
კითხვა: რატომ მარხულობენ ოთხშაბათსა და პარასკევს მართლმადიდებელი ქრისტიანები?
პასუხი: იუდაიზმის ოთხშაბათს გადაწვიტა – ქრისტეს გაცემა, ხოლო პარასკევს ჯვარს – ეცუა უფალი. ამ დღეებში, „როდესაც ამადლდეს სიძე იგი მათგან“, ემარხულობთ ჩვენ (მარკ. 2,20).

§ 2. პირჯვრის გადასახვის შესახებ

კითხვა: რას გამოხატავენ მართლმადიდებელი ქრისტიანები პირჯვრის გადასახვისას?
პასუხი: ამით ისინი გარეგნულად აღმსარებლობენ ჯვარცმული უფლის სარწმუნოებას, აღიღებენ მას „ხორციითა“ თვისითა (1 კორ. 6, 21).
კითხვა: რა აიძულებს ქრისტიანებს გადასახონ პირჯვარი?
პასუხი: მცნებები და წმინდა მოციქულთა მაგალითები. წმ. მოციქული პავლე ქრისტეს ჯვრით იქებს თავს (გალ. 1, 14). მან დაწერა: „მნებავს უკუე ლოცუამ მამათა ყოველსა ადვილსა, აღჰყრობად წმიდა ხელთა თენიერ რისხვსა და გულის ზრახვსა“ (1 ტიმ. 2,8).
კითხვა: როგორ „სურს“ მოციქულს, რომ „აღვაპყროთ“ ხელნი?
პასუხი: ეს ირკვევა ბიბლიის სხვადასხვა ადგილების მოხმობით. ფსალმუნებში ვკითხულობთ: „აყრობა ხელთა ჩემთა მსხუერპლი სამწუხროდ“ (ფს. 140,2) ჩვენი მსხუერპლი არის ქრისტე ჩვენთვის ენებული ჯვარზე (1 კორ. 5, 7. ებრ. 9,28). მაშ, როდესაც ხელებს აღვაპყრობთ, უნდა გამოვსახოთ ჩვენი რწმენა ქრისტეში, რომელიც ჯვარს-ეცუა ჩვენთვის. ამას აღვიარებთ ჯვრის გადასახვის საშუალებით.
კითხვა: ამისათვის რატომ ვაწყოთ სპეციალურად თითებს?
პასუხი: იმისათვის, რომ აღვასრულოთ ყოვლადბრძენის მცნება. „შვლო, დაიმარხენ სიტყუანი ჩემნი, ხოლო მცნებანი ჩემნი დაიფარენ შენთანა... ხოლო გარე მოიხუენ ივინი თითთა შენთა“ (იგავნი 7,1-3).
 სამი გაშლილი და ერთად შეერთებული თითით ჩვენ გამოვხატავთ ღმერთის სამპიროვნების რწმენას, ხოლო ორი ხელისგულისაკენ მოხრილი თითით ცხადად აღვიარებთ, რომ ჩვენი ხსნა აღსრულდება სწორედ წმ. სამების რწმენით.

§3. ლიტანიობის, სახლებისა და ჭების კურთხევის და წმ. ადგილების მოლოცვის შესახებ

კითხვა: რას აღიარებენ ქრისტიანები ლიტანიობით?
პასუხი: ისინი დაუფარავენ ამოწმებენ თავიანთ სარწმუნოებას ღმერთისა – შემოქმედისა და მხსნელისა. მათ სწამთ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება ღმერთზეა დამოკიდებული. უფალმა შეიძლება მოგვმადლოს სხვადასხვა კეთილდღეობანი. უფლის ხელშია თვით უბედურება, დროდადრო რომ გვეწვევა. ლიტანიობით მართლმადიდებელი ქრისტიანები ევედრებიან ღმერთს ან „სასიკეთო“ ზაფხულის ბოძებისათვის, ან წვიმისათვის, ან მზიანი დღეებისათვის, ან სთხოვენ ღმერთს მომაკვდინებელ სნეულებათაგან გამოსხნას, ან მაღლობენ ღმერთს რაიმე წყალობის შემთხვევაში, რომელიც ქრისტეან ხალხს მოუვლინა.
კითხვა: გვისახავს თუ არა ბიბლია ლიტანიობის მაგალითს?
პასუხი: გვისახავს. ასე, მაგალითად, მდინარე იორდანეზე გადასვლილსას ხალხს წინ მიჰქონდა აღთქმის კიდობანი; ქალაქ იერიქოს აღების დროს ღმერთის კაცები მთელი 7 დღე უგლიდნენ გარს თავიანთი სიწმინდეებით. ეს მოქმედებანი სათნო იყო ღმერთისათვის (ისუ ნავეს ძე 3, 11-13; 6, 5-7). ასევე ჩვენ გვწამს, რომ მოსაწონია ღმერთისათვის ლიტანიობაც.
კითხვა: რისთვის აკურთხევენ მართლმადიდებელი ქრისტიანების სახლებსა და ჭებს?
პასუხი: მართლმადიდებლებს სურთ, რომ ღმერთის სიტყვის კითხვითა და ლოცვებით დაიცვან საკუთარი სახლები და წვლის სათავეები სატანური ძალებისაგან. მოციქული პავლეს სწავლებით „სულნი უკეთურებისანი“ თითქოსდა ნავარდობენ ცასა ქუეშე (ეფ. 6,11-12). ისინი ყველგან დაეხეტებიან, აწყობენ ჩვენს წინაშე ხრიკებს. მათ შეუძლიათ თავიანთი ხრიკებით შეამღერიონ ჩვენი შინაგანი სიმშვიდე. სასმელ-საჭმელის გზით ცუდად იმოქმედონ ჩვენზე; ამიტომ ჩვენ განვწმენდთ ყოველივეს: „სიტყვთა ღმერთისა და ლოცვთა“ (1 ტიმ. 4,5), რათა „მადლობით“ მივიღოთ სარგებლობისათვის (1 ტიმ 4,4).

კითხვა: რა მიზნით მოილოცავენ ქრისტიანები წმ. ადგილებს?

პასუხი: თავისი ღვთისმოსავეური მოლოცვით წმინდა ადგილებისა მართლმადიდებელი ქრისტიანები ცდილობენ ზედმიწევნით სწორად აღასრულონ ღმრთის ნება. მოციქულმა პავლემ გვიანდერძა: „მოიხსენებით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა“ (ებრ. 13,7). იგივე მოციქული გვიბრძანებს: „ეხედავდეთ“ გამოსლუასა მას ცხოვრებისა მათისასა“ (ებრ. 13, 7) და აი, მართლმადიდებლები საღმრთო შურით აღვსებულნი მოილოცავენ წმ. ადგილებს, სადაც ცხოვრობდნენ წმიდანები და სადაც დაასრულეს ცხოვრება. განსაკუთრებით მათ გულში შედის იერუსალიმი, სადაც კაცთა მოდგმისათვის ეგნო უფალი ჩვენი იესუ.

კითხვა: თუ ღმერთი ყველგან სუფევს (ფს. 138,7-10), რისთვისღა საჭირო იერუსალიმისა ან სხვა წმ. ადგილების მოლოცვა და თავყვანისცემა?

პასუხი: წმ. ადგილების მოლოცვის მაგალითია ახალ აღთქმაში მენელსაცხებლე დედების მაგალითი. მათ შესახებ ლუკა მახარებელი გვამცნობს: „ხოლო ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად, მოვიდეს საფლავსა მას, და მოაქუნდა, რა იგი მოემზადა სურნელი და ნელსაცხებელი და სხუანი ვინმე მათ თანა“ (ლუკა 23,1). კეთილშობილთ: რისთვის მოისწრაფოდნენ წმ. დედები მაცხოვრის საფლავისაკენ? და თავისთავად მოდის პასუხი: ისინი კეთილსუნუნელებით იმისთვის მოისწრაფოდნენ ქრისტეს სხეულისაკენ, რათა ეტირათ უფლის საფლავთან (იოანე 20,11) და აღამიანური ცოდვების გამო შეწუნებულიყვნენ. ამავე მიზნით მოილოცავენ მართლმადიდებლები წმ. ადგილებს. აქ ისინი აუცილებლად გოდებენ, მოსთქვამენ, იხანოებენ ცოდვებს და ეზიარებიან. წმ. ადგილებიდან კეთილი ქრისტეანები აღივსებიან სიამაღით ბიწიერების წინააღმდეგ საბრძოლველად; ამ აზრით, ამგვარ მოლოცვას წმ. ადგილებისა დაღმინებისათვის მოაქვს უდიდესი სულიერი სარგებლობა.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

ქრისტიანთა საზოგადოებრივი ან სასხლავოფოვობრივი მოვალეობების შესახებ

§ 1. სამხედრო სამსახურის შესახებ

კითხვა: რას გვასწავლის სამხედრო სამსახურის შესახებ საღმრთო წერილი?

პასუხი: „ხმლის მატარებლებს“ ანუ მეომრებს მოციქული პავლე უწოდებს „ღმერთის მსახურებს კეთილისათვის“. ის მიუთითებს მათი მსახურების მიზანზე: იგი არს „შურის მამძიებელ ბოროტის-მოქმედთათვის“ (რომ. 13,4).

კითხვა: შეიძლება თუ არა ბოროტმოქმედთა დასჯა მახვილით?

პასუხი: შეიძლება. ამის შესახებ უფალმა ერთ-ერთ იგავში თქვა: „ხოლო მტერი იგი ჩემნი, რომელთა იგი არა უნდა მეუფება ჩემი მათ ზედა, მომგუარებით მე აქა, და მოჰსწყვდენით წინაშე ჩემსა“ (ლუკა 19,27). მომავალ იმპერატორ ცხოვრებაში უფალი დასჯის ბოროტმოქმედთა უფრო მძიმე ტანჯვით - დაუშრეტელი ცეცხლით (მათე 25,4).

კითხვა: როგორი გაევიტო ქრისტეს სიტყვები: „არა წინა-აღდგომად ბოროტისა“ (მათე 5,39).

პასუხი: ქრისტეანი მოვალეა მიუტევოს ბოროტმოქმედთა შეურაცხყოფი წყენა. ეს არის პირადი ვალი თითოეული ჩვენგანის, მაგრამ ახლობელთა სიყვარულის გრძობის გამო, მათი კეთილდღეობისათვის, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ბოროტმოქმედთა დასასჯელად, რომლებიც ღმერთის სასუფეველს არღვევენ დედამიწაზე და დასდონ თავიანთი სული ჩვენი მეგობრებისათვის (ლუკა 19, 27; რომ. 13,4 და იოანე 15,13). ამგვარად, მცნება ბოროტის არა წინააღმდეგობისა არ კრძალავს სამხედრო სამსახურს, რომელიც არის უდიდესი გმირობა ქრისტეანული სიყვარულის (იოანე 15,13). ამიტომაც მეომრებზე ასე წერს მოციქული პავლე: „რამეთუ არა ცუდად ხრმალ აბს; რამეთუ ღმრთისა მსახურ არს შენდა რისხვისათვის, შურის მძიებელ ბოროტის მოქმედთათვის“ (რომ. 13,4).

§2. სამოქალაქო განსასჯელის შესახებ

კითხვა: რა არის სამოქალაქო განსასჯელი?

პასუხი: სამოქალაქო განსასჯელი არის ისეთი მოქმედება, რომლის საშუალებითაც ცნობილ შემთხვევებში წესდება ჩვენი მოქმედების სიამართლე ან დანაშაული ღმერთისა და ხალხის წინაშე (ფს. 81,4) – და ცხოვრებაში შემოაქვს მშვიდობა.

კითხვა: ხომ არ მისდევს ჩვენი სამოქალაქო სასამართლო ცოდვიან მიზანს, მაგ. მტერზე შურისძიების მიზანს?

პასუხი: არა. ჩვენი სამოქალაქო სასამართლო არ ისწრაფვის მოუტანოს ბოროტება და შურისძიება მტერს. ის ზრუნავს მარტოდენ დედამიწაზე უსამართლობის ასალავმებად. ყოველგვარ შურისძიებას მტრებზე იგი ღმრთის ხელში გადასცემს (იაკ. 4,11,12;1 თესალ. 1,6-9).

კითხვა: ნებადართულია თუ არა ქრისტეანეთათვის სამოქალაქო სასამართლო?

პასუხი: უთუოდ ნება დართულია. ეს ჩანს მოციქულ პავლეს ყოფა-ქცვიდან. როდესაც მმართველი ურიათა მოსამადლობლად გადაიხარა, რათა არასწორად გაესამართლებინა იგი, მან განაცხადა: „კეისარსა უღალადებ“ (საქმე 25, 11). (ე. ი. კეისარს მსჯავრს ეუხმობო). და ჩვენც შეგვიძლია ვისარებლოთ სამოქალაქო სამსჯავროთი, ღმრთის საქმეთა ზემისათვის დედამიწაზე.

კითხვა: როგორღა თქვა მაცხოვარმა: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ (მათე 7,1)?

პასუხი: ამ სიტყვებით ღმერთი კრძალავს არაფრის მომზან განსჯებს ძმებისას, მათი უარყოფითი თვისებების გამო, ან ჩვენი პირადი შეურაცხყოფის გამო. როდესაც ჩვენი ძმები, გვიკეთებენ ჩვენ ცუდს, ამასთან ერთად ისინი ზიანს აყენებენ სიკეთესა და სამართალს ცხოვრებაში – და საზოგადო სარგებლობისათვის ჩვენ მოვალე ვართ მივცეთ იგი სამსჯავროს. როგორც მოციქულმა პავლემ თავის მართალი საქმე გადასცა კეისრის სამსჯავროს.

წ3. ფიცის შესახებ

კითხვა: რას ვგულისხმობთ ფიცის ქვეშ?

პასუხი: ფიცი არის პირობა ვმსახურო ღმერთს, მეფეს და ხალხს სინდისით, სახარებასთან თანხმობით, რომელიც სწორედ არის განმარტებული ეკლესიის მიერ.

კითხვა: როგორ შეიძლება დაფიცება, როცა ქრისტემ თქვა: „არა ფუცვად ყოვლადვე“ (მათე 5,34).

პასუხი: ქრისტემ აკრძალა „ყოვლადვე“ დაფიცება ებრაელური ფიცით - ცით, მიწით, იერუსალიმით. ხოლო ღმერთის სახელით საჭიროების შემთხვევაში დაფიცებას ის არ კრძალავს.

კითხვა: საიდან ჩანს ეს?

პასუხი: გამოცხადებაში კვითხულობთ: „... ანგელოსმან მან, ... აღიღო ხელი მისი მარჯუენე ზეცად და ჰფუცა მისსა, რომელი იგი ცხოველ არს უკუნიითი უკუნიამდე“ (გამოცხ. 10.5,6); ანგელოზებმა ჩვენზე უკეთ იციან ღმერთის ნება, იციან, რა არის ღმერთისთვის სათნო და რა-საზიზღარი. მაგრამ ერთი მათგანი მაინც იფიცებს ღმერთის სახელით. ამით ის გვაძლევს მაგალითს სარწმუნებისა და ცხოვრების სასარგებლო შემთხვევებში მივმართოთ ფიცს (კოლ. 3,1,2).

კითხვა: რა მნიშვნელობას მიაწერს საღვთო წერილი ფიცს?

პასუხი: მოციქული პავლე ამბობს: „რამეთუ კაცთა უფროსისა მიმართ ჰფუციან, და ყოვლისა ცილობისა მათისა დასასრულსა დასამტკიცებლად ფიცი არს“ (ებრ. 6,16).

წ4. ამქვეყნიური მოვალეობების შესახებ

კითხვა: ჩვეულებრივ რა იგულისხმება ამქვეყნიური მოვალეობების ქვეშ?

პასუხი: ამქვეყნიურ მოვალეობებად ვთვლით სხვადასხვაგვარ შესაწირავს, რომლებიც მოაქვთ ადამიანებს პურის, ფულის სახით პირადი შრომით ახლობელთა სასარგებლოდ.

კითხვა: რა ამქვეყნიური მოვალეობებია ჩვენთვის ცნობილი?

პასუხი: სახელმწიფო და მიწის გადასახადების ფულით გასტუმრება, საზოგადოებრივ თანამდებობებზე სამსახური – სხვადასხვა წოდებით – მამასახლისის, ზემდეგის, ასისთავის და სხვა.

კითხვა: რა შეიძლება ითქვას ასეთი მოვალეობების შესახებ?

პასუხი: ამ მოვალეობებზე ანუ შესაწირავებზე ყვრდნობა საზოგადოებრივი კეთილდღეობა, ან უზრუნველყოფილია ჩვენი ძმების „წყნარი და უქარიშხლო ცხოვრება“. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ეს ავიყვანოთ თავის მსხვერპლად დადებამდე. უფალი სახარებაში ამბობს: „მიეცით კეისრისა კეისარს და ღმერთისა ღმერთსა“ (ლუკა 20,25). მოციქული პავლე გვასწავლის: „მოჰსცემდით უკუე ყოველთა თანა-ნადებსა: სახარკოსა – ხარკი, საზუერესა – ზუერი, საშინელსა – შიში, პატიესა – პატივი. (რომ 13,7).

კითხვა: როგორ ვიმსჯელოთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივი მოვალეობების შემოღებას?

პასუხი: ასეთ ადამიანებს მოციქული პავლე უწოდებს: „რომელი აღგებოდის ხელმწიფებას ღმერთისა ბრძანებასა აღგების“. ეს ადამიანები თავიანთ თავზე თვითონ მოიწვევენ (მოიზიდავენ) სასჯელს „თავისა თვისსა სასჯელი მოიღონ“ (რომ. 13,2). „რამეთუ არა არს ხელმწიფება, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი – იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან“ (რომ.13,1). მაშასადამე, მოწინააღმდეგეები იმ სამოქალაქო მოვალეობების, რომლებიც სამოქალაქო ხელისუფალთ დაგვაკისრეს, არიან მოწინააღმდეგენი ღმრთისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისა. ამგვარ მოწინააღმდეგებს ქრისტეანები უნდა მოერიდნონ.

როგორ უნდა ვილოცოთ

(წმიდა თეოფანეს ნაშრომებიდან)

ყოველთვის, ვიდრე ღოცავს შეუდგებლად, მცირე ხნით დადგე, დაჯექი ან გააბრ. ამ დროს შეეცადე გამოაფხიზლო აზრი და განარიღო იგი ყოველგვარ მიწიერ საქმესა და საგანს. შემდეგ გულისხმავს, ვინ არის იგი, ვისაც შენ მიმართავ ღოცვაში, და ვინ ხარ შენ, რომელიც ახლა აპირებ მისადმი ავალიწი ღოცვის სიტყვები - და ეცადე, აღძრა შესაბამისი განწყობა თავმდაბლობისა და ღვთის წინაშე წარდგომილი განიხილვად გულში კრძაღვითა და შიშით.

ეს არის მცირედი, მაგრამ არა უმნიშვნელო მხადება - მოწიწებით წარდგე ღვთის წინაშე. აქ არის ღოცვის დასაწყისი, კეთილი დასაწყისი საქმის ნახევარია.

ამგვარი შინაგანი განწყობით დადგე ხატების წინაშე, გამოისახე პირველი, მოიდრიკე თავი და შეუდექი ჩვეულ ღოცვას. იკითხე აუჩქარებლად, ჩასწვდი ყოველ სიტყვას, თითოეულის არსი მიიტანე გულის სიღრმემდე; სხვაგვარად გაიზრე და შეიგრძენი ყველაფერი, რასაც კითხულობ. უკეთუ კითხულობ: „განწმინდე მე ყოვლისაგან ბინისა“, შეიგრძენი ბიწიერება შენი, ინატრე სიწმინდე და სასოებით შესთხოვე იგი ღმერთს. რაჟამს კითხულობ: „იყავნ ნება შენი“, გულში შენი ხვედრი მთლიანად მიანდე უფალს, სრული მხადყოფნით მშვიდად შეხვედე ყველაფერს, რასაც ღმერთი მოგმადლის. რაჟამს კითხულობ: „და მომიტყვენ ჩვენ თანანადები ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივეტყვებთ თანანადებათა მათ ჩვენი“, გულში შენზე ყველას ყველაფერი და ამის შემდეგ შესთხოვე უფალს ცოდვითა მოტყუება. თუ ასე მოიქცევი მთელი ღოცვის განმავლობაში, მაშინ ღოცვა შენი იქნება წრფელი და მართებული. ხოლო იმისათვის, რომ შესაძლო მისი წარმატებით აღსრულდება, აი, რა არის საჭირო: 1. გქონდეს გარკვეული წესი ღოცვისა - არცთუ დიდი, რათა შენი ჩვეული საქმეებისას შეძლო მისი აუჩქარებლად აღსრულება; 2. თავისუფალ დროს ყურადღებით წაიკითხე ეს ღოცვები, რათა გაიგო და განიცადო ყოველი სიტყვა, რათა წინასწარ იცოდე, რა უნდა შეიგრძნოს გულმა და სულმა ცალკეული სიტყვის წარმოთქმისას, რომ ღოცვის ფაზს უფრო ადვილად გულისხმავო იგი. 3. თუკი ღოცვისას გონება გეფანტება და აზრი გადაგაქვს სხვა საგნებზე, დაიმაბე, შეინარჩუნე ყურადღება და დაუბრუნე შენი ფიქრი ღოცვას. თუ კვლავ გეფანტება - კვლავ დაუბრუნე; იმეორებდე, ვიდრე ღოცვის ყოველ სიტყვას საჭირო გაუგებთა და გრძნობთ არ წაიკითხავ. 4. თუკი ღოცვის რომელიმე სიტყვა შენს სულზე ძლიერად იმოქმედებს, განსაკუთრებულად გულისყურითა და გრძნობით შეჩერდი მასზე. ალაგსე სული შენი იმ განცდით, რომელსაც იგი აღძრავს. წე დაარღვევ ამ მდგომარეობას, ვიდრე თვითონ არ გაივლის.

როდესაც დაასრულეს ღოცვას, მაშინვე წე ესწრაფვი სხვა საქმეზე გადასვლას, მცირე ხნით მაინც დადგე და იფიქრე, - რა გააკეთე და რას გაგაღებს ეს. ღოცვის შემდეგ შეინარჩუნე განსაკუთრებით ის, რამაც შენზე ყველაზე მეტად იმოქმედა. თვით ღოცვის თვისება ისეთი, რომ თუ სათანადოდ იღოცებ, მაშინ აიარე კი ისურვებ სწრაფადვე იწყო სრუნვა სხვა საქმეებზე, რადგან ვინც ტკბილს გაუსინჯავს გემოს, იგი მწარეს აღარ ისურვებს?

როდესაც ღოცვანის საშუალებით მიეჩვევი გულთა და გონებით მიმართო ღმერთს, შემდეგ აუცილებელია შეეცადო თავად ავალიწი ღოცვა უფლისადმი - მაღლიწი იქამდე, რომ თვით სული ღოცვით ესაუბრებოდეს უფალს, მაღლდებოდეს მასთან, იხსნებოდეს მის წინაშე და აღიარებდეს, რაც მასშია, რაც უთხოვია. და უნდა უნდა ისწავლო ეს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოს ამ საქმეში?

პირველი საშუალება: მიგანვიოთ სული უფლისადმი ხშირ მიმართვას - ფიქრი ღმერთზე, ანუ მოკრძალებული განსჯა ღვთიური თვისებებისა და მოქმედებებისა, - გააზრება უფლის სახიერების, სამართლიანობის, სიბრძნის, ყოვლადმეძებლობის, ყველგან სუფივისა და ყოვლადმეცნიერების, - შემოქმედების, უფალ იესო ქრისტეში ცხოვრების, - ღვთიური მადლისა და ღვთის სიტყვის, - წმიდა საიდუმლოების, - ცათა სასუფეველის შესახებ. ამ საგანთაგან რომელიმე კი უნდა იფიქრო, აუცილებლად აღივსება შენი სული ღვთის მიმართ მოკრძალების გრძნობით. იგი მთელი არსებით მიმართავს აღამიანს ღვთისაგან და ამიტომაც წარმოადგენს ყველაზე პირადად საშუალებას, სულის უფალთან ასამაღლებლად. რაჟამს დაამატებ ღოცვას, განსაკუთრებით დიდი, დაჯექი და გაიზრე დღეს ერთი, ზვად მეორე ღვთაებრივი ბუნება და მოქმედება. შეეცადე სული შესაბამისად განაწყო.

ესაუბრე წმინდა დიმიტრი როსტოველს: „მოხვედ წმიდა აზრები უფალზე და ჩაეღრმავებდი დიად ღვთიურ საქმეებს“. ამ ფიქრებით შეძარი გული და შესაძლებ ღოცვაში სულის გადაშლას. შრომა მცირეა, ნაყოფი კი - დიდი. საჭიროა მხოლოდ სურვილი და გადამწყვეტილების მიღება. მაგალითად: ფიქრე ღვთის მადლზე - დაინახე, რომ შენ ფიზიკურადც და სულიერადც გარემოცული ხარ მისი წყალობით და მაშინ დაეცე ღვთის წინაშე უსაზღვრო მადლიერების გრძნობით. იფიქრე ღვთის ყველგან სუფივის შესახებ, და გულისხმავი, რომ შენ მუდამ ღვთის წინაშე ხარ და ღმერთი შენს წინაშე და შეუძლებელია, არ განიხილვად მოკრძალებითა და რიდი. იფიქრე ღვთიურ სამართალზე, - დარწმუნდები, რომ არცერთი ბოროტი საქმე არ დარჩება დაუსჯელი და აუცილებლად განიწმინდო შენი ცოდვებისაგან სინანულით და ღვთის წინაშე შემუსვრილი გულითა. იფიქრე ღვთის ყოვლადმეცნიერების შესახებ, - შეიცინობ, რომ არაფერია შენში ღვთისათვის დაფარული და აუცილებლად განიხილავ იყო მკაცრი საკუთარი თავის მიმართ და ყურადღებანი ყველაფერში, რათა რითიმე არ შეურაცხო უფალი, რომელმან უწყის ყოველი.

მეორე საშუალება, მიაჩნო სული ღვთისადმი ხშირ მიმართვას, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი საქმე, დიდი თუ მცირე, მიმართო ღვთის სადიდებლად. რამეთუ, თუკი წესად დავიდები მოციქულის მცნებას (1 კორ. 10, 31), ყველაფერი გააკეთო, თვით ჭამო და სვა ღვთის სადიდებლად, მაშინ ყოველი საქმისას გავისხენებთ უფალს, და გავისხენებთ არა უბრალოდ, არამედ მოკრძალებითა და შიშით, რათა არ ვცდუნდეთ და არ შეურაცხყოთ ღმერთს რაიმე საქმით. სწორედ ეს გვაძებლებს მიგმართოთ უფალს შიშით და ღოცვით შეფთხოვით დახმარება და შეწვევა. რადგან ჩვენ მუდამ რაიმე საქმით ვართ დაკავებული, თითქმის განუწყვეტლივ შევძლებთ ღოცვით მიგმართოთ უფალს, და მამასადავ, განუწყვეტლივ შევისწავლით მეცნიერებას უფალთან სულის ამამაღლებელი ღოცვისა. ამგვარად, მივანვეთ სულს დღის განმავლობაში, რაც შეიძლება ხშირად მოუწილოს ღმერთს.

მესამე გზა - შეითვისოს სულმა ღვთისადმი ხშირ მიმართვა, იმაში მდგომარეობს, რომ დღის მანძილზე მრავალჯერ მოუწილოთ მთელი გულით უფალს - მოკლე სიტყვებით, შესაბამისად სულიერი მდგომარეობისა და ყოველღვთიური საქმეებისა. იწყებ რაიმე საქმიანობას, - წარმოთქვი: უფალო, მაკურთხე! დაასრულე საქმეს, - არა მხოლოდ ენით, არამედ გრძნობით წარმოთქვი: დიდება შენდა უფალო! უკეთუ ვნება რაიმე მოგებალოს, თქვი: მისხენ უფალო, წარწყმდები! თუკი წყვდიადი ბნელი ზრახვებისა მოგებალოს, მოუწოდე: ისხენ ჭირისაგან სული ჩემი. თუკი მოგელის უმართებულო საქმეები რომელიც ცოდვა ახლავს თან, ილოცე: მასწავლე მე, უფალო გზა! თუკი ცოდვები გამძიმებენ და სასოწარკვეთილებში გაგდებენ, დალადავ ტანჯული ხმით: ღმერთო, მიღხინე მე ცოდვილს ამას და შემიწყალე. ასე ყველა შემთხვევაში, ანდა უბრალოდ ხშირად გაიმეორე: უფალო შეგვიწყალენ ღვთისმშობელო ქალწულო მაცხოვრებელე, წმინდაო ანგელოსო ღვთისაო, მცველო და მფარველო სულის ჩემისაო, შემიწყალე მე! ან სხვა რომელიმე სიტყვებით ევედრე. რაც შეიძლება ხშირი იყოს ეს მოწოდება, მხოლოდ შეეცადე იგი გულისმან მოდიოდეს, როგორც ერთგვარი გამოწვევა მისგან.

თუკი ასე მოიქცევი, მაშინ ხშირი იქნება ჩვენი გონებრივი ამაღლება უფალთან, ხშირი იქნება ვერება ღვთისადმი, ხშირი იქნება ღოცვა, და ეს იქნება საუფასველი ჩვენი გონიერი საუბრისა ღმერთთან.

როგორც სიბინძურის ორობში ვერ გპოვებთ არამატს, ასევე გულდგარდობიანთა სულში კეთილსურნელებას სიყვარულსა.

**ბიბლია და ქართული კულტურა
დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე**

თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი

სიონის ტაძრის აღწერა

**II
ხატები**

3) მარჯვენა სვეტზე, ქვის ახალ სახატეში, რომელიც თავად გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძის სახსრებითაა გაკეთებული, არის ღვთისმშობლის ვერცხლის მოოქროვილი ხატი შემდეგი წარწერით: „ყოვლანაწინა ღვთისმშობლის ეს ხატი შეიძინა ქვრივმა მარიამ მიქელაშვილმა სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის ურდოებისმიერ გადმწვარ, დანგრეულ თბილისში 1795 წლის სექტემბერში. მას შემდეგ ეს სალოცავი ინახებოდა მარიამ მიქელაშვილის ნათესავეების -სავანელების ოჯახში. კრწანისის ომიდან ასი წლის შემდეგ აღექსანდრე ივანეს ძე სავანელმა დაუთმო თავად გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს, რომელმაც ხატი ვერცხლით მოაჭედინა და 1899 წლის 14 ნოემბერს გადასცა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარს“.

საკვიროდ მიმჩნია მოვიტანო ილია ბახტაძის სტატია ამ ხატის შესახებ: „ღღე იყო ღრუბლიანი. სექტემბრის აღერსიანი მზე, რომელსაც აღარ სურდა დანგრეული თბილისის ხილვა, ღრუბლებს ეფარებოდა... დროდრო წინწყლავდა, თითქოს წვიმას ვერ გადაეწყვიტა, წამოსულიყო თუ არა. გარემომცველი მთები ბურუსში ეხვეოდა და სულ უფრო ინთქმებოდა ღრუბლებში. ირგვლივ ნესტი, მოწყენილობა და ნაღველი სუფევდა. ბუნება თითქოს განმსჭვალულიყო ადამიანთა უბედურებით და აჰყოლოდა მოვლენების მსვლელობას. მერვე ღღე იყო, დასტიროდნენ გადამწვარსა და გამარცხულ თბილისს. მისგან მხოლოდ ფერფლის, ნახშირისა და ქვის გროვები დარჩენილიყო. მეფის დარბაზი, დიდებულთა პალატები, მოქალაქეთა სახლები, ღარიბთა ქოხმახები ერთიანად მიწასთან იყო გასწორებული, ყველაფერი დამწვარიყო ან ჯერ კიდევ ბოლავდა. საშინელი სანახავი იყო მჭიდროდ დასახლებული უბნები. ტაძრები შეაგინეს და წაბილწეს, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, დაანგრეს, რაც რამ ფასეული იყო, გაპარცევს, დანარჩენი კი ცეცხლს მისცეს. მდიდარი და ერთ ღროს დიდებული ტაძრების წინ მდებარე მოედნები აეკსოთ ყოველი მხრიდან მოზიდული საეკლესიო ქონებით, მათ შორის, ისეთი საგნებით, რომლებიც, მართალია, ბარბაროსებს ვერ მოხიბლავდა, მაგრამ გამოდგებოდა დამარცხებულთა დასამცირებლად. ხატები, ანაფორები, მღვდელმსახურთა სამოსელი - ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და ნელი ცეცხლით

იწვოდა. ქალაქი მკვდარს ჰგავდა: სულიერი არსად ჩანდა, ან თუ სადმე მკრთალი ფიგურა დაილანდებოდა, უმაღლესად ეფარებოდა, თითქოს მიწამ პირი უყო.

მხოლოდ იქ, მტკვრის გადაღმა, ავლაბარში შეიმჩნეოდა აურაცხელი ხალხი და რაღაც ავისმანიშნებელი მოძრაობა. ალა-მახმად-ხანის ურდოები დამკრას აპირებდნენ. ბოროტებით გამძლარი საზიზღარი საჭურისი მიიძურებოდა. ცხადია, ქვეყნის სიბრალული ან რაიმე ადამიანური გრძნობა კი არ ამოდრავებდა, არამედ - შიში და გუმანი. სექტემბრის მიწურული იყო, ამინდი უარესდებოდა, თანდათან გამწვანდებოდა ჯარის შენახვა. და შემდეგ ის! შეარჩენს კი ძველი მეომარი თავისი სამშობლოს დამცირებას, თავისი სამეფოს შერცხვენას, დიდი სახელის ლაფში ამოსვრას? ის, უძველესი, სომ მთებში, ერთგულ, უშიშარ მთიელთან იმყოფება? არა, სჯობს, წავიდეს, დასჯერდეს იმას, რასაც მიაღწია...

და ის მიდიოდა... ნაალაფარით დატვირთული ურმების რიგი, აურაცხელი ცხენოსანი ჯარი ნიშანს ელოდნენ, რომ გზას დასდგომოდნენ. ამ გზაზე მათ უფრო მიუწევდათ გული, ვიდრე „შაჰ-ინ-შაჰს“. არ ახარებდა, არ იზიდავდა გამგზავრება მხოლოდ იმ უბედურებს, რომლებიც, შიმშილითა და ნაღველით დაოსებულნი, მორჩილად ელოდნენ თავიანთ ხვედრს. მათ თვალეში ცრემლი უკვე დამშრალიყო, გულს გამოეგლოვა და შეურაცხყოფის ყველა ფილა შეესვა. წინ აღარაფერი ელოდათ, გარდა ტყვეობისა და უბედურებისა, უკან კი რჩებოდა ყველაფერი, რაც ძვირფასი იყო. ესენი იყვნენ ტყვეები, უმეტესწილად მოხუცები, შორეულ სპარსეთში მიჰყავდათ.

არავითარი სურვილი, იმედის არავითარი სხივი არ კრთებოდა მათ გაქვავებულ სახეებზე. ცოცხალმკვდრები თითქოს სამუდამოდ განშორებოდნენ ამ ქვეყანას. სადაც უნდა გადაეყარა შაჰს, ან ჯალათები დასეოდნენ, რაც სურდათ ის მოეწიათ, მათ სიმშვიდეს მაინც ვერაფერი დაარღვევდა. ხანდახან მხოლოდ წყურვილს, საშინელ წყურვილს გამოჰყავდა ისინი მოთმინებიდან, მაშინ წყლისკენ იწვედნენ, მავედრებელი თვალებით ითხოვდნენ მტკვარზე ჩასვლას, ზედამხედველები ნებას რთავდნენ და თან თვალს არ აცილებდნენ... მტკვარზე ჩასვლა მოითხოვა ვიღაც ღვდებერმაც, ტყვემ, დაბეჩავებულმა და სიკვდილს დანატრებულმა.

უბედური, ყავარჯენზე დაყრდნობილი, ძლივს ჩაფოფხდა მდინარეზე. წყალი დალია, ოდნავ გამოცოცხლდა, ქვაზე ჩამოჯდა, თვალი მოავლო დანგრეულ, მაგრამ მაინც ძვირფას ქალაქს, მის შეგინებულ სალოცავებს და ცხარე ცრემლი წამოსცვივდა. როგორი იყო ორი კვირის წინ და რას გაეს ახლა? სად არის სამართალი? ნუთუ ვედარასოდეს იხილავს ამ მთებს, მთაწმინდას, მღვრიე, მაგრამ მხიარულ მტკვარს, - მტკვარს, რომელთანაც ამდენი მოგონება აკავშირებს. ურჩენია მოკვდეს, ვიდრე ყოველივე ეს კედარ იხილოს, უცხოეთში ხეტიალს აქ სიკვდილი სჯობს.

და უცებ თამამა აზრმა გაუელვა თავში. რა იქნება, ზემოთ აღარ დაბრუნდეს, აქ ნაპირზე დარჩეს, სადმე მიიმალოს? იპოვინან, მოკლავენ? - მერე და, რა, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი არ სჯობს?! მაგრამ ხომ შეიძლება დაავიწყდეთ კიდეც და მერე... გაახსენდა, როგორ უყურადღებოდ გამოუშვა ზედამხედველმა, თითქმის ზედაც არ შეუხედავს, ისე დაუქნია თავი. ერთი საათი, როგორმე ერთი საათი... ვინ იცის?... იქნება...

არჩევით წამოიშრათა, აირბინა პატარა აღმართი და ღარტაფში დაეშვა. მიწას გაეკრა და ისე გაიტრუნა, როგორც მწვერებზე სუნაკრული კურდღელი. მაგრამ მწვერებს, ანუ მათ, ვინც მწვერებზე უარესნი იყვნენ, დედაბერი არცკი გახსენებიათ. ის ყველას დაავიწყდა. თუ ვინმეს მოაგონდა, მასაც ბანაკის ალიაქოთმა მოუღუნა ყურადღება. ცხენების ხეივანი, აქლემების ღრიალი, ურმების ჭრიალი, ველურ სპარსელთა ველური ხმები, - ყველაფერი საშინელ ხმაურად ათქვეფილიყო. ხმაური, ცხადია, დედაბრის ყურამდეც აღწევდა და საბრალოს ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. შემდეგ, როცა ხმაური მიწყდა, ალიაქოთი სიჩუმე შეცვალა, ის მაინც დიდხანს იწვა მხსნელი ბუჩქის ქვეშ, ეშინოდა, ვინმეს არ შეემჩნია მისი საფარი. მხოლოდ საღამოს, დიდხანს დასადგურებულმა სიჩუმე გული რომ გაუმაგრა, ავიდა ზემოთ, მოედანზე, მიიხედ-მოიხედა და გახარებული მიწაზე დაემხო... მოედანი ცარიელი იყო, მხოლოდ ნეხვის გროვები და მიყრილ-მოყრილი ნარჩენები ადასტურებდა, რომ ცოტა ხნის წინ აქ ცხენოსანი ჯარი იდგა. მოედანი თავისუფალი იყო, მას აღარც ტყვეობა და აღარც შერცხვენა ემუქრებოდა! მაღლიერი მზერა, რომელიც მან მეტეხს მიაპყრო, იყო პასუხი სასწაულებრივი გადარჩენისა...

უცებ საოცარმა ენერგიამ აღიტაცა მთელი მისი არსება. მოუნდა, წასულიყო და ენახა, რა დაემართა ქალაქს, ენახა უბედურების სურათი, ომის მთელი საშინელებანი, იქნებ, ღმერთმა მთლად არ გაგვიწირა, იქნებ, რაღაც დაგვიტოვა საწარმოლო. ყავარჯენი დაიბჯინა და სეიდაბადის ბალებისაკენ გასწია. იქ, გათელილსა და განადგურებულ ბალებში მწვანელი ნახა, შიმშილი ოდნავ დაიცხრო. სეიდაბადიდან გზა სიონისაკენ მიდიოდა. ეს, რა საშინელი იყო ეს გზა, ღმერთო! - რა დღეში დაუხვდა ტაძარი! გზა გვამებით იყო სავსე. უმეტესად ბავშვები დაეხოცათ.

თითისტოლებიც არ დაენდოთ. ჯარისკაცებიც ეყარნენ, უიარაღოდ დალუპულნი, ეყარნენ ბერებიც. სპარსელთა გვამებიც მოჩანდა თავიანთი მსხვერპლის გვერდით. ჩანდა, სიცოცხლე აქ ძვირად ფასობდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ყოფილა. გადამთიელისა და მოყვასის გვამები ერთმანეთში არეულიყო, მაგრამ სიკვდილს მაინც ვერ აეშალა მტრობა, იმდენად საზარელი იყო მათი სახეები! გული რომ არ შელონებოდა, დედაბერი განზე არ იხედებოდა, ცდილობდა, სავალი დროზე გაეღია, შესულიყო ტაძარში, სული მოეთქვა. აი, სიონიც, - თბილისის მშვენება და სიამაყე. ღმერთო, - რას დამსგავსებია, რა დღე დაუყრით ურჯულოებს! - შიგნით თუ გარეთ გატილებს სიბილწე, წარსულის შეგინება. ნამსხვერეები, ანაფორის ნაკუწები, სხვადასხვა საგნების გროვები, გვამები, ნეხვი, მკრეხელობის კვალი... აღარც კანკელი, აღარც ხატები, აღარც ტრაპეზი, - აღარფერი, გარდა შიშველი კედლების, ჩამტკრეული სარკმელებისა და დაღვნილი კარებისა... ტუჭყვი, ბული, სიმყარაღე, გასწვნილი გვამების სულსმემხუთველი სუნი... დედაბერმა პირჯვრისწერით შემოუარა ტაძარს, შემდრწუნებული გვამებს სინჯავდა, სახეზე აკვირდებოდა. აქ არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მისთვის ძვირფასი ადამიანები, მან იცოდა, რომ ისინი შორს, თბილისის გარეთ გაიხიზნენ. მაგრამ, ღმერთო, ახლა ვინ აღარ იყო ახლობელი და ძვირფასი! ნუთუ იცოდა, რას აკეთებდა, რისთვის დაეხეტებოდა. ქვეშეცნეულად, თვითონაც რომ ვერ გაეგო, რატომ, მხრჩოლავ გროვასთან მივიდა და ჯონით დაუწყო ჩიჩქნა. მისწი-მოსწია ჩერები, ქალაღის გრაგინილები, ვინ იცის, იქნებ სიონის სამეფო გუჯრები, და... მოლურჯო კვამლიდან ნაღვლიანმა სახემ ამოჰხედა...

არასოდეს, არც ბავშვობაში, არც ყმაწვილობაში, როცა დედასთან ერთად მიდიოდა სიონში და ლოცულობდა, არც მამიც როცა გულისწორთან იდგა და საუკუნო კავშირისათვის ემზადებოდა, - არასოდეს ამ სახეს ასეთი მზერით არ შემოუხედავს, არასოდეს ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია... ერთ დროს მკაცრი, ამადლებული და მშვიდი, წყნარად მომღმარი ყოვლადწმინდა ქალწული ყრმით ხელში, რომელიც მის წინაშე მუხლმოყრილ მლოცველებს აღერსით უმზერდა, დღეს დიდ, უზურმაზარ მწუხარებას მოეცვა. თავად მწუხარეთა მფარველი, ღვთიურ ყრმასთან ერთად, თითქოს ყველაზე ცხარედ დასტიროდა თავისი წილხვედრის მწარე ბედს, მართლმადიდებელი საქართველოს თავზე მოწვეულ დიდ უბედურებას...

სიხარულით აქვითინებული დედაბერი დასწვდა წმინდა ხატს და მის წინ პირქვე დაემხო... ახლა ის მიხვდა, თუ რატომ არ გასწირა ბედმა, თუ რამ მოიყვანა სიონში და, რომ დიდია წყალობა ღვთისა მის მიმართ...

გამოხდა ხანი და ალა-მანმად-ხანის ამ უცნობმა ტყვემ, ოჯახში, როცა თავის მხსნელ ხატს უყურებდა, სული განუტყვა. გავიდა კიდეც მრავალი წელი და შვილებიც რიგრიგობით მიჰყვნენ მის კვალს. და აი, ზუსტად ასი

წლის შემდეგ კრწანისის ველზე დაღუპულ მართლმადიდებელ მეგრძოლთა პანაშვილის დღეს, ჭაღართ შემოსილი მისი შვილიშვილი ხსენებულ ხატთან ლოცულობს. მაგრამ არც ამდენი თაობის ცხოვრება, არც მთელი საუკუნე, რაც თბილისის აოხრების შემდეგ გავიდა, არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ გადარჩენილი სალოცავი ვერის ერთი უბრალო უბნიდან, ალ. ივ. სავანელის უფრო უბრალო ბინიდან განახლებულ სიონში დაბრუნებულიყო...

4) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ხატი, მოოქროვილი მეტალის სამოსელით. ღვთისმშობელსა და მაცხოვარს შარავანდი ადგათ. ღვთისმშობლის შარავანდში გვირგვინია, მოოჭვილი ფირუზის მსგავსი მძივითა და შუშის ქვებით. გვირგვინის ცენტრში ოთხი წითელი უბრალო ქვაა, იაგუნდის მსგავსი, ორი მათგანის შუა გასდევს შუშის წვრილი ხაზი. გვირგვინის შუაში, ზემოთ, შუშის კიდეა და შუშებს შორის - ერთი დიდი წითელი ქვა. გვირგვინის აბოლოებს ჯვარი. შარავანდში არის წითელი ქვებისგან შემდგარი 4 ვარსკვლავი, მათში ჩასმულია ასევე ოთხი დაწახნაგებული უბრალო ქვა. ქვემოთ, ცისფერი მინანქრის დაფაზე წარწერაა: „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების მონასტრიდან აღებული ჭეშმარიტი გამოსახულება სასწაულმოქმედი ხატისა. ეს ხატი შექმნილია ბრწყინვალე მეფის გიორგი ბაგრატიონის მიერ 5826 წლის იანვარს“ (რუსულად).

„ხატი ესე ღვთისმშობლისა ვედრებისა აღშენებული ბრწყინვალისა გიორგი ბაგრატიონისა სასწაულთმოქმედი“.

ეს ტაძარი მდებარეობს კახეთში, გურჯაანში და, წმ. ხატის რუსული წარწერის თანახმად, ხალხი მას მონასტრის უწოდებს. მეტად დიდებული და შესანიშნავი ნაგებობაა. იოსელიანის აზრით, თარიღი შეცდომითაა მითითებული. უნდა იყოს 6826 და მაშინ ეს მიეფიქვანს გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) მეფობის ხანაში. არ ვიცით, - განაგრძობს იგი, - როგორ მოხდა სიონის ტაძარში. წარწერა გვაძენობს არა ხატის მოჭედვის, არამედ ტაძრის აშენების დროს, თან უმეცრადაა შეთხზული, - ქართულად სხვაა და რუსულად სხვა.

5) ყაზანის ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლის მოოქროვილი სამოსლით. ხატზე წარწერაა: „პეტერბურღით მოვიტანე ძველი ღვთისმშობელი ყაზანისა და მოვაჭედინე დედისა ჩემისა სულის განსასვენებლად და ჩემად მეოხად. მაიორი გოსტა საბასჴელი ზაალი ბარათოვი. იანვრის პირველსა, წელსა ჩჴ“.

6) ძველი ხატი მანგლისის ღვთისმშობლისა ყრმით. გაკეთებულია ხეზე. ღვთისმშობლის სახის შუაზე ბზარია და მცირე ნაწილი ამოვარდნაზეა. ხატის ზედა კუთხეებში გამოსახულია ღვთისმშობლის ცხოვრების ეპიზოდები: შობა, ტაძრად მიყვანება, ხარება და შეხვედრა ელისაბედთან. ხატის სამოსი მოოქროვილ - მოვერცხლილია. ღვთისმშობლისა და მაცხოვრის შარავანდნი ბრწყინავს და მოოჭვილია ჩვიდმეტი უბრალო

ცისფერი და ერთი მწვანე ქვით. ამ ქვებს შორის ცხრამეტი ვარსკვლავისებური ფიგურაა, რომლებშიც ჩასმულია მწვანე და წითელი შუშები. ღვთისმშობლის თავსა და მხარზე ასეთივე სადაფის ფიგურებია. სადაფის სამკაულებია აგრეთვე ღვთისმშობლის სამოსის სხვა ნაწილებზე. ხატზე წარწერაა: „შეიჭედა ესე უწმიდესი სინოდის წვერის, მაღალუწმიდესის, საქართველოს ეგზარქოსის ევსევის განკარგულებითა და კურთხევით, კათედრალური დეკანოზის ბასხაროვის შეწევნით 1870 წლის ნოემბრის პირველ დღეს“.

7) მაცხოვრის ხელთუქმნილი ხატი მედალიონში. ზედა მხარეს აქვს ათი იაგუნდი, გარშემო კი - მინანქარი. ხატის საპირისპირო მხარეს გამოსახულია ჯვარი და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარკმის სიმბოლოები. შიგნით, ამონაჭერში არის ცხრველმყოფილი ხის ნაწილი, აგრეთვე სხვადასხვა წმიდანთა ნაწილები. ხატზე ქერებიძები გამოყვანილია წითელი მინანქრით. ხატის გარშემო წარწერაა: „ყოვლად წმინდაა ესე ჯვარი დიდებისა მხოლოდ შობილისა, ნამუშავევი ანტონის მიერ კათოლიკოსისა, მეფისა იესეს ძისა, საუნჯისაგან დედისა ჩემისა ელისაბედისა 1749“.

პირველ წრეში წმ. ნაწილებია. თითოეულს აქვს წარწერა: წი ნიკოლოზ, წი ორესტ, წი იოანე ოქროპირი, ყოვლად წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი, ლაზარე ქრისტეს მეგობარი, წმ. გიორგი, იოანე ნათლისმცემელი.

მეორე წრეზე შემდეგი არცთუ წიგნები წარწერაა: „და შეუერთ ძელი ბურსა ჩემზედან ისიტყვეს გულის სიტყვა ბოროტი მეტყველთა მადლითა“.

მესამე წრეზე: „ქრისტეს: ღრუბელი: ტილო: ლოდი“.

ხატზე გადასმულია ცვილმასტიკა, იკეტება ოქროს საკეტებით; აქვს ძეწკვის მოსახმელი ყური.

8) ღვთისმშობლის ხატი მხოლოდმობილი ყრმით. სამოსელი მოოქროვილ-მოვერცხლილია. მასში ჩასმულია ექვსი ფირუზი და სამი მსხვილი მარგალიტი; ექვსი წვრილი იაგუნდი და სამი უბრალო თეთრი ქვა. ერთ მხარეს წარწერაა: „ქ: მოვაჭედინეთ ხატი ესე ყ დ წმიდისა ჩვენ აბამიძემა პაატამა თანა მეცხედრემა ფალავანდის შვილის ასულმა მარიამ სულისა ჩვენისა საოხებლად“.

9) ხატი ძვლის სამოსელზე, მოვერცხლილ-მოოქროვილ ჩარჩოში. მასზე გამოსახულია თორმეტი საუფლო დღესასწაული. ვერცხლის დაფის უკანა მხარეს გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით. აქვს წარწერა: „ქ: ჩვენ ძეთა დეკანოზისათა შეგსწირეთ სიონის ღვთის მოსახსენებლად მამისა ჩვენისა და ძმისა ჩვენისა თფილელის ეფთვიძისა, ქკ სა უკმ“.

ჩარჩოზედაცაა წარწერა: ქ: ღო: შე: ამბროსი შვილი: ცი: მღვდელი: იესე: დეკანოზი“.

ხატში არის წმ. ნაწილები. მასზე დამაგრებულია სპილენძის ძეწკვი.

10) ივერიის ღვთისმშობლის ხატი დაფაზე, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი.

ქვედა ნახევარზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული გიორგი ძლევაძის ხატი. ორივე ნახევარი შემკულია სხვადასხვა ფერის შუშითა და ამეთვისტოთი; ხატის გარშემო საშუალო ზომის სამოცდათოთხმეტი მწვანე და სომოცდაათი თეთრი შუშაა ჩასმული. ოთხივე კუთხეში ოთხი საშუალო ზომის ამეთვისტო და ოთხი წითელი გახეხილი მარჯანია ჩასმული. ღვთისმშობლის ორივე მხარეს კი - ორი მსხვილი ამეთვისტო და ორ-ორი საშუალო ზომის ციმბირის მწვანე ქვა, ღვთისმშობელს ცისფერი ლენტით ჰკიდია ჯვარი და იქვე ასვენია ცხოველმყოფელი ხის ნაწილი; ღვთისმშობლის გარშემო კი სამ ბუდეში ასვენია წმ. ნაწილები, სახურავებზე წერია: „ცხოველმყოფელი ძელი“; „სარტყელი ღვთის მშობლისა“; „ნაწილი წმ. მოწამის თეოდორე ტირონისა“. მარცხენა მხარეს პირველ იარუსზე ცისფერ სარდიონზე გამოსახულია მაცხოვრის ხატი.

ღვთისმშობლისა და გიორგი ძლევაძის ხატების შორის გასდევს ხაზი, რომელზედაც ჩასმულია ორი ყვითელი და სამი თეთრი ამეთვისტო, ორი სარდიონი და კიდევ სამი ალუბლისფერი ამეთვისტო. ხაზს ზემოთ, აქეთ-იბიდან - ორი ყვითელი ამეთვისტო ორი წითელი მარჯნით.

ღვთისმშობლისა და ყრმის გვირგვინები შემკულია სხვადასხვა ფერის წვრილი შუშებით, ხოლო წმ. ნაწილთა ბუდეებზე მოხეულია წვრილი ფირუზი.

გიორგი ძლევაძის ხატის მარჯვნივ ასვენია ამ წმიდანის ნაწილები, რომლის ბუდეზე აწერია: „სისხლი მთავარმოწამისა გიორგისა“. ბუდის კედლებში ჩასმულია ორი გრძელი თეთრი ამეთვისტო ორი წითელი მარჯნით; ორი გახეხილი ყვითელი ამეთვისტოს ბოლოებზე კი - ორ-ორი წითელი და მწვანე მარჯნები.

ხატის უკან მხარე მთლიანად დაფარულია მოვერცხლილ-მოოქროვილი დაფით, რომელზედაც ლექსად აწერია: „ანგელოზნი გტრფიალობენ, ყოველთ ქალწულთ მზის თვალო; მსასოებელთ მშვიდთ საზრდო, მორწმუნეთა სხეულთ ძალო; შენ, ასულო ღვთისა მამის, ძისა დედაც, სულის ძალო; მოღვთობილი თვალთაგან ცრემლთ გვედრ მხურვალედ, შემინჯალო. (შემდეგ პროზად) შეგვიწყალებ, დედაო ღვთისაო და შუამდგომელ გვექმენ წინაშე ღვთისა ჩვენ მსასოებელთა შენთა, და მოგვისხენენ წინაშე ძისა შენისა წილ-ხლომილთა ერისა შენისაგან სრულიად საქართველოსა მეფის გიორგის მკათცამეტეს ძეს თეიმურაზსა და მეუღლესა მისსა მეფის ძალს ამილახერის ოთარის ასულს ელენეს, რომელთა ვიღვანეთ და შეგვამკეთ წმ. ესე ხატი ივერიის ღვთის მშობლისა და რომელისა ზედაცა გამოსატულ არს წმ. გიორგიცა სიყრმითაგანვე სასოებისა და განუშორებლათ მფარველისა ჩვენისა. და შთავასვენეთ ამა წმიდასა ხატსა შინა ცხოველს მყოფელი ძელი, ნაბოძები იერუსალიმის პატრიარხის ათანასიის მიერ, და ნაწილი ცხოველს მყოფელის ვლადკერძანის ღვთის-მშობლის სარტყელისა, და სისხლი წმიდისა დიდისა მთავარმოწამისა გიორგისა,

და ნაწილი წმ. დიდისა მოწამის თეოდორე ტირონისა თითთაგანი, - საცხოვრებელად სულისა და ხორცთა ჩვენთასა და საკურნებელად ყოვლისაგან სენისა და ყოვლისაგან უძღურობისა კორციელისა ჩვენ უღირსთა მონათა მისთა, და ყოველთა სასოებით მოსწულთა წმიდის ამის ხატის მიმართ სასწაულთ მოქმედისა კურნებად სულით და ხორციით: განხორციელებითაგან სიტყვისა ღვთისა: ჩმმმ, ხოლო ქართულისა ქკ-სა მე: იმ-ს, მოქცევისა მეორის წელსა“.

11) ყაზანის ღვთისმშობლის ხატი მოოქროვილია და ვერცხლი აქვს შემოვლებული. ხატის სხეუბიანი შარავანდი მოვერცხლილ-მოოქროვილია. შარავანდის შუაში არის გვირგვინი სხვადასხვა ფერის შუშებითა და მარგალიტებით; გვირგვინზე ჯვარია, რომლის შუაში ციმბირის წითელი ქვაა, აქეთ-იქით კი - ორი მწვანე ქვა. ღვთისმშობლის სამოსელი მარგალიტის არმებიანი ოქროს ფარჩისაა. მაცხოვრის სამოსელი კი მთლიანად წვრილი და საშუალო ზომის მარგალიტითაა მოოჭვილი, ღვთისმშობლის გვერდზე მწვანე ქვაა და ორი შუშა, თავსა და მხარზე - ციმბირის ორი მსხვილი მწვანე ქვა. გვირგვინის ქვეშ, შარავანდის ორივე მხარეს მარგალიტის ორ-ორი ჯვარი.

12) ყოვლადწმიდა სამების ხატი. ხეზე, მასიური მოვერცხლილ-მოოქროვილი ჭედური სამოსელით. უფალი საბათის მბრწყინავი შარავანდით მოოჭვილია მწვანე ფირუზის მსგავსი მძივითა და შუშის ქვებით; მაცხოვრის შარავანდიც ბრწყინავს და მოოჭვილია შუშის ქვებით; ხატის კუთხეში გამოსახული არიან მახარებლები; საბათისა და მაცხოვრის თავებს შორის გამოსახულია სულიწმიდა წარწერით ფაიფურის ორ ნაჭერზე: „ერთარსება ღვთაება“; დაბლა, ასევე ფაიფურზე წერია: „წმ. სამების ხატი სასწაულ მოქმედი მოსკოვს ქალაქსა აღშენებული“.

13) ღვთისმშობლის გოდების ხატი, ხეზე. ღვთისმშობლის, მაცხოვრის, ანგელოზთა და წინასწარმეტყველთა სამოსელი და შარავანდები მოოქროვილია.

14) ძელიცხოველის ხატი წმ. სიდონია მცხეთელისა და სხვა ქართველ წმიდანთა გამოსახულებებით. მას ამჟამად ეწოდება „ქართული ეკლესიის დიდება“. ხატს გარშემო შემორტყმული აქვს ვერცხლის ფირფიტები, დახატულია საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის მიტროპოლიტ ისიდორეს განკარგულებით.

15) წმიდა გიორგი ძლევაძის ხატი მასიურ მოვერცხლილ-მოოქროვილ სამოსელზე.

წარწერა ფირფიტაზე: „ღვთისმოსავი ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახსოვრად კავკასიის ეკადრონის, მისი უდიდებულესობის საკუთრების, ბადრაგის ქართველთა პირველი ოცეულის ოფიცრებისაგან, ოენკრებისა და მეაბჯრეთაგან, რომლებიც მსახურობდნენ 1857 წლის 18 ნოემბრიდან 1881 წლის 8 ოქტომბრამდე“.

16) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, შესრულებული თაბაშირზე, ბერძნული ფერწერით.

სამოსელი მოვერცხლილ-მოოქროვილია. გარშემო სხივი ჰფენს. სხივებში ორ ადგილას წერია ასო W, გამოსახულია აგრეთვე სამი ვარსკვლავი, რომლებშიც აღმასმემოვლებული სამი მსხვილი ზურმუხტია. სახის მრავალ ადგილას ამონამტკრევეები და ბზარებია. გადმოცემით, ხატმა ეს დაზიანება განიცადა ალა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს. დაბლა გაურკვეველი წარწერაა: „გსლპომალნონ“. სამოსელზე აწერია: „იო ქე,“ უკან კი - „შეწერე წმ. ღვთაებას აღმასით შემეკობილი იოვანე ვარდანის ძემ ჩემის სულისა მოსახსენებლად 1867 წელს“. როგორც ჩანს, იოანე ვარდანის ძემ შეამკო ხატი, რომელიც აქ დაასვენეს 1817 წელს.

17) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დასაკეცი ხატი; ოქროთი მოჭედილი. ღვთისმშობლის თავზე არის გვირგვინი ხუთი საშუალო ზომის ზურმუხტით. ზურმუხტებს შორის ხუთი საშუალო მარგალიტია. მაცხოვრის გვირგვინზე მობნეულია ხუთი ზურმუხტი და მათ შორის ოთხი წითელი ლალი: გვირგვინებს შორის ერთი საშუალო ზომის ზურმუხტია; და მათ შორის ოთხი წითელი ლალი; გვირგვინის სიახლოვეს ერთი დიდი გაუწახნაგებელი გულის ფორმის ლალი და ორი მცირე ლალი; ღვთისმშობლის მარცხენა მხარეს, მის გვირგვინთან ერთი დიდი და ერთი მცირე დაუწახნაგებელი ბადახში, ორი წაგრძელებული ფირუზი. მაცხოვრის გვირგვინის ახლოს ორი გრძელი ზურმუხტი, მათ ქვემოთ მსხვილი ფირუზი. გვირგვინის ქვემოთ მათეული მოოჭვილია ოცდაათოთხმეტი მარგალიტით; ღვთისმშობლის გვირგვინის ზემოთ ერთი დიდი ყვითელი ოთხკუთხა იაგუნდია, მოპირდაპირე მხარეს დიდი გრძელი ბადახში. ამ ბადახშიდან ოთხკუთხა იაგუნდამდე ათი ოთხკუთხა ზურმუხტი და ათი მრგვალი ბადახშია. მარცხენა მხარეს ცხრა ზურმუხტი და ათი ლალი.

ხატის მეორე მხარეს, ოქროს სამოსელზე გამოსახულია საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინო წარწერით: „წ ნინო.“

გვირგვინსა და მის გარშემოწერილობაზე მობნეულია თორმეტი წერილი ბადახში და ცამეტი მარგალიტი. წმიდა ნინოს თავის ორივე მხარეს ორი დიდი ბადახში და ორი ფირუზია. გარშემო შემკულია თერთმეტი მსხვილი ბადახშით, ათი ფირუზითა და ერთი ზურმუხტით. ყველა ეს ქვა ოქროს ჩარჩოშია. გარშემო წარწერაა: „ქ: წ: მოციქულო: ნინო: მეოხ: მეყავ: ორსავე: შინა: ცხოვრებასა: მეფესა: არჩილს: რომელმან: შეგამკე: ხატი: ესე: და: შემოგწირე: სულისა: ჩემისა: საოხად: და: მეფობისა: ჩემისა: წარსამართებლად:“

ხატის შიგნით ოქროს ფონზე, წრეში, რომელიც ორ ანგელოზს უჭირავს, გამოსახულია მაცხოვარი. წრის ქვემოთ გამოსახულია ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველთან ერთად.

შიგნით, ოქროს დაფაზე გამოსახულია მაცხოვრის ჯვარცმა, აღდგომა, აგრეთვე იოანე ნათლისმცემლისა და მთავარანგელოზის სახეები. სახურავი ოქროთია მოჭედილი. ერთ-ერთ დაფაზე ასვენია წმ. ნაწილები: იოანე ნათლისმცემლისა, გიორგი ძლევა მოსილისა, წმ. თეოდორეს, წმ. ევსტათის, წმ. კოზმასი და დამიანესი, გიორგი ქართველის, პარასკევას, ქრისტეფორეს, ეფთვიმეს, ეგნატეს, ეგენისა და ერმილესი, ნაწილები დაფარულია პერგამენტის ქაღალდით, რომელზედაც ქართული წარწერა წაშლილია.

დაფის გარშემო წარწერაა: „ქ: ძელო ცხოვრებისაო, ცხოვრებისაგან ნუ აკეებულ მყოფ ვითარცა პირველსა მამასა ჩვენსა ადამს: არაამედ მცველ და მფარველ მეყავ ორსავე ცხოვრებასა, ეგრეთვე თქვენ სიმრავლენო მოწამეთანო მიონეთ წინაშე ღუთისა მეფესა არჩილს. ქკ-ნს ტნიმ.“

ხატზე მიმაგრებულია ოქროს ძეწკვი, რომელშიც სამოცდარვა ფიგურაა, მათ შორის კი ორი ჯვარია.

18) ღვთისმშობლის ხატი ქაღალდზე, რომელიც დაფაზეა დაწებებული. ღვთისმშობლის თავს ზემოთ მსხვილი ფირუზია. ამას გარდა, ხატში ჩასმულია სამი დიდი და ექვსი წერილი ბადახში, ერთი დიდი მარგალიტი, ერთი დაწახნაგებული დიდი უბრალო ქვა.

ხატის დასავლეთის მხარე გაწოხილია ვერცხლით, რომელზედაც არის წარწერა: „ქ: შენ კარავსა ღუთისა და დიდებისასა და უცრჯულოთა ძალთაგან ქებით საღალადოსა დედისა ღუთისა წმიდასა ეკლესიას ტფილისის სიონთა ღუთის მშობლისასა შემოგწირე შენისა შდ ნათლიერისა სახისა ხატი ესე მცირე ოქროთა თვალითა და მარგალიტთაგან შემკობილი. მოგიძღვანე ჩვენ საფარველთა შენთა მსასომან ორბელიანმან სარდალმან რევაზ. შეიწირე კინი ესე შესაწირავი შდ უკურთხეულესო დედოფალო საოხად სულისა ჩემისა და ძეთა ჩემთა აღზრდად. მაისის: კ: ქკ-სა ულ“

19) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ხეზე, ოქროთი და მინანქრით შეჭედილი; გვერდები მოჩუქურთმებული აქვს. ხატის ერთი კუთხე ამოჭრილია. მასში სხვადასხვა წმიდანთა ნაწილებია. ზემოდან აწერია „ΒΑΣΙΛΕΨ“. ხატი საკმაოდ ძველია.

20) ღვთისმშობელი ყრმით. ხატში არის წმ. ნაწილები. აწერია: „ნაწილი წმ-მ გიორგისა; ნაწილი ლოის; ნაწილი წმ ნინოსი.“

21) ღვთისმშობლის ხატი მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით, ჭედური ნაკეთობაა. ჭედურადაა შესრულებული ღვთისმშობლისა და ყრმის შარავანდები. ზემოთ, ღრუბლებში სამი ანგელოზი და წარწერა: M-დ X-S.

22) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ხატი თეთრთმეტი მოციქულის გამოსახულებით, ხეზე, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით.

ღვთისმშობლისა და მაცხოვრის შარავანდები კიდეებში კბილოვანია.

23) ყაზანის ღვთისმშობლის, გიორგი მთავარმოწამის, ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხატი ვერცხლის ჩარჩოში. გვერდებზე მიკრულია ვერცხლის ფირფიტები.

24) პატარა, ოვალის ფორმის ხატი წმიდა ნაწილებით. ხატზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და იოანე ნათლისმცემელი, მეორე მხარეს მეტალის ჯვარია, რომლის ქვეშ შავი გახეხილი ქვაა.

25) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი მომინანქრებულია მოვერცხლილ-მოოქროვილ სამოსელზე. მასზე არის ხუთი დიდი ბადახში, ხუთი ფირუზი (ერთი გატეხილია). უკან ოცდათხუთმეტი მარგალიტია.

26) ხატი - ვერცხლით ნაჭედი, ჯვრის ფორმის, ყელზე ჩამოსაკიდი. ერთ მხარეს ჯვარცმაა გამოსახული, რომლის გარშემო ოთხი წინასწარმეტყველია დახატული. მეორე მხარეს - ღვთისმშობელია და გარშემო აგრეთვე ოთხი წინასწარმეტყველი. ხატის შუაში წმ. ნაწილების ოთხი ბუდეა, თუმცა, აღნიშნული არაა, კერძოდ - ვისი.

27) ყელზე ჩამოსაკიდი ოვალური ხატი ნიკოლოზ განმანათლებლისა და ღვთისმშობლის შობისა, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსელით.

28) ღვთისმშობლის ხატი ყრმით. ხეზე, ვერცხლის სამოსლით. ხატის სიგრძე ერთნახევარი გოჯია, სიგანე ნახევარი გოჯია.

29) მაცხოვრის ხელთუქმნელი პატარა ხატი, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით. უკანა მხარეზე გადაკრული აქვს ბამბის ხავერდი, რომელზედაც წერია: „სოფია“. ხატის სიგრძე ერთი გოჯია, სიგანე ოთხი სანტიმეტრი.

30) ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხატი, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით. კუთხეებში გამოსახულია მაცხოვარი და ღვთისმშობელი ომფორით. ხატის სიგრძე ექვსი გოჯია, სიგანე - ხუფი გოჯია.

31) ღვთისმშობლის გოდების ხატი, დაფაზე, ვერცხლის სამოსელზე. ჭედურია. სიგრძე 3 3/4 გოჯია, სიგანე სამი გოჯია.

32) ღვთისმშობლის ვლადიმირული ხატი, ხეზე, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით. სიგრძე 2 1/4 გოჯია, სიგანე 1 3/4 გოჯია.

33) დიდმოწამის თეოდორე სტრატელატისა და წმ. მოწამის ნატალაას ხატი; ხეზე, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით. ხატის თავზე სულიწმიდის გამოსახულებაა, რომელიც ბრწყინავს. ჭედური ნამუშევარია. ხატის სიგრძე 5 გოჯია, სიგანე 4.

34) წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხატი, მოვერცხლილ-მოოქროვილი სამოსლით.

განმანათლებლის თავს ზემოთ, ღრუბლებში გამოსახული არიან მაცხოვარი და ღვთისმშობელი ომფორით. წმ. ნიკოლოზს ხელები გაშლილი აქვს. მარჯვენით მახვილი

უჭირავს, მარცხენით - სამგუმბათოვანი ტაძარი, ფერხითი კი ქალაქია, რომელშიც ხე დგას. ხატის სიგანე სამი გოჯია, სიგრძე - 3 3/4 გოჯია.

35) გიორგი ძლევაშემოხილის ხატი, ვერცხლის სამოსლით, ჭედური. უკან ვერცხლის დაფა აქვს. სიგრძე ერთნახევარი გოჯია, სიგანე - ექვსი გოჯია.

37) დონის ღვთისმშობლის ხატი. ხეზე; გარშემო შემოვლებული აქვს მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტა. უკანა მხარეს, ჯვრისფორმის ამონაჭურში ჩასხმულია სანთელი. ხატის სიგრძე 2 1/4 გოჯია, სიგანე - 2 გოჯია.

38) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი მოოქროვილი ვერცხლის შარავანდით. გარშემოვლებული აქვს ფირფიტა, რომელზედაც გამოსახულია ოთხი ქერუბიში. სიგრძე 7 გოჯია, სიგანე - ექვსნახევარი გოჯია.

39) მაცხოვრის ხატი, ხეზე; მაცხოვრის სახე დამწვარია. სამოსელი მოოქროვილი ვერცხლისაა. სიგრძე 2 გოჯია, სიგანე - სანტიმეტრი.

40) ნიკოლოზ განმანათლებლის ხატი, ხეზე. ხატის ზედა კუთხეში გამოსახულია უფალი იესო ქრისტე და ღვთისმშობელი გვირგვინებით. ხატს გარშემო შემოვლებული აქვს ვერცხლის ფირფიტა. სიგრძე 4 გოჯია, სიგანე - სამნახევარი გოჯია.

41) ღვთისმშობლის მიძინების ხატი; ხეზე. ადგილ-ადგილ დაზიანებულია. სიგრძე - 9 გოჯია, სიგანე - აქვსნახევარი გოჯია.

42) სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატი მოოქროვილი ვერცხლის სამოსლით; ხის დაფაზე. სიგრძე - 2 გოჯია, სიგანე - ერთნახევარი გოჯია.

43) ტიზინის ღვთისმშობლის ხატი; ვერცხლის სამოსლიან დაფაზე. მარჯვენა მხარეს აწერია „ივილიტა“, მარცხენაზე - „კირიკი“. სიგრძე - 1 3/4 გოჯია, სიგანე ერთნახევარი გოჯია.

44) იოანე ნათლისმცემლის ხატი. იოანე ნათლისმცემელი მარჯვენა ხელით მიუთითებს მაცხოვარზე, მარჯვენათი - თავს. არშია ვერცხლისაა. ვერცხლისაა აგრეთვე ნათლისმცემლის შარავანდი. უკანა მხარეს აკრული აქვს ყვავილებიანი ფარჩა. სიგრძე შეიდანახევარი გოჯია, სიგანე - ექვსნახევარი გოჯია.

45) არტირის ღვთისმშობლის ხატი, ყელზე ჩამოსაკიდი, დახატულია შუშაზე. უკანა მხარეს გამოსახულია მთავარმოწამე ბარბარა.

46) ღირსი მამის დავით გარეჯელის ხატი. ხეზე. კიდეებზე შემოვლებული აქვს მოოქროვილი ვერცხლის ფაქიზად ნაკეთები ფირფიტები. დავითს შარავანდი არ ადგას. უკანა მხარეს გადაკრული აქვს აბრეშუმის ნაჭერი. სიგრძე 8 1/4 გოჯია, სიგანე - 6 გოჯია.

47) ღვთისმშობლის მიძინების ხატი, კვიპაროსის დაფაზე. სამოველი ვერცხლისა აქვს. მაცხოვრის თავზე მოოქროვილი ვერცხლის სხივებია. ხატის სიგრძე სამი გოჯია, სიგანე - 2 გოჯია.

48) მიქელ მთავარანგელოზის ხატი კვიპაროსის დაფაზე, ვერცხლის სამოსლით. სიგრძე ორნახევარი გოჯია, სიგანე - ორი გოჯი.

49) ნიკოლოზ განმანათლებლის ხატი კვიპაროსის დაფაზე, ვერცხლის სამოსლით, რომელზედაც წარწერაა: „წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედი“. სიგრძე სამი გოჯია, სიგანე - 2 გოჯი.

50) ყოვლადწმიდა სამების ხატი ხეზე; სამოსელი მოოქროვილი ვერცხლია. შემკულია რვა ბადახშითა და ერთი ზურმუხტით. სიგრძე ორი გოჯია, სიგანე - 1 3/4 გოჯი.

51) ღირსი სერგი რადონეველის ხატი კვიპაროსის ხეზე, ვერცხლის ჩარჩოში. შარავანდი მოოქროვილია. ზემოთ, მარჯვენა მხარეს გამოსახულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი. სიგრძე 2 1/3 გოჯია, სიგანე - 1 2/3 გოჯი.

52) ხატი ღვთისმშობლისა ყრმით. წარწერა: ყ'დ წმიდა. ვერცხლის სამოსელი შემკულია თერთმეტი წვრილი უბრალო ქვით. სიგრძე ერთნახევარი გოჯია, სიგანე - 1 გოჯი.

53) ხელთუქმნელი ხატი მოოქროვილი ვერცხლის სამოსელით, დახატულია დაფაზე. შარავანდის თავზე გამოსახულია ანგელოზები. სიგრძე 6 1/4 გოჯია, სიგანე - 5 გოჯი.

54) მაცხოვრის პატარა ხატი მოოქროვილი ვერცხლის სამოსელით. სიგრძე ორნახევარი გოჯია, სიგანე - ორი გოჯი.

55) ხატი მოციქულ თომას წინაშე უფლის გამოცხადებისა, ხეზე. მაცხოვარსა და თომას შარავანდები ადგათ. ხატის კიდეები ჭედური არსებითაა გამაგრებული. სიგრძე რვა გოჯია, სიგანე 6 3/4 გოჯი.

56) ელია წინასწარმეტყველის ხატი, რომელზედაც გამოსახულია ელიას სასწაულები, უფალი საბაოთი და ცეცხლის ეტლი. სახეები შარავანდებშია. გაწყობილია ვერცხლის ფირფიტებით. სიგრძე 7 გოჯია, სიგანე - 5 3/4 გოჯი.

57) ხატი წმ. დიმიტრი სოლუნელის წინაშე მაცხოვრის გამოცხადებისა. მაცხოვარს ადგას მოოქროვილი ვერცხლის შარავანდი. ხატი გაწყობილია ასევე მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტებით. სიგრძე 8 1/4 გოჯია, სიგანე - 6 1/4 გოჯი.

58) ხატი ყოვლადწმიდა სამებისა სამი მწირის სახით, რომლებსაც თავზე შარავანდები ადგათ. ხატს გარშემო ვერცხლის სამი ფირფიტა აქვს შემოვლებული. სიგრძე 6 3/4 გოჯია, სიგანე - ხუთნახევარი გოჯი.

59) იოანე ღვთისმეტყველის ხატი დაფაზე. გამოსახულია აგრეთვე არწივი, გარშემო შემოვლებული აქვს ვერცხლის ფირფიტები. სიგრძე შვიდი გოჯია, სიგანე - 5 3/4 გოჯი.

60) ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ღვთისმშობლის შობისა. ხატი ყვითელი ხაზით შუაზეა გაყოფილი. გარშემო შემოვლებული აქვს მოოქროვილი

ვერცხლის გლუვი არშია. მეორე მხარეს გადაკრული აქვს აბრეშუმის მუქი კუბოკრული ნაჭერი. სიგრძე 6 3/4 გოჯია, სიგანე - ორნახევარი გოჯი.

61) მაცხოვრის ხატი, ხეზე, ვერცხლის ერთიანი სამოსლით, სამ მხარეს ღრუბლებში გამოსახულია ქერუბიმები. სიგრძე 7 3/4 გოჯია, ხოლო სიგანე - 6 3/4 გოჯი.

62) პატარა ხატი - უფალი იესოს ჯვარცმა წარწერით: „იესო ქრისტე“. კიდეებზე შემოვლებული აქვს კბილანა ფირფიტები. სიგრძე 4 სანტიმეტრია, სიგანე - სამნახევარი სანტიმეტრი.

63) მაცხოვრის ხატი, დაფაზე, ვერცხლის მთლიანი სამოსელით. სიგრძე 4 გოჯია, სიგანე - 3 გოჯი.

64) ღირსი პალადის ხატი, დაფაზე, შემოვლებული აქვს მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტები. ხატებზე წარწერაა: „ურთხეულ პალადის, ს. პ. სასულიერო აკადემიის რექტორსა და მოძღვარს - მე-13 კურსი, 1867 წლის 28 იანვარს.“

65) მაცხოვრის ხატი დაფაზე. მოოქროვილი ვერცხლის სამოსლითა და ასეთივე შარავანდით. შუაზე ბზარი აქვს. სიგრძე 6 გოჯია, სიგანე - 5 გოჯი.

66) წმიდა ოჯახის ხატი. დაფაზე. სამოსელი ვერცხლისაა, სიგრძე - 4 გოჯი, სიგანე - 3 1/4 გოჯი.

67) ხატი ღვთისმშობლისა იოსებ მართალთან ერთად, კიდეებზე შემოვლებული აქვს ვერცხლის ფირფიტები. სიგრძე 8 სანტიმეტრია, სიგანე - 7 სანტიმეტრი.

68) მაცხოვრის ხატი ხის დაფაზე, ვერცხლის მოოქროვილი ჭედური სამოსლით. თავზე შარავანდი ადგას. ხატის კუთხეში ჭედური ფიგურებია გამოსახული. სიგრძე 10 გოჯია, სიგანე - 9 1/4 გოჯი.

69) ღვთისმშობლის ხარების ხატი, ხის დაფაზე. ღვთისმშობელსა და მაცხოვარს შარავანდები ადგათ. ღვთისმშობლის შარავანდის შუაში ჩასმულია დიდი სარდონი ვერცხლის ჩარჩოში. მაცხოვრის შარავანდში ოთხი წვრილი ფირუზი და ორი იაგუნდია. ხატს შემოვლებული აქვს ვერცხლის ფილები. სიგრძე 7 გოჯია, სიგანე - 6 გოჯი.

70) სმოლენსკის ღვთისმშობლის დასაკეცი ხატი, მთლიანად ვერცხლისაა. მოოქროვილია. ღვთისმშობელს აქეთ-იქით მოოქროვილ სამოსში უდგანან გიორგი ძლევაშოსილი და ნიკოლოზ სასწაულმოქმედი. ტაძრისთვის შეუწირავს ეგზარქოს ევსევის 1866 წლის 14 მაისს, სახსოვრად ალექსანდრე ნიკოლოზის ძის სასწაულებრივად გადარჩენისა 1866 წლის 4 აპრილის ავანაკური თავდასხმისაგან. მთლიანად 12 გოჯია, სიგანით - 6 გოჯი.

71) ნიკოლოზ განმანათლებლის ხატი, დაფაზე, მოოქროვილი ვერცხლის სამოსლით. კუთხეებში გამოსახული არიან მაცხოვარი და ღვთისმშობელი იმფორით. სიგრძე 8 გოჯია, სიგანე - 7 გოჯი.

72) ღვთისმშობლის მიძინების ხატი მინანქარზე. ხატის რკალი ვერცხლისაა. სიგრძე ორი გოჯია, სიგანეც- ორი გოჯი.

73) ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის სამოსლით, ჭედურია. შარავანდი მოოქროვილია. სიგრძე - 7 გოჯი, სიგანე - 5 გოჯი.

74) ღვთისმშობლის ხატი დაფაზე, ვერცხლის სამოსლით, ჭედურია. შარავანდი მოოქროვილია. სიგრძე 2 3/4 გოჯია, სიგანე - 2 გოჯი.

75) მოციქულთასწორის ნინოს ხატი, მოოქროვილი შარავანდით. სიგრძე - 1 1/4 გოჯი, სიგანე - 1 გოჯი.

76) მაცხოვრის ხატი ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოში ვერცხლისავე ძეწკვით. სიგრძე ერთი გოჯია, სიგანე - 3/4 გოჯი.

77) მაცხოვრის ხატი ვერცხლის ყდით. სიგრძე-სიგანე 1 გოჯი აქვს.

78) ყველამოწამე ხატი. დაფაზე მასიური მოოქროვილი ვერცხლის სამოსლით. სიგრძე შეიღნახეგარი გოჯია, სიგანე - ექვსნახეგარი გოჯი.

79) მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, დაფაზე, მოოქროვილი ვერცხლის მასიურ სამოსელზე. მაცხოვარს შარავანდი ადგას.

80) მაცხოვრის ხატი ვერცხლის სამოსლით. შარავანდში წარწერა: O W H.

81) ივერიის ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის ჩარჩოში. სიგრძე - 13 სანტიმეტრი, სიგანე 11 სანტ.

82) ღვთისმშობელი ყრმით; ვერცხლის ჩარჩოში. სიგრძე - 7 სანტიმეტრი, სიგანე - 6 სანტ.

83) ღირსი იოსების ხატი ვერცხლის ჩარჩოში. სიგრძე 6 და სიგანე 5 საყენი.

84) ოთხი ხატი მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებში: ორი ხატი მაცხოვრის, ორიც - ღვთისმშობლის. თითოეულის სიგრძე სამი გოჯია, სიგანე ორნახეგარი გოჯი.

85) სამი გარდამოხსნა, რომელთაგან ერთი ოქრო-ვერცხლითაა ამოქარგული.

მიტრამი

1) საპატრიარქო გვირგვინის ოქროს ზედაპირი მოქარგულია მრავალი ძვირფასი ქვით. გვირგვინს ადგას ოქროს გლობუსი, რომელზედაც დამაგრებულია ოქროს ჯვარი - მორთული 22 მსხვილი ბრილიანტით (თერთმეტ-თერთმეტი ჯვრის აქეთ-იქით). ჯვრის ქვემოთ, გლობუსზე 32 იაგუნდია. ჯვარი და გლობუსი დამაგრებულია ოქროს ხრახნილზე, რომელიც თავის მხრით ოქროს ფირფიტაზეა დამაგრებული; ფირფიტის გარშემო სამ რიგადაა მოხენული საშუალო და წვრილი მარგალიტები.

გლობუსის ოთხ მხარეს ოფხ-ოფხი მრგვალი ფირფიტა, რომლებიც გარშემო შემკული არიან წვრილი მარგალიტით; ფირფიტების შიდა ნაწილები მოკაზმულია 35 ზურმუხტით, რომელთა ცენტრში 4 დაწახნაგებული მსხვილი ტოპაზია. მათ ქვემოთ ჩასმულია 4 მინანქარი,

რომლებზედაც გამოსახულია უფლის ცნება; ეს მინანქრები ორ რიგადაა შემკული შუშის ქვებით და წვრილი მარგალიტით. საშუალო ზომის მინანქრების ქვემოთ არის 8 ოქროს მრგვალი ფირფიტა, რომელთაგან 4 სამრიგად და კიდევ ოთხი ერთ რიგადაა მარგალიტით დარჩენილი; ამ რვა ოქროს ფირფიტის შუაში ჩასმულია 2 ოთხკუთხა და 6 ექვსკუთხა ზურმუხტი, რომლებიც თავის მხრივ შემკულია 123 საშუალო ზომის იაგუნდით.

8 მსხვილი ზურმუხტის ქვემოთ ჩასმულია 4 მინანქარი, რომლებზედაც გამოსახულია უფლის ცნება. მინანქრებს წრიულ არშიებად, ერთ რიგად, ავლია საშუალო ზომის მარგალიტები. მინანქრებს შორის ძვირფასი ქვებისაგან გამოხატული 4 ჯვარია; მათ შორის არის 36 დაწახნაგებული ზურმუხტი და 16 ბადახში.

ჯვრების თავზე ჩასმულია 12 საშუალო ზურმუხტი და 55 ოქროს მიძვის მარცვალი.

დიდი მინანქრების ქვემოთ ჩასმულია მარგალიტის 4 დიდი და 4 პატარა ტოტი, სადაც 33 საშუალო და მცირე დაწახნაგებული ზურმუხტია; არის აგრეთვე 3 ბადახში.

მიტრის კიდეში, ოქროს ფონზე, 26 ზურმუხტია, რომელთაგან 6 მსხვილია და 20 საშუალო, ამას გარდა, კიდევ ერთი ბადახში და 8 საფირონი; ისინი წრიულადაა მორთული მარგალიტებით. ყველა მარგალიტი შენახულია.

კიდევ 4 ოქროს და 1 ვერცხლის ზონარია.

2) ოქროს მიტრა, ჭედური; ზემოთ, პირით მხარეს, აქვს მოძრავი ჯვარი, რომელიც წინა მხრიდან შემკულია 10 ალმასით (7 საშუალო და 3 მცირე); ჯვრის უკანა მხარეს ემაღის ზოლებია, რომელთაგან გამოყვანილია ლათინური ასოები: G.M.Z.W.R. ჯვრის კიდევზე, სამი მხრიდან, ემაღის სამკაულებია; ჯვრის თავზე - ლალები, რომელთაგან 1 მცირეა, ერთი - საშუალო ზომის; ჯვარი ჩასმულია ოქროს ჩარჩოში და დამაგრებულია ოქროს ბურთულაზე, რომელზედაც 8 ჭედური ფიგურაა. ამათგან 4 მოთვალულია საშუალო ზომის ფირფიტებით და 4 - საშუალო იაგუნდებით. მათში სულ 83 ძვირფასი ქვაა (42 ფირუზი და 41 იაგუნდი). ბურთულის ქვეშ 12 წვრილი იაგუნდია, რომელთა თავზე 1 წვრილი ბადახშია და 1 წვრილი ფირუზი; ბოლოში კი, ბურთულის გარშემო, ჯვრის ფორმის ემაღია და მასში ჩასმულია 4 მსხვილი იაგუნდი, ამათ შუაში - 2 საშუალო და 2 წვრილი იაგუნდი, აგრეთვე 4 დიდი მარგალიტი. ამ სამკაულებს ქვემოთ 4 ქერუბიძია; თითოეული მათგანის ფრთებს ამკვნიან ოქროს ჩარჩოში ჩასმული 4 დიდი საფირონი; ქერუბიძის გვერდით გაუყვება ოქროს 4 ზოლი, რომლებშიც ჩასმულია ხუთ-ხუთი მსხვილი მარგალიტი; ზოლების გარშემო ჩასმულია: პირველთან - 25 წვრილი მარგალიტი და მარგალიტებს შორის 8 წვრილი ფირუზი; მეორესთან - 27 იაგუნდი და 7 წვრილი ფირუზი; მესამესთან - 26 წვრილი იაგუნდი და 8 წვრილი ფირუზი; მეოთხესთან - 27 წვრილი იაგუნდი და 8 ფირუზი;

ზოლების კიდეებში ემალის 4 წრეა; პირველთან, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ზემოთ, ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი, ზურმუხტის ბოლოებში კი - 4 წვრილი იაგუნდი. გარშემო 4 დიდი მარგალიტია და 4 საშუალო იაგუნდი, იაგუნდის გარშემო კი ემალის წრე და კიდე 4 წვრილი იაგუნდი; მეორე წრესთან, მოციქულების იოანესა და ლუკას ზემოთ, ჩასმულია ცისფერი რვაკუთხა საფირონი; საფირონის გარშემო 4 მსხვილი მარგალიტი, რვა წვრილი, აგრეთვე 4 საშუალო იაგუნდია. მესამე წრესთან, წმ. გიორგისა და მოციქულ მარკოზის ზემოთ, ოქროს ჩარჩოში ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი, რომელთა კიდეებში 4 საშუალო იაგუნდია. იაგუნდების გარშემო - 4 მსხვილი მარგალიტი, 6 წვრილი და 4 საშუალო იაგუნდი; მეოთხე წრესთან, მოციქულების ლუკას და იოანე ღვთისმეტყველის ზემოთ, მრგვალ ემალში ჩასმულია დიდი რვაკუთხა საფირონი, რომლის გარშემო 4 მსხვილი მარგალიტი, 8 წვრილი და 4 საშუალო იაგუნდია. ქერუბიმებზე ჩასმულია: პირველზე, ზემოთ - 34 წვრილი ფირუზი; მეორეზე - 27 წვრილი იაგუნდი; მესამეზე - 38 წვრილი ფირუზი და მეოთხეზე - 29 წვრილი იაგუნდი;

მიტრის გარშემო, ქვედა იარუსზე არის 8 ოქროს ჭედური ხატი. პირველი ხატი - იესო ქრისტე; მის თავზე, არშიის შუაში, ემალის წრეში ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი, რომლის გარშემო 4 წვრილი იაგუნდია; მინანქრის კიდეში 30 წვრილი იაგუნდისაგან გაკეთებულია სამკაული, რომლის შუაში ერთი დიდი იაგუნდი და 5 წვრილი ფირუზია. იესო ქრისტეს გარშემო 24 საშუალო იაგუნდია, შუაში - ორი დიდი მარგალიტი, რომელთაგან თითოეული შემკულია 6-6 წვრილი ფირუზით; თითოეულ იაგუნდს აქეთ-იქით 2 ფირუზი აქვს; იაგუნდებს შორის სულ 50 ფირუზია.

მეორე ხატი - ღვთისმშობელი, რომელზედაც, არშიის შუაში, დიდი მწვანე ზურმუხტია. ზურმუხტის გარშემო 34 წვრილი იაგუნდი და მათ შორის - 1 დიდი იაგუნდი და 6 წვრილი ფირუზია; ხატის გარშემო 24 საშუალო იაგუნდია; ზემოთ, მარცხნივ და მარჯვნივ - 2 მარგალიტი, რომელთა გარშემო 8 წვრილი ფირუზია. ფირუზი არის სულ 49.

მესამე ხატი - იოანე ღვთისმეტყველი, რომლის ზემოთ, მინანქარში ჩასმულია მწვანე ზურმუხტი, რომლის გარშემო 4 წვრილი იაგუნდია; მინანქრის კუთხეები შემკულია 28 წვრილი იაგუნდით, მათ შორის - ერთი დიდი იაგუნდი და 5 წვრილი ფირუზია; ხატის წრეში 22 საშუალო იაგუნდია, ზემოთ - 2 დიდი მარგალიტი, ამ მარგალიტების აქეთ-იქით კი - 8-8 წვრილი ფირუზი. ფირუზი სულ ორმოცდაექვსია.

მეოთხე ხატი - ლუკა მახარებელი, რომლის ზემოთ, არშიასა და მინანქარში ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი, რომლის გარშემო 4 წვრილი იაგუნდია; მინანქრის კუთხეები შემკულია 30 წვრილი იაგუნდით, რომელთა გარშემო 1 დიდი იაგუნდი და 5 წვრილი

ფირუზია; ხატის გარშემო 23 საშუალო იაგუნდი, ზემოთ კი - 2 დიდი მარგალიტია. მარცხენა და მარჯვენა მხარეებში 8-8 წვრილი ფირუზი; ფირუზი სულ ორმოცდაოთხია.

მეხუთე ხატი - წმინდა გიორგი. რომლის ზემოთ, ემალში, ზის მწვანე ზურმუხტი. ზურმუხტის გარშემო 4 წვრილი იაგუნდია; მინანქრის კიდეები შემკულია 30 წვრილი იაგუნდით, რომელთა შორის 1 დიდი იაგუნდი და 6 წვრილი ფირუზია; ხატის გარშემო 22 საშუალო იაგუნდია, ზემოთ - 2 დიდი მარგალიტი, რომელთა გარშემო 8-8 ფირუზია. ფირუზი სულ ორმოცდაექვსია.

მექექსე ხატი - მარკოზ მახარებელი, რომლის თავს ზემოთ, მინანქარში ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი, მის გარშემო 3 წვრილი იაგუნდი. ემალის კიდეები შემკულია 28 წვრილი იაგუნდით. მათ შორის 1 დიდი იაგუნდი და 6 წვრილი ფირუზია; ხატის გარშემო 24 საშუალო იაგუნდია, ზემოთ 2 დიდი მარგალიტი. ამ მარგალიტებს გარშემო 8-8 ფირუზი. ფირუზი სულ ორმოცდაათია.

მეშვიდე ხატი - მათე მახარებელი, რომლის ზემოთ, მინანქარში ჩასმულია დიდი მწვანე ზურმუხტი. მის გარშემო 4 წვრილი იაგუნდია. ემალის კიდეები შემკულია 30 წვრილი იაგუნდით. ამ იაგუნდებს შორის 1 დიდი და 6 წვრილი ფირუზია; ხატის გარშემო 24 საშუალო იაგუნდია; ზემოთ 2 მარგალიტია. ამ მარგალიტების გარშემო 13-13 წვრილი ფირუზი. ფირუზი სულ არის ორმოცდაცხრა.

მერვე ხატი - იოანე ნათლისმცემელი, რომლის ზემოთ მინანქარში, ზის დიდი მწვანე ზურმუხტი. ზურმუხტის გარშემო 5 წვრილი იაგუნდია; მინანქრის კიდეები შემკულია 30 წვრილი იაგუნდით. ამ იაგუნდებს შორის 1 დიდი იაგუნდი და 6 წვრილი ფირუზია; ხატის გარშემო - 24 საშუალო იაგუნდი, ზემოთ - 2 დიდი მარგალიტი, რომელთა გარშემო 8-8 ფირუზია. ფირუზი სულ არის 48.

ხატებს ერთმანეთთან აკავშირებს ვერცხლის 8 ზოლი. ყოველ ზოლში ჩასმულია თითო მარგალიტი, ხოლო ექვსის გარშემო 4-4 წვრილი იაგუნდი. დანარჩენი ორის გარშემო კი - სამ-სამი; იაგუნდების გარშემო მინანქარია ჩასმული.

ხატებს ქვემოთ ოქროს ნაჭედი ზოლებია, რომლებიც 86 აღმასითა და 45 მაგრალიტითაა მოოჭვილი.

მიტრას გარშემოვლებული აქვს ოქროს ფოჩი.

მიტრაზე წარწერაა: „მეფეთა მეფისა ხელმწიფის თეიმურაზის, დედოფალთ დედოფალის ქართველთ ხელმწიფეთ ასულის ზორეშანის რძალმა და პირმშობის სასურველისა ამ ორთ ხელმწიფეთ შვილის ბატონის მეფის დავითის ცოლმა ელენამ.

მე დედოფალმა მესხთა თვით დიასამიდის ასულმან შემოგწირე ღვაწლისა მძლეო, ტყუეთა მხსნელი, დიდო მთავარმოწამეო გიორგი ალავერდისაჲ, შემოგწირე ამ ხელმწიფეების მოსახსენებლად და ჩემი შვილისა.

ჰყავ მხნედ ბრწყინვალის ბატონის შვილის ლუარსაბისა და ბატონის შვილის გიორგისა და ნესტან დარეჯანისა დედოფლისა მოსახსენებლად და ჩემის შვილის მეფის ერეკლეს სადღეგრძელოდ და სახსენლად მისის ცოლშვილისა.

და ქეთევან დედოფლის სადღეგრძელოდ, მისის ქმრის, შვილის და ჩემის სულის მოსახსენებლად.

ამ დროს რომ დიდ რუსეთის ხელმწიფისაგან შახ სულეიმანთან მიველ ისპაანს იქა გააკეთებინე და ჩემი ჭირნახული ამახედ დაეადე.

აწ ვინც გამოსწიროს ან გირაოდ დადვას ან სხვაგან წაიღოს ალავერდის მეტეა ესე ღმერთი რისხავს, წმიდა ღვთისმშობელი, წმიდა გიორგი, მთავარანგელოზი, წმიდა დიმიტრი, ძელი ცხოველის მყოფელი, ყოველნი წმიდანი, მღვდელ მოძღვარნი. ამინ.

ქორონიკო ტოპა.

ვინც ამით სწიროს, შენდობით მომიხსენიოს მარამა. ამის სარქარი პაპუა ბებურიშვილი“.

3) ყვითელი ფარჩის მიტრა; მის ზედა წრეზე ჩასმულია მინანქარი, რომელზედაც გამოსახულია უფალი. გამოსახულების გარშემო მობნეულია 30 წვრილი ალმასი და წვრილი მარგალიტი, აქეთ-იქით კი, მინანქრებზე, ორ რიგად, გამოსახული არიან წმიდანები. პირველ რიგში: პირველი მინანქარი, რომელზედაც გამოსახულია მათე მახარებელი, დაზიანებულია. მის გარშემო მობნეულია 28 წვრილი ალმასი და წვრილი მარგალიტი, აქვს წვრილი მარგალიტის გვირგვინი, რომელშიც არის ასევე მარგალიტის მცირე ჯვარი. გვირგვინში სამი საშუალო მარგალიტი, 2 ზურმუხტი და ერთი წითელი ძიწია. გვირგვინის თავზე, ჯვრის ზემოთ არის წვრილი მარგალიტის ორწრეწიროვანი წრე, რომელშიც ჩასმულია საშუალო ზომის ბაცი-წითელი იაგუნდი.

მეორე მინანქარზე, რომელზედაც გამოსახულია მარკოზ მახარებელი, მობნეულია 28 წვრილი ალმასი და მარგალიტი. აქვს წვრილი მარგალიტის გვირგვინი; გვირგვინებზე გამოსახულია მარგალიტის მცირე ჯვარი. გვირგვინში სამი მარგალიტი, 2 საშუალო ზურმუხტი და ერთი პატარა წითელი იაგუნდი. გვირგვინის თავზე, ჯვრის ზემოთ, არის წვრილი მარგალიტის ორწრეწიროვანი წრე, რომელშიც ჩასმულია საშუალო ზომის იაგუნდი.

მესამე მინანქარზე გამოსახულია ლუკა მახარებელი. მის გარშემო - 28 წვრილი ალმასი და მარგალიტია მობნეული; აქვს მარგალიტის გვირგვინი და მცირე ჯვარი. გვირგვინში 2 საშუალო ზურმუხტი და ერთი მცირე ზომის წითელი იაგუნდი. გვირგვინის თავზე, ჯვრის ზემოთ, არის წვრილი მარგალიტის ორწრეწიროვანი წრე, რომელშიც ჩასმულია საშუალო ზომის ბაცი-წითელი იაგუნდი.

მეოთხე მინანქარზე გამოსახულია იოანე მახარებელი ღვთისმეტყველი; მის გარშემო მობნეულია 28 წვრილი ალმასი და მარგალიტი; აქვს მარგალიტის გვირგვინი და

მცირე ჯვარი, რომელშიც სამი საშუალო მარგალიტი, 2 საშუალო ზურმუხტი და ერთი მცირე ზომის მუქი წითელი იაგუნდი. გვირგვინის თავზე, ჯვრის ზემოთ არის წვრილი მარგალიტის ორწრეწიროვანი წრე, რომელშიც ჩასმულია ბაცი-წითელი მცირე იაგუნდი.

ეს მიტრა, მინანქრების მეორე რიგიდან, გვირგვინებს ზემოთ, იმ მინანქრამდე, რომელზედაც გამოსახულია მამა-უფალი, ჯვრის ფორმით მობნეულია წვრილი და საშუალო მარგალიტი. ჯვრის ყოველ ფრთაში ჩასმულია ოქროსჩარჩოვანი 2-2 ზურმუხტი და თითო საშუალო ზომის იაგუნდი. სულ ოთხივე ფრთაში 8 ზურმუხტი და 4 იაგუნდი.

მახარებელთა შორის გასდევს შტოები, რომლებიც საშუალო და მცირე მარგალიტებით არიან მოთვალული. მახარებელთა გვერდით - საშუალო სიდიდის ორ-ორი იაგუნდი, ხოლო ყველა შტოში 8 იაგუნდი და 4 ზურმუხტია.

მინანქრების მეორე რიგში, მაცხოვრის გამოსახულებასთან, მობნეულია საშუალო ზომის 26 ალმასი და მარგალიტი; გვირგვინიც და ჯვარიც მობნეულია მარგალიტებითა და ალმასებით; გვირგვინსა და ჯვარზე სულ 24 ალმასი და 2 იაგუნდი. მეორე მინანქართან, რომელზედაც გამოსახულია იოანე ნათლისმცემელი, ჩასმულია 26 საშუალო ალმასი და წვრილი მარგალიტი, მინანქრის ზემოთ გვირგვინი და ალმას-მარგალიტის ჯვარია. სულ გვირგვინსა და ჯვარში 25 ალმასია. მესამე მინანქართან, რომელზედაც გამოსახულია უფლის ჯვარცმა, მობნეულია წვრილი მარგალიტითა და 26 საშუალო ალმასით. მინანქრის ზემოთ გვირგვინი და ჯვარია, რომლებიც წვრილი მარგალიტითა და 25 წვრილი ალმასითაა გაკეთებული. გვირგვინის შუაში 2 წითელი იაგუნდი. მეოთხე მინანქართან, რომელზედაც ღვთისმშობელია გამოსახული, ჩასმულია წვრილი მარგალიტი და 26 საშუალო ალმასი; მინანქრის თავზე არის გვირგვინი და ჯვარი, რომლებიც მობნეულია წვრილი მარგალიტითა და 24 წვრილი ალმასით. ამ ოთხ მინანქარს შორის არის წვრილი მარგალიტის შტოები.

მიტრა ბოლოში გაწყობილია მარგალიტის არშით, რომელსაც შუაში გასდევს ოქროს წრიანი მარგალიტის შტოები. ოქროს წრეებში ჩასმულია 4 ზურმუხტი და 4 წითელი იაგუნდი.

მიტრას შემოკრული აქვს ძველი, ოქროს ვარაყიანი ფოჩი. გადაკრული აქვს აბრეშუმის წითელი ნაჭერი.

4) მიტრა, რომლის ფარჩა მთლიანად მოთვალულია მსხვილი და წვრილი მარგალიტით. ბრტყელ თხემზე ჩასმულია მინანქარი, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობლის მიძინების ხატი ვერცხლის ჩარჩოში. მის გარშემო ორ რიგად მობნეულია საკმაოდ მსხვილი მარგალიტი, რომელთა შორის წვრილი მარგალიტით გამოყვანილია წარწერა: „ღედაო ღვთისავ, შენსკენ მოვაყვრობ სასოებას ჩემსას, დამიფარე შენსა საფარველს

ქვეშ“. შუბლზე ჩასმულია სადაფის მინანქარი, რომელზედაც გამოსახულია მაცხოვარი. მაცხოვრის ზემოთ გვირგვინი შემკულია საშუალო და წვრილი მარგალიტით, მასში ჩასმულია ზაში ზაკმაოდ დიდი შუშის ქვა, ფრანგული წარმოების; ერთ-ერთი მათგანი ჩასმულია მარგალიტის ჯვარში, ორი- გვირგვინში და ამ შუშის ქვების გარშემო ჩასმულია ექვს-ექვსი წვრილი მარგალიტი; მაცხოვრის გვერდით, წრის გარეთ, გამოსახულია ორი ქერუბიმი, რომელთა სამოსელი - ფრთები - წვრილი მარგალიტია, ხელები და სახე მინანქრისაა. ქერუბინთა თავზე - ვერცხლის მოოქროვილი გვირგვინები. ორივე ანგელოზის თავზე ერთი და იგივე წარწერაა: „წმ. ანგელოზი უფლისა“.

დასავლეთის მხარეს, ვერცხლის მოოქროვილ წრეში, სადაფზე გამოსახულია უფლის ჯვარცმა; გარშემო მოოჭვილია საკმაოდ მსხვილი მარგალიტით. ჯვარცმის თავზე მარგალიტის გვირგვინი და ჯვარია, რომელთა შუა ჩასმულია ფრანგული წარმოების შუშის მსხვილი ქვები. ასეთივე ორი ქვა გვირგვინშიცაა ჩასმული. ამ ქვებს შორის ხუთ-ხუთი მარგალიტია. გვერდებში, წვრილი მარგალიტის სამოსით, გამოსახული არიან წმიდანები: იოსებ არიმათიელი და სიმონ კვირინელი. ამ წმიდანებს, რომელთა ხელები და სახეები მინანქრისაა, უკავიათ ჯვარიანი გვირგვინი. გვირგვინში ჩასმულია 1 შუშის ქვა და 2 ბრილიანტი, თითოეული გაწყობილია 5 წვრილი მარგალიტით.

ჩრდილოეთის მხარეს სადაფზე გამოსახულია იოანე ნათლისმცემელი. გამოსახულების მოოქროვილი ჩარჩო შემკულია 30 მსხვილი მარგალიტით. გვერდით არიან განმანათლებლები: ბასილი დიდი და იოანე ოქროპირი. მათი გვირგვინები მოოქროვილია. განმანათლებელთა ხელები და სახეები მინანქრისაა. ხატის თავზე მარგალიტის გვირგვინი, ხოლო გვირგვინის თავზე - მარგალიტის ჯვარი; გვირგვინში 1 შუშის ქვა და 10 წვრილი მარგალიტი. გვირგვინში ჩასმულია აგრეთვე ალმასი.

სამხრეთის მხარეს სადაფზე გამოსახულია წმიდანინო. გამოსახულების მოოქროვილი ჩარჩო გარშემო მოოჭვილია 33 მსხვილი მარგალიტით; გვერდით ორი სირიელი მამა მარგალიტის მანტიებში. ესენი არიან იოანე ზედაზნელი და სტეფანე ხირსელი. მათ უკავიათ წვრილი მარგალიტის გვირგვინი; გვირგვინის თხემზე მარგალიტის ჯვარია, რომელშიც ჩასმულია 1 ალმასი და 1 შუშის ქვა; წრეებში 5-5 წვრილი მარგალიტია.

მიტრის პირზე წარწერაა: „მოხედე ზეცით, უფალო, და იხილე ვენახი ესე და მარჯვენამ შენმა დაამკვიდროს იგი“.

მიტრის მეორე იარუსზე სადაფის ოთხი გამოსახულება ჩასმულია ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოებში, რომლებიც გარშემო მოოჭვილია მარგალიტით.

გამოსახული არიან: იოანე ღვთისმეტყველი, ევსევი სამოსატელი, ანტონ მარტყოფელი, რომელსაც ხელში მაცხოვრის ხატი უკავია, იესე წილკნელი, რომელსაც ხელში მაცხოვრის ხატი უკავია, იესე წილკნელი, რომელსაც ღვთისმშობლის ხატი უკავია.

მიტრა უხვადაა შემკული ვეჯივლებით, ფოთლებით, ასობით, რომლებიც გამოყვანილია მსხვილი, საშუალო და მცირე მარგალიტებით.

5) მიტრა საშუალო და წვრილი მარგალიტით ცისფერ ფონზე. სადაფებზე გამოსახულია: მამა-ღმერთი სულიწმიდასთან, ოთხი მახარებელი, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, ევსევი სამოსატელი და უფლის ჯვარცმა.

საბაოთის გამოსახულება გარშემო მოხვეულია ფრანგული შუშის ქვებით, რომელთა რიცხვი ოცდათორმეტია; შუშის ქვებთან მარგალიტის მთლიანი სამკაულია. სამკაული ვარსკვლავის ფორმისაა.

მიტრის პირველ იარუსზე, მახარებლების გამოსახულებანი ჩასმულია მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებში, რომლებიც შუშის ქვებითაა გაწყობილი. მათ შიგნით მარგალიტის ციალია.

მეორე იარუსზე, მაცხოვრის, ღვთისმშობლის, ჯვარცმისა და ევსევი სამოსატელის გამოსახულებანი ჩასმულია ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოებში, რომლებიც გაწყობილია ფრანგული შუშის ქვებითა და 150 მარგალიტით.

მიტრის პირზე შემოვლებულია მარგალიტის ორი არშია, რომელთა შორის გავლებულია ოქროთი მოვარაყებელი ვინიეტი.

ქვედა ხატების თავზე ოქროთი მოქარგული გვირგვინებია. ჯვრების ქვემოთ მარგალიტის წრეებია (თითო საშუალო და 10 მცირე მარგალიტის); მათგან ორი რიგად გამოედინება მარგალიტის ხაზები, რომლებიც მარგალიტის ორი ბურთულითაა შეერთებული.

მიტრის პირის ქვემოთ ოქროს ფოჩია.

6) მიტრა, რომელიც პატრიარქის გვირგვინისგანაა გადაკეთებული 1836 წელს. მასზე არის გამოსახულებანი: ღვთისმშობლის მიძინება, ოთხი მახარებელი, წმ. სამება, წმ. ნინო, უფლის ჯვარცმა, გიორგი ძლევაპოსილი და რვა ქურუბიმი.

მიძინების გამოსახულება ოქროს წრეშია ჩასმული. წრე გაწყობილია 53 საშუალო ზომის მარგალიტით. გარშემო არტყია მარგალიტისავე წრე, რომელშიც ჩასმულია 4 მსხვილი მარგალიტი, ორი იაგუნდი, ერთი ამეთეისტო და ერთი ტოპაზი, აგრეთვე მარგალიტისა და ოქროს სხივები. სხივების რვა ბოლოზე სამ-სამი მარგალიტისაგან შემდგარი ვარსკვლავია.

პირველ იარუსზე მახარებლებია გამოსახული. გამოსახულებები ჩასმულია მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებსა და მარგალიტის სირმებში. ყოველი მახარებლის გვერდით, 8-8 ოქროს ბუდეში, ჩასმულია

ქვები. ქვების გარშემო კი თითო მსხვილი იაგუნდი, 2-2 საშუალო და 3-3 მცირე ზურმუხტია ჩასმული. ხატებს ზემოთ იაგუნდები შემკულია ფირუზის მინანქრით.

ქვედა იარუსის ხატებს ზემოთ გვირგვინებია, რომლებსაც ჯვრები აბოლოებს. ჯვრები მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებშია ჩასმული. მათში ხუთ-ხუთი ალმასია, მათ ქვემოთ კი თითო საშუალო ზომის ზურმუხტი. გვირგვინები აქეთ-იქიდან მოოჭვილია იაგუნდებითა (თითოსთან ცამეტია) და ზურმუხტებით (ოთხ-ოთხია). გვირგვინებს შორის წვრილი მარგალიტით მოოჭვილი ვინიეტებია (თითოში ოცდაერთი). ჯვრების თავებზე ვარსკვლავის ფორმის მარგალიტის ფიგურებია, რომელთა შორის თითო მსხვილი ღალაა ჩასმული; თვით ხატებს შემოვლებული აქვს მოოქროვილი ვერცხლის არშიები. ხატების გვერდებში გამოსახულია ფართოსანი ქვრებიშები, რომლებსაც მინანქრის სახეები და ხელები აქვთ; ფრთები და სამოსელი კი - მარგალიტისა. ქვრებიშთა თავებზე მარგალიტის წრისებური წნულებია, რომელთა კიდეები ოქროთია მოხირმული. ვინიეტებს შორის, ქვრებიშთა თავიდან დაწვებული, ჩასმულია თითო იაგუნდი და 2-2 ზურმუხტი. ქვრებიშთა შორის კიდევ 2-2 წრეა: ერთ-ერთ მათგანში, მარგალიტებს შორის, მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოში ჩასმულია მსხვილი ზურმუხტი, - მეორეში კი ერთი მსხვილი მარგალიტი. ასეთი წრე ხუდ რეაა. ქვრებიშებს, რომლებიც მუხლმოყრით დგანან, ერთი ხელით ხატები უჭირავთ, მეორეთი - გვირგვინი.

მიტრის კიდეც ოთხ რიგად გაუყვება მარგალიტის არშიები. მარგალიტები არ აკლია. არშიებს შუა ვარსკვლავისა და ფოთლის მსგავსი ფიგურებია, რომლებსაც საშუალო და წვრილი მარგალიტები ქმნიან. მათ შორის ამობურცულია მსხვილი მარგალიტები. კიდეზე არის 6 მსხვილი ზურმუხტი, 1 საფირონი, 1 მსხვილი იაგუნდი - მოოქროვილ ბუდეებში.

7) მიტრა იისფერ ხავერდზე. მოკემსილია ოქროთი. სადაფზე შემდეგი გამოსახულებებია: უფალი საბათის დალოცვა სულიწმიდასთან ერთად, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, უფლის ჯვარცმა და იოანე წინასწარმეტყველის თავის მოკვეთა.

ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოში გამოსახული საბათი გაწყობილია შუშის ქვებით, მათგან ყველა შემორჩენილია. გამოსახულებიდან ჯვრის ფორმით გამოდიან ზოლები, რომლებიც ქვედა მეორე იარუსს ეყრდნობიან; ისინი ოქრომკერდით არიან მოხირმული, თითოეულ ზოლში 2 შუშის ქვაა.

მეორე იარუსის გამოსახულებებიც მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებშია ჩასმული. ამ გამოსახულებათა თავზე, ყვითელ ფონზე - ჯვრიანი გვირგვინებია; ისინი დაფარული არიან ბზინვარე ბადით.

ხატები, ქვემოდან გვირგვინებამდე, გაწყობილია ვინიეტებით. ხატებს შორის თაიგულებია, რომლებიც ფოთლებით ბოლოვებიან; თაიგულებში თითო შუშის ქვა და თითო დაწახნაგებული მწვანე შუშაა. თაიგულების გარშემოც ასეთივე ფერადი ქვებია ჩასმული.

მიტრის კიდე სირმითა და კილიტებითაა გაწყობილი - წრეებისა და ჯვრების სახით, რომლებშიც 5 შუშის ქვა და 6 დაწახნაგებული შუშაა.

მიტრა 1894 წელს შეუქმნიათ ტაძრის სახსრებით.

8) საშუალო და წვრილი მარგალიტებით ამოქარგული მიტრა. თავზე ჩასმულია მინანქარი, რომელზედაც გამოსახულია გულხელდაკრეფილი მაცხოვარი. გამოსახულებაზე აწერია: „მე ყოვლად უღირსმან მთავარ ეპისკოპოსმან ბესარიონმან გაეკეთებინე მიტრა ესე ენებისა ხატისა საოხად სულისა ჩემისა“

მიტრის ოთხ კუთხეში, ზედა მინანქრიდან მოყოლებული, 12 მრგვალი და წაგრძელებული ფორმის ფირუზი, 6 დაუწახნაგებელი ბადახში და ორი ღალაა.

მარგალიტის გვირგვინებზე, რომლებიც ჯვრებში არიან გამოსახული, 2 მსხვილი და 10 წვრილი ფირუზი, 3 საშუალო ბადახში და ერთი საშუალო ღალაა.

მიტრის კიდეებთან 4-4 დიდი და მცირე მინანქარია. მცირეებზე გამოსახულია უფლის ენება, დიდებზე კი - იესო ქრისტე. ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და უფლის ჯვარცმა.

დიდი მინანქრების თავზე მარგალიტით მოქარგული გვირგვინებია, მათ ზემოთ, მოოქროვილი ვერცხლის ოვალურ წრეებში - ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირისა და ნიკოლოზ სასწაულმოქმედის გამოსახულებანი.

მიტრის კიდეზე, სწვადასხვა სიდიდის 15 ფირუზი, 10 დაუწახნაგებელი ძიწი და 1 მსხვილი ღალაა უჩარჩოოდ.

9) მოოქროვილი ვერცხლის ჭედური მიტრა და მისი ჯვარი, - აგრეთვე მოოქროვილი ვერცხლის; ორი მხრიდან აქვს ოთხი უბრალო მწვანე ქვა, ჯვრის შუაში კი 2 უბრალო წითელი ქვაა ჩასმული; ჯვრის ქვეშ ვერცხლის მოოქროვილი ბურთულა, რომლის გარშემო სამ რიგადაა ჩასმული 31 უბრალო მწვანე ქვა. ეს ქვები შემკულია 68 საშუალო და 12 წვრილი მარგალიტით, რომლებიც დამაგრებულია ვერცხლის 4 მოოქროვილ ყურზე.

მიტრაზე 4 ქვრებიშია. მათ ქვემოთ არის 4 მინანქარი, რომლებზედაც გამოსახულია: მაცხოვარი (გარშემო შემოვლებული აქვს 29 საშუალო და 30 წვრილი მარგალიტი);

ღვთისმშობელი, რომელსაც შემოვლებული აქვს 29 საშუალო და 27 წვრილი მარგალიტი; მიტროპოლიტი დიმიტრი როსტოველი, რომლის გარშემო 20 საშუალო და 33 წვრილი მარგალიტია. მის ქვემოთ წარწერაა: „ღო შე ზენონ ალავერდელი“; იოანე ნათლისმცემელი, რომლის გარშემო 25 საშუალო და 24 წვრილი მარგალიტია.

მიტრას შემოვლებული აქვს რგოლი, რომელიც შემკულია 139 მწვანე და 25 უბრალო წითელი ქვით.

მოოქროვილი ვერცხლის კიდე შემკულია 25 წითელი ქვით.

10) მიტრა ყვითელ ფარჩაზე, ვერცხლით მოსირმული. ქვემოლან - ფოჩი, ასევე ვერცხლით მოსირმული. სარტყელში 4 მინანქრის ხატია - ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოებში. მათზე გამოსახულია: მაცხოვარი, ღვთისმშობელი, ევსევი სამოსატელი და ჯვარცმა. ყოველ ხატს ამკობს 40 შუშის ქვა; ხატებს ზემოთ ვერცხლით ამოკემსილი გვირგვინებია, რომლებსაც შუაში ქვის ჯვრები ადგათ. უფრო ზემოთ გასდევს მინანქრის ხატების მეორე რიგი. გამოსახული არიან მახარებლები. გამოსახულებათა ჩარჩოები მოოქროვილი ვერცხლისაა, რომლებიც ასევე მოოქროვილ ვერცხლის ჩარჩოებშია ჩასმული. თითოეულ ხატს ამკობს 36 შუშის ქვა. ზემოთ მინანქარზე გამოსახულია უფალი საბაოთი. გამოსახულება ჩასმულია ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოში და ამკობს ვერცხლის ბუდეში ჩასმული 42 შუშის ქვა; საბაოთის ხატიდან ყოველი მხრით სხივებადაა დაბნეული ვერცხლის სირმები.

11) მიტრა იისფერ ხავერდზე, ამოკემსილია ოქროთი. მინანქრებზე გამოსახულია: მამა-ღმერთი, მაცხოვარი, იოანე წინასწამეტყველი, - ღვთისმშობელი და ჯვარცმა. საბაოთის გარშემო ოქრო-ვერცხლით ამოკემსილია სამშენისები, რომელთა ბოლოები ზედა იარუსზე სრულდებიან ჯვრებად და ვარსკვლავებად; ვარსკვლავები ყვითლად და თეთრადაა მოსირმული. ქვედა იარუსს, ხატებს შორის გასდევს ვერცხლის და ოქროს ვინიეტები, სირმები, რომლებსაც აბოლოებენ თავთავის მსგავსი ფიგურები.

მიტრა საკმაოდ ძველია; ამოკრული აქვს მუქი ატლასი.

12) მიტრა წითელ ხავერდზე. მინანქრებზე გამოსახულია: საბაოთი, იესო ქრისტე (ორი ხატი), ღვთისმშობელი, კეთილმორწმუნე თავადი ალექსანდრე და მახარებლები. ხატებს შორის გასდევს მოოქროვილი ვერცხლის ზოლები, რომლებშიც ჩასმულია თეთრი და ცისფერი ციმბირის ქვები; მიტრას გარშემო უვლის ზოლი, რომელშიც ჩასმულია მრავალფერადი მსხვილი უბრალო ქვები. გვირგვინის შტოებში და არსებში ჩასმულია შუშის ქვები.

მიტრა თეთრ ფარჩაზე. 9 მინანქარზე გამოსახულია უფალი საბაოთი, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, ჯვარცმა, იოანე ნათლისმცემელი და ოთხი მახარებელი.

საბაოთის მინანქარი, რომელიც დაზიანებულია, გარშემო შუშის ქვებითაა გაწყობილი; მინანქრებიდან ყველა მხრით გამოდის სხივები. ქვედა იარუსზე, გამოსახულებათა თავზე ოქროთი ამოკემსილი გვირგვინებია. ყველა მინანქრის გარშემო არის ვერცხლში ჩასმული სამკაულები.

14) მიტრა შავ ხავერდზე, ამოკემსილია ვერცხლით, მინანქრებზე გამოსახულია: უფალი საბაოთი სული წმინდით, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ბასილი დიდი.

ეს გამოსახულებები ჩასმულია მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებში და გაწყობილია შუშის ფერსობით. ყველა შუშა ადგილზეა.

უფალი საბაოთის გამოსახულებიდან ჯვრის ფორმით გამოედინება ზოლები და ბზინები. ზოლებს შორის ამოკემსილია მუხის ფოთლის ფორმის ვინიეტები, რომლებსაც ამკობს 4 მწვანე უბრალო ქვა.

ზოლებს შორის არის აგრეთვე ბზინვარე ვარსკვლავიანი ჯვრები. ჯვრების ბოლოებზე ჩასმულია 4-4 მსხვილი შუშის ქვა. ამ ჯვრების შუაში კი დაწახნაგებული შუშის პაწია ჯვრებია. თითოეული ჯვარი 9 ქვისგან შედგება.

ქვედა გამოსახულებების თავზე ოქრომკერდისა და ბზინების გვირგვინებია, რომლებიც ჯვრებით ბოლოვდებიან თითოეულ გვირგვინში სამ-სამი შუშის ქვით. გამოსახულებათა გარშემო განლაგებული ვინიეტების შიგნით თითო უბრალო ცისფერი ქვაა. შტოებში კი 12-12 მსხვილი შუშის ქვა.

მიტრის ძირი ვერცხლისაა.

15) მიტრა შავ ხავერდზე, ამოკემსილია ვერცხლითა და ოქრომკედით. მასზე გამოსახულია: საბაოთი სულიწმინდით, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ჯვარცმა.

ყველა გამოსახულება მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოებშია ჩასმული და გარშემო გაწყობილია შუშის ქვებით. ყველა ქვა ადგილზეა.

საბაოთის გარშემო ვარსკვლავის ფორმის ფიგურაა, რომელიც მოკაზმულია 7 შუშის ქვითა და 8 ბზინის ვარსკვლავით. ვარსკვლავის ფორმის ფიგურიდან გამოდის წნული ზოლები, რომელთა შორის ოქრომკედის ვარსკვლავებია.

ქვედა გამოსახულებებს აქვთ გვირგვინები, რომლებიც საშუალო, წვრილი და თითო მსხვილი შუშის ქვებისგანაა შემდგარი. გვირგვინებს შუშის ჯვრები აბოლოებენ. გვირგვინებს აქვთ-იქით ამკობს ორ-ორი წრე, რომლებშიც 6-6 მარგალიტია.

ხატებს შორის ვერცხლისა და ბზინის ყვავილწნულებია, რომლებიც შემკულია წვრილი შუშებით. ყოველი ხატის ორივე მხარეს რვა-რვა მარგალიტია.

მიტრის პირს არტყავს 163 მარგალიტისაგან შემდგარი წრე, რომელიც ვერცხლითა და ბზინებითაა ამოკემსილი - სამყურას ფორმით (აქ 7 შუშის ქვაა).

მიტრის ძირი ვერცხლისაა.

იგი შემენილია 1878 წელს და 1895 წელს გადაკეთებულია ტაძრის სახსრებით.

16) მიტრა თეთრ ფარჩაზე. ამოკემსილია ოქროთი. შეიცავს გამოსახულებებს: უფალი საბაოთი, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, უფლის ჯვარცმა და იოანე ნათლისმცემელი.

საბაოთის გამოსახულება ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოშია და შუშის ქვებითაა გაწყობილი. ყველა ქვა ადგილზეა. ამ გამოსახულებიდან გამოდის ჯვრისებური ზოლები, რომელთა ბოლოები ყვრდნობა მეორე იარუსის გვირგვინებს. ზოლების რგოლებში 2-2 შუშის ქვაა.

მეორე იარუსის გამოსახულებებიც ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოებშია და შუშის ქვებითაა გაწყობილი. გამოსახულებათა თავზე ჯვრიანი გვირგვინებია. ხატების ქვემოდან გვირგვინებამდე გაწყობილია ვინიეტებით. ხატებს შორის არის თაიგულები, რომლებიც ფოთლებით ბოლოვდებიან. თითო თაიგულში თითო შუშის ქვა და თითო დაწანხნაგებული შუშაა. თაიგულებს გარშემო ფერადი ქვები აკრავს.

მიტრის კიდეზე გასდევს ოქრომკედის წრეები და ჯვრები.

მიტრის ძირი ვერცხლისაა.

17) მიტრა ყვითელ ფარჩაზე. გამოსახულებანი: საბაოთი სულიწმიდით, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ჯვარცმა.

ყველა ეს გამოსახულება ვერცხლის მოოქროვილ ჩარჩოებსა და შუშის ქვის ფერსობებშია ჩასმული (შუშის ქვები ადგილზეა).

უფალი საბაოთისაგან ქვედა გამოსახულებებსა და გვირგვინებამდე ჯვრებად გამოედინება მძივის ზოლები. შუშის ქვის გვირგვინებიც ასევე ჯვრებს შეიცავს. გვერდებში, მძივებზე გამოსახულია ქერუბიმები, რომლებსაც, მუხლმოყრილებს, გვირგვინები და ხატები უჭირავთ. ქერუბიმთა და ზედა ზოლებს შორის მძივის თაიგულებია, რომლებიც მსხვილი შუშის ქვებითაა შემკული (თაიგულში სამ-სამი ქვაა).

მიტრის კიდე შემკულია მძივითა და ვინიეტებით.

მიტრის ძირს მოოქროვილ-მოვერცხლილი ფოჩია ამოკრული.

მიტრა ტაძრის სახსრებითაა დამზადებული ბოდბის მონასტერში 1896 წელს.

18) მიტრა შავ ხავერდზე. მინანქრებზე გამოსახულია: უფალი საბაოთი, მაცხოვარი, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ნიკოლოზ სასწაულმოქმედი.

საბაოთიდან ქვედა გამოსახულებისაკენ გამოედინება მძივის არშიები, რომლებშიც 9 სადაფი და აღმასებით შემკული ოთხკუთხედაა.

ქვედა გამოსახულებები გაწყობილია მოოქროვილი რგოლებით. გამოსახულებათა თავზე შუშის, ქვისა და წითელი დაწანხნაგებული ქვების რგოლებია.

ხატებს შორის არის პალმის ფორმის სამკაული, რომელშიც ყველა მარგალი სახეზეა. ვინიეტებს შუა ისეთივე რგოლებია, როგორც ხატების თავზეა.

მიტრის კიდე მოარშიებულია მძივების ორი ზოლით, რომელთა შორის სადაფის ბურთულებია. ბურთულებს ქვემოთ საშუალო ზომის მრავალფერადი უბრალო ქვაა.

ძირი ვერცხლის ფოჩისაა.

19) მიტრა ყოლოსფერ ხავერდზე. მოკემსილია ოქროთი. აქვს რვა მინანქარი. ზედა გამოსახულებებს აქვთ ფერსობები, რომლებიც შემკულია შუშის ქვებითა და ბზინებით. ბზინებსა და ხატებს ზემოთ გვირგვინებია, რომლებიც ოქროთია ამოკემსილი. მიტრის ზედაპირი ოქროს ვარსკვლავებითაა შემკული.

ხატებს შორის ოქრომკედით ამოკემსილი ვინიეტებია.

მიტრის კიდე წვრილი ფოჩია და ოქრომკედითაა გაწყობილი.

მიტრა 1870 წელს ხიონის ტაძრისთვის შეუწირავს დავით ივანეს ძე ერისთავს.

თარგმნა
ივანე ამირხანაშვილი

2(15) თეპარვალი მ ი რ ქ მ ა

ჩვენი უფლის, ღვთის და მაცხოვრის იესო ქრისტესი
შენი მშუიდობაა მომეც ჩუენ, ქრისტე ძეო ღმრთისაო, რომელმან ჯერ-იჩინე დღეს მიქუმა2, ვითარცა სსუილმან
მკლაუთა ზედა მოხუცებულისა სუიმეონისთა, რამთა აცხოვრო ნათესავი კაცთაჲ.
მამისა და სულისა წმიდისა თანა თაყუანის-ცემულსა და ქუეყანასა ზედა ღმერთსა ხორციტ შესხმულსა მორწმუნენი
უგალობოთ, რომელმან აცხოვნა სული ჩუენნი.

ბაბილინა ლომინაძე

ასრულმადითარაქალიძველსაქართველთა „ლიტერატურულ ღვთისმსახურებას“

ამ კითხვაზე ვპასუხობთ უარყოფითად: ქალი არ ასრულებდა ლიტურგიულ ღვთისმსახურებას. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, და არც სხვა ქვეყნების მართლმადიდებელმა ეკლესიამ, არ იცის მაგალითი ქალის ხელდასხმისა ეპისკოპოსად და ხუცესად; არც დიაკონად (მათ დამხმარედ); საეკლესიო სამართალშიც უარყოფილია ქალის მღვდელმსახურება. ეკლესია-მონასტერში საეკლესიო „მსახურთა“ შორის ქალი შეიძლება იყოს მხოლოდ მგალობელი, მედავითნე (წიგნის მკითხველი), დედათ - დიაკონი; თანამდებობის პირი: მონასტრის წინამძღვარი (ილუმენია), დეკანოზი და სხვა (ამაზე კიდევ ქვემოთ).

ქართული ეკლესიის ისტორიის ამსახველ ძველ წყაროებში, როგორც ნათარგმნ ისე ორიგინალურ ძეგლებში, შეიძლება შეგვხვდეს ქალის საეკლესიო მსახურების ზოგიერთი ისეთი ადგილი, რომელიც ფართო მკითხველისათვის სპეციალურ განმარტებას საჭიროებს. წარმოდგენილ წერილში განვიხილავთ ერთ-ერთ ასეთ ქართულ კონკრეტულ ცნობას, შემდეგ მოვიტანთ ზოგიერთ განმარტებას საეკლესიო კანონიერი წყობილებიდან აღნიშნულ საკითხზე.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში, რომელიც ავგილწერს გრიგოლ ხანძთელის (759-861) ცნობებს (დაიწერა დაახლოებით 951 წ.), დაცულია ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც ეხება მერეს დედათა მონასტერში მოღვაწე მონაზონ თემესტას. დედა თემესტას დეკანოზის თანამდებობა ჰქონია. დეკანოზის მოვალეობა მონასტერში ძველი პერიოდისათვის (VIII - XIII სს) ქართული წყაროებით და სამეცნიერო ლიტერატურით, საქმაოდ გარკვეულია. დედა თემესტას მოვალეობაც, როგორც ქალი - დეკანოზისა, ზოგადად ერთნაირია, გარდა ზოგიერთი სპეციფიკისა.

დეკანოზობა საეკლესიო სახელისუფლო თანამდებობაა. დეკანოზი იყო მონასტრის წინამძღვრის თანაშემწე მღვდელმსახურების ნაწილში (ეკონომიკურ-სამეურნეო ნაწილში წინამძღვარს თანაშემწედ ჰყავდა ეკონომოსი). დეკანოზს ევალებოდა წირვა-ლოცვასთან დაკავშირებული ტექნიკური საქმეების მოგვარება, მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა. ამ მოვალეობაში, თავისთავად ცხადია, შედიოდა მღვდელმსახურებისათვის საჭირო საეკლესიო წიგნებზე, ინვერტარზე ზრუნვა - განკარგულება, წირვის დაწყების შეტყობინება დარეკით („ჟამის რეკა“) და სხვა. დეკანოზი მამაკაცი, როგორც მაღალი ხელისუფალი, იყო უფროსი მღვდლებისა (რიცხვით ათის), დიაკონების, მედავითნეების, მგალობლების და ა. შ. მამათა მონასტერში დეკანოზს ყოველთვის მღვდლის ხარისხი ჰქონდა, დედათა მონასტერში კი ქალი დეკანოზი მღვდლის ხარისხის მქონე ვერ იქნებოდა ისე, როგორც მასზე უფრო მაღალი თანამდებობის პირი, მაგ. ქალი წინამძღვარი, ხარისხით მღვდელი არ იყო (მაგ. მერეს დედათა მონასტრის წინამძღვარი ფებრონია). რასაკვირველია, ქალი დეკანოზის თანამდებობრივი მოვალეობა მამაკაცი-დეკანოზისაგან, როგორც ვთქვით, განსხვავებულიც იყო (ამის შესახებ ქვემოთ).

ყოველივე ამის გარდა, ზემოთ დასახელებულ წყაროში ყურადღებას მივაქცევთ იმ კონკრეტულ ცნობას, რომელიც შეეხება დედა თემესტა დეკანოზის მოვალეობას მონასტრის მღვდლისათვის საცეცხლურის (მღვდელმსახურებისათვის საჭირო ინვენტარის) გამზადებას. (ზოგიერთის აზრით, თემესტა დეკანოზს ხელთ ეჭირა საცეცხლური, თითქოს ლიტურგიული ღვთისმსახურების შესასრულებლად; დეკანოზი დედა თემესტა არ ყოფილა, და ვერც იქნებოდა, დაიკონი, მღვდელი ან ეპისკოპოსი, ე. ი. ვისაც შეეძლო ლიტურგიული ღვთისმსახურება). რადგან დეკანოზ თემესტას საქმიანობა მონასტერში უკავშირდება ამ მონასტრის მღვდლის, მატონის მოღვაწეობას, საჭიროა მოვიტანოთ რამდენიმე ცნობა ამ პიროვნების შესახებაც.

წყარო გაამცნობს, რომ, როცა მერეს დედათა მონასტრის მღვდელი გარდაიცვალა, მონასტრის წინამძღვარმა ფებრონიამ გრიგოლს, მონასტრის არქიმანდრიტს, სთხოვა მერეში ღირსეული მღვდელი გამოეგზავნა. გრიგოლმა მღვდლად მატონი გაგზავნა, რომელმაც უმწიკვლოდ იღვაწა იქ 40 წელიწადი. გიორგი მერჩულე ახასიათებს მატონის პიროვნებას: მატონი თავისი ყოფაქცევით ყველასათვის სამაგალითო იყო („ექმნა ყოველთა სახე კეთილთა“); („ვერაგინ იკადრიან უღბად განცხრომაი“) „და ამან (მატონი - ბ.ლ.) დაიმარნა ჭეშმარიტი ქალწულება არა ზოლო ზოცითა ოდენ, არამედ სულითა და სიტყვითა, სასმენელითა და თუალითა. რამეთუ ნეტარმან მან თქვის ვითარმედ: „მონაზონება ჰრქეია კრძალვასა“, რომლისათვისაც ღმერთის მოყურამან მან დედაკაცმან თემესტა, მერისა დეკანოზმან, თქუა, ვითარმედ: „ორმოც წელ დეკანოზობისა ჩემსა და მატონის მღვდელობასა საცეცხლურნი მან ხელისა ჩემისაგან არა ოდეს მიმიხუნაო“.

ამრიგად, გიორგი მერჩულეს აღწერით, მღვდელმონაზონი მატონი სხვა კეთილ თვისებებთან ერთად, მოკრძალებული ადამიანიც ყოფილა. მას, თურმე, სიტყვიერადაც ბევრჯერ უთქვამს: „მან თქვის ვითარმედ მონაზონი ჰრქეიან კრძალვასა“ სწორედ, მატონის ამ კრძალვა-მორიდებულობის დამადასტურებლად მოაქვს გიორგი მერჩულეს თემესტა დეკანოზის ნაამბობი („რომლისათვისაც... თემესტა (მ) თქუა“): 40 წლის განმავლობაში „მატონს მღვდელობასა“ და „დეკანოზობასა ჩემსა“, მას არც ერთხელ, არასოდეს ჩემი ხელიდან საცეცხლური არ გამოურთმევიყო. („არა ოდეს მიმიხუნაო“). ნათელია, რომ აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ თემესტა დეკანოზს თითქმის საცეცხლური 40 წელიწადი „ეჭრა ხელთ“ საკმევად, რომ ის თითქოს „ლიტურგიულ ღვთისმსახურებას ასრულებდა“, (როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია), არამედ ლაპარაკია, უბრალოდ, მისი, როგორც დეკანოზის თანამდებობრივ მოვალეობაზე, რომელიც, როგორც

ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, გულისხმობდა წირვა-ლოცვისათვის საჭირო ინვენტარით მღვდლის მომსახურებას და სხვ. ჩანს, მღვდელმონაზონი მატონი თავისი მორიდებულობის, სიბეჯითისა და თავმდაბლობის გამო თვითონვე აგვარებდა საცეცხლურის საქმეს, რის გამოც პირადად დეკანოზს, დედა თემესტიას, აღარ უხდებოდა თავისი ხელით მისთვის გამზადებული საცეცხლურის მიწოდება.

ზედმეტი არ იქნება ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ გიორგი მერჩულეს თხზულებიდან კიდევ სხვა ადგილი, საიდანაც პირდაპირ ვეცნობით მღვდელმონაზონ მატონის ანალოგიურ შეხედულებას იმაზე, რომ „ხელითა დედათა“ მონაზონ მაქაცის მომსახურება „უწესო“ არისო: როცა მატონი დაბერდა, უძლეურობის გამო მას დროებით მონაზონი ქალები უვლიდნენ. მატონი ჩქარობდა მალე გადაეყვანათ მამათა მონასტერში, რადგან, მისი აზრით, „დაღაცათუ ნებითა ღმრთისანი არიან დანი ესე, ხოლო უწესო არს მონაზონისა ხელითა დედათა მსახურებაო“.

უდაოა, რომ დედა თემესტია კეთილშენობად უთულის მატონი მღვდელს იმას, რომ მას მისი ხელიდან საცეცხლური არ წაუღია მთელი 40 წლის განმავლობაში. საერთოდ წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ წიგნებში ანალოგიური მოტივები ნშირად გვხვდება, როცა უფროსი თანამდებობის ბერმონაზონი თავმდაბლობის გამო, უარს ამბობს თავის ხელქვეითისაგან მომსახურებაზე, (ამას კარნახობს სახარება, მათე 20, 26, 27), ამ საქმეს კი თვითონ ასრულებს. მაგ. ბიზანტიაში დედათა მონასტრის წინამძღვარი ათანასია (გარდ. 860) ნებას არ რთავდა მონაზონ ქალებს მისთვის გაეწიათ მცირე მომსახურებაც კი. ამრიგად, საკვირველი არ იყო ასეთი თავმდაბლობა გამოეჩინა მღვდელმონაზონ მატონის, მით უფრო, ქალი-ხელქვეითის მიმართ.

ამის შემდეგ მოკლედ მოვიტანოთ ზოგიერთ საჭირო ცნობას მღვდელმსახურთა და ეკლესიის მსახურთა შესახებ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ იცის მღვდლობის სამი იერარქიული ხარისხი: ეპისკოპოსი, მღვდელი (ხუცესი) და დიაკონი. ამათგან ეპისკოპოსს შეუძლია შეასრულოს ღვთისმსახურების ყველა სახეობა და ყველა, შეიძივე საიდუმლო; მღვდელი უფლებამოსილია შეასრულოს ღვთისმსახურების სახეობანი და საიდუმლოებანი, გარდა მღვდლობის საიდუმლოსი. დიაკონი მხოლოდ ეხმარება და ემსახურება ეპისკოპოსს თუ მღვდელს ღვთისმსახურებისა და საიდუმლოთა შესრულების დროს (ის თვითონ საიდუმლოსთა შემსრულებელი არ არის). ამ სამთა შორის საერთო ის არის, რომ სამივე ემსახურება წმ. ტრაპეზს (საკურთხეველს); სამივეს ხელდასხმა (ხიროტონია) ხდება ლიტურგიის დროს მათზე მღვდლობის საიდუმლოს შესრულების გზით. (ხიროტონია-ხელდასხმა მღვდლობის საიდუმლოს ხილული გამოვლენაა). ღვთისმსახურების ყველაზე მთავარი სახეობაა ლიტურგია, კერძოდ, რომელზეც ეპისკოპოსი ან მღვდელი ასრულებს წმ. ზიარების საიდუმლოს (უხისხლო, ევხარისტიალური მსხვერპლის შეწირვას). ლიტურგიის დროსვე ეპისკოპოსის მიერ სრულდება მღვდელისა და დიაკონის ხელდასხმა (ხიროტონია); ეპისკოპოსად ხელდასხმას ლიტურგიისვე დროს ახდენს ეპისკოპოსთა კრებული (რამდენიმე ეპისკოპოსი ერთად) პატრიარქის მეთაურობით.

სამი ხარისხის მღვდელმსახურთა გარდა, ეკლესიაში არსებობს დაბალი რანგის „მსახურნიც“ (რომელთაც განსახეავებლად ზოგიერთ სპეციალურ ლიტურგიატურაში „ეკლესიის მსახურთ“ უწოდებენ). მათ მიეკუთვნება: კერძო დიაკონი (იპოდიაკონი), დედათ-დიაკონი (მხოლოდ ძვ. პერიოდში), მედავითნე (წიგნის მკითხველი), მგალობელი, მნათე და სხვ., რომელთა ხელდასხმა (ხიროტონია) სრულდება ეპისკოპოსის მიერ მღვდლობის საიდუმლოს გარეშე, უბრალოდ, ხელის დაღებით და ლოცვით. ასეთი ხელდასხმა შეიძლება მოახდინოს მონასტრის არქიმანდრიტმაც (წინამძღვარმა). ეკლესიაში დღეს შეიძლება ქალი იყოს მედავითნე, მგალობელი და ა. შ.

დედათ-დიაკონი დასავლეთის ეკლესიაში აღარ არსებობდა VI-საუკუნიდან, აღმოსავლეთის ეკლესიაში XII საუკუნიდან. დედათ-დიაკონი ატარებდა დიაკონის ორარს (ოლარი), მაგრამ დიაკონისაგან განსხვავებით წინ გადაჯვარდინებული სახით, მოვალეობითაც არსებითად განსხვავდებოდა: ეხმარებოდა მღვდელს და დიაკონს მხოლოდ წმ. ტრაპეზის გარეთ ზოგიერთი საეკლესიო წესების შესრულებისას. განსაკუთრებით მაშინ, როცა მომსახურება ქალისათვის უნდა გაეწიათ; ასე მაგ., ქალებზე (მონათვლის დროს) მიორცხებას მხოლოდ გულმკერდის არემი ზოგჯერ დედათდიაკონი ასრულებდა (ზოგიერთი მღვდელმსახური ამას უხერხულად თვლიდა). საერთოდ კი, როგორც წესი, მიორცხებას სხეულის ყველა ნაწილებზე მხოლოდ მღვდელმსახური (მღვდელი - ხუცესი, ეპისკოპოსი) ასრულებდა, დედათ-დიაკონი იდგა ეკლესიის კართან და ზედამხედველობდა ქალების შესვლა-გასვლას და დგომას ეკლესიაში; მას ევალებოდა მოსანათლავე ბავშვებისა და ქალების კატეხიზაცია ქრისტიანული სარწმუნოების გაცნობის მიზნით და ისიც არა საჯაროდ ეკლესიაში, არამედ მასთან კერძოდ. რაც შეეხება ქალის უფლებას „ლიტურგიულ ღვთისმსახურებაში“, მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთ ერეტიკულ ქრისტიანულ თემებში, (რომლებიც საერთოდ მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განკვეთილი იყვნენ, მაგ., IV-Vსს. მონტანიანობაში და სხვ.) ახდენდნენ ქალის ხელდასხმას ეპისკოპოსად და მღვდლად. ცნობილია კიდევ ერეტიკოსთა ასეთი ქალ-ეპისკოპოსებისა და ქალ-მღვდლების სახელები...

ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიაში, გარდა სასულიერო იერარქიისა, არსებობს საეკლესიო სახელისუფლო იერარქია (თანამდებობანი): პატრიარქი (კათოლიკოს-პატრიარქი), კათოლიკოსი, პაპი, მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი), დეკანოზი, მთავარი, პროტოიერი, მთავარდიაკონი, არქიმანდრიტი, წინამძღვარი, მოძღვართ-მოძღვარი და სხვა (თანამდებობის გამო მათი სასულიერო ხარისხი არ იცვლება; ზოგჯერ თანამდებობა ტიტულად არის ქცეული).

ასეთია საეკლესიო წყობილების ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ზოგადი მოკლე სქემა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ქალის როლზე და ადგილზე ეკლესიის მსახურთა შორის. მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა დედაკაცის ეპისკოპოსად, მღვდლად და დიაკონად კურთხევას, ან გამოირჩევა დედაკაცის მიმართ მღვდლობის საიდუმლოს შესრულებას. მაშასადამე, რაკი დედაკაცს მიღებული არა აქვს მღვდლობის საიდუმლო, ამიტომ არა აქვს არც სხვა საიდუმლოთა შესრულების ძალა-მადლიც; ამის გამო დედაკაცი ვერ დაიშვება „ლიტურგიული ღვთისმსახურების“ შემსრულებლად და სხვა. და ბოლოს, პირდაპირ გვაქვს კანონი, რომელიც კრძალავს ეკლესიის საკურთხეველში დედაკაცის შესვლას (ლაოდეიის 44), დედაკაცის ხუცესად დადგენას („დედაკაცი ვერ იქნების ხუცეს“, ნაწილი კანონებრივთა განწესებათანი, თავი 37. „დიდი რჯულის კანონი“) და სხვა.

ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი

წმიდა მამათა ნაწერების კითხვისათვის

ადამიანზე ძალზედ ზემოქმედებს ახლობელთა საზოგადოება და მათთან საუბარი. მეცნიერთან გაცნობა და საუბარი მას მრავალ ინფორმაციას აცნობს, პოეტთან - მრავალ ამაღლებულ აზრებსა და შეგრძნებებს აზიარებს, მოგზაურთან - მრავალ ცოდნას აძლევს ქვეყნებისა და ხალხთა ზნე-ჩვეულებების შესახებ. აშკარაა: საუბარი და გაცნობა წმიდანებთან სიწმიდესთან გვაზიარებს. „წმიდისა თანა წმიდა იყო და... რჩეულისა თანა რჩეულ იყო“ (ფსალ. 17, 25, 26).

ხანმოკლე მიწიერი ცხოვრების პერიოდში, რომელსაც წმიდა წერილი ცხოვრებასაც კი არ უწოდებს, არამედ ხეტიალს, გაეცანი წმიდანებს. შენ გინდა რომ მათ საზოგადოებას ეკუთვნოდე ზეცაში, გინდა იყო მათი ნეტარების თანამონაწილე? მაშინ შეუდექი მათთან ურთიერთობას. და სხეულიდან განსვლის შემდეგ, ისინი შეგიწყნარებენ თავიანთ სამყოფელში, როგორც ნაცნობსა და მეგობარს (ლუკ. 16,9).

არ არსებობს იმაზე უფრო ახლო ნაცნობობა, იმაზე უფრო მჭიდრო კავშირები, ვიდრე კავშირი განმტკიცებული ერთი აზრით, ერთი გრძნობით, ერთი მიზნით (1 კორ. 1,10). სადაც არის ერთი აზრი, იქ აუცილებლად ერთი სული, ერთი მიზანი, და ამ მიზნის მიღწევაშიც ერთნაირი წარმატებაა. წმიდა მამათა ნაწერების კითხვით მათი აზრები და სული გაითავისე. წმიდა მამებმა მიაღწიეს მიზანს - ხსნას. მოვლენათა ბუნებრივი განვითარების გამო შენც მიაღწევ ამ მიზანს, როგორც წმიდა მამათა თანამოაზრე და თანაარსი, შენც გადარჩები.

ზეცამ წმიდა მამები თავის ნეტარ წიაღში მიიღო. ამით მან დაამოწმა, რომ წმიდა მამათა ნააზრები, გრძნობები და საქმეები სათნოა მისთვის. წმიდა მამებმა თავიანთი ნააზრები, თავიანთი გული და საქმენი თავიანთ ნაწერებში გადმოსცეს. აქედან ჩანს, თუ როგორ ნამდვილ ზეციურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, თვით ზეცის მიერ დამოწმებული მათი ნაწერები.

წმიდა მამათა ნაწერები შედგენილია სული წმიდის შთაგონებით ან ზემოქმედებით. საოცარი თანხმობაა მათ შორის, საოცარი ერთი სული: ვინც მათით ხელმძღვანელობს, მას ყოველგვარი ეჭვის გარეშე ხელმძღვანელად თვით სული წმიდა ჰყავს. დედამიწის ყველა წყალი ოკეანეში ჩაედინება, და შეიძლება ოკეანე თვით არის დედამიწის ყველა წყლის საწყისი. მამათა ყველა ნაწარმოებები სახარებაში ერთიანდებიან; ყველას

სურს, რომ გვასწავლოს უფლისა ჩვენი იესო ქრისტეს მცნებების ზუსტი აღსრულება; ყოველი მათგანის საწყისიც და დასასრულიც - წმიდა სახარებაა.

წმიდა მამები გვასწავლიან, თუ როგორ მივეხლოთ სახარებას, როგორ ვიკითხოთ იგი, მართებულად როგორ გავიგოთ, რა გვეზმარება და რა გვიშლის ხელს მის გაგებაში. ამიტომ თავიდან უფრო მეტად წმიდა მამები იკითხეთ. როცა ისინი შეგვასწავლიან სახარების კითხვას, მაშინ უკვე უპირატესობა სახარების კითხვას მიეცი.

არ ჩათვალო შენთვის საკმარისად მხოლოდ სახარების კითხვა წმიდა მამების კითხვის გარეშე, ეს ამაყი და საშინი აზრია. უმჯობესია თუ წმიდა მამები სახარებასთან ისე მივიყვანენ, როგორც საკუთარ საყვარელ შვილს, რომელსაც წინასწარი აღზრდა-განათლება საკუთარი ნაწერების მეშვეობით მიაღებინეს. მრავალთ, რომლებმაც უგონოდ და ყოყორად უარყვეს წმიდა მამები და ბრმა თავხედობით, არაწმინდა გონებითა და გულით უშუალოდ სახარებას მიეახლნენ, საბოლოოდ დაეხნათ გზა და დაიღუპნენ. ისინი უარყო სახარებამ: იგი თავისთან მხოლოდ თავმდაბლებსა და მორჩილებს უშვებს.

მამათა ნაწერების კითხვა ყოველი სათნოების მშობელი და მეუფეა. მამათა ნაწერების კითხვით ესწავლობთ წმიდა წერილის სწორად გაგებას, ჭეშმარიტ რწმენას, სახარებისეული მცნებებით ცხოვრებას, იმ ღრმა მოწიწებას, რომელიც უნდა გაგვანდეს სახარებისეული მცნებების მიმართ, ერთი სიტყვით - გადარჩენას და ქრისტეანულ სრულყოფას.

ჭეშმარიტ სულიერ მოძღვართა შემცირების გამო, მამათა ნაწერების კითხვა ძირითად ხელმძღვანელად იქცა მათთვის, რომელთაც სურთ გადარჩენა და თვით ქრისტეანული სრულყოფილების მიღწევა. როგორც ერთ-ერთი მამა ამბობდა, წმ. მამათა წიგნები მსგავსნი არიან საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა შეუძლია. აგრეთვე, ეს წიგნები მსგავსნი არიან სამკურნალო საშუალებათა მდიდარი კოლექციისა: სულს მათში შეუძლია თავის ყოველი დაავადებისათვის შესაბამისი გადამრჩენელი სამკურნალო საშუალებები მოძებნოს. წმ. ეპიფანე კვიპრელი ამბობდა: „წმიდა წიგნთა ერთი შეხედვაც კი ჩვენში საღვთისმოსაო ცხოვრების სურვილს აღძრავს“.

წმ. მამები უნდა ვიკითხოთ ბეჯითად, ყურადღებით და მუდმივად: ჩვენს უჩინარ მტერს, მოძულეს მტკიცების ხმისა (იგავ. 11, 15), განსაკუთრებით მაშინ სძულს ეს ხმა,

როცა იგი წმ. მამებიდან მოდის. ეს ხმა ამხილებს ჩვენი მტრის მზაკვრობასა და ხრიკებს, ააშკარავებს მის მიერ დაგებულ მახეს და მოქმედებას; ამიტომაც, მტერი მამების კითხვის წინააღმდეგ იარაღდება სხვადასხვა ამაყი და დამძრახველი აზრებით, ცდილობს ადამიანი ჩააგდოს ამაოებათა ზრუნვაში, რათა მისი ყურადღება მოაცილოს სულის გადამრჩენელ კითხვას, ებრძოდოს მას დარდით, მოწყენილობით, გულმაგიწყობით. წმიდა მამათა კითხვის წინააღმდეგ გამართული ამ ბრძოლის არსებით ჩვენ უნდა დავასკვნათ, თუ რაოდენ გადამრჩენელი იარაღია ის, რაც ასე რიგად სძულს ჩვენს მტერს. და ეს მტერი ძალზე ინდომებს, რომ ეს იარაღი ძალით გამოგვტაცოს ხელიდან.

თითოეულმა საკითხავად უნდა ამოირჩიოს ის მამა, რომელიც თავის ცხოვრების წესს შეესაბამება. განდევნილმა უნდა იკითხოს ის მამები, რომლებიც წერდნენ მღუმარებაზე. მონასტერში მცხოვრებმა ბერმა - მამები, რომლებიც მონასტრული თანაცხოვრებებისათვის წერდნენ დარიგებებს, ერში მცხოვრებმა ქრისტიანმა - წმ. მამები, რომლებიც თავიანთ სწავლებას საზოგადოდ ყველა ქრისტიანისთვის წარმოსთქვამდნენ. თითოეულმა, რა ხარისხშიც არ უნდა იყო, რაც შეიძლება მეტი ამოიღე წმ. მამათა ნაწერების უხვი დარიგებებიდან.

აუცილებელია, რომ კითხვა შეესაბამებოდეს ცხოვრების წესს. სხვანაირად, აღივსები აზრებით, თუნდაც წმიდათი, რომლებიც ცხოვრებაში არ ხორციელდებიან, ისინი რჩებიან მხოლოდ წარმოსახვაში და არ გამოაქვთ ნაყოფი, ის ღვთისმოსაობა, რომელსაც შენი ცხოვრების წესი უნდა შეესაბამებოდეს, გაგისხლტება ხელიდან. გარდა იმისა, რომ შენ გადაიქცევი უნაყოფო მეოცნებედ, შენი აზრები, იმყოფებიან რა განუწყვეტელ წინააღმდეგობაში შენივე მოქმედებების სფეროსთან, შენსავე გულში აუცილებლად დაბადებენ უხერხულობის გრძნობას, ხოლო ქცევაში შენთვის, შენს ახლობელთათვის მძიმე და მანვე გაურკვევლობას. წმ. წერილისა და წმ. მამათა არასწორი კითხვისას თავისუფლად შეიძლება გადავიხაროთ გადამრჩენელი გზიდან და გადავვარდეთ გაუვალ ტევრსა და ღრმა უფსკრულში, რაც დაემართა კიდევ მრავალს.

ამინ.

თარგმნა
თეოდორე ბიზნაჟაშ.

1(14) იანვარი
წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი


ტროპარი: რომელი სუდართა ზედა ცეცხლისფერთა მალალთა შინა მჯდომარე იყავ თანადაუსაბამოსა მამისადა სულისა წმინდისა, სათნო იყავ შობად ქვეყანასა ზედა ქალწულისა უქორწინებელისა დედისა შენისაგან, იესო, ამისთვისცა მერვესა დღესა წინადაცვეთა თავს იდევი, ვითარცა კაცმან, დიდება, სახმიერსა განზრახვასა შენსა, დიდება, განგებულებასა შენსა, დიდება, გარდამოსვლასა შენსა, მხოლოო კაცთმოყვარე.

კონდაკი: უფალი ყოველთა და მეუფე წინადაცვეთასა თავს იდებს და კაცთა ცდომასა, ვითარცა სახიერი, განკვეთს და მისცემს მაცხოვრებასა დღეს სოფელსა, ხოლო იხარებს მალალთა შინა, მალლისა მღვდელმთავარი და ნათლით შემოსილი საღმრთო მესაიდუმლე ქრისტესი გასილი.

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი
თაისი ტორონჯაძე

დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძარი

(წარსული და თანამედროვეობა)



ღმრთისმშობლის შობის სახელზე საქართველოში მრავალი ეკლესიაა აგებული (ბეთანია, მეტეხი, იტრია, წირქოლი...), მაგრამ განსაკუთრებით ბევრი მლოცველი თბილისის დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძარს ჰყავს.

რამ განაპირობა განსაკუთრებული სიყვარული დიდუბის ეკლესიის მიმართ?

საამისოდ მრავალი მიზეზი არსებობს: დიდუბის სასწაულთოქმედი ხატი, ისტორიული ტრადიცია დიდუბეში თამარ მეფის ქორწინების შესახებ, დიდუბის ეკლესიის სამაროვანი (ე. წ. პანთეონი), სადაც მრავალი სახელოვანი მოღვაწე განისვენებს და სხვ.

დიდუბისა და მისი ეკლესიის შესახებ საისტორიო წყაროებში მუნწადაა ცნობები შემონახული, მაგრამ მათი ანალიზი საშუალებას იძლევა გაეითვალისწინოთ, ძირითად შტრისებში მაინც, მისი ისტორია.

დიდუბე, ტოპონიმის მნიშვნელობით, საისტორიო წყაროთაგან პირველად გვხვდება XI საუკუნის ერთ სიგელში, რომელიც ბაგრატ IV-ის მეფობის ხანაში დაუწერიათ — 1027-1072 წწ. (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ, 1965, 8—9). მაგრამ სიგელში ნახსენებია არა თბილისთან მდებარე დიდუბე, არამედ ისტორიულ კლარჯეთში არსებული დიდუბისა ხერთვისი. სიგელში აღწერილია ოპიზისა და მიჯანძორის სამონასტრო მამულების საზღვრები, რომელიც იმხანად სადავო გამხდარა. კლარჯეთისა და ქართლის დიდუბეებს საინტერესოდ აკავშირებს მკვლევარი თეიმურაზ ბერიძე. მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში მას მიუკვლევა 1743 წლის რუკისათვის, სადაც თბილისის დიდუბის ადგილას აღნიშნულია „ხერთვისი, Хертнас“ (თეიმურაზ ბერიძე, ძველი თბილისის მიკროტოპონიმიკიდან, დიდუბე, შურნ. „მნათობი“, 1971, №8, 127-140). ავტორი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ამ სახელის გაჩენა სამხრეთ საქართველოში მდებარე ძველი ხერთვისის დიდუბის გამოძახილი იყოს, კატეგორიული მსჯელობისათვის კი მას საბუთები არ მოუპოვება.

დიდუბე თბილისთან მდებარე ადგილის სახელწოდებად გვხვდება XII ს. ისტორიულ თხზულებებში: ბასილი ეზოსმოდღერის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. დიდუბის შესახებ ცნობებს გვაწვდიან: ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757), პაპუნა ორბელიანი (XVIII ს.), თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846), პლატონ იოსელიანი (1809-1875), გერმანელი მოგზაური და მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-1781) და სხვ.

დიდუბე მოხსენებულია აგრეთვე ისტორიულ საბუთებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და სხვა სიძველეთ-საკვებში. ზოგიერთი მათგანი გამოცემულიცაა ექვთიმე თაყაიშვილის (საქართველოს სიძველენი, ტ. I), სარგის კაკაბაძის (ისტორიული საბუთები, წიგნი III, V), ნიკო

ბერძენიშვილის (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I), აგრეთვე კაკაბაძის არქეოგრაფიული კომისიის მიერ (Акты, т. I). სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დიდუბეს შეეხებინ: მარი ბროსე (საქართველოს ისტორია, 1900 წ.), მოსე ჯანაშვილი (საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, 1893), ივანე ჯავახიშვილი (საქართველოს გეონომიური ისტორია, I), ვახტანგ ბერიძე (თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917 წწ. ტ. II. 1963) და სხვ. არსებობს აგრეთვე სხვადასხვა დროის გზამკვლევები (П. Ф. Шамраевский, Путеводитель-Справочник по гор Тифлису, на 1907 г.; Дидубинский пантеон, сост. И. К. Энаколопашвили, 1957); არქეოლოგიურ კვლევა-ძიების ამსახველი ლიტერატურა (დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I 1955, გვ. 6—75; აქ პირველ რიგში აღწერილია დიდუბეში მოპოვებული ენეოლითური ძეგლები), ტოპონიმიკის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები (თ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი) და სხვ. დიდუბის წარსულის მიმოხილვისას ჩვენ ძირითადად ამ უკანასკნელ ნაშრომს დავეყრდნობით, რადგან დიდუბის ონომასტიკის კვლევისას ავტორს გამოუყენებია ყველა მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო, ვაჰიგრაფიკული მასალების ჩათვლით.

როგორც მკვლევარი ფიქრობს, დიდუბის სახელწოდება მიღებულია „დიდი დუბე“-საგან. დუბე, სულხან-საბას განმარტებით, „დაბალი ადგილია“. დაბალი, ვაკე, დაცემული ადგილის მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართლურის გარდა აჭარულ დიალექტშიცაა შემონახული (იხ. აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, 1974, 213). გურიასა და ზემო აჭარაში გვხვდება მისი სახეცვლილი ფორმა — დუბე (იხ. იქვე, 206). „დუბე“, აღ. ღლონტის აზრით, უნდა ფიგურირებდეს ბოდბის სახელწოდებაშიც („ბოდ-დუბე“ — შორეული დაბალი ადგილი. იხ. აღ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმი, 1982. 13). „დუბე“-სთან უნდა იყოს დაკავშირებული ქიზიყისა და ქართლში დადასტურებული სიტყვა „დუბელა“ — „ნელთბილი, უკემური (მდგარი) წყალი“ (ქველ. III, 1230).

სულხან-საბას კვალდაკვალ ნიკო ჩუბინაშვილი „დუბეს“ „დაბალ ადგილად“ განმარტავს (იხ. მისი: ქართული ლექსიკონი), და იქვე მიუთითებს, რომ „დიდუბე ტფილისის ზევით მინდორია“.

დიდუბის სახელს „დუბისაგან“ წარმოებულად მიიჩნევს პლატონ იოსელიანიც: „Дидубинские - великая лощина [Платон Иоселиани, Описание древности г. Тбилиса, 1866 г. стр. 271]. лощина განიმარტება, როგორც „плоская низменность, низко расположенная долина“.

დიდუბის სახელწოდების წარმოშობაზე ასეთივე თვალსაზრისი აქვთ ზურაბ ჭუმბურიძეს (იხ. მისი: რა გველა შენ?, 1966, 59), გრიგოლ ზარდალიშვილს (იხ. მისი: თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმი, 1978, 23-24) და სხვა თანამედროვე მკვლევართ, თუმცა ძველთაგანვე

არსებობდა მეორე თვალსაზრისიც; თეიმურაზ ბაგრატიონი დიდუბეს განმარტავს ასე: „ფართო უბე ანუ წილი“ (თ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., 128). 1826 წლის ერთ დოკუმენტში კვითხულობთ: „...Самое название бывшего села и укрепления Диду́бе значит на грузинском языке большая пазуха... по обширности равнин и другого рода земель“ (იქვე, 128). ამ თვალსაზრისს იზიარებდა მოსე ჯანაშვილიც.

დიდუბის სახელწოდებაში „დუბე“ რომ უფრო სავარაუდოა, ვიდრე „უბე“, გვიჩვენებს შემდეგი გარემოება: პირველად ეს სახელი (დიდუბე) XII–VIII საუკუნეებში ჩნდება („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“, „ისტორიანი და აზმანი“), შემდეგ კი გვიან შუა საუკუნეებამდე აღარ გვხვდება. თ. ბერიძის დაკვირვებით, ამ სახელს ერთხანს ჩამოსცილებია მსაზღვრელი „დიდი“ და ამიტომაც „შემდეგი ხანის სიველ-გუჯრებში შემოკვრნა გეოგრაფიული ცნების, ვაკის, დაბალი ადგილის გამომხატველ სიტყვად – „დუბე“ (თ. ბერიძე, იქვე, გვ. 128). ამის მაგალითები არაერთია:

1592 წ. საბუთიდან: „მოკვიდე დუბის ვენაკი“... (სარგის კაკაბაძე, ისტ. საბუთები, III, 1913, 83).

1659 წლისა: „... და გაგიცვალე დუბე ზეთი“ (Hd – 1588).

1678 წლისა: „საწისქუილოს... დუბეს ქუემოთი“.

1707 წლისა: „ამ სამძღვრის: ის დუბე: ვაკე: ადგილი და იმ დუბეს: იქით: რომ: კლდოვანი: სერ-სერი ჩასდევს“ (ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, V, 1913, 12).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, დიდუბის თაღაპირველი სახელწოდება ყოფილა ცხენის-ტერფი: „ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსაც პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი“ (ქართლის ცხოვრება, ს. ვახუშტიშვილის გამოცემა, IV, 1973, 338). ცხენის ტერფს მოიხსენებს ქართველი მემატიანე ჯუანშერი მეფე ვახტანგ გორგასლის ამბების თხრობას: „ხოლო ვიდრე მოიწყოდეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი, წარსულ იყო კეისარი ქუევანით ხაზარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცალებდა მოსლვად ქართლად. მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ცხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მკეღარი და ასი ათასი ქუეთი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიდით ვიდრე ქართლის კართამდე და სპარსთა დაიბანაკეს ცხენის ტერფითგან ჩაღმართი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, 179).

თ. ბერიძის აზრით, ცხენის-ტერფმა „ასეთი ხატოვანი სახელი მიიღო თავისი დუბე-ვაკე, დაცემული სწორი რელიეფის გამო (თ. ბერიძე, იქვე, გვ. 128).

როგორც უკვე ვთქვით, დიდუბე თბილისთან მდებარე ადგილის სახელწოდებად პირველად გვხვდება XII საუკუნის ისტორიულ თხზულებებში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ და „ისტორიანი და აზმანი

შარავანდეთანი“. ისტორიკოსებს მისი მოხსენება დასჭირდათ თამარ მეფის ქორწილის ადგილის მისათითებლად:

„... ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღმერთსა მიანდვეს. თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა მეცნიერებისათვს ყრმისა. არლარა ყოველს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს და შერთეს დავით თამარს“ (ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 122).

„და წარვიდეს დიდუბულნი იმერნი და ამერნი, და წარმოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით, რჩეული ღმრთისა მიერ, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვისი და შემსგავსებული კელმწიფობისა და სახელწულობისა მათისა“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“, იქვე, გვ. 47).

„ნამდვლვე ერმიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ და განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუელა ტვრითთა, ცხენი ყუელა შეკაზმული. ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თვს-თვსითა დროშითა; პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი(თი)-შემდგომად. გააწყუეს კართიგან ქალაქისათ კეკამდე გლდანისა ტყე ყოველი. განიყვანეს თამარ, და შესწირეს, და ათაყუანეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი. მერმე თვთცა თაყუანის-სცეს და მიულოცეს ბედნიერი მეფობა ღმრთისა-მიერი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 128).

ამრიგად, დიდუბეში თამარის დროს სამეფო სასახლე მდგარა („სრა დიდუბისა“). მის ბრწყინვალეობაზე მიუთითებს საქორწილოდ დიდუბის შერჩევა. როგორც მემატიანე წერს, ეს არ ყოფილა ჩვეულებრივი ქორწილი, არამედ „შესატყვისი და შემსგავსებული კელმწიფობისა და სახელწულობისა მათისა“. თ. ბერიძის აზრით, „შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ გამარჯვებული ქართველი მხედრონი თავის ნაალაფევს ჰფენს დიდუბის ველზე“ (თ. ბერიძე, იქვე, გვ. 127). მკვლევარი დიდუბეს ძველი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე აგარას ადარებს (აგარანი, როგორც ვიცით, წაკვისის, შინდისის, ტაბახმელასა და კოჯრის საერთო სახელწოდება იყო. იგი ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენციად ითვლებოდა. აგარანი აღნიშნულია 1735 წლის თბილისის ნახუშტისეულ გეგმაზე. მის შესახებ არსებული ცნობები გაანგებოდ შეისწავლა ნ. ბერძენიშვილმა (იხ. მისი: ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, აგარანი, „მიმოძილველი“, II, თბ., 1951, გვ. 37-60). ნ. ბერძენიშვილისაგან განსხვავებულ დასკვნებამდე მივიდა ივ. შაიშველაშვილი (იხ. მისი წერილი: ახუელა, კოჯრის ციხე, აგარანი; მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №4, 137-155). ეს სტატია თავის მხრივ უარყოფითად შეაფასა დ. ბერძენიშვილმა (იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1988, №2, 153-168): „მას (დიდუბეს, ე.კ.) ჰქონდა ყველა... პირობა, რაც საჭიროა აგარისათვის: მეფის სადგომი – სასახლე, კარის

ეკლესია, სარწყავი რუ, რომელიც რწყავს დიდუბის მინდვრებს, ზერებსა და ხოდაბუნებს; დიდუბის ველი მარჯვე ადგილია დიდძალი ჯარის შესაყრელად და ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ ნაალაფვის გამოსაფენად“ (თ. ბერიძე, იქვე, გვ. 129).

„დიდუბეში თამარ-მეფის ქორწინებას ადასტურებს გახუშტი ბატონიშვილიც: „... მცნობმან თამარ ამის ყოვლისავეთს ნება სცა და ქმნეს ქორწილი სახლსა დიდუბისასა დიდებითა დიდითა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 1973, 177).

თამარ მეფის ქორწილის შესახებ არაერთი ხალხური ლექსი და სიმღერა არსებობს:

„დიდუბეში იქორწინა
თამარ ქალმა, დიელო და,
საყდარშია შეიყვანეს
თამარ ქალი, დიელო და,
უცბათ ჯვარი გადასწერეს
თამარ ქალსა, დიელო და!“

(ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, 1984, 15)

„დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ ტაძარი არი“...

(ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? 1966, 59).

დიდუბეს თამარის ლაშქრის შესაყრელ ადგილად წარმოგვიდგენს გრიგოლ ორბელიანი თავის შესანიშნავ პოემაში „სადღეგრძელო“:

„თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი;
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი“...

ხალხური ლექსების მსგავსად პოემის ეს ადგილიც სასიმღეროდ იქცა (იხ. ქართული ქალაქური სიმღერები).

სადაც მეფის სასახლე იდგა, ბუნებრივია, იქ კარის ეკლესიაც იქნებოდა. გადმოცემით, იგი თანამედროვე ღმრთისმშობლის ეკლესიის ადგილას უნდა მდგარიყო.

ოთხი საუკუნის მანძილზე, XIII-დან XVII საუკუნემდე, დიდუბის სახელი არც ერთ ისტორიულ საბუთში აღარ გვხვდება. ამ მოვლენას თ. ბერიძე ხსნის იმ გარემოებით, რომ დიდუბე, მინდვრის გარდა, სოფლის, დასახლებული პუნქტის სახელიც იყო. XIII ს-ის II ნახევრიდან ეს სოფელი, როგორც ჩანს, არსებობას წყვეტს (ჯალალედინის შემოსევის შედეგად მისი მოსახლეობის გაქვლეტის, ტყვედ წასხმისა თუ აქედან აყრა-გადასახლების გამო). „დიდუბე თავის მნიშვნელობასა და სახე კარგავს ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერის შერყევით, დაკნინებისა და დაცემის შემდეგ“ (თ. ბერიძე, იქვე, 129), მაგრამ როგორც კი შეიქმნა ხელსაყრელი პირობები, სოფ. დიდუბე ხელახლა აღორძინდა.

ეს მოხდა ვახტანგ მეხუთის, შაჰნავაზის მეფობის ხანაში (1658 - 1676).

ცნობას დიდუბის ხელახალი აშენების შესახებ გვაწვდის ვახტანგ V-ის ძის, მეფე გიორგი XI-ის ერთი საბუთი: „... პატრონის მამის ჩვენის მეფის ვახტანგისა და დედის ჩვენის დედოფლის რკადამ ყოფილის ბარათაშვილის შვილის, ორბელისშვილის ეკატერინესათვის. მათი სულისათვის დაკლევით ადაპი იმავე მამის ჩვენის აშენებულს სოფელს დიდუბეს, რუ გამოილო ავჭალიდან და აღაშენა სოფელი და უნაყოფო მიწა ნაყოფიერ ყო“... (ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, 1940, გვ. 72). დიდუბის, როგორც დასახლებული პუნქტის, აღორძინებას უთუოდ ხელი შეუწყო ძველი სარწყავი რუს შესახებ შემორჩენილია ცნობებმა. როგორც ვარაუდობენ, თავდაპირველად ეს რუ მდ. არაგვიდან უნდა გამოეტანათ (იხ. თ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 130; შდრ. ა. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქარველოში, 1963, გვ. 87-88). პლატონ იოსელიანის დაკვირვებით, თამარ მეფის დროინდელი რუ სათავეს იღებდა სოფ. ჟინვალის მიდამოებში. იგი თავის ჩანაწერებში ტრასის ნაშთებზეც მიბეჭეტილებს (Пл. Иоселиани, Путевные записки, стр. 77-79). ამის შესახებ ცნობები ჰქონიათ მეფისნაცვლებს – ვორონცოვსა და ბარიატინსკის, და უცდიათ რუს ადღენაც, მაგრამ მათი პროექტები განუსროცილებელი დარჩენილა.

XIX ს. დასაწყისში შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით, დიდუბეში ორი სარწყავი არხი ყოფილა: ავჭალიდან გამოყვანილი რუ („Шихис-ру“; თ. ბერიძის აზრით, ეს უნდა იყოს „ციხის რუ“) და მტკვრიდან გამოყვანილი ე. წ. „ბაღის არხი“ („Садовая канава“).

1721 წლის აღმოსავლეთ საქარველოს მოსახლეობისა და სოფელთა აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ სამეფო სოფელ დიდუბიდან საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ გამოეყვანათ 30 მოლაშქრე, აქედან მეფის კუთვნილი 27 სახასო ყმაა, ხოლო 3 – მემამულე გილაქიშვილის მოლაშქრე ყმა (თ. ბერიძე, გვ. 130).

1740 წლის წყალობის სიგელით ვიგებთ, რომ ბატონიშვილის წინაშე გამოჩენილი ერთგულებისათვის მეფე თეიმურაზ II-ს დიდუბის მოურავობა და თელავის მაზრის ტარულობა უბოძებია ვინმე გურგენიძისათვის. უფრო მოგვიანებით, 1764 წლის სიგელით ერეკლე II ხელმეორედ უმტკიცებს გურგენიძეებს დიდუბის მოურავობას. თ. ბერიძის აზრით, დიდუბის მოურავის სახელო გურგენიძეთა გვარს ჯერ კიდევ შაჰნავაზის დროს უნდა ბოძებოდა (იქვე, გვ. 131).

დიდუბე შემდგომი დროის ისტორიულ წყაროებშიც მოიხსენება:

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გამეფების (1744 წ) აღწერისას პაპუნა ორბელიანი ეხება დიდუბეში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენას: „...მოუვიდათ ეს სიხარულისა ამბავი ბატონის-შვილს ერეკლეს. მაშინვე წაბრძანდა ქალაქს, გავიდნენ, დასცეს სევანი დიდუბეს, ჩამოხდა მას შინა, გავიდა იბრემ-ბეგ, მიუტანა რაყამი ხელმწიფისა და ხალათი ჩაიცვა იქ და ეგრე შემობრძანდა ქალაქში.

გაეგება მამა თვისი, მიულოცეს ერთმანერთს და ეგრე შემობრძანდნენ“ (პაპუნა ორბელიანი, აზნაური ქართლისანი, საქართველოს ცხოვრება, 1913, 91-92). სევანი — კარვის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ასეთი სახელი მას, როგორც ჩანს, საკარვე ქსოვილიდან მიუღია (სულხან-საბა ახსენებს სევინს და მას განმარტავს, როგორც „ბაიასაგან თხზულ“ ანუ მოქსოვილ სამოსელს. სევინის პარალელურ ფორმებად დასახელებულია ზებინი, სებინი და სირა). თ. ბერიძის აზრით, დიდუბეში სევანის დაცემა ამ ადგილის მნიშვნელობაზე მიუთითებს: „ეჭვი არ არის, რომ ერეკლე ბატონიშვილი „სევანს“ არ დადგამდა დიდუბეში ტრიალ მინდორზე ყაენის რაყამის და ხალათის მისაღებად“ (თ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., 131).

დიდუბეში ციხე-სიმაგრის არსებობაზე მიუთითებს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1771-72 წლებში. მის დროს ციხე უკვე დანგრეული ყოფილა (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გულაშვილის რედაქციით, 1962, 67), რაც ლეკების მხრივ რბევა-აწიოკების შედეგი უნდა იყოს (Пл. Иоселиани, Описание древностей г. Тбилиса, стр. 262). ამასვე მეტყველებს 1781 წლის სოფელთა აღწერის სია (გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I ტომში, 1967 წ.), სადაც სოფ. დიდუბე სრულიად არ იხსენება, დიდუბელი გლეხები კი სოფ. კუკიაში ჩანან გადასახლებული (ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 161). ამის მიუხედავად, სოფ. დიდუბე მთლიანად არ დაცლილა. 1796 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ დიდუბის მოსახლეობა იბეგრება საბატონო გამოსაღებით (თ. ბერიძე, იქვე, გვ. 132).

1818 წელს დიდუბეში დასახლდა გერმანელ კოლონისტთა ერთი ჯგუფი, რომელთაც თავიანთ კოლონიას ალექსანდრე დროფი უწოდეს. სხვანაირად „შორეული ახალშენიც“ ერქვა (მ. ჯანაშვილი, საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, 1893, 9).

1884 და 1887 წლებში შედგენილ თბილისის გეგმაზე დიდუბე უკვე ქალაქის ფარგლებშია მოქცეული; არსებობს ცნობები, რომ XIX ს-ის შუა ხანებში დიდუბის ვრცელი მინდორი დოღისა და საზეიმო პარადების მოსაწყობად გამოიყენებოდა. კ. მამაცაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს 1837 წელს ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით დიდუბეში გამართულ საზეიმო პარადს, რომელშიც ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლკსაც მიუღია მონაწილეობა (იმ დროისათვის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა მ. ლერმონტოვი). გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულში დიდუბეში ჰიპოდრომი მოუწყვიათ, რომელიც 1940 წლამდე მოქმედებდა [И. К. Энаколо-пашвили, Дидубийский пантеон, 1957, 3-4].

1827 წელს ჩუღურეთში გადასახლებულ დიდუბელ გლეხთა მიწებს დაპატრონებია თავადი ამატუნი (იქვე, გვ. 4); მოტყუებითა და სასამართლოში ჩივილით მას იმდენი

მოუხერხებია, რომ „კუთვნილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ დიდუბის ძველი ციხის ორსავე მხარეს მიუღია ორმაგი პროპორცია მიწის ნაკვეთი“ (თ. ბერიძე, იქვე, 133).


დიდუბის ძველი ციხის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის მკვლევარი თ. ბერიძე ეყრდნობა როგორც გიულდენშტედტის სიტყვატუნწ ცნობას (გიულდენშტედტის მოგზაურობა, ტ-II, გვ. 61), ასევე მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში დაცულ ორ გეგმას; ერთი მათგანი 1800 წელს შეუდგენია კაპიტან ჩუიკოს, ხოლო მეორე — პოლკოვნიკ ტიხონოვს (უთარილოა). აქ აღნიშნულია „Разоренный замок бывшего селения Дидубе“, აგრეთვე „Грузинская церковь пресвятой Богородицы“. ეკლესია დღევანდელი ღმრთისმშობლის ეკლესიის ადგილასაა აღნიშნული, ციხე-გალავანი კი დაახლოებით იქ ყოფილა, სადაც ამჟამად ეროვნული სტადიონია. გეგმის მიხედვით, დიდუბის ციხე-გალავანი მოგრძო სწორკუთხა ფორმის საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა ყოფილა, ოთხივე კუთხეში კი ცილინდრული ფორმის კოშკები ჰქონია ბურჯებად. სენია ჩხეიძის ცნობაზე დაყრდნობით თ. ბერიძე დაასკვნის, რომ დიდუბის გალავანი XVIII ს-ის 40-იან წლებში უნდა აგებულყო. „მართლაც, — წერს იგი, — XVIII ს. შუა ხანებში თბილისში ჩრდილოეთიდან მომავალი თითქმის ყველა საპატრიო სტუმარი ჩერდებოდა დიდუბეში. 1744 წელს ერეკლე ბატონიშვილმა დასცა „სევანი დიდუბეს“. 1754 წელს ჯიმშერ არაგვის ერისთავი თავის ლაშქრით დააყენეს დიდუბეს; 1756 წელს ბესარიონ იმერეთის კათალიკოზი „ჩამოახდინეს დიდუბეს“. ვფიქრობთ, რომ თბილისის სიახლოვეს, დიდუბეში საპატრიო სტუმრის ჩამოსვლამ-გაჩერება ამ დროს, მნებებდობის ხანაში, როცა დღის ყოველ დროში მოსალოდნელი იყო ლეკ დამრბეველ-ამწიოკებელთა გამოჩენა, გაპირობებული უნდა ყოფილიყო სწორედ აქ მდგარი თავდაცვითი ნაგებობით, ციხე-გალავანით“ (დასახ. ნაშრ., გვ. 134).

დიდუბის ციხე-გალავანმა, როგორც ჩანს, დიდხანს ვერ გაუძლო რბევა-აწიოკებას. 1772 წლის საქართველოს რუკაზე დიდუბე „გაპარტახებულ ციხე-სიმაგრედაა“ აღნიშნული (ვ. გამრეკელი, საქართველოს 1772 წლის რუკა, 1964, 45). ამის შემდეგ იგი აღარც აღუდგენიათ.

კაპიტან ჩუიკოს გეგმაზე (1800 წ.), როგორც ვთქვით, ღმრთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესიაცაა აღნიშნული. პლატონ იოსელიანის აზრით, XIX საუკუნემდე მოღწეული დიდუბის ეკლესია თამარ მეფის დროინდელი იყო. 1866 წელს ეკლესიის თალი უკვე ჩამონგრეული ყოფილა, მაგრამ თბილისელები მაინც დადიოდნენ მის მოსალოცად. საამისოდ საგანგებო დღეც ყოფილა დაწესებული — „понедельник светлой недели“ (ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი იხ. Пл. Иоселиани, Описание древн. г. Тбилиса, 1866 г., стр. 262; მისივე Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, 1871, 79].




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
ილია II დიდუბის ტაძარში წმ. თამარ მეფის ფრესკის
მონატივისას



წმიდა იაკობი

წმიდა ნინო



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე დიდუბის ტაძრის მონაგვებისას




იესო ქრისტე




წმიდა ნიკოლოზი



ღვთისმშობლის მიძინება



წმიდა ნინო



ორშაბათობით დიდუბის ეკლესიაში ლოცვის ჩვეულება მკველვარ თ. ბერიძეს აფიქრებინებს, რომ შესაძლოა ძველად ამ ადგილას მთვარის წარმართული სალოცავი მდგარიყო (დასახ. ნაშრ., გვ. 140).

თუ გავითვალისწინებთ, რომ პლ. იოსელიანი დიდუბის მლოცვის დღედ აცხადებს არა ყოველ ორშაბათ დღეს, არამედ მხოლოდ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს (აღდგომის მეორე დღეს), ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს არა წარმართული დღესასწაულის გამოძახილთან, არამედ ქრისტიანულ ეორტოლოგიაში კარგად ცნობილ ფაქტთან – გარეგნობის დღესასწაულთან.

ეს ტერმინი აღდგომის მომდევნო დღის აღსანიშნავად პირველად გვხვდება VII საუკუნის „იერუსალიმურ განჩინებაში“: „დღესა ორშაბათსა, გარეგნობასა, პირველსა ზატიკას – კრებაჲ წმიდისა ანასტასიას“ [K. Кекелидзе, Иерусалимис канонарь VII в., Тифлис, 1912, 96]. ამავე ტერმინს ვხვდებით X ს-ის ლიტურგიკულ ძეგლებში: იოანე-ზოსიმეს „მცირე კანონში“ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 1955, 131), Sin. 54-ში (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, III, 1987, 64) და სხვ.

როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, აღდგომის მეორე დღეს გარეგნობას დღესასწაულობენ იმერეთში ამჟამადაც [Иер. канонарь, стр. 232-233. იხ. აგრეთვე ქართული ეკლესიის კალენდარი 1963 წ., გვ. 68]. ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი გვიანდელ ლიტურგიკულ ძეგლებში გარეგნობის სახელით აღარ მოიხსენება, მაგრამ ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ, როგორც ჩანს, შემოინახა ეს ტრადიცია.

რა ეორტოლოგიური შინაარსი უნდა ჰქონდეს გარეგნობას, ამის შესახებ კ. კეკელიძე ვერაფერს ამბობს.

თვით სიტყვა „გარეგნობა“ ალბათ ეკლესიისა თუ ქალაქის გარეთ შესასრულებელ ღმრთისმსახურებაზე მიუთითებს, მაგრამ პირდაპირი მონაცემები მისი შინაარსის ნათელსაყოფად არ მოგვეპოვება. არაპირდაპირი მონაცემები კი იმ აზრისაკენ გვიბიძგებენ, რომ აღდგომის მომდევნო დღე – ორშაბათი მიცვალებულთა მოსახსენებელი დღე უნდა ყოფილიყო. ამ დღეს მლოცველნი გადიოდნენ „გარეგან ეკლესიისა ან ქალაქისა“ (ეკლესიისა და ქალაქის გარეთ, მოშორებით, სასაფლაოზე) და ყველგან, სადაც ჯვარი იყო აღმართული, ლოცვას აღავლენდნენ.

გარეგნობის გამოხატულება უნდა იყოს მთელ საქართველოში გაერთიანებული ჩვეულება აღდგომის ორშაბათს მიცვალებულთა საყოველთაო მოხსენებისა სასაფლაოზე – საფლავთა კურთხევა (სხვა ეკლესიებში, საქართველოს გარდა, ასეთ რამეს ვერ ვხედავთ). ეს ხალხური ჩვეულება ძველთაგან მომდინარეობს, თუმცა ჩვენს საეკლესიო კალენდრებში მხოლოდ კათოლიკოს მელქისედეკ III-ის დროიდან, 1952 წლიდანაა ასახული. ამ დროიდან დაიწყო თვეთა კალენდრის ბოლოში „ხალხური კალენდრის“ დართვა, რომელიც, მართალია, სრული არ

ყო, მაგრამ გარეგნობა მაინც იმთავითვე მოხდა მასში (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1955 წლისათვის, გვ. 94). ამასთან, თვეთა კალენდარშიც შევიდა სათანადო ცნობა: ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს მიეწერა „დიდუბობა“ და „მიცვალებულთა ხსენება“ (იხ. იქვე, გვ. 40), უფრო მოგვიანებით კი – „საფლავთა კურთხევა“ (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1963 წლისათვის, გვ. 26. ასეთი ტრადიცია გრძელდება უკანასკნელი წლების საეკლესიო კალენდრებშიც).

თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ იმას, რომ დიდუბე თავდაპირველად „გარეგან ქალაქისა“ იყო და, პლ. იოსელიანის ცნობის თანახმად, მლოცველები გარეგნობის დღეს დიდუბის ტაძარში მოდიოდნენ ლოცვისათვის (დიდუბობაზე), მეორე მხრივ კი ამას, რომ გარეგნობის დღეს (ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს) საფლავთა კურთხევის ტრადიცია იყო ჩვენში, შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდუბის ეკლესიასთან იმთავითვე ყოფილა სასაფლაო და ამიტომაც დიდუბის დღესასწაულად ამ საფლავთა კურთხევის დღე – გარეგნობა დაწესებულა. შეიძლება ისიც არ იყოს შემთხვევითი, რომ ექსარქოსმა ვარლამ ერისთავმა ჩუღურეთში გადასახლებული დიდუბელებისათვის ჯვრის სახელობის ეკლესია აკურთხა (თ. ბერიძე, იქვე, გვ. 133), იქნებ დიდუბის ჯვრის მეტოქედაც.

ამრიგად, დიდუბის ტაძრის დღესასწაული – ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი – გარეგნობა ყოფილა, და ამ დღეს მიცვალებულთა ხსენება (საფლავთა კურთხევა) აღესრულებოდა.

მოგვიანებით დიდუბის ეს უმთავრესი დღესასწაული ღმრთისმშობლის შობის დღემ – 8(21) სექტემბერმა დაჩრდილა (ეს დღეც დიდუბობის სახელით მოიხსენიება ჩვენს საეკლესიო კალენდრებში). გარდა ამისა, დიდი ზემოთ აღინიშნება წმ. თამარ მეფის ხსენების დღეებიც (მენელსაცხებულთა კვირიაკეს და 1 მაისს, ძვ. სტ.), მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ტრადიციული დიდუბობა – გარეგნობის დღე, ბრწყინვალე ორშაბათია.

მოგვიანებით დიდუბობის ორშაბათი განზოგადდა და ყოველი ორშაბათი დღე დიდუბის ტაძრის მოსალოც დღედ იქნა მიჩნეული. კირიონ III-ის დროიდან, თუ უფრო ადრე არა, შაბათ-კვირისა და დღესასწაულების გარდა, დიდუბის ტაძარში ყოველ ორშაბათსაც სრულდება წირვა-ლოცვა. წირვის ბოლოს გალობენ პარაკლისს ყოველდღეობისა ღმრთისმშობელისა. კათოლიკოს-პატრიარქების მელქისედეკისა და კალისტრატეს დიდუბის ტაძარში მსახურების დროს, ყოველ ორშაბათს, წირვის დაწყებამდე ღმრთისმშობლის დაუჯდომელსაც ასრულებდნენ.

ორშაბათობით ღმრთისმსახურების დაწესება, ხალხური გადმოცემის თანახმად, უკავშირდება დიდუბის ღმრთისმშობლის სასაწაულთმოქმედი ხატის პოვნას. თქმულების მიხედვით, ხატი უპოვნიათ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დიდუბეში ეკლესია არ იყო.

ახლანდელი ეკლესიის მიდამოებში ძველად საძოვრები იყო, გადმოგვცემენ. ერთ კეთილმსახურ მწვემს, რომელიც დიდუბეში აძოვებდა ცხვარს, და ამიტომაც კარგად იცნობდა მის ადგილ-მდებარეობას, დახიზრებია ანგელოზი, რომელსაც უწევია: დიდუბის მინდორში ამა და ამ ადგილას ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია დასვენებული; მიდი, თავიანი ეცი და სასწაულს გიჩვენებსო. მეორე დღეს მწვემმა თავისი ხილვა დედ-მამასა და თანასოფლელებს უამბო. ყველანი ერთად გაემართნენ მინიშნებული ადგილისაკენ, და სასწაულის მოლოდინში, ერთი, შობითგან ბრმაც თან წაიყვანეს. ღმრთისმშობლის დიდებულმა ხატმა მართლაც მოახდინა სასწაული. შობითგან ბრმას თვალები აუხილა.

ეს მომხდარა ორშაბათ დღეს.

ხატის სასწაულებრივი პოვნის ადგილას იმავე დღეს ნიში აღუმართათ, ხატიც იქ დაუბრძანებიათ და თავიანი უციათ. სასწაულმოქმედი ხატის ამბავი მთელ საქართველოში განთქმულა. მოჰყავდათ თურმე სხვადასხვა სწეულებით შეპყრობილი და ყველა მათგანი განკურნებული ბრუნდებოდა შინ. მალე ეკლესიაც აუგიათ ნიშის ადგილზე.

ასეთია ლეგენდა, რომლის თანახმადაც დიდუბის მოსალოც დღედ ორშაბათის დაწესება — სასწაულმოქმედი ხატის გამოცხადებას უკავშირდება. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა ის ვარაუდი, რომ დიდუბის „ორშაბათობა“ წარმოადგენს ტრადიციული დიდუბობის — „გარეგნობის“ — განზოგადებას.

ახლანდელი ტაძრის ადგილას ძველადაც რომ მდგარა ეკლესია (დარბაზული ნაგებობა), ამკარად გამოჩნდა 1974-78 და 1982 წლების სარესტავრაციო სამუშაოების დროს (ახალი იატაკის დაგება, გათბობის სისტემის დამონტაჟება და სხვა). აკად. შალვა ამირანაშვილის აზრით, თავდაპირველად ეკლესია აქ VI საუკუნეში უნდა აეშენებინათ. ძველ ეკლესიას, როგორც გათხრებისას აღმოჩნდა, სამთალიანი სარდაფიც ჰქონია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1984 წელს, როდესაც გადაწყდა მარმარილოს ტრაპეზის დადგმა, საკურთხეველის გათხრის დროს აღმოჩნდა წმ. ნაწილები. ისინი კვლავ ტრაპეზის ქვეშ დაკრძალეს.

XIX ს-ის 60-იან წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ეკლესია უკვე თალ-ჩამონგრეული იყო, ამიტომ დასმულა საკითხი ახალი ტაძრის აშენებისა.

მშენებლობის ინიციატორი ყოფილა დიდუბის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბესარიონ სიმონის ძე ზედგენიძე (1835 - 1893). იგი დაკრძალულია ტაძარში, სამხრეთი შესასვლელის მარჯვნივ, ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის წინ. იქვე, სამხრეთის კედელში ჩატანებულია მისი ეპიტაფია (ქართულ და რუსულ ენებზე). უფრო ადრინდელი წარწერა კი უშუალოდ საფლავის მარმარილოს ფილაზეა გაკეთებული: „ აქა

მდებარეობს გვამი დეკანოზ ბესარიონ სიმონის ძის ზედგენიძისა, აღმშენებლისა ამა ტაძრისა, 7 ოკტ... 1835 წ., 15 იანვარი 1893 წ.“

გაერცვლებული თვალსაზრისით, ახალი ღმრთისმშობლის ეკლესია 1884 წელს აშენებულა. ასეთ ცნობას გვაწვდის პ. შამრაევსკი: *Прежней, древней церкви, построенной царицей Тамарой нет, она разобрана и на ее месте построен в 1884 году новый храм [П. Ф. Шамраевский, Путеводитель-Справочник по гор. Тбилису на 1907 г., стр. 44-45].*

დიდუბის ეკლესიის აგების თარიღად 1884 წელს მიიჩნევს პროფ. ე. ბერიძეც (იხ. მისი: თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801—1917, ტ. II, 1963, გვ. 75). იმავე თარიღს ეთანხმება დიდუბის ეკლესიის არქივში დაცული ერთი საბუთი (იგი წარმოადგენს მიმართვას სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივნისადმი):

„თანახმად თქვენი მოთხოვნისა, მოგახსნებთ, რომ დიდუბის ღმრთისმშობლის ეკლესია იმყოფება ხატალინის (sic.) რაიონში; აშენებულია 1884 წელს; მასალად ნახშირია ქვა, აგური, კირი; უახლოეს მოქმედ ეკლესიისაგან დაშორებულია დაახლოებით ერთი კილომეტრით; საკურთხეველამდის ფართობი არის 110 კვად. მეტრი; სიძველეთა დამცველ კომიტეტის მიერ აღრიცხვაზე აღებული არ არის“ (საბუთი უთარიღო და დაუმთავრებელია).

თ. ბერიძე საეკვოდ მიიჩნევს პ. შამრაევსკისა და ვ. ბერიძის მიერ მიღებულ თარიღს — 1884 წელს. მისი ეჭვის საფუძველია დიდუბის ტაძარში შენახული ორი ეპიტაფია: „ტაძრის შესასვლელის მარცხენა მხარეს, სამხრეთ კედელთან, რუსულ ენაზე შესრულებული... ეპიტაფია გამცნობს, რომ ვინმე დანკვეინი გარდაიცვალა და დაუკრძალა 1871 წლის 16 მაისს. ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან, ასევე რუსულ ენაზე შესრულებული ეპიტაფია გვაუწყებს, რომ აქ განისვენებს ვინმე პოლკოვნიკი ივანე ივანეს ძის შვეჩენკოს გვამი, გარდაცვლილი 1873 წლის 22 თებერვალს“ (თ. ბერიძე, იქვე, 135). აღნიშნული ეპიტაფიები (1871, 1873 წწ) წინ უსწრებენ ტაძრის აგების თარიღად მიჩნეულ 1884 წელს, რაც თ. ბერიძეს აფიქრებინებს, რომ ეს თარიღი არასწორია, რამდენადაც, მისი აზრით, ტაძარი უფრო ადრე უნდა აშენებულიყო, ვიდრე იქ მიცვალბულები დაიმარხებოდნენ.

ვფიქრობთ, ეს საკმარისი არგუმენტი ვერაა ტაძრის აშენების გადათარიღებისათვის. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ და თ. ბერიძეც წერს, „დიდუბის ეკლესიის გარშემო ძველი სასაფლაო ყოფილა. ჩვენს მიერ ფიქსირებულ და ამოკრეფილ საფლავის ქვებზე შემორჩენილი წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ დიდუბის სასაფლაო მოქმედი ყოფილა მთელი XIX ს. და XX ს-ის 20-იან წლებამდე“ (იხ. მისი ნაშრომი, გვ. 136). მასსადამე, ამ სასაფლაოზე შეიძლება დაკრძალულიყვნენ ვინმე დანკვეინი და შვეჩენკო, თუნდაც ტაძრის მშენებლობა დამთავრებული არ ყოფილიყო.

არსებობს ცნობა, რომ ძველი ეკლესიის ადგილას ახლის შენება დაუწყიათ 1872 წელს. მშენებლობა 12 წელს გაგრძელდა და 1884 წელს დამთავრებულა [И. К. Энаколапашвили, Дидубийский пантеон, 1957, 4]. რა წყაროს ეყრდნობა ეს ცნობა, არ ვიცით. შესაძლოა იგი აღებული იყოს ამჟამად უკვე დაკარგული რომელიმე ეპიტაფიიდან.

საფლავების წარწერებისა და 1781 წლის აღწერის მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება სოფ. დიდუბეში მოსახლე გვარების დადგენა. ეს გვარებია: შუაქრიშვილი, პაპასშვილი, ბერელაშვილი, ღოჩანაშვილი, თეთრძე, საგანელი, იორდანიშვილი, ვარდიგულაშვილი (თ. ბერიძე, გვ. 136). ცნობილია დიდუბის სხვა მიწათმფლობელთა ვინაობაც, ესენია: გერმანელი კოლონისტები: გუსტავ გაუსი, გაუტბრახი; თბილისელი მოქალაქეები: ენიკოლოპოვი, ზავრიევი, ბაიბაკოვი, ჩარაფაშვილი; თავადები: ლორის მელიქოვი, ამატუნი; აზნაური ლორთქიფანიძე (იქვე, გვ. 136).

საინტერესო მიკროტოპონიმიკური მასალაა შემორჩენილი XIX ს-ში შედგენილ რუკებსა და გეგმებზე. ზოგიერთი სახელი თუ დღემდე ცოცხალია (ხევ-ძმარი, ღრმა-ღლე, ყენისი ანუ ყენის გორა, ლოტიკის ანუ ლოტიკინის გორა, ლოტიკის თავის გორა), უმეტესი მათგანი უკვე მივიწყებულია (თელისწყარო, სამგლეები, მეკერაანთ ხევი, უმზერას თავი, შავტუხის წყარო, მელის გორა, გახიდულის გორა, სათათრო გზა, ბახუნდარის ხევი, ბახუნდარის გორა, ძეძენარიანი ღელის თავის გორა, კვირიკობის გორა, მწარე ღელის გორა, მწარე ღლე და სხვ. იხ. იქვე, 137). XIX ს-ის მიწურულში გაჩნდა ახალი მიკროტოპონიმი — ნაძალადევი (რუს. "Нахаловка"). მისი წარმოშობა უკავშირდება 1872 წელს თბილის-ფოთის რკინიგზის გაყვანას. რკინიგზამ დიდუბის ტერიტორია ორად გაყო. რკინიგზის მუშებმა უნებართვოდ, ძალით დაიკავეს რკინიგზის გადაღმა მდებარე დიდუბის მიწები. ამიტომაც შეერქვა ამ ადგილს ნაძალადევი. რკინიგზის დასავლეთ ნაწილს შერჩა ძველი სახელი — დიდუბე.

1938 წელს დიდუბის სასაფლაო გაუქმდა, ხოლო მომდევნო წელს შემოფარგლულ იქნა სასაფლაოს ტერიტორიის მცირე ნაწილი და იგი პანთეონად გამოცხადდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ზრდის შედეგად დაისვა საკითხი დიდუბის თბილისთან შეერთების შესახებ. ამიერიდან არსებობას წვეტს სოფელი დიდუბე, და იგი თბილისის ერთ-ერთ უბნად გადაიქცევა.

როგორც ზემოთ ვთქვით, დიდუბის ძველი ეკლესიის შესახებ ცნობები არ შემონახულა. ვიცით მხოლოდ ის, რომ XIX ს-მდე მას ნანგრევების სახით მოუღწევია. დეკანოზმა ბესარიონ ზედგენიძემ ითავა მისი ხელახლა აღშენება.

გადმოცემით ვიცით, რომ დეკანოზ ბესარიონს ბევრი დაბრკოლება შეხვედრია. ტაძრის მშენებლობისათვის სახსრების შეგროვება და ეგზარქოსისაგან ნებართვის გამოთხოვა შედარებით იოლი იყო. ქართველ მღვდელმსახურს უფრო მძიმე ბრძოლა ელოდა ტაძრის პროექტის დამტკიცებისას.

რუსეთის იმპერიის ინტერესების შესაბამისად, ახლად აშენებული ტაძარი რუსული სუროთმოდგერების ტიპური ნიმუში უნდა ყოფილიყო. დეკანოზ ბესარიონს შესთავაზეს ნუთუმბათიანი ტაძრის პროექტი (იგი ამჟამად ინახება დიდუბის ეკლესიის არქივში), რის უარყოფასაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა. საეგზარქოსო ნებას არ იძლეოდა დიდუბის ტაძარი ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის პრინციპების შესაბამისად აგებულიყო. დეკანოზმა ბესარიონმა, როგორც იქნა, თავისი გაიტანა და ზედმეტი გუმბათები პროექტიდან ამოაღებინა, ცალკეული ქართული დეტალებიც შეიტანა მასში, მაგრამ მთლიანად ქართულ ყაიდაზე აგება მაინც არ მოხერხდა.

გადმოცემით, დიდუბის ტაძარს დიდძალი საგანძური ჰქონია. მის უმეტეს ნაწილს სარდაფში ინახავდნენ. ეკლესიის დასავლეთ კუთხეში იყო მრგვალი სარკველი, რომელიც სარდაფში ჩამაველ კიბეს ფარავდა. საგანძურის ამბავს ეკლესიის მსახურნი საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც გამოჟღავნებულა. 70-იან წლებამდე პანთეონის დარაჯად მუშაობდა ვინმე ვალოდა მანაგაძე, რომელსაც საკუთარი თვალთ უნახავს საგანძურის გაძარცვა. თურმე ვალოდიას მამა 30-იან წლებში ტაძრის დარაჯი ყოფილა. 1932 წელს ჩეკისტები მისულან დიდუბის ტაძარში და დარაჯისათვის საგანძურის სარკველის ახდა მოუთხოვეთ. მამის ბრძანებით თვითონ ვალოდიას აუხდია სარკველი და ჩეკისტები სარდაფში ჩაუშვია. ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, ხატებითა და თვალ-მარგალიტით „ლინიეიკა“ გაავსეს და წავიდნენო, ჰყვებოდა ვალოდა.

ოქროს პერანგითა და თვალ-მარგალიტით ყოფილა მოჭვდილი დიდუბის სასწაულთმოქმედი ხატიც; ოქროს პერანგი ირგვლივ მზის სხივებით ეფინებოდა. ამ ხატის ძვირფასეულობაც უგზო-უკვლოდაა დაკარგული.

რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ (1945-1970), რომელიც დიდ პატივს სცემდა დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძარს და მის სასწაულთმოქმედ ხატს, 1950 წელს დაამზადებინა ძველი პერანგის ასლი და შესწირა. ამასთან დაკავშირებით, დეკანოზმა გიორგი ღონდაძემ (შემდგომში მიტროპოლიტმა) შეასრულა პარაკლისი, რომლის დროსაც პატრიარქი ალექსი სასწაულთმოქმედი ხატის წინ მუხლმოყრილი ლოცულობდა.

სასწაულმოქმედი ხატისადმი დიდი სასოება ჰქონდათ ჩვენს იერარქებსა და სამღვდელეობასაც.

სხვადასხვა დროს დიდუბის ტაძარში მსახურობდნენ კათალიკოს-პატრიარქები: ქრისტეფორე (1927-1932), კალისტრატე (1932-1952) და მელქისედეკი (1952-1960), მიტროპოლიტი გიორგი ღონღაძე (1894-1982); მღვდელმსახურნი: იროდიონ გურგენიძე (1854-1944), არქიმანდრიტი ნიკოლოზი, ერისკაცობაში – იოსებ სიმონიშვილი (1841-1896), ვასილი ხახიშვილი, გრიგოლი ტატიშვილი და სხვ.

ღმრთისმსახურება უკანასკნელ წლებამდე შერეული (რუსულ-ქართული) იყო. სამღვდელეობა ძირითადად ქართულად ლოცულობდა, გუნდი კი უმეტესწილად რუსულ საგალობლებს ასრულებდა (ჩვენი საუკუნის დასაწყისის დოკუმენტური მასალა დიდუბის ტაძრის ღმრთისმსახურების შესახებ დაცულია კალისტრატე ცინცაძის არქივში, №11, ხელნ. ინსტიტუტში).

1980 წლიდან უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დიდუბის ტაძარში ჩამოყალიბდა ქართული გუნდი და ღმრთისმსახურება მთლიანად გაქართულდა.

* * *

1974 წლამდე დიდუბის ტაძარი მონასტრული არ ყოფილა. პირველი მონასტრული მოწყობა მხატვრებმა შეასრულეს (თუმცა არა უანგაროდ) და მათი ნამუშევარი მეტად მდარე გამოვიდა. ამიტომ 1976 წელს ტაძრის აღმასრულებელმა ორგანომ დააყენა საკითხი ხელახალი მონასტრისა. საკონსულტაციო კომისიის შექმნა, მხატვრის შერჩევა და ტაძრის მონასტრულ საერთო ზედამხედველობა დაეკალა ხელოვნების მუზეუმის დირექტორს თამაზ სანიკიძეს.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ცნობილი მეცნიერები: თ. სანიკიძე (თავმჯდომარე), გ. აბრამიშვილი, თ. ვირსალაძე და ზ. ალექსიძე. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დიდუბის ტაძრის მოსახატავად მოეწვიათ საქართველოს დამსახურებული მხატვარი ბანძელაძე, რომელსაც მონასტრის დაწყებამდე უნდა მოემზადებინა ესკიზები და განსახილველად წარმოედგინა კომისიისათვის.

1976 წლიდან დაიწყო დიდუბის ღმრთისმშობლის ეკლესიის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის დამუშავებაც. ამ პროექტით გაეთვალისწინებული იყო ტაძრის მთავარი შესასვლელის კარიბჭის აგება, გათბობის სისტემის გაყვანა, ტაძრის ფასადების ქვედა ნაწილისა და გალავნის მოპირკეთება ეკლარის ქვით, ეზოში ბაზალტის ფილების დაგება და სხვ; ეს სამუშაოები დამთავრდა 1978 წელს.

ტაძრის მონასტრულობის ესკიზების შექმნა ალ. ბანძელაძემ 1978 წელს დაამთავრა. ამ წლის 22 მარტს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დიდ საბჭოზე მოეწყო

ესკიზების განხილვა. როგორც გავ. „სამშობლო“ იუწყებოდა (1978, №11), სხდომას, საბჭოს წევრების გარდა, ესწრებოდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი ეპისკოპოსი გიორგი ღონღაძე.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ესკიზები საეკლესიო თვალსაზრისით სრულიად მისაღებია. კათალიკოსმა მოიწონა სიუჟეტების თანამედროვე მხატვრული ინტერპრეტაცია, მათი კავშირი ძველი ქართული ფრესკული ხელოვნების ტრადიციებთან და აღნიშნა მხატვრის ინდივიდუალური ხელწერა.

ესკიზების განხილვაში მონაწილეობდნენ: ლადო გუდიაშვილი, თინათინ ვირსალაძე, ნოდარ ჯანბერიძე, ირაკლი ციციშვილი, პარმენ ზაქარია, ლევან რჩეულიშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ოთარ ევაძე, თამაზ ჭილაძე და სხვ. მათ მაღალი შეფასება მისცეს მხატვრის ნამუშევარს, და გამოთქვეს აზრი, რომ შესრულებული ესკიზები რეკომენდებულ უნდა იქნას თბილისის დიდუბის ეკლესიის მოსახატავად.

ტაძარში აღიმართა ხარაჩოები. მხატვარი უდიდესი პასუხისმგებლობით შეუდგა მუშაობას. მის წინაშე იდგა ურთულესი ამოცანა – ქართული ფრესკული ხელოვნების მივიწყებული ტრადიციების აღდგენა. ალ. ბანძელაძემ იგრძნო, რომ ბიბლიური სიუჟეტებისა და იკონოგრაფიული სქემების ცოდნის გარდა მხატვარს სულიერი მზადყოფნაც სჭირდებოდა. ამისათვის იგი სისტემატურად ესწრებოდა წირვა-ლოცვას, შეისწავლა საეკლესიო გალობა, ეზიარა ქრისტიანულ სიწმიდეს, საღმრთო საიდუმლოს. მუშაობის დაწყებამდე მან რამდენიმე კვირა გაატარა ბეთანიის მონასტერში, ლოცვითა და მარხვით.

ამიტომაცაა სულიერებით გამორჩეული ალ. ბანძელაძის ფრესკები და ხატები (ფრესკების გარდა მან საგანგებოდ დიდუბის ტაძრისათვის შექმნა ათორმეტი დღესასწაულისა და დიდ წმიდათა ხატები).

დიდუბის ტაძრის მონასტრულობის დომინანტს წარმოადგენს ოთხი სახარებისეული სიუჟეტი, რომელთაც გუმბათქვეშა ფართო ზოლი უკავიათ. ესენია: ქრისტეს ენება, ეკლის გვირგვინის დადგმა, ჯვრის წალევა გოლგოთისაკენ და გარდამოსნა. ამათ შორის განლაგებულია ფრესკები ოთხი მახარებლისა.

გუმბათში გამოსახულია მკურთხეველი ქრისტე, რომელსაც მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირია (ამ ფრესკის შავ-თეთრი ფოტორეპროდუქცია დაიბეჭდა 1985 წლის საეკლესიო კალენდარში).

საკურთხეველის აფსიდში ცენტრალურ ადგილას ღმრთისმშობლის ფრესკაა. უფრო წინ, თაღში – „ძველი დღითაჲ“. ქვემო რეგისტრში გამოსახული არიან წმ. მოციქულები, აგრეთვე ქრისტეს შობისა და ხარების სცენები, საკურთხეველის წინა მხარეს კი – წმ. სამება.

ტაძრის კედლები, როგორც ვიცით, მეტად დანაწევრებულია და დიდ სიბრტყეებს იშვიათად ქმნის. ოთხი ასეთი სიბრტყეა აფრების ადგილას. აქ გამოსახულია ქრისტეს გამოცდა ეშმაკისაგან, იუდას ამბორი, ქრისტეს ჯვარცმა და აღდგომა.

ტაძრის კუთხეებში. წრიულგეგმიანი ნიშების მოხატულება მთელ ციკლებს ქმნის. NO ნიში ღმრთისმშობლის ცხოვრებას ასახავს (ღმრთისმშობლის შობა, ტაძრად მიყვანება, ხარება, მიძინება და სხვ.), SO – წმ. ნინოს, NW – წმ. ნიკოლოზის, SW – წმ. გიორგის ცხოვრებას.

ყურადღებას იქცევს წმ. მოწამეების, მღვდელთმთავრებისა და ღირსი მამების გამოსახულებანი. ჩრდ. კედელზე თამარ მეფის ფრესკა შესრულა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ (1982 წ.). ამავე კედლის ნიში მთლიანად თამარ მეფეს მიეძღვნა. მისი ცენტრალური კომპოზიციია თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწილის სცენა.

ფრესკებს ამშვენებს ასომთავრული წარწერები; მითითებულია წმიდათა ვინაობა, მოყვანილია ციტატები საღმრთო წერილიდან და სხვ.

აღ. ბანძელაძემ დიდუბის მოხატვას ათ წელზე მეტი მოანდომა. 1989 წლისათვის იგი ძირითადად დამთავრებული იყო.

* * *

დიდუბის პანთეონში დგას თლილი ქვით მოპირკეთებული მცირე გუმბათოვანი ნაგებობა – ეგუტერი. იგი 1900 წ. აუშენებია ვინმე ვაჭარ ტაიროვს, თავისი ქალიშვილის, 17 წლის გოგონას საფლავზე (დაკრძალულია ეგუტერის სარდაფში). ტაიროვს სურდა ეგუტერი მოქმედ სამლოცველოდ გადაექცია, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა; ერთხანს მას სანათლაგად იყენებდნენ, ამჟამად კი (60-იანი წლებიდან) პანთეონის ღირექციის განკარგულებაშია და მცველისა და დამლაგებლის სადგომადაა გადაქცეული. მსგავსი ნაგებობა ი. შუშანიას საფლავის ადგილზეც მდგარა, მაგრამ იგი სასაფლაოს პანთეონად გადაკეთების შემდეგ აუღიათ.

ღმრთისმსახურთა თხოვნის მიხედვით 1980 წ. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო დათანხმდა ეკლესიისათვის ეგუტერის გადაცემაზე. მაგრამ თბილისის საქალაქო კულტურის სამმართველომ (უფროსი – რ. დონაძე) ასეთი გადაწყვეტილება „არამართებულად“ მიიჩნია. როდემდე დარჩებიან ისინი ამ თვალსაზრისზე, ჯერჯერობით არ ვიცით.

* * *

საქართველოს ეკლესიის აღორძინება დიდუბის ტაძარში მრავალმხრივ აისახა. მხედველობაში გვაქვს არა მარტო ტაძრის მოხატვა და სარემონტო სამუშაოები, არამედ სარწმუნოებრივი ცხოვრების გამოცოცხლებაც. დიდუბის ტაძარში ყოველთვის ხალხმრავალი იყო, მაგრამ ძველად წირვა-ლოცვა მხოლოდ შაბათ-კვირასა და დღესასწაულების დღეებში სრულდებოდა. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ამჟამად დიდუბეში ყოველდღიური წირვა-ლოცვაა; მგალობელთა დიდ გუნდს (ხელმძღვანელი – თაისი ტორონჯაძე) მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს; აქ სრულდება როგორც ხალხური საგალობლები, ისე თანამედროვე კომპოზიტორთა ქმნილებებიც. ბოლო ხანებში გაჩნდა ტენდენცია ხალხური საგალობლების ხვედრითი წილის ზრდისა. ტაძარში მგალობელთა მცირე გუნდიცაა. იგი ძირითადად სადავ დღეებში გალობს.

უკანასკნელ ხანებში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით დაისვა საკითხი დიდუბის ტაძრის საფუძვლიანი რეკონსტრუქციისა და გაფართოებისა. ტაძარს მიეცემა ქართული იერ-სახე, შეიმოსება თლილი ქვის პერანგით და ა. შ. რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობას შეუდგა არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი.

– უსათუოდ უნდა გაფართოვდეს ეკლესიის ეზო, – ამბობს დიდუბის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გრიგოლ ობოლაძე.

მართლაც, დიდ დღესასწაულებზე ტაძრის ეზო მლოცველს ვერ იტევს. ორი ათეული წლის წინათ მისი ფართობი 3213 კვ. მეტრი იყო, აკ. წერეთლის პროსპექტის რეკონსტრუქციისა და ტაძრის ეზოს ყოველმხრივი შევიწროების შედეგად კი ამჟამად 971 კვ მეტრია დარჩენილი (ჩამოეჭრა 2242 კვ. მეტრი). ვუფიქრობთ, ტაძრის რეკონსტრუქციასთან და სანათლავის მოწყობასთან ერთად ეს საკითხიც დროულად მოგვარდება. ბრწყინვალე ისტორიის მქონე ტაძარს, ყოველდღმინდა ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის საბრძანებელსა და სიწმიდის მოყვარე ერის საყვარელ სალოცავს – დიდუბის ტაძარს – ღირსეული შემეცობა და დაფასება შეჰფერის.

პაატა ქურდოვანიძე

სანთელი დაუსრუტელი

თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვარი, სქემილუმენია ელეონორა (დადიანი) 1932 წ.



ელეონორა და გრიგოლ დადიანები

სამეგრელოში, სენაკს ზემოთ, უნაგირას მთის დასაწყისში, ძველთუძველეს კოლხურ სანახებს დღესაც გადაჭურებს თეკლათის ანუ სახარბედიოს დედათა მონასტრის მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელზე ნაკურთხი ბაზილიკა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაარსებულ ამ საკანეს ახსოვს გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე), გრიგოლ ჭყონდიდელის (დადიანი); ლეონიდე კათოლიკოსის (ოქროპირიძე), ალექსი ბერის (შუშანია) და სხვა ქართველ სასულიერო მოღვაწეთა ქადაგება, ლოცვა-ვედრება. რწმენის, სიყვარულის და იმედის ამ საკანეში გურია-სამეგრელოსა და ქვემო იმერეთის სოფლებიდან თუ ქალაქიდან მოიღვწოდნენ და იღვწოდნენ დედები. მათმა საარაკო გარჯამ და მზრუნველობამ იქაურობა სამოთხეს დაამგვანა.

მონასტრის უმკაცრესი ტიპიკონის დაცვას სასოებით უფროთხილდებოდნენ რჩეულთ რჩეული წინამძღვრები - სულკურთხეული სქემილუმენიები: სალომე დავდგირიძე, ათანასია სალაყაია, ეკატერინე აფაქიძე, ნინო ვაჩნაძე, ელეონორა დადიანი, ფოტი სანიკიძე, თებრონე ჯინორია, ქეთევან და ელენე ახელედიანები, მარიამ ჭიჭინაძე.

იქვე ქალთა სამონასტრო სკოლაც იყო გახსნილი, სადაც უნერგავდნენ ქრისტეს მოძღვრებისადმი სასოებასა და სიყვარულს, ქართველი ერის მომავალზე ფიქრის საჭიროებას, კაცთმოყვარეობისაკენ ღვთისაუცილებლობას, ასწავლიდნენ ძველ ქართულ ხელსაქმეს. აღსანიშნავია ისიც, რომ წლების განმავლობაში მონასტერი თავისი ხარჯით გამოსცემდა საეკლესიო წიგნებს და უსასყიდლოდ ურიგებდა ხალხს. დედათა ამ კრებულის წევრთაგან მრავალს ჰქონდა გადატანილი სულიერი ტრავმა, ისინი დაკარგული რწმენისა და განქარული იმედის ხელახალი პოვნის სურვილმა მოიყვანა აქ, მაგრამ სქემილუმენია ელეონორა დადიანის მიერ განცდილი ცხოვრებისეული ტრაგედია გამორჩეულია მათ შორის. დღეს მის სახელს მოგვაგონებს ტამარში დასვენებული წმიდა დიდმოწამე ბარბარეს ხატზე არსებული წარწერა და მცირე არქივი.

სქემილუმენია ელენორა - ერობაში ციცუ (ნათლობის სახელით - ოლა მიხეილის ასული დადიანი, ეკუთვნოდა ნოქალაქევიში დამკვიდრებულ დადიანთა იმ შტოს, რომელიც სათავეს იღებს მანუჩარ, ბეჟან დადიანის ძის შთამომავლობისაგან. XIX საუკუნის დასასრულისათვის ამ ოჯახს ბატონიშვილობა უკვე არ ჰქონდა პატივად და ღარიბ თავადთა წრეს განეკუთვნებოდა. ობლობაში, ხელმოკლედ იზრდებოდნენ ოლა და მისი და-ძმანი: გუჯი, მიხეილ, ნინო და პაშა.

ციცუმ თავის აღმზრდელი ბიძის, ელიზბარ დადიანის მამულში გაიცნო სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის უმცროსი ძმის, კონსტანტინეს ვაჟი (გრიშა), რომელიც თურმე თავისი ამალითურთ იმყოფებოდა ზემო სამეგრელოში და პატივისცემის ნიშნად ამ ოჯახს სწვევია სტუმრად. ახალგაზრდებს შეუყვარდათ ერთმანეთი. მიუხედავად სამთავრო სახლის წინააღმდეგობისა, ბატონიშვილმა თავისი სურვილი რეალობად აქცია. უფროსი ვაჟის ხალას გატაცებას წინ ვერ აღუდგა მათა - გრიგოლის დედა, მაგრამ შვილის დასჯის მიზნით, უბრძანა ცალკე დასახლებულიყვნენ. გრიგოლმა დაჰკარგა მემკვიდრეობის უფლება. ახალგაზრდებს მფარველად გამოუჩნდა გრიგოლ გამზრდელი, ხორშელი თავადი გიორგი ჩიჩუა, რომელმაც თავისი მამული დაუმტკიცა მათ.

გრიგოლ დადიანი უადრესად დიდი პატრიოტი იყო. მოქალაქეობრივი მრწამსით, კულტურულ-პოლიტიკური შეხედულებებით, ცხოვრების სტილით, განათლებით ის ეკუთვნოდა იმ წრეს, რომლის ტიპური წარმომადგენლები იყვნენ მისი უახლოესი ნათესავები და მეგობრები: გიორგი და გრიგოლ შერვაშიძეები, მამია და ტელემაკ გურიელები, თათარხან დადუშქელიანი, კოწია ერისთავი, კონსტანტინე და ნიკო (ბური) ბაგრატიონ-მუხრანელები.

ნიკო მენგრელსკისთან ერთად მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია სასულიერო მთავრობის რუსიფიკატორულ განზრახვას - სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის მაგიერ მეგრულის შემოღებას. ის არ მიელტვოდა უმაღლეს ოფიციალურ წრებთან ურთიერთობას, ამრეზით უყურებდა ყოველივე იმ სიკეთეს, რომელიც რუსეთის ტანტის სამსახურიდან მომდინარეობდა. გრიგოლი მაღალი ზნეობისა და სხვადასხვა ღირსებათა გამო ხალხში დიდ სიყვარულსა და ნდობას იმსახურებდა.

ხორშის სასახლე ერთგვარ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა იმდროინდელ სამეგრელოში. სამშობლოს ისტორიის ცოდნა, წიგნის სიყვარული, ქცევისა და ზრდილობის ტრადიციების დაცვა სავალდებულოდ ითვლებოდა. აუცილებლობას წარმოადგენდა აგრეთვე, ვაჟებისათვის ცხენოსნობისა და იარაღის ხმარების სრულყოფილი ცოდნა, ხოლო ქალებისათვის - ხელსაქმე. მრავალშვილიანი და შედარებით ხელმოკლე ოჯახის ეკონომიკას ისიც ართულებდა, რომ გრიგოლს პატივად ჰქონდა ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლობა და ვინაიდან „მენგრელსკები“ ხშირად პეტერბურგში იყვნენ, იგი და მისი ჯალაბობა საზოგადოების თვალში სამთავრო ტრადიციების გამგრძელებლად იყვნენ აღიარებულნი. თუმცა, აღარც სამთავრო იყო და პატრიარქალური ცხოვრებაც ნგრევის კარზე იყო მისული.

ოლა დადიანი ყველას მფარველ-შემწვალბელი და დამცველი იყო, მისი ღვთისმოსაობა, ბრძნული რჩევა და დარიგება უსასოო ადამიანს შვებას ჰკვირდა, ხოლო ბედისაგან გალალბულს, განსაცდელისა და საფრთხისაგან იხსნიდა ხოლმე.

ხორშში დასახლების დღიდან სულიერ მამად მან აირჩია ცნობილი სასულიერო მოღვაწე, მღვდელი ხარიტონ მიძევა, რომელიც, იმავე დროს „დონორში“ კარის მოძღვარიც იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ღვთისაგან ნათელმხილველობის მაღლით დაჯილდოვებულ ალექსი ბერს (მუშანია) მიანდო თავი. შემორჩენილია ორი წერილი, რომელშიც ალექსი აღნიშნავს: „... სასიხარულოა ჩემდა ესრეთი თქვენს ღვთისმოყვარება, რომ ბაძავთ ძველთა საღვთო და ნეტართა ქველის მოქმედთა პირებთა, რომელთა ორთავ სოფელსა მიიღეს დიდი სახელი, ღმერთსა ვსთხოვ, გინილო მათთანა საუკუნოსა დიდებას... მარადის თქვენთვის მლოცველი მღვდელ-მონაზონი ალექსი 1895 წ. 21 აპ.“

მათი სულიერი სიხლოვე შემდგომ წლებში კიდევ განმტკიცდა. 1899 წ. 20 დეკემბერს გამოგზავნილ ბარათში კვითხულობთ: „ქტეს მიერ სულიერო შვილო კენინა ოლა“ და ხელს აწერს: „თქნი სულიერი მამა ალექსი“.

მაღალი, ცისფერთვალეა, მწუხარე მზერით, სათნოებისა და სიკეთის განსახიერება. ადრე გაჭადრაკებული, ჩუმი და აუღვევებელი, მტკიცე და ჭირთამთმენი, ბოლომდე წელგამართული - აი, ასეთი ახსოვთ ციცუ ბებია უკვე ჭარმაგ შვილიშვილებს.

... 1905 წლის ქარიშხალს აღიხანოვ-ავარსკის თარეში მოჰყვა სამეგრელოში. გრიშამ და ციცუმ მაშინ ბევრი გაჭირვებაში მყოფი პირი შეიფარეს „ღობორეში“ და თავიანთი ავტორიტეტით არა ერთი ოჯახი ისხნეს აოხრებისაგან.

1913 წლის აღდგომის წინა დღეს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა გრიგოლ ბატონიშვილი, დიდი გლოვისა და წუხილის შემდგომ ციცუმ დატოვა ოჯახი და შეუდგა სამონაზვნო მოღვაწეობას თეკლათის დედათა მონასტერში სქემონაზვნად.

სულ მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, ვაჟები სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. შემდგომ რუსეთის ორი რევოლუცია და სამოქალაქო ომის სისხლიანი ბატალიები... ჟამთა დაუდგრომელ ბრუნვას ქართული სახელმწიფოს აღდგენა, მის შედგეად ივერიის უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის ამობრწყინება და მკვდრეთით აღდგომა მოჰყვა.

ქართველ კაცს აღუღებებს და უდიდესი სიყვარულით აღაფრთოვანებს რწმენა ნანატრი თავისუფლების მოპოვების მარადიულობისა. ერისა და ეკლესიის სასიკეთოდ მავალ გზაზე შემდგარია ქართველ სასულიერო მოღვაწეთა მთელი კოპორტა. სწორუპოვარი მოძღვრების - კირიონის, ლეონიდეს, კალისტრატეს, ამბროსისა და სხვათა ენერგიული მცდელობის მეოხებით, გაჩაღდა და გაცისკროვდა ქართული ეკლესიის მოღვაწეობა. თითქოსდა საუკუნოვანი ძალისაგან გამოიღვიძა ერმა. სხვა იერი მიეცა უძველეს ქართულ ტაძრებში აღსრულებულ წირვა-ლოცვებს.

1918 წლის გაზაფხულზე თეკლათის მონასტრის წინამძღვარი, ნინო გაჩნაძე სამოღვაწეოდ ბოდბის სავანეში გადავიდა.

დედათა საკრებულომ სთხოვა სქემონაზონ ელეონორას წინამძღოლობა. ეს არჩევანი მოიწონა ჭყონდიდელის მიტროპოლიტმა ამბროსიმ (ხელაია) და ლოცვა-კურთხევა გამოუგზავნა რჩეულს. ელეონორამ უდიდესი მღვლევარებით იტვირთა წინამძღვრის სიმძიმე და 1918 წლის 13 ივლისს პასუხად მისწერა:

„თქვენო მაღალმეუფეობაჲ ჭყონდიდელ მიტროპოლიტო ამბროსო:

მაკურთხეველ მარჯვენას ვუამბობრებით ერთობ ჩემი ოჯახის წევრნი, რათა თქნი წა ლოცვა-კურთხევა ეძლოდეს ჩვენს ცხოვრებას, წარსამართებლად ორთავ სოფლის საკეთილდღეოდ. მივიღეთ თქნი მაღალმეუფების მიერ წერილი ჩვენს მაკურთხეველად, რომელიც

მორწმუნე ოჯახისათვის შეადგენს დიდს მნიშვნელოვან სიხარულს. ამასთანავე, ვისმინეთ შესახებ დედათა მონასტრის კრებულის მიერ აღრჩევა მათი უფროს დედად, რომელიც შეადგენს თქნი მაღალ მეუფების სურვილსაც. დამერწმუნებით, რომ ამ წამში დიდს ღელვას განიცდის ჩემი გული წინამდებარე საქმის გამო, თუ რა მძიმე პირობები დგება ჩემს წინაშე. ჯერ ერთი, ვშიშობ, ვაი, თუ ვერ გავამართლო დავალებულობა და სირცხვილეულ კიქმე თქვენი მეუფეობისა და მთელი საზოგადოების წინაშე და მეორედ, ჩემი ოჯახის მდგომარეობა... მაგრამ მინდობილი ღვთისა და თქვენი მეუფების მორჩილებას, ვიღებ გამბედაობას; იყავნ ნება ღვთისა და თქვენი მეუფებისა. მხოლოდ გთხოვთ, ვითარცა საღვთო მამას, დანმარება და შემწეობითი ხელის აპყრობა არ მომაკლოთ ამ დიდი ვალდებულების წინაშე და შემადლებინოთ უსირცხვილოდ.

თქვენი მაღალმეუფეობის ღრმად მსასოებელი ჭკრივი ოლლა დადიანისა“.

ამ დროს ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისი შუათანა შვილი, მოსკოვის კადეტთა კორპუსის სტუდენტი ალექსანდრე (ჯახუ) შეიწირა გასაბჭოების პერიპეტებმა. ეს პირველი ავისმომასწავებელი ამბავი გვიან მოუტანეს უკვე იღუმენიად ნაკურთხს. დადგა 1921 წელი. სიზმარებით გაქრა საქართველოს დამოუკიდებლობა.

უგუნურმა და უმეცარმა ქვეყნის ახლად მოკლენილმა „მხსნელებმა“ მიზნად დაისახეს თავისუფლებისმოყვარე ქართული ეროვნული სულისა და მისი არსობის ხერხემლის - ქრისტიანული რწმენის აღმოფხვრა.

არსებული სიტუაციის გამო იძულებით ემიგრაციებში გაემგზავრნენ ოლლა დადიანის მარჯალი უჩა, უმრწემესი ვაჟი დავითი, ქალიშვილები - ნინო და მარიამი. დადგა მთელი ოჯახის ემიგრირების საკითხი. საქართველოში რჩებოდნენ საუკუნეს მიღწეული ბებია მათა, რომელმაც სასტიკი უარი განაცხადა სამშობლოს დატოვებაზე და მონაზონი ელეონორა. მაგრამ ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა ბათუმიდან. უმძიმესი შეიქმნა ოჯახისათვის ამ ნაბიჯის გადადგმა. ერისა და მამულის წინაშე პირმართლებმა უცხოეთში გადახვეწას დაბრუნება არჩიეს. შემდგომ, ავადმოსაგონარს 1924 წელ ხორშში, აგვისტოს თვეში, მოულოდნელად დააპატიმრეს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ჩვეული სისასტიკით ადგილზევე დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო ოთხი შვილის მამა და ოჯახის უფროსი

კოკი დადიანი. მასთან ერთად ასევე განუკითხაობის მსხვერპლნი გახდნენ იქვე მცხოვრები მეზობლები, ბიძაშვილები...

გაუგონარი სისასტიკით შეძრწუნებულ ხალხს იმის ნებაც არ დართეს, ქრისტიანული წესით მაინც გაეპატიოსნებინათ ნატანჯნი... ავაზაკთა სწორთა დარად იქვე, ადგილზევე დაუფლავთ და მიუყრიათ ორიოდ მუჭა მიწა.

გვიან ღამით, მალულად და დიდი შიშით, კოკის სიყრმის მეგობრებს ბეგო ქაშიბაძეს და მიხა გოგიას მოუპარავთ ცხედარი, თავისივე ხელით განუბანაით და მამისეულ წმინდა გიორგის ეკლესიაში დაუკრძალავეთ.

ამ ამბის მოწმენი იგონებენ, რომ მიუხედავად თავსდატეხილი მწუნარებისა, იმის შიშით, რომ ცხედარი მეორეჯერ არ შეურაცხეყოთ, გამწარებული მეუღლე და დები მოთქმითაც ვერ ტიროდნენო.

გამთენიისას მიუყვანიათ შინ გაოგნებული დედა, აცრემლებული პირჯერის წერით ჩურჩულებდა თურმე, – ღვთის ნებააო, ყოველივე. შინო, ვთქვით, თორემ დიდი ხანია უკვე აღარ იყო გრიგოლისეული სახლი, არც წმინდა გიორგის ეკლესია წარმოადგენდა საყდარს, კედლების ნანგრევებიდა მიანიშნებდა მხოლოდ მის ადგილმდებარეობას. ყველაფერი ჩამორთმეული იყო, ანტირელიგიურმა კამპანიამ კი სოფელში არსებული სამი ტაძარი შეიწირა და ერს სამუდამოდ დაუკარგა მათი სახება.

ტრადიციულად გლოვობდნენ თურმე დაუტირებელ ოჯახის თავკაცს. იმ წელს ქრისტეშობა ისე შემოსულა, ნახევარ სოფელს, გლოვისა და პატივისცემის ნიშნად ღორი არ დაუკლავს. ასეც მომხდარა: კოკი ბატონიშვილის უაღრესად მოსიყვარულე კუკუ ქაჯაიას შენდობა უთხოვია თურმე ოლღასათვის, ლოცვა-კურთხევა მიბოძე, მის მკვლელებს გაეუსწორდებოო. მაგრამ მას დაურიგებია, დედაშვილობას, ნუ სცოდავ, უფალი ხედავს ყველაფერს, უბრალო მოკვდავთ რა უფლება გვაქვს მოვკითხოთ ცოფვით შეცოფებანიო.

უფროსი ძმის დახვერტის შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადარჩენილ შეფიცულებთან ერთად, საქართველო სამუდამოდ დატოვა საარაკო ვაჟკაცობისა და ქართული სიჩაუქის განსახიერებამ ოცი წლის ლევანმა (ჯონჯიძე).

პერიოდულად იჭერდნენ და ასახლებდნენ ამ დიდი ოჯახის წევრებს, - სიძეებს - კონსტანტინე შერვაშიძესა და გაგი ძიძავას. მათ ბედს იზიარებდნენ რძლები და ქალიშვილები. გამზრდევლებში დაფანტულნი და შეფარებულნი იყვნენ შვილიშვილები.

ასეთი საცოდაობა თუ ღვთის რისხვა ტრიალებდა მთელ სანათესაოში, ვინც 24 წლის სისხლიან კალოს გადაურჩა, შემდგომში 37 წლის მსხვერპლად იქცა.

სულჩაწვეტილი, მაგრამ მომავლის იმედით შემყურე მაღალი ზნეობის ქართველ პატრიოტთა რეპრესირება ცხოვრებისეულ ჩვეულებრიობად იქცა. დღესაც შეუძლებელია შეძრწუნების გარეშე აღიქვა ის სიტყვები, მოსკოვში უმაღლესი ხელისუფლების წინაშე რომ განაცხადა ს. ორჯონიკიძემ: „მართალია... მივმართეთ მასობრივ დახვერტებს, შეიძლება ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ახლა ამას აღარ ეშველებაო“.

როგორც ბატონი ლ. სანიკიძე ბრძანებს: „ქართული სიცოცხლის გაიაფება და ეროვნული სისხლის მხოლოდ სოციალურ ღირებულებამდე დაყვანა“ დამკვიდრდა ახალი ცხოვრების შენების გზაზე დამდგარ ივერიის ცისქვეშეთში.

იმდროინდელი კატაკლიზმები ქართველი ხალხის ეროვნულმა გენიამ ოთხ სტრიქონში ჩაატია და სულის შემადრწუნებელ სიმღერად აქცია:

„ოი, შური საყვარელი ოი, სულო საყვარელო,
 ღურა მუში მამარდარე სიკედილი რა მაღლიაო.
 რინაშ ნება ქონდასინი სიცოცხლის ნება რომ იყოს,
 ქიანა მუში მაფართარე“. ქვეყანა რამსიფართეაო.

(მეტად ფართეაო)

ზემთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ობლობაში დაიზარდნენ გრიგოლისა და ოლღას 15 შვილიშვილი. აწ უკვე ჭაღარამოსილნი, როცა იხსენებენ ბავშვობის დროს გადატანილ გაჭირვებასა და შიშინობას, გამორჩეულად გამოყოფენ იმას, რომ არასოდეს უნახავთ წონასწორობიდან გამოსული დიდი ბებია, მუდამ სათნოებისა და სიკეთის თესვის აუცილებლობა, ღვთის და მოყვასის სიყვარული შეადგენდაო მისი საუბრის თემას.

თითქოსდა უბედურება ფეხდაფეხ დაჰყვებოდა ამ სათუთ პიროვნებას. მის წინამძღვრობას დაემთხვა გასაბჭოებულ საქართველოში გაშლილი ანტირელიგიური კამპანია. ეკლესიებისა და მონასტრების ნგრევა, გაუქმება კანონზომიერებად იქცა. ვერ გადაურჩა აწიოკებას თეკლათის ღვდათა სავანეც. ააოხრეს და გაძარცვეს საყდარი, დაანგრეს სამრეკლო, დახურეს სამონასტრო

სკოლა და დაფანტეს მონაზვნები, ხოლო დარჩენილ, ხელისუფლების ურჩ დებს ჩამოართვეს საყდარში ლოცვის უფლებაც...

ღვთისმოსავი, არაჩვეულებრივად მიმტყველებელი სულის მქონე, ყველას გაჭირებისა და მწუხარების თანამოზიარე, შემბრალებელი და მოწყალე სქემილუმენია ელეონორა, დიდი მონდომებით ცდილობდა დედათა საგანის გადარჩენას. პირადი მაგალითის ძალით აღაფრთოვანებ და თავის სულიერ შვილებს. უფლისადმი დაუცხრომელი ლოცვითა და ფიზიკური შრომით - კრიტიკულ წლებში იხსნა მონასტერი საბოლოო განადგურებისაგან.

სიონის საკათედრო ტაძარში ლოცვა-კურთხევების მისაღებად არაერთხელ ხლებია იღუმენია ქართული ეკლესიის მოძღვართ-მოძღვრებსა და ერის სულიერ მამებს უწმინდესსა და უნეტარესს ამბროსისა და კალისტრატეს. უამბობდა მათ ქრისტესმიერი დების განვლილ ტანჯვა-წამებაზე, და ვგრეთ შეჭირვების უამს მათ მხარდაჭერაში ჰპოვებდა სენთა მისთა განკურნების წამალს და მონასტერში დაბრუნებული ღვთისმოსავი ძალისხმევით კვლავ განაგებდა განაწესს.

1928 წელს ემიგრაციიდან სამშობლოში მოულოდნელად დაბრუნდა დედა ელეონორას უმრწემესი ვაჟი ქუქურია (დავითი). ოქსფორდის უნივერსიტეტ დამთავრებული ელექტროინჟინერი იმედით შეჰყურებდა მომავალს, მაგრამ საქართველოში მისთვის სამუშაო არ გამოიხატა, ხელისუფლებას არ სჭირდება თავადიშვილი. მერე რა, რომ იმდროისათვის ძალზე იშვიათი პროფესია ჰქონდა. დაბრკობებითა ძღვევის გზა გადაულახავი შეიქმნა მისთვის. გულდაწყვეტილი და შეცბუნებული განემორა იგი სამოქალაქო ცხოვრების სინამდვილეს, ბერად აღიკვეცა და ორი წლის შემდეგ უკურნებელი სენით დაავადებულმა დედის ხელში დალია სული. აფორიაქებულმა ცხოვრებამ იმსხვერპლა 26 წლის ქეთევანიც (მიცი). ორივე შვილი გვერდიგვერდ დაკრძალა გაუხარებლმა დედამ.

ნუგეშისმცემელი არ აკლდა, მაგრამ რა ნუგეში შეიძლება არსებობდეს გულმოწყალეთათვის! მცირეოდენად მაინც შევლიდა სამიმირის ასეთი ბარათები: „აუტანელ მწუხარებისაგან გულმოწყალეო მაღალ ღირსო დედაო იღუმენია, მღუღარე ცრემლით მოგისამიმირებთ თქვენი ძვირფასი შვილის დავითის ამიერ სოფლიდან მიფარებას. მართალია, დედაო, მოგგვით ერთი ნაწლავი და გეწვის უმკურნალოდ, მაგრამ აი სახუგეშო: დავითმან მისი გმირობით აუტანელ

განსაცდელს გაუძლო და ზეციური დიდება ირგო, და ანგელოზათ გაფრინდა და მოისვენა ნეტარეულმან. არა არს საგლოვი, თქვენ უზენაესმან მსაჯულმან განუგეშოთ და ჩვენი სულიერი მეგობრის დავითის სახსენებელი ქრისტეს წინ იყოს. ამინ, თქვენი მწუხარების თანამგრძნობი საწყალი მ. ეგვენია, 1931 წ. 24 იანვარს ძველით“.

ვედარ გაუძლო ამდენ გასაჭირს სულკურთხეულმა; ფიზიკურად დაძაბუნდა და გატყდა. 1932 წლის შემოდგომაზე გატანჯულმა და სნებამორეულმა, მოიკრება უკანასკნელი ძალისხმევა, მონაზულა ხორშში მეუღლისა და უფროსი შვილის საფლავები და რძლის ხელში დალია სული.

მონასტრის ტერიტორიაზე არსებული მეურნეობის იმდროინდელ უფროსს, გვარად შვარცს, ტომით ებრაელს ხელისუფლებისაგან აკრძალული ჰქონდა ჭიშკრისგადაღმა გარდაცვლილი მონაზვნის დასაფლავებაზე ნებართვის გაცემა. მან დიპლომატიურად დატოვა ორი დღით იქაურობა და, ნიშნად პატივისცემისა, დედათა საკრებულოსა და გადარჩენილი ოჯახის წევრებს საშუალება მისცა მაღლად მოესვენებიათ და დაესაფლავებიათ მრავალნატანჯი სქემილუმენია ელეონორა.

შემორჩენილია ქრისტესმიერი დების, მისი სულიერი შვილების, იქ მყოფი მონაზვნების სახელით თქმული სიტყვა სქემმონაზონ ფავსტო შუშანიას მიერ (იხ. „ჯვარი ვახისა“ 1988 წ. №1).

გავიდა წლები, 60-იანი წლების მიჯნაზე — „სისხლის ოფლით აღშენებულ თეკლათის დედათა მონასტერში“ ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ქართული სამოციქულო ეკლესიის უძველესი აღზრდილი — ღრმად მოხუცი მონაზვნები. მონაზვნები, რომელთაც აუტანელი რეპრესიების მიუხედავად არ ჩააქრეს და არ გააუკაცრიელეს ეს უწმინდესი საგანე, ამქვეყნიური ავბედობისადმი ქედუხრელნი და მეფსეულად განკურნული ახსოვს ისინი ჩვენს თაობასაც. მათი ღვთიური გალობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ერთხელ მოსმენილს დავიწყება არ უწერია.

სქემილუმენია ელეონორას აღზრდილი, მისი სულიერი შვილები — სქემმონაზონი მარიამ და მონაზონი ანაც (ღები ძაკუ და ანაპო ძიძავეები) მიუახლოვდნენ 90 წელს და სრულიად მოულოდნელად, ამერიკიდან მათ ხმა მოაწვდინა დიდი ხნის წინ, სამშობლოდან იძულებით

გადახვეწილმა, აწ უკვე უცხოეთში შემოღამებულმა და ნოსტალგიის უკურნებელი სენით დაავადებულმა ლევან დადიანმა.

აუსრულებელ ოცნებად დარჩა მისთვის სამშობლოს ხილვა, კალიფორნიის მიწამ მიიბარა საქართველოს გულგათანგული შვილი – ათი დედმამიშვილიდან ეულად შთენილი. მაგრამ ის უკანასკნელი სიხარული მაინც გაჰყვა, რომ აქ, სამშობლოში, გრძელდება ცხოვრება მისი დედ-მამის შთამომავალთა ოჯახებისა.

მართლაც, ამ დიდი ოჯახის შთამომავალთ აღარასოდეს მიუციათ „სიღრმესა დავიწყებისასა“ დიდი ბებების შეგონებანი და ცხოვრების ძნელად სავალ გზაზე

გამთლიანებული და გასრულებული ქართველი დედისა და მამის სახება არაფრით შეუბღალავთ, ღირსებით აიტანეს დრო-ჟამით მოტანილი სიმწარენი; ადამიანის სიყვარული, მაღლის ქმნის აუცილებლობა, ურთიერთმიმტკივლობა, ოჯახის სიწმინდე, ყოველდღიური შრომის გარდუვალობა, და გაჭირვებულის დახმარება შეადგენდა მათი ცხოვრების კრედოს. მათთვისაც, ისე, როგორც წინაპრებისათვის, საქართველო იყო უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი. ჩვენც, ბადიშნი, იმ აზრით დაგვზარდეს, რომ ვიყოთ ერის რიგითი მსახურნი და მივისწრაფოდეთ იმ უღლისაკენ, რომელსაც ქართული პატიოსნება ჰქვია.

12 (25) თებერვალი

ივერიის დღესასწაული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა

წმიდისაგან ხატისა შენისა, ჰოი, დედოფალო ღვთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი უხვად მოეცემათ ყოველთა, სარწმუნოებით და სიყვარულით მისდა მოლტოლვილთა, ამისთვის ჩემსაცა უძღურებსა მოხედენ და შეიწყალე სული ჩემი, სახიერო, ხოლო ხორციტ განმკურნე მაღლითა შენითა, ყოვლადწმიდაო.

ბიბლიოგრაფია

„დავითისა და კონსტანტინეს წამება“

VIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველო დალაშქრა და ააოხრა სარკინოზთა მხედრობამ, რომელსაც სარდლობდა მარვან იბნ მუჰამადი (ესაა ის სასტიკი დამპყრობელი, რომელსაც ქართველობამ მურვან ყრუ შეარქვა). არაბებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს არგვეთელმა მთავრებმა დავითმა და კონსტანტინემ, რომელთაც მოწამებრივი გვირგვინიც კი დაიდგეს. მათი ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, ადრევე აღიწერა, „წამების“ კიმენური რედაქციის სახით, - მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. მის არსებობას საფიქრებელს ხდის ქართულ ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიცია წმინდანის თავგადასავლის წამების ახლო ხანაში აღწერისა, აგრეთვე გვიანდელი მეტაფორასტის სიტყვები: „ვითარცა გვსწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე სანახებისაგან არგუეთისაო“.

ჩვენამდე მოღწეულია უცნობი ავტორის (XII ს.) თხზულება: „წამება და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა და არგუეთისასა...“, რომელშიც აღწერილია მურვან ყრუს ლაშქრის შემოსევა და ქართველთა მიწა-წყლის აკლება, არგვეთელი მთავრების ბრძოლა მომხდურთა წინააღმდეგ, მათი გმირობა და თავდადება სამშობლოსა და რწმენისათვის. ესაა „წამების“ მეტაფორასული რედაქცია, რომელიც გამოაქვეყნეს მ. საბინინმა, ს. ყუბანეიშვილმა და ბ. კიენაძემ. რუსული პარაფრაზი დაბეჭდა მ. საბინინმა, მოზრდილი ნაწყვეტების თარგმანები გამოაქვეყნეს უნგრულად მ. ბირომ, ფრანგულად ბ. მარტენიზარმა.

მეტაფორასის დასაწყისში საუბარია სპარსთა მეფე ხოსროზე, მის მიერ იერუსალიმის დალაშქრებაზე. ბიზანტიის კეისარის ჰერაკლეს ბრძოლებზე სპარსეთის წინააღმდეგ, მაჰმადის გაძლიერებაზე, მურვან ყრუს დაწინაურებასა და აღზევებაზე. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მურვან ყრუმ მრავალი ქვეყანა დაიპყრო, მისი ლაშქარი „მოუფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისაჲ,

სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმილი, არეთა ჩრდილომხათა და დაფარა პირი ქუეყანისაჲ“. მოვიდა სამცხეს, დაბანაკდა ოძრხის ახლოს.

როდესაც ავტორმა იგრძნო, რომ დადგა „ჟამი მოკუნებისაჲ“ „წამების“ გმირებისა, „რომელთათვის არს სიტყუაჲ ესე“, ითხოვა „სასმენელთა გულს-მოდგინედ“ მიპყრობა, რათა საცნაური გამხდარიყო მომხდარი ფაქტის მნიშვნელობა.

მეტაფორასტის სიტყვით, არგვეთელი მთავრები დავითი და კონსტანტინე იყვნენ „მეცნიერ ძუელისა და ახლისა სჯულისა, ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა“. მურვანის „წინამბრძოლთა და რჩეულთა“ სცადეს მათი ძლევა და შეპყრობა, „აღიზახეს ვითარცა მკეტთა“ და შეუტყეს, მაგრამ საწადელს ვერ ეწვივნენ. ძლეულმა და გაწვილებულმა მურვანს მიაშურეს და ყოველივე ამცნეს. განრისხებულმა სარდალმა დიდძალი მხედრობა წაიყვანა არგვეთისაკენ, „შეიცვეს ტყე და ველი“, შეიპყრეს მთავრები და „სსუანი ვიეთნიმე შემდგომნი მათნი“.

გამარჯვებით გახარებულ მურვანს უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულმა მთავრებმა ამაყად განუცხადეს: „არა ღირსებისა შენისათვის იქნა ძლევაჲ შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათვის, რომელ გარდაეპყდიოთ მცნებასა ღმერთისასა“.

როგორც მოხალოდნელი იყო, მურვანმა შეპყრობილთა მაჰმადის რჯულზე გადაყვანა სცადა - ხან მზაკერული დაყვავებით, ხან სასტიკი მუქარით; დავითს სპასალარობაც კი შესთავაზა, პატივი აღუთქვა კონსტანტინესაც. სარდალსა და მათ შორის კამათიც კი გაიმართა ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის საკითხებზე (ბიბლიისა და ყურანის მოხმობითა და გამოყენებით), მაგრამ ტყვეთა მოდრეკა შეუძლებელი აღმოჩნდა. „დაუტყვეოთ ნათელი და შუეუდგეთ ბნელსა,“ - არ შეგვიძლიაო, უფხრეს მათ მტარვალს, რომელმაც აღარ დააყოვნა და სიკვდილით დასაჯა სამშობლოსა და რჯულისათვის თავდადებული რაინდები - „შეუკრნენ კელნი და ფერკნი და ქედთა მათთა დაჰკრნენ ლოდნი მძიმენი“ და რიონში ჩაყარეს.

შემდეგ აღწერილია მურვან ყრუს მხედრობის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში, სადაც მტერმა „აღაოკრნა და უგალ და უკაცურ ყო ქუეყანაჲ მეგრელთა და აფხაზთა“. უკანასკნელად აღნიშნულია მოწამეთათვის ტაძრის აშენება და მათ ნემშთა იქ დასვენება.

მეტაფრასტი რამდენიმე წყაროს იყენებს; ერთგან პირდაპირ გვაუწყებს, რომ ხელთ ჰქონდა „ბუეღნი უწყებანი“, მაგრამ კონკრეტულად არ უჩვენებს მათ რაობას. საფიქრებელია, რომ საკუთრივ ღავითისა და კონსტანტინეს წამების აღწერისას, იგი სარგებლობს უშუალოდ კიმენური რედაქციით, აგრეთვე ჩვენთვის უცნობი საისტორიო წყაროთი (არაბთა ბატონობის ამსახველ ძეგლებში - სუმბატ ღავითის ძისა და ჯუანშერის თხზულებებში ღავითისა და კონსტანტინეს ხსენებაც კი არ გვხვდება). საერთოდ კი, - მოთხრობილი ზოგადი ამბებისა და მსჯელობისათვის, ის იყენებს ორიგინალურ თუ თარგმნილ ტექსტებს. სახელდობრ, ჯუანშერის „ცხოვრებას ვახტანგ გორგასლისა“, საიდანაც იღებს არაერთ ცნობას (მურვან ყრუს ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში, ვახტანგ გორგასლის შთამომავალთა - არჩილისა და მისი ძმის ანაკოფიის ციხეში გამაგრება, მდინარეების ადიდება და სხვ.). ერთგან ის პირდაპირ გვისახელებს წყაროს - ანტიოქე სტრატეგის (VII ს.) წიგნს „წარტყუენვაჲ იერუსალემისაჲ“. მისი ხიტყვით, „სპარსთა მეფე ზუასრო“ თავისი ლაშქარით დაეხსნა „წმიდასა იერუსალემსა“, „გამოიღო და ტყუე ყო და მოსრა ერი ურიცხვ მამათა და დედათაჲ, მღვდელთა და დიაკონთა და ქალწულთაჲ, ვითარცა წერილ არს წიგნსა მას იერუსალემისა წარტყუენვისასა“. ფიქრობენ, რომ მეტაფრასტი იცნობდა არსენ ივალთოელის „დოგმატიკონის“ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ თხზულებას. გამოყენებული წყაროების მიხედვით, ცხადი ხდება, რომ „ღავითისა და კონსტანტინეს წამება“ მას დაუსწერია არაუადრეს XII საუკუნის პირველი ნახევრისა.

უცნობი ავტორის მხატვრულ ოსტატობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით. მის ვრცელ საისტორიო თხრობასა და საღვთისმეტყველო მსჯელობაში გაბნეული ორიოდ ფრაზა (ლაშქარი „მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისაჲ, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი“; „იქმნეს სასწაულნი ზეგარდმო-ქუხილნი და ელვანი, სეტყუა და წვმანი, მძაფრნი და სასტიკნი“) ან გმირთა

ორიოდე პორტრეტი, რასაკვირველია, მათ შემოქმედს ქართული მხატვრული სიტყვის ხელოვნად ვერ წარმოგვიდგენს.

შემონახულია „ღავითისა და კონსტანტინეს წამების“ ხუთი სვინაქსარული რედაქცია. თავისთავად ეს საგულისხმო ფაქტია (ამდენი რედაქცია არც ერთი მოღვაწის „ცხოვრებისა“ თუ „წამებისა“ არა გვაქვს). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უძველესი რედაქცია, რომელიც XIII-XIV საუკუნეების ხელნაწერშია დაცული (იგი გამოაქვეყნეს მ. ბროსემ და ე. გაბიაშვილმა). მასში მეორდება მეტაფრასის შინაარსობრივი მასალა, მაგრამ ფრაზეოლოგიური თანხვედნილობა არ შეინიშნება, გვხვდება დამატებითი დეტალებიც. არაა გამორიცხული, რომ მეტაფრასტის მსგავსად უძველესი სვინაქსარული რედაქციის ავტორმაც ზოგი რამ „ბუეღლთა უწყებათაგან“ აიღო. სხვა რედაქციები, რომელთაც XVI-XVIII საუკუნეთა ხელნაწერებში ვხვდებით (გამოსცა ე. გაბიაშვილმა), შეიცავენ მეტაფრასის პარაფრაზირებულ - შემოკლებულ ტექსტებს.

„ღავითისა და კონსტანტინეს წამების“ მეტაფრასული რედაქციით დაეალებული არიან ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი და ანტონ პირველი.

ბ. ბარათაშვილ-ორბელიშვილმა (XVII-XVIII სს.) „არჩილის წამების“ მისეულ რედაქციაში მურვან ყრუს შემოსევა ძირითადად ჯუანშერის მონათხრობის საფუძველზე აღწერა, მაგრამ ზოგიერთი დეტალი „ღავითისა და კონსტანტინეს წამებიდან“ აიღო (მაგალითად, მურვან ყრუს მაჰმადის დისწულად გამოცხადება). სხვა თხზულებაში - „წამებაჲ და ლუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლს შინა, სოფელსა შინა წრომს“ - იგი იხსენიებს „ორთა ძმათა მთავართა მათ არგუეთისათა ღავით და კონსტანტინეს“, რომელთაც „ახოენებაჲ სრული აჩუენეს და გვრგვინოსან იქმნეს მოწამობითა“, და იმასაც გვაუწყებს, რომ მათი და არჩილის თავგადასავალი აღწერილია „წიგნთა შინა უწყებისა მათისასა და ჩუენდა საცნაურ ქმნილ არიანო“.

ანტონ პირველის (1744-1755, 1764-1788) „შესხმა და მოთხრობა ლუაწლითა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა ღავით და კონსტანტინესი, რომელნი იფუნეს არგუეთისა მთავარნი“ არაერთ წყაროს ეფუძნება

(ბიბლიურ წიგნებს, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთას“, ჯუანშერის „გახტანგ გორგასლის ცხოვრებას“...), მაგრამ განსაკუთრებით უცნობი მეტაფორასტის თხზულებითაა დავალებული, იგი არსებითად მეტაფორასტის თხზულებითაა პარაფრაზია. მასში გამეორებულია წყაროს ფრაზები, დამოწმებულია მოზრდილი ციტატები („იტყვან მომთხრობელნი...“; „იტყვან ვნებათა ამათ წმიდათასა მომთხრობელნი, ვითარმედ...“; „იტყვან ამისთვის ისტორიკოსნი, ვითარმედ...“; „იტყვან ვითარმედ...“; „კუალად მოუთხრობენ, ვითარმედ...“ და ა. შ.).

„ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე გვიანდელ ნუსხაში, ჯუანშერის თხზულებაში, - იქ, სადაც მურვან ყრუზეა საუბარი, - გვხვდება ასეთი ჩანართი: „ხოლო ამანვე ყრუმ შეიპყრა და აწამა წმიდა დავით და კონსტანტინე, რომელთა წამებასა ვრცელად მოგვითხრობს ცხოვრება მათი“. იქვე არშიაზე იკითხება: „დასაბამითგან სოფლისათ ექუსი ათას ორას ორმეოცდაცხრასა, ქრისტეს ჯუარცმითგან შვდას ოცდაათსა, მეფობასა ბერძენთასა ლეონ ისაეროსა“ (შენიშვნა მომდინარეობს „დავითისა და კონსტანტინეს წამებიდან“). ზოგიერთ ნუსხაში არშიებზე

იქვე წერია: „წმიდა დავით და კონსტანტინე“. „ქართლის ცხოვრების“ მ. ჯანაშვილისეულ ხელნაწერში დამოწმებული შენიშვნის წინ ორი გვერდი თავისუფალია, საფიქრებელია, „დავითისა და კონსტანტინეს წამებისათვის“.

ზოგიერთ ხელნაწერში სხვა ვითარებაა - „დავითისა და კონსტანტინეს წამება“ უფრო სრულადაა გამოყენებული. ამასთანავე, ჰაგიოგრაფიული ძეგლის ტექსტი დანაწევრებულია და საისტორიო თხრობაში სხვადასხვა ადგილასაა ჩართული. თავდაპირველად, - მურვან ყრუს პირველი ხსენებისთანავე, - გვხვდება პატარა ჩანართი „დავითისა და კონსტანტინეს წამებიდან“ (საერთოდ ეს და სხვა ჩანართებიც ზუსტად იმეორებენ წყაროს), შემდეგ თხრობა გრძელდება ჯუანშერის სიტყვებით, რომელსაც მისდევს ჩანართი, მას მიჰყვება ჯუანშერის ტექსტი და ა.შ.


ყოველივე ეს მოწმობს „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ რედაქტორ-გადამწერთა დიდ ინტერესს დავითისა და კონსტანტინეს ტრაგიკული თავგადასავლისადმი.

26 თეპერვალი (8 იანვარი)

ხსენება წმიდა კეთილმსახურის, სრულიად საქართველოს და აფხაზეთის მიწის, დავით ბაქურის - აღმაშენებლად წოდებულისა.

ტროპარი: საკვირველება, რომელი ჰქმენ, უფალო, წმიდისა შენისა შორის, კეთილმსახურისა მეფისა დავითისა, ზესთა აღზღების გონებასა სიტყვისმოქმედთასა, რამეთუ აღიდე იგი სახელისათვის წმინისა, ვიდრე დახსნამდე სარკინოზთა ბრწყინვალეთა მიერ ძლევათა ყოვლად საკეთირველთა, ხოლო შემდგომად დახსნისა სარკინოზთასა დიდებულ ყპყავ ნიშთა მიერო საკვირთელთა, რომელისა ოხითა მიეც სულსა ჩვენსა დიდი წყალობა.

კონდაკი: ზესთა მბრძოლსა უძლეველსა დავითს და შემწესა ურცხვენელსა კეთილმსახურებისასა, თითარცა მის მიერ განათლებულნი, სამცხისა მისისა ერთი და ქალაქნი, შორის ხმისა გვირგვინსა შეუთხზიდეთ განსათავისუფლებელსა მას ჩვენსა ყოველთაგან ვნებათა, და ვიტყუოდეთ მისდამის სიხარულით: გიხაროდენ, საქმარისად მფარველნო ჩვენო.



აჭარაში...

დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობის პირველი ფუძე-ბალავარია აჭარა. აღმოსავლეთი საქართველოსა - მესხეთი, საიდანაც შემოვიდა კვლავ ქრისტიანობა და ასე, მთლიან ქრისტიანულ საქართველოს დღემდე ეს ორი კუთხე კრავს და აერთიანებს.

წარსულის ამ ჭეშმარიტი, უდავო ფურცლების გახსენებით დღეს აჭარის ქრისტიანული აღმაგლობის მოწმენი ვხდებით.

სრულიად საქართველოში, სრული სასულიერო (ვაჟთა და ქალთა) გიმნაზია გაიხსნა ბათუმში. აჭარამ აქაც პირველობა არავის დაუთმო.

14 ოქტომბერი. სვეტიცხოვლობას ანუ კვართის დღესასწაულს ზეიმობს ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესია. საზეიმო წირვას აღასრულებს ბათუმ-შემოქმედელი და მანგლელი მიტროპოლიტი კონსტანტინე. თანამწირველნი არიან მოძღვარნი ამა ტაძრისა: წინამძღვარი – დეკანოზი დავით შიოლაშვილი, ბერი გიორგი მულაძე, სხალთის ტაძრის წინამძღვარი გრიგოლი (აბულაძე) და სხვა მღვდელნი და დიაკონნი. ზეიმს ესწრებოდა ბათუმისა და ამ მხარის რაიონებიდან ჩამოსული მრევლი, თბილისის სამრევლო სკოლის მგალობელნი (ხელმძღვანელი ლ. სალაყაია) და ბათუმის ამავე ტაძრის ვაჟთა გუნდი.

წირვის მთელ მადლს წარმოადგენდა მმარხველთა და აღმსარებელთა საკმაოდ გრძელი მწკრივი.

წირვის დასასრულს ქადაგება მიტროპოლიტისა – სვეტიცხოვლობის შესახებ, კვართის, როგორც დიდი სიწმიდის შესახებ. შემდგომ კი იქვე ახლად გახსნილი გიმნაზიის შენობის წინ საზეიმო სვლა. ზღვასთან მდებარე ქალაქის ამ წმიდა ადგილას ზღვასავით აზვირთებულ უამრავ მოქალაქეთა რიცხვს, ქალაქისა და აჭარის ხელმძღვანელობას სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ:

„კეთილმორწმუნენო ნათესაენო! დანო და მძანო, დღეს ბათუმელებს ორი დიდი სიხარული გვაქვს – სვეტიცხოვლობა და სასულიერო გიმნაზიის გახსნა, რომელიც აერთიანებს ერსა და ეკლესიას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჩვენი ტაძრის წინამძღვრის დავით შიოლაშვილის დიდი მონღომებით, დაუღალავი მეცადინეობითა და სასულიერო პირთა დახმარებით, საქართველოში დაიბადა პირველი სასულიერო გიმნაზია.

ჩვენ დიდად ვართ გახარებულნი ამ ფაქტით. ეს დიდი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში.

მე დავლოცავ ყველა ჩამოსულ სტუმარს, ვინც კეთილად შეეწია ამ საქმეს, იმათ, ვინც დაემარნენ მატერიალურად, თანხით თუ ძვირფასეულობით.

ღმერთმა განდევნოს ბოროტი ჩვენს შორის და დაამკვიდროს კეთილი“.

ზეიმის მონაწილეთ სიტყვით მიმართა ახლადგახსნილი გიმნაზიის პირველმა რექტორმა დეკანოზმა მამა დავითმა.

„ყველას მოგილოცავთ ამ მშვენიერ დღეს. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჩვენი გიმნაზიის გახსნას... დღეს ამ გახსნას ესწრება არა მარტო საქართველოდან, არამედ მოსკოვიდან და სხვა მხარიდან ჩამოსული სტუმრები.

მე დიდად ვხაროვარ ამ ფაქტის წინაშე და ვთვლი თაგს მოვალედ ყველა აღსაზრდელის წინაშე... მე მოგახსენებთ, რომ ამ სასწავლებლის შექმნა-გახსნაში (მოგესხენებათ, არარსებულის წარმოჩენა-შექმნა ძალიან ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული) თითქმის ყველა გვეხმარებოდა. ჩვენს გიმნაზიას გადმოეცა ბევრი შემოწირულება: ფულადი და ნივთიერი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აჭარის მინისტრთა საბჭო თავისი მზრუნველობით ამ საქმეში. განსაკუთრებული მადლობის ღირსია კეთილად თანამდგომნი ამა საქმისა: აწ გარდაცვლილი რომან კასრამე, როსტომ დოლიძე, ზურაბ კალანდარიშვილი, მამული ყვინტი და სხვა.

სხალთის მონასტერმა ასიათასი მანეთი შემოსწირა ნორჩების სულიერად აღზრდის სიწმიდისთვის.

დასასრულს მე მინდა ეგნატე ღმერთშემოსილის სიტყვებით დავლოცო ჩვენი ბავშვები, ჩვენი სისხლი და ზოცი: „სიყვარული გფარავდეთ ვითარცა ჩაფხუტი, სარწმუნოება ვითარცა ფარი, სასოება ვითარცა მახვილი, ზოლო სიკეთე ვითარცა სრული საბრძოლო აღჭურვილობა.“ ამინ.

ქალაქ ბათუმის პრეფექტი:

უპირველესად მოგილოცავთ მცხეთობას, ეს ზიარებაა ქართველი ერისა წმიდა კვართთან და დიდი მადლია. მე დღეს ვლელავ, რამეთუ ასეთ დღესასწაულებზე გამოსვლისათვის არა ვარ მზად... სასულიერო გიმნაზიის გახსნა – ეს კი მესახება, მჯერა და მწამს, რომ ეს იქნება იმ მძიმე წუთებიდან გამოსვლის ერთი ფაქტი. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ყოველივე ჩვენი ცხოვრებისათვის. გმადლობთ ყველას. მომდევნო სიტყვა ითხოვა ქალაქ მოსკოვის საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების განმანათლებლური საზოგადოების ხელმძღვანელმა ალექსანდრე კოროპოვმა:

„მე მოგილოცავთ ამ მნიშვნელოვან წმიდა დღესასწაულს და ამ დიდებულ ქრისტიანულ საქმეს.

უძველესი იბერიის მიწა-წყალზე რომ დაიზრდებიან მომავალი თაობები ქრისტიანულად და სულიერად, ეს დიდი სიხარული უნდა იყოს მართლმადიდებლობისა.

საქართველოში ეს ტრადიცია, ცოდნა ეკლესიური ცხოვრებისა ყოველთვის წარმოადგენდა მაღალი ზნეობის ქართველებს. მრავალს დაესწარით.“

თბილისის სამრევლო სკოლის წარმომადგენელი ლია სალაყაია: „მე გავბედავ მიემართო მხოლოდ ბავშვებს, რომ თქვენ ხართ დღეს ყველაზე ბედნიერნი. თქვენ აქ ისწავლით სიმართლეს, სიწმიდეს და თქვენ იქნებით მომავალში წინამძღვრები თქვენი ახლობლებისა და მომავლისა, თქვენ იქნებით წმიდა სანთლები მომავალ გრძელ გზაზე.“

სასულიერო გიმნაზიის პედაგოგი გულნარა დოლიძე:

„მე ვასწავლიდი წლების მანძილზე ილიას და აკაკის მოძღვრებას სკოლაში, მაგრამ ვერ ვამბობდი სულის უკვდავების შესახებ. ჩვენ გუშინ რომ ვიტირეთ ორი წლისთავი იმ ვაჟაკისა (მერაბ კოსტავა), რომლის სულიც ძვირფასია ყველა ქართველისათვის. მიემართავ პედაგოგებს, ამ გიმნაზიას, რომ ბავშვებს სულის უკვდავების შესახებ ასწავლონ.“

– ჩვენო ძვირფასო აღსაზრდელებო, დღეს საქართველოს ცხოვრებაში ერთ-ერთი ამალღებელი დღეა, ყველას გილოცავთ, გილოცავთ.

ბათუმის ღვთისმშობლის ტაძრის ლობჯიანი მგალობელთა სახელით მიულოცავს ბავშვებს და მათ მშობლებს: ეს დიდი ნაბიჯია მრავალტანჯული აჭარის მიწაზე, ეს იქნება პირველი მერცხალი და ის კუნძული, რომელიც დაეხმარება საქართველოს. ვიყოთ ხალხნი ღმერთთან და ის იქნება ჩვენთან.

ზეიმის დასასრულს გიმნაზიაში ჩარიცხულ ბავშვთა 200-ეული მიიწვიეს გემზე.

* * *

აჭარის სულიერ ცხოვრებას კიდევ ერთი ეკლესიური ფურცელი მიემატა. ხულოს რაიონის სხალთის ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებულ მამათა მონასტერს მიენიჭა ანდრია პირველწოდებულის სახელი, რომლის წინამძღვრად და იგივე რაიონის სასულიერო სასწავლებლის რექტორად დაინიშნა - არქიმანდრიტი დანიელი, სადაც 800-ზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე. პროფესიული ცოდნის მისაღებად გახსნილია ფაკულტეტები: სამედიცინო, პედაგოგიური, სამშენებლო და სხვ.

სტუდენტები დარგობრივ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან საღვთო სჯულს - ქრისტიანულ მოძღვრებას.

სამონასტრო ცხოვრება აქ ორი წელია რაც დაიწყო, მისი ხელმძღვანელები იყვნენ არქიმანდრიტი იობი და დეკანოზი გრიგოლი (აბულაძე).

ამჟამად მონასტერში მოღვაწეობს ორი ბერი და ორი მორჩილი.

ანდრია პირველწოდებულის მონასტრის პირველი კვირიაკის საღვთსაწაულო ღამისთევის ღოცვაში და წირვაში მონაწილეობა მიიღო სვეტიცხოვლის ტაძრის და მონასტრის ძმობამ, დავით გარეჯის მონასტრის ძმობამ, (რომლის წინამძღვარი დეკანოზი ირაკლი მახარაძე კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად და ეწოდა დავითი.), სამთავროს დედათა მონასტერმა, თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერმა, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებმა, თბილისის მრევლმა. სულ 100-ზე მეტმა ადამიანმა.

ქრისტიანული აჭარის ამ ღირსეულ ფურცელს – საზეიმო წირვას დილის 9 საათზე დაესწრო ქ. ბათუმის მთავრობის წარმომადგენელი, ბათუმის და აჭარის კუთხის ყველა რაიონის ხელმძღვანელი პირნი. (ასამდე ადამიანი), სასულიერო სასწავლებლის სტუდენტები.

წირვის დასასრულს მრევლმა მოისმინა არქიმანდრიტი დანიელის ქადაგება:

„დღეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე ამ წმინდა საგანგებო... აქ ასევე საჭირო გახდა მონასტრული ცხოვრება, როგორც საქართველოს სხვა კუთხეში... დღევანდელი დღე მიგვანიშნებს იმას, რომ ქართველი ერი დიდი წამებისა და გარჯის შედეგად შეუდგება უფალს. დღევანდელი დღით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა აჭარისა და სრულიად საქართველოს ცხოვრებაში, რომელშიც მრავალი ადამიანები არიან მონაწილენი. პირველ რიგში, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, შემდეგ ეპისკოპოსნი – ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, მღვდელნი და მონაზონნი, აჭარის მოსახლეობა და მათი ხელმძღვანელობა, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ მონასტრის აღორძინებას.“

საეკლესიო ქადაგების შემდეგ სიტყვა მოითხოვა აჭარის მხარის მწვერალთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალ ქათამაძემ. მან აღნიშნა, რომ „ამ ბებერი ტაძრის – აჭარის ისტორიული სიამაყის კედლებში კვლავ ცოცხლდება მონასტრული ცხოვრება და კვლავ აღდგა სახელი ქრისტეს მოციქულის ანდრია პირველწოდებულისა. გვეამაყება, რომ აქ იგზავნიან ყოველთვის საუკეთესო მოძღვარნი, როგორც მიმდინარე სამი წლის მანძილზე, ისე დღეს, მამა დანიელის სახით. მე მინდა მადლობა გადავუხადო პირადად უწმინდესსა და უნეტარესს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.“

ამასთან დაკავშირებით მინდა დამსწრე საზოგადოებასა და მრევლს წავუკითხო საგანგებოდ მიძღვნილი ლექსი ამ დღისა და ქართველი ერისადმი“.

* * *

აჭარაში და საერთოდ აქაურ მშრომელ ხალხში, როგორც ძვირფასი განძი რამ, ჩამარხულ-შენახულია ღმერთის რწმენა – კრძალვა და სიყვარული მისი. შრომის ფასი, შვილების სიმრავლე, უფროს-უმცროსობა, ადათი და ნაშუისი, ქალის ქალობა და კაცის კაცობა. ადამიანის ამ ძვირფასი განძის ტარებას გვაკლებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ამ

ხასიათს და ამ ზნეს დანახვა უნდა. პატივისცემა და თაყვანისცემა უნდა. ამიტომაც ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, რომ „ჩვენ კი არ უნდა მოვაქციოთ აჭარა ქრისტიანულად - აჭარამ უნდა მოგვაქციოს ჩვენ ქრისტიანულად“. რომელსაც, როგორც განმს, მოწინააღმდეგე და გამომწვევე სჭირდება. ამ მიზანს ემსახურებიან პატრიარქის მიერ აქ დადგენილი სასულიერო პირნი.

* * *

აჭარაში რამდენიმე კვირიანმა მოგზაურობამ და წირვა-ლოცვამ დაანახა მრევლსა და სასულიერო ხელმძღვანელობას, თუ რაოდენ საჭიროა აქაურ სოფლებში ყოფნა, სოფლის ხალხთან გულითადი ურთიერთობა. ნათქვამია, ეშმაკი განაბნებს და უფალი შეკრებს ცხოვრებას (ადამიანთა), ეს შეკრება, ურთიერთობა კი სიბნელის, ღვთის წმინდა სიტყვის მიტანის გარეშე არ ხდება. ამ მაღლით დაიწყო ამა სოფელთა და ქალაქთა მოვლა და თაყვანისცემა. როგორც შეეფერება ამ ხალხს და ამ მიწა-წყალს. მითუმეტეს, როცა ანდრია პირველწოდებული ჩვენზე მეტად ეამაყებათ. ყოველ ნანგრევებზე ხელს გაიშვერს აჭარელი გლეხი და სიყვარულით გიყვება მასზე გადმოსაცემელს, ნათქვამს თუ ლეგენდას. საამაყოდ მარტო სოფელ დიდაჭარაში პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებულის მიერ აშენებული ეკლესიის ნანგრევებიც ვყოფათ. აქედან დაიწყო ჩვენი მრევლის პირველი პარაკლისი, პირველი ნაბიჯი სოფელთა მოვლისა, რომელიც უნდა იყოს საფუძველი მომავალში „წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზის“ ფეხით მოვლისა, რომლის მცირე ნაწილი უკვე გაიარა მამა არჩილის (მინდიაშვილი) ჯგუფმა.

დასასრულს, საჭიროა გაეხსენოთ სოფელ ვერნეში მყოფი ერთი დღე-ღამე. თუ როგორ საჭიროდ და წმიდად სთვლიან ეკლესიის ყოველ ჩამონაფხვენს, ჩანს ეკლესიის ახლოს საგანგებოდ მოწყობილ საფერხნო-ფარდულში ჟამთა სიავით ჩამონაშალი ეკლესიის დეტალების შენახვა და იმ სტუმარ-მასპინძლის მაღლი, ღამისთევისა და საღმრთო თემაზე საუბრისა, როცა მასპინძელი ქალი სიყვარულით ანთებული უბრალო ენით გეტყვის – ნეტა ხშირად იყვნეთ ჩვენთან, რამდენი რამე ყოფილა დაფარული ჩვენთვის, დილაძე საუბარი არ მოგვწყინდებაო.

მართა ტარტარაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს მემატრიონე

ჯემალ ქათამაძე

საქართველოსთვის

შენ, დალოცვილო, რა დროს გოღებაა,
შეხედე, ზეცა როგორ ნათდება.
ახლა გვჭირდება სალი გონება,
რასაც ვნატობდით, ახლა მართლდება.
რა დროს გლოვაა, შენ დალოცვილო,
მოდის ნანატრი დრო დიდებული.
საქართველოსთვის სხალთას ვლოცულობ
მე, ქრისტეს მიერ მირონცხებული.
ყველაფერს ჰქვია რწმენის კედელი,
წმიდა ალექსანდი ცისკენ მიდიან.
დღეს ეს ხიხანის ციხე ბებერი
შენ რომ გგონია, მასზე დიდია.
დღეს დიდაჭარა, ძველი სამრეკლო,
სხვა მიდამოა, ნათლით მოსილი.
მინდა ზარები ისევ დავრეკო,
ისევ დავლოცო ცა დალოცვილი.
არ დაუხარე თავი არავის,

მთელი ქვეყანა მაშინ გბაძავდა,
აქ დიდი ტბელის ბებერ ტაძართან,
ღმერთს აუგია შენთვის კარავი.
არ დაგიკარგავს გზა დიდ ღამეში,
არ გიძინია უკმად ჩრდილოში,
თუ ლოცულობდა მამა ჯამეში,
ქართველებისთვის, საქართველოში.
თუ რამ გიყვარდა, მამული ერთი,
რამდენჯერ მისთვის სამსალა მოსვი.
თუ გამჩენელი იწამე ღმერთი,
საქართველოსთვის,
საქართველოსთვის!
შენ, დალოცვილო რა დროს გოღებაა,
იღვიძებს ძველი მიწა, ბებერი.
ახლა გვჭირდება ბრძენის გონება,
ახლა გვჭირდება რწმენის კედელი.
შენ, სამოთხიდან ჩვენთვის მოსულო,



JVARI VAZISA

(The cross of vine)

N1, 1992

St. Grigol Palama explains the essence of the two theological mysteries, with his habitual profundity, in his preachings for the mystery of holy epiphany and eucharist, considering them to be the only way of delivering from the captivity of the evil force.

Nicholas Berdiaev dissociates himself from the abstract, rationalistic "gnosiological", scholastic philosophy, in his article - "Philosophy and Church", proving that only the church philosophy is capable of restoring the ways coming to the world spirit.

The preaching by the archpriest Archil (Mindiashvili) is published in the journal. One of the greatest Christian virtues is the mentioning of death and lamenting for one's own sins. The author speaks about the factors, which help to appear the tears of regret in a man and, on the contrary, what dries the source of tears on the way of earthly life. The author bases on the examples from the lives of holy fathers.

The printing of the catechism against the sectarians is finished up in this issue of the journal.

The printing of the essay by Markoz Tkemaladze - Sioni Cathedral is Tbilisi, in continued.

The article by Babilina Lominadze clears up the question, whether a woman conducted "liturgical services" or not in old Georgia and gives negative answer to this question, based on the various ecclesiastical and historical sources.

The teaching by the Bishop Egnate Brianchaninov - "While Reading the Holy Fathers", is published in the journal.

The essay by Ekvtime Cochlamazashvili and Taisa Toronjadze deals with the history of the cathedral of Holy Virgin in Didube.

The article by Paata Curdovanidze - "Infinit Candles", is dedicated to the life of the honoured nun in divine service - Eleonora Dadiani.

Darejan Menabde discusses the work by an unknown author of 12th century - "Martyrdom of David and Constantine".

The article by Marta Tartarashvili tells us about the raising of spiritual life in Achara.

The tryme by Jemal Catamadze is also printed here.

ДЖВАРИ ВАЗИСА

(Крест из лозы виноградной)

№1, 1992

Святой Григорий Палама в своих проповедях о таинствах крещения и причащения со свойственной ему глубиной разъясняет суть этих богословских таинств. По мнению святого Григория, единственным средством спасения человека от плена злых сил является сначала крещение, а далее причащение.

В статье "Философия и церковь" Николай Бердяев отмежевывается от отвлеченной, рациональной, "гносеологической", схоластической философии и обосновывает мысль, что только церковная философия может восстановить путь к Духу Вселенной.

Читателю предполагается проповедь деканоза Арчила (Миндиашвили). Одной из величайших христианских добродетелей является упоминание смерти и плач о своих грехах. Напоминая о примерах из жизни святых отцов, отец Арчил беседует о тех явлениях, которые способствуют возникновению в человеке слез покаяния и наоборот, сушат источник слез на пути земной жизни.

В настоящем номере журнала печатается окончательная часть катехизиса против сектантов.

Продолжается публикация очерка деканоза Маркоза Ткемаладзе "Тбилисский Сионский Кафедральный храм".

Статья Бабилыны Ломинадзе ставит цель выяснить вопрос - совершала ли женщина "литургическое богослужение" в древней Грузии? Основываясь на разные церковные и исторические источники автор статьи отвечает на этот вопрос отрицательно.

Публикуются советы епископа Игната Брянчанинова о том, как нужно читать учения святых отцов.

Очерк Эkvтима Кочламазашвили и Таисы Торонджадзе освещает историю дидубийского храма имени Пресвятой Богородицы.

Статья Пааты Курдованидзе "Свечи негаснущие" знакомит читателя с жизнью посвятившей себя Богу монахини Елеоноры Дадияни.

Дареджан Менабде рассматривает сочинение неизвестного автора "Мученичество Давида и Константина".

Марта Тартарашвили рассказывает о подхъеме духовной жизни в Аджарии и здесь предлагается стихотворение Джемала Катамадзе.

